Ჯ. ᲥᲔᲠᲯᲘᲜᲘ

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ

„ნაკადული"
19 თებერვალი 67

902+9
087 1 : 9
ბ 249

მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა

ნ. ანტოკოლსკაიასი და ბ. ბელოვისა

თ ა რ გ მ ნ ა

ციცანა ხუბულავამ

7-6-3

ფაქტები მეცნიერისათვის ჰაერივით აუცილებელია. ქიმიკოსი მათ ლაბორატორიაში კრებს, გეოლოგი ფაქტების შესაგროვებლად მთიან ხეობებში მოგზაურობს, ოკეანოგრაფი — უსაზღვრო ზღვებზე. ასტრონომი ტელესკოპის საშუალებით აგნებს მეტად საჭირო ფაქტებს, მიკრობიოლოგი — მიკროსკოპით.

მაგრამ ისტორიკოსი, იმ ხალხთა ღვაწლსა და ჭირ-ვარამს რომ შეისწავლის, ვინც ასეული და ათასეული წლების წინათ ცხოვრობდნენ და საფუძველი ჩაუყარეს ჩვენს კულტურას, საიდან იღებს ფაქტებს? რა უწევს მას სინჯარისა და მიკროსკოპის მაგივრობას? სად არის მისი ლაბორატორია?

ეს წიგნი ისტორიული ფაქტების ძიებაზე მოგვითხრობს: გვიამბობს მიწიდან ამოღებულ, ანდა ათასობით უძველესი მონეტის ანალიზის საფუძველზე დადგენილ ცნობებზე, იმაზე, თუ რა შეუძლია ამცნოს ისტორიკოსს საფლავის ქვაზე ამოკვეთილმა წარწერამ, ან ეტრატის ნაგლეჯზე შემონახულმა ძველისძველი ქოხის გაყიდვა-გარიგების ჩანაწერმა.

წიგნი მოგვითხრობს, თუ რა სიძნელეებს შეიძლება წააწყდეს ისტორიკოსი, როცა ძველ

ხელნაწერებს კითხულობს და ცდილობს დაადგინოს დიდი ხნის წინ მომხდარი მოვლენის თარიღი, ან გაერკვეს ერთი და იგივე ომის ან ერთი და იგივე აჯანყების მომსწრეთა ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებში.

ისტორიკოსს, ისევე როგორც ფიზიკოსს ან ქიმიკოსს, ფაქტები მზამზარეულად როდი მოსდის, მათ დასადგენად შეუპოვარი შრომაა საჭირო.

ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ადამიანი, რასაკვირველია, მეცნიერ-ისტორიკოსი ვერ გახდება, ვერც ახალი ფაქტების დადგენასა და მათ ახლებურად ახსნას შეძლებს. მაგრამ გაიგებს, რამდენი საინტერესო სიძნელეა გადასალახავი, ვიდრე შორეული წარსულის ისტორიიდან ერთი რომელიმე ფაქტის დადგენა მოხერხდებოდეს.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ა. პ. კაჟდანი ავტორია რამდენიმე წიგნისა, სადაც აგვიწერს ბიზანტიისა და ძველი მსოფლიოს ისტორიას.



განა შეიძლება ყამთასვლის უკან შემობრუნება? განა შეიძლება დავუბრუნდეთ ერთხელ უკვე მომხდარ ამბებს, დავიიროთ მიწის პირისაგან აღგვილი ქალაქის ქუჩები, ანდა ვესაუბროთ, ვინ იცის, რამდენი ხნის წინ გარდაცვლილ ადამიანებს? რასაკვირველია, არა! დრომ არ იცის უკან დაბრუნება. მხოლოდ ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრებში შეძლო ერთმა პროფესორმა ჯადოსნური ქოშების წყალობით შუა საუკუნის კოპენჰაგენის ძველ, მოუკირწყლავ ქუჩებში გასეირნება. მხოლოდ ჰერბერტ უელსის ფანტაზიამ შექმნა დროის მანქანა, რომელსაც შეეძლო ადამიანის არა მარტო წინ, მომავალში გადაყვანა, არამედ უკან, განვლილ საუკუნეებში დაბრუნებაც.

მაგრამ თუ წარსულს ვერ დავუბრუნდებით და ვერ გავხდებით იმ ამბების თანამონაწილე, რაც ერთხელ უკვე გადაიტანა კაცობრიობამ, იქნებ ის მაინც გავიგოთ, როგორ შრომობდნენ და იბრძოდნენ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი ადამიანები?

ზღვის სიღრმეში მოცურავე თევზი, მზით გამთბარ ქვაზე მცოცავი გველი უკვალოდ ქრება. დრო კი, სწრაფმავალი დრო, უკანმოუბრუნებლად მიქრის და ყველგან ტოვებს თავის კვალს. მაგრამ უნდა შეგვეძლოს ამ კვალის წაკითხვა. ეს კი ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე მიწაზე მხეცის ნაკვალევის ამოცნობა. გადახრიოკებულ ველზე, ჩემო ძვირფასო მკითხველო, შენ მტვრის კორიანტელის მეტს ვერაფერს დაინახავ, გამოცდილი მეგზური კი აგიხსნის, რომ აქ გაუვლია აქლემს, რომ ის ხრდალი ყოფილა, გეტყვით დაახლოებით მის წლოვანებასაც და შეიძლება ნაფეხურების მიხედვით პატრონის ვინაობაც დაადგინოს. ასეთივეა დროის ნაკვალევიც: აბა, ხელში აიღე ძველი წიგნი, დახედე ნილოსის დაბლობში ნაპოვნ წარწერას, — რას წაიკითხავ, რას გაიგებ? იქ, სადაც შენ მხოლოდ ნებისმიერ ორნამენტში გადახლართულ ხაზებს დაინახავ, სპეციალისტი მთელ მოთხრობას წაიკითხავს მტრების მიერ დაპყრობილი ქალაქის ტრაგიკულ ბედზე, თავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა სიმამაცეზე, ბოროტებასა და სიყვარულზე.

როცა შენს სახელმძღვანელოში წაიკითხავ მარტივ და თითქოს მოსაწყენ წინადადებას — „ეგვიპტის სამეფომ დაპყრობით ომებში უდიდეს წარმატებას მიაღწია ფარაონ ტუთმოს III დროს; იგი დაახლოებით ძვ. წ. 1500 წელს მეფობდა“, — შეიძლება დაამთქნარო და გაიზმორო კიდეც. მაგრამ, აბა, დაუფიქრდი, თაობათა რამდენი შრომა დაიხარჯა, ვიდრე ამ პატარა წინადადების დაწერა მოხერხდებოდა! ამისათვის საჭირო იყო უკვე ორი ათასი წლის წინათ დავიწყებული ძველი ეგვიპტური ენის საიდუმლოების ამოცნობა, ტუთმოს III წარწერების მოძებნა, რომლის სახელს ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ არავინ იცნობდა. ახლა იმის დადგენა, თუ როდის ცხოვრობდა ტუთმოსი! ჩაუფიქრდი თუნდაც იმას, რომ ტუთმოსის თანამედროვეებმა არ იცოდნენ და არც შეეძლოთ სცოდნოდათ, როდის დაიწყებოდა „ახალი წელთაღრიცხვა“ და რამდენი ასეული წლით ადრე ცხოვრობდნენ ისინი ახალ წელთაღრიცხვამდე. მაშასადამე, მათ დროის განსაზღვრის სულ სხვაგვარი, ჩვენისაგან განსხვავებული წესი ჰქონდათ. საჭირო იყო რაიმე გზის გამონახვა, რომ წელთაღრიცხვის ძველი სისტემიდან ახალზე გადმოვსულიყავით. ამ გზის მოძებნა კი არცთუ ისე იოლი იყო.

აი, ადამიანი ზღვის ნაპირს მიჰყვება და შიშველი ფეხით ნაკვალევს ტოვებს, შემდეგ შეჩერდება და სველ ქვიშაზე თითით წერს თავის სახელს. მაგრამ გაივლის წამი, ნაპირს ტალღა მოასკდება, მოასწორებს ქვიშას და თან წაიღებს ამ სახელის საიდუმლოებას. მას უკვე ვეღარავინ გამოიცნობს.

ძლევამოსილი მეფეების ბრძანებით მათ სახელებს ქვიშაზე კი არ წერდნენ, მარმარილოზე კვეთდნენ, მათ ქანდაკებებს ბრინჯაოსაგან ასხამდნენ. მაგრამ მოვარდნილი გრიგალი და ნიაღვარი თავს ატყდებოდა ძეგლებს და დროთა განმავლობაში შლიდა წარწერებს. შემდეგ მოდიოდა მტერი, ამსხვრევდა მარმარილოს ფილებს, ხოლო ბრინჯაოს ქანდაკებებისაგან ყუმბარებსა და ზარებს ასხამდა.

პირველმა ადამიანებმა, უძველესი დროის დიდმა სახელმწიფოებმა, შუა საუკუნეების ქალაქებმა — ყველამ დაგვიტოვა თავისი ნიშან-კვალი მიწაში, ქვაზე თუ ქაღალდზე, მაგრამ ყველა მათგანი როდი შემოგვრჩა, ხოლო ის რაც შემოგვრჩა, ბევრი ჯერ კიდევ არაა მიგნებული. რისი თქმა შეგვიძლია უკვალოდ გამქრალ მოვლენებზე, რას გავიგებთ ულმობელ და ხანგრძლივ ომზე, თუ არავინ აღწერა იგი?

რაც უფრო შორეულია წარსული, მით უფრო ბუნდოვანია დროის ნაკვალევი და, მაშასადამე, მით უფრო ცუდად ვიცნობთ წარსულს.

როდესაც მონადირე ახალ თოვლზე მკაფიოდ აღბეჭდილ მელიას ნაკვალევს მიჰყვება, მან იცის, რომ ცოტაც და მისი ძაღლები წამოაგდებენ წითურა გაიძვერას, ხოლო თვითონ მალე იხილავს დაქანცულ, გაძვალტყავებულ, კუდდაშვებულ მელას. სულ სხვაა მკვლევარი. მართალია, ისიც მიჰყვება სწრაფმავალი დროის ნაკვალევს, მაგრამ თავისი თვალით ვერასოდეს დაინახავს წარსულში მომხდარ ამბებს, ვერ შეხვდება ამ ამბებში მონაწილე ადამიანებს. წარსულის ისტორიკოსი ვერ ხედავს წარსულს. იგი მხოლოდ მის ნაშთს უყურებს.

ისტორიკოსს არ შეუძლია ცდის ჩატარება. მას ვერც ლოგარითმული სახაზავი და ვერც რთული გამომთვლელი მანქანები დაეხმარება უკვალოდ გამქრალი ამბების გამოცნობაში. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით წარსულზე, რამაც ნიშან-კვალი დაგვიტოვა.

ეს წიგნი გვიამბობს გარდასულ საუკუნეთა სხვადასხვაგვარ ნაკვალევზე და გვასწავლის მათი წაკითხვის ხერხს.

წიგნში ლაპარაკი არ იქნება იმაზე, თუ როგორ წააწყდა ერთი მეცნიერი უდაბნოში მოგზაურობის დროს ქვიშიდან ამოშვერილ გიგანტური ქანდაკების ცხვირს, არც იმაზე, თუ მეორემ სანაძლეოზე როგორ ამოხსნა გაუგებარი დამწერლობა, ან როგორ იჯდა მესამე მეცნიერი მუხის საწერ მაგიდასთან დაფიქრებული. მე მინდა გითხრათ, რომ ეს წიგნი არაა ანეკდოტების კრებული ისტორიკოსზე. ამასთანავე, ჩემო მკითხველო, აქ არ არის თანმიმდევრულად მოთხრობილი, თუ როგორ ცხოვრობდნენ, შრომობდნენ და იბრძოდნენ დედამიწის მკვიდრნი ასეული და ათასეული წლის წინათ. ეს წიგნი წარსულში მიმავალ ნაკვალევზეა დაწერილი და გვასწავლის, როგორ უნდა ამოვშიფროთ ის. მაშ, გავყვეთ ამ ნაკვალევს შორეულ წარსულში.



თავი I

რა შეუძლია და რა არ შეუძლია არქეოლოგის ნიჩაბს

ძველი სამარხის პირას

მე რომ შორეული წარსულის რომელიმე დიდ ადამიანზე მოთხრობა დამეწერა, ალბათ ჯერ მისი დაბადების ამბავს მოგიყვებოდით. თუ ბიზანტიის იმპერატორის შვილი იქნებოდა, აგიწერდით კონსტანტინოპოლის დიდ სასახლეს, ამ სასახლის განსაკუთრებულ ოთახს — პორფირულ საკანს, სადაც გაჩნდა იგი და რის გამოც მას ყოველთვის მოწიწებით უწოდებდნენ პორფიროგენეტს; ის რომ ლატაკის შვილი ყოფილიყო, მოგითხრობდით, თუ როგორ გაუჭირდა დედამისს, როდესაც სახლის პატრონმა სწორედ მოლოგინების წინ გამოაგდო უბადრუკ ქოხიდან. ასეთი დასაწყისი სავსებით გონივრული იქნებოდა, რადგან ადამიანის ცხოვრება მისი დაბადებიდან იწყება. მაგრამ ვინაიდან ეს თავი არქეოლოგიას ეხება, მე მას ადამიანის ცხოვრების სულ სხვა ბოლოდან — აკლდამებიდან—დავიწყებ.

არქეოლოგია ისტორიის ღვიძლი ძმაა, არქეოლოგიცა და ისტორიკოსიც ადამიანის წარსულს სწავლობს. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ისტორიკოსი იკვლევს წერი-

ლობით ძეგლებს და წარსულს აღადგენს ადამიანთა ცხოველმყოფელი ნაღვაწის მიხედვით: — პოლიტიკური ბრძოლის ქარცეცხლში დაწერილი დამცინავი პამფლეტების, განაწყენებული ადამიანების უკმაყოფილო წერილების, გადასახადთა და გლეხთა სიებისა თუ მშრალი საღრიცხვო დავთრების მიხედვით. არქეოლოგი კი იმ ადამიანებს შეისწავლის, ვინც დატოვა ცხოვრების სარბიელი, და იმ ნივთებს, რომლებიც აღარ ემსახურებიან ცოცხალ ადამიანს. მას იზიდავს სამარხები და დანგრეული მკვდარი ქალაქები.

რა შეუძლია მოგვითხროს სამარხმა თავის მფლობელზე, თავის თანამედროვეებზე?

ძველ დროში სჯეროდათ, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს სიცოცხლეს: დადის, ჭამს, ნადირობს, იბრძვის. ამიტომ მას საიქიოშიც უნდა ჰქონოდა სახლი, ტანსაცმელი, საზრდო. თუ ის მდიდარი და ძლევამოსილი იყო, საფლავში ატანდნენ ძვირფას სამკაულებს, ცხენებსა და ძაღლებს, ეტლებს, შავი ხის ავეჯსა და ზოგჯერ მონებსაც კი.

სამხრეთ მესოპოტამიის უძველეს ქალაქ ურში გათხრილი მეფეთა აკლდამები თითქმის ხუთი ათას წელს ითვლიან. ყოველი სამარხი ღრმა შახტის ძირას აგურის, ხისა და კირქვის ფილებისაგან ნაგებ სახლს წარმოადგენს. მეფეს ხარებშებმულ ეტლზე ან მარხილზე დაასვენებდნენ და გრძელი მიწისქვეშა დერეფნით შეჰყავდათ აკლდამაში. ურის მეფეები და დედოფლები შემოსილნი იყვნენ მდიდრული სამოსით. ერთ-ერთ დედოფალს თავისივე თმის ვარცხნილობის მსგავსი ოქროს თავსამკაული აღმოაჩნდა. თავსამკაული ოქროს რგოლებით, ოქროს ფურცლებით, ყვავილებითა და ლილაქვით მოქედილი ოქროს სავარცხლით იყო შემკული. ურის მეფეთა აკლდამებში იპოვეს ადამიანთა უამრავი ძვალი. ეს ადამიანები — მოხდენილი ქუდებით თავდამშვენებული მოახლენი, მეომრები, მხოლოდ სიკვდილის წინ რომ უშვეს შუბს ხელი, თავისი საბრძოლო ეტლის წინარზე მჯდარი მეეტლე, სიმებზე ხელებდაკრეფილი არფის დამკვრელი ქალი — ხუთი ათასი წლის წინ თან ახლდნენ დიდებულ სამგლოვიარო პროცესიას. ურის მხოლოდ ერთ აკლდამაში ორმოცდაცხრამეტი ადამიანის ნეშტი იპოვეს.

კიდევ უფრო მეტი პატივით დაუკრძალავთ ეგვიპტის ფარაონი ტუტანხამონი. იგი ოცდაცამეტი საუკუნის წინ ცხოვრობდა. ტუტანხამონი თვრამეტი წლის გარდაიცვალა. თავისი ხანმოკლე მმართველობის დროს მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია, მიუხედავად ამისა, ის თავიდან ფეხებამდე ძვირფას ქვებსა და ოქროში იყო ჩაფლული: ხელისა და ფეხის თითებზე ოქროს სათითურები ეკეთა; მთელი სხეული დაფარული ჰქონდა მაგიური ავგაროზებით; ტუტანხამონის ოქროს კუბოს ამკობდა ჰაბუკი ფარაონის სკულპტურული გამოსახულება. ეს კუბო ჩადგმული იყო მეორე კუბოში, ის კი, თავის მხრივ, მესამე კუბოში იდგა; მოოქრული კუბოების სახურავებზე გამოქანდაკებული იყო ფარაონი მეფობის მანიშნებელი საგნებით ხელში — კვერთხითა და დიდი საგრილებელით. კუბოები მოთავსებული იყო ყვითელი კვარციტისაგან გამოკვეთილ სარკოფაგში, კვარციტის სარკოფაგი ყვითელი ქვიშაქვის სარკოფაგში იყო ჩადგმული, ეს უკა-





ტუტანხამონის აკლდამაში ნაპოვნი ძვირფასი ნივთები

ნასკნელი კი — ოქროს ფურცელშემოკრულ და ინკრუსტირებულ სამ ერთმანეთში მოთავსებულ მუხის ყუთში.

სამარხის საკნის დახშულ შესასვლელს, სადაც სამ კუბოსა და ხუთ სარკოფაგში ტუტანხამონი ესვენა, იცავდა თვით ფარაონის ორი ქანდაკება, გურზითა და შუბით შეიარაღებული. დიდებულ მცველთა შუბლს წმინდა გველების მრისხანე გამოსახულებანი ამშვენებდა.

სამარხ საკანს ძვირფასი ნივთებით გამოჭედილი სათავსები ეკვროდა. აქ იყო ეტლები (ისინი რამდენიმე ადგილას გადაეხერხათ, რომ კარგად მოთავსებულიყო აკლდამაში), ოქროს ფირფიტებითა და ძვირფასი ქვებით გაწყობილი სამეფო საეარძელი, რომლის ზურგზე გამოსახული იყო ტუტანხამონი და მისი ცოლი; ფასდაუდებელი სკივრები და თასები, წმინდა ცხოველების თავებით მორთული სამეფო სარეცელი, ტანსაცმელი, იარაღი, ქანდაკებები, სამაჯურები. აქ ნახეს დაკრძალვის დღეს მოტანილი ყვავილების თაიგულიც, რომელმაც სამი ათას წელზე მეტ ხანს გაძლო.

დიდებულ აკლდამაში მარხავდნენ არა მარტო მეფეებს, არამედ ძლევამოსილ ტომთა ბელადებსაც. მთიანი ალტაის პაზირიქის ხეობაში ჩვენმა არქეოლოგებმა მიაკვლიეს ქვაყრილის ყორღანებს; ქვების ზვინის ქვეშ აღმოჩნდა ნამდვილი სახლების მსგავსი სამარხები, მათ ორმაგი ძელური კედლები და ორმაგი ძელური სახურავი ჰქონდათ. პაზირიქი მაღალ ბეთებში მდებარეობს, ზამთარი იქ ცივი იცის, ხოლო ხანმოკლე ზაფხულის სიცხისაგან ქვაყრილი იცავდა სამარხს. ასე იქცა ძელური ნამდვილ მაცივრად. ამ ძელურებში საუკუნეების განმავლობაში ინახებოდა ხის ამოღარული უზარმაზარი შორები, რაც მთიანი ალტაის ტომთა ბელადებს სარკოფაგის მაგივრობას უწევდა.

შემორჩენილია ამ სარკოფაგი-მორების დასამშვენებელი, ტყავისაგან დამზადებული მამლებისა და ირმების გამოსახულებები, ქეჩის ხალიჩები და ქეჩისაგანვე გაკეთებული გედების გამოსახულებანი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ტყავის ჰურჭელი და ყველიც კი. პაზირიქის სამარხებში იწვნენ შეკაზმული ბედაურები. ცხენებისა და მათი პატრონების გვა-

პაზირიქის სამარხში ნაპოვნი ქეჩისგან გაკეთებული
გედების გამოსახულებები

მებიც ძალიან კარგად იყო შენახული: ადამიანებს სვირინგებიც კი შემორჩენოდათ, ცხენებს კი — დაღი.

პაზირიქის ერთ-ერთ სამარხში იპოვეს არყის ხისაგან გაკეთებული, ადამიანის სიმაღლის, ოთხ უზარმაზარ ბორბალზე შემდგარი საზეიმო ეტლი. ეტლთან ერთად სამარხში ოთხი ცხენიც ესვენა. ამ ცხენებმა ალბათ თავიანთი მფლობელი უკანასკნელ გზაზე გააცილეს.

არქეოლოგებს, უპირველეს ყოვლისა, სამარხებში ჩატანებული ნივთები აინტერესებთ, მათ მიწიდან ამოაქვთ ასეული და ათასეული წლების წინათ დამზადებული შრომის იარაღები, ტანსაცმელი, ჭურჭელი, სამკაულები; სურათებს უღებენ ამ ნივთებს, აღადგენენ და შეისწავლიან.

თუმცა ძველი ნივთები მარტო სამარხებში როდია შემონახული.

ქალაქები მიწის ქვეშ

არქეოლოგებს მიწიდან ამოაქვთ არა მარტო ძველი ნამარხები, არამედ ოდესღაც არსებული ქალაქების ნაშთებიც. საკითხავია, როგორ ექცევა მთელი ქალაქი მიწის ქვეშ?

ძვ. წ. 331 წლის ოქტომბრის დასაწყისში ალექსანდრე მაკედონელის ჯარები (მაკედონელი მაშინ 25 წლის იყო) დაბა გავგამელასთან სპარსთა ურდოებს შეეტაკნენ. ეს იყო მესამე დიდი ბრძოლა სპარსელებსა და ალექსანდრეს რაზმებს შორის და მაკედონელების მესამე გამარჯვება. სპარსელები, ბრძოლის დაწყებამდე თავი რომ მოჰქონდათ თავიანთი ჯარების სიმრავლითა და ოქრო-ვერცხლით შემკული ტანსაცმლით, ახლა სისხლსა და ტალახში მოსვრილები, თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ — ხსნას ტიგროსის გადაღმა ეძებდნენ.

იქ, სადაც ალექსანდრემ გამარჯვება მოიპოვა და გზა გაიკაფა სპარსეთის სამეფოს სატახტო ქალაქებისაკენ, მან პატარა ჭუჭყიანი სოფლის გარდა ვერაფერი ნახა. მაკედონელმა ვერ შეამჩნია, რომ ამ ადგილას შედარებით ცოტა ხნის წინ იყო ძლევამოსილი ასურეთის სატახტო ქალაქი ნინევია, ანუ „ლომთა ბუნაგი", როგორც მას შეძრწუნებული მტრები ეძახდნენ. ასურეთის დაცემის დღიდან სამასი წელიც არ იყო გასული და ნინევიის სასახლეები თითქმის აღიგავა პირისაგან მიწისა, რის გამოც ალექსანდრემ ისე გაიარა ეს მიდამოები, რომ ვერაფერი შეამჩნია. გასული საუკუნის შუა წლებში ძველი ნინევიის ადგილზე დაიწყო გათხრები. მალე გამოჩნდა აგურის კედლები და ქალაქის კარი, შემდეგ კი ასურეთის მეფის — სინახერიბის სასახლის შიდა პალატები. სასახლეზე შედარებით გვიან მიშენებულ ორ შენობაში არქეოლოგებმა იპოვეს დიდი ბიბლიოთეკა, იგი ოცდაათი ათას თიხის ფირფიტას შეიცავდა. ნინევიაში აღმოაჩინეს უზარმაზარი ქანდაკებები და შესანიშნავი რელიეფები. ეს რელიეფები გამოხატავდნენ მეფის ნადირობას ლომებზე: ეტლში მჯდომი მეფე მშვილდს ჭიმავს, მისი თანმხლებნი ერთად არჭობენ შუბს გადმომხტარ, გაალმასებულ ლომს, ხოლო დაჭრილი ძუ ლომი სიკვდილის წინ უღონოდ ითრევს უკანა ფეხებს და გააფთრებული იღრინება. როგორ მოხდა, რომ 300 წლის განმავლობაში გაქრა ეს რელიეფები, ეს ბიბლიოთეკა, ეს სასახლე?

ნინევია, ისე როგორც ძველი დროის ბევრი სხვა ქალაქი, მტრებმა დაანგრიეს. ქალაქი იწვოდა, გამარჯვებულებს მიჰყავდათ ტყვეები, მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წაღებაც შეეძლოთ: ძვირფასეულობა, საქონელი, მიერეკებოდნენ მონებს.

ნინევია გაუკაცრიელდა, ვერავინ ბედავდა ნახანძრალზე დასახლებას. მხოლოდ ქარიღა დანავარდობდა ოდესღაც სავსე ქუჩებში, არყევდა ქალაქის კედლის ნარჩენებს, ამტვრევდა სახლების გადარჩენილ კარებს, ველებიდან მოჰქონდა ქვიშა. თანდათანობით მიწის ქვეშ ეჭცეოდა ქალაქის ნანგრევები. ალბათ, ერთ ხანს კიდევ შემორჩებოდა სადმე გორაკზე ამოჩრილი კოშკი, მერე კი დრო და ქარი თავის საქმეს დაასრულებდნენ. ასე ნელ-ნელა იქცეოდა ქალაქი უფორმო მიწის გროვად.

ყველა ძველ ქალაქს როდი ერგო ნინევიის ბედი: რომმა, კონსტანტინოპოლმა, ნოვგოროდმა არა ერთი დიდი ხანძარი გადაიტანეს. მათ ახსოვთ მტრის მრავალრიცხოვანი შემოსევები, მაგრამ იქ სიცოცხლე დღემდე ჩქეფს. ცხადია, ეს ქალაქები დღეს ისეთი აღარაა, როგორიც ასეული წლების წინ იყო. ქალაქის მკვიდრნი თვითონ ანგრევდნენ ძველ სახლებს და ყრიდნენ ძველ ნივთებს, როგორც უვარგისს, ძველ ტაძრებს სვეტებს აცლიდნენ, რომ ეკლესიებისათვის საბჯენები გაეკეთებინათ და, ღვთის სიყვარულით შთაგონებულნი, მუსრავდნენ ძველ ქანდაკებებს. მაგრამ მჩქეფარე ცხოვრებასაც კი არ შეუძლია მოსპოს წარსულის ყველა ნაშთი. ახალი სახლის საძირკვლის ქვეშ ძველის ფუძე რჩებოდა, ახლად მოკირწყლული ქუჩის ქვეშ — ძველი ქუჩა. წლობით ეყარა მიწასთან შერეული ხარახურა, ვიდრე მას კიდევ არ დაუმატებდნენ სხვა გამოუსადეგარ ნივთებს. თანდათანობით მაღლა იწევდა ქალაქი და ძირში იტოვებდა ძველს, დრომოჭმულს.

ათეული წლების მანძილზე დაგროვილი საკვების, ტანსაცმლისა და ნაგებობათა ნაშთები ქმნიან ეგრეთ წოდებულ „კულტურულ ფენას“, როგორც არქეოლოგები ამბობენ. ყველგან, სადაც კი არსებობს დასახლება, რჩება კულტურული ფენა. ეს ფენა ყველგან ერთნაირი არ არის. მაგალითად: მოსკოვის გარეუბანში კულტურული ფენის სისქე 10 სანტიმეტრს უდრის, იმ დროს, როდესაც ცენტრში მისი სისქე 8 მეტრამდე აღწევს. მაგრამ არც ესაა ზღვარი: მესოპოტამიის მრავალი ათასი წლის წინათ წარმოქმნილ ქალაქებში გვხვდება ოცმეტრიანი კულტურული ფენა, ხოლო შუა აზიის ზოგიერთ დასახლებაში ცნობილია 34 მეტრი სისქის კულტურული ფენაც.

ყოველი დასახლება ტოვებს თავის კვალს, თავის კულტუ-

რულ ფენას. როგორც წესი, ეს კვალი მით უფრო მკაფიოა, რაც უფრო მოულოდნელი იყო ქალაქის დაღუპვა: მტრის მიერ დანგრეული, ხანძრისა და ვულკანისაგან განადგურებული ქალაქები არქეოლოგებს გაცილებით უხვად აწვდიან ცნობებს, ვიდრე დღემდე მოღწეულნი.

პომპეის დაღუპვა და აღორძინება

ეს მოხდა თითქმის ცხრამეტი საუკუნის წინათ. ახ. წ. 79 წლის 24 აგვისტოს სამხრეთ იტალიაში უკვე კარგა ხნის დადუმებულ ვულკან ვეზუვზე ტოტებგაშლილი ხის მსგავსი ორთქლის ღრუბელი აღიმართა. ოცდახუთში ღამით დაიწყო მიწისძვრა. ვულკანის ყელიდან ქვის ნატეხები და ფერფლი ამოიფრქვა.

ვეზუვის ძირას მდებარე პატარა ქალაქი პომპეი პანიკამ მოიცვა. მზე დაბნელდა, თავზარდაცემული ადამიანები გაჰყვიროდნენ: ღმერთები აღარ არსებობენ, დადგა სამარადისო ღამე და ამიერიდან დღის სინათლეს ვეღარ ვიხილავთო. პომპეის მოსახლეობის ნაწილი გაქცევით შველოდა თავს, ზოგი მათგანი კი სარდაფში იმალებოდა, ზოგიც — კიბის ქვეშ მიძვრებოდა, მაგრამ ამაოდ. ფერფლის ნიაღვარი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, სუნთქვა ძნელდებოდა, სასოწარკვეთილ ადამიანებს სიკვდილი უსწრებდა ყველგან, შინ თუ გარეთ: ქუჩებში, საითაც გარბოდა შეშინებული ხალხი და სადაც განუწყვეტლივ ცვიოდა ფერფლი, მოდიოდა ცხელი და ტალახიანი წვიმა, სახლებში, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელი ხდებოდა, რადგან კარი ქვების სეტყვას ამოეყორა. ადამიანები იღუპებოდნენ მრავალჯერ ლხინგადახდილ სასტუმრო დარბაზებში, ღვინის სარდაფებსა თუ გლადიატორთა ყაზარმებში.

როდესაც ამოფრქვევა შეწყდა და ღრუბლებში კვლავ გამოანათა მზემ, ქალაქი უკვე აღარ არსებობდა: პომპეი ფერფლს დაეფარა და მხოლოდ აქა-იქ მოჩანდა შენობათა სახურავები. ამ ამბის მომსწრე, საშინელი კატასტროფით შეძრწუნებული რომაელი პოეტი სტაციუსი წერდა: „დაიჯერებენ კი მომავა-

ლი თაობები, როდესაც ეს უდაბნო კელავ ამწვანდება, რომ მის ქვეშ დამარხულია ქალაქები და ადამიანები?“

პომპეის გათხრები XVIII საუკუნის შუა წლებში დაიწყო. პირველი ასი წლის განმავლობაში თხრიდნენ ბარბაროსულად: ეძებდნენ და ამოჰქონდათ ბრინჯაოსა და მარმარილოს ქანდაკებები, მოზაიკური იატაკის ფილები, უპატრონოდ დატოვებული სახლების კედლებს კი წვიმა და ქარი ანგრევდა; თხრიდნენ უგეგმოდ, ხან სად, ხან სად. ნაგავს იქვე ტოვებდნენ და გათხრების ადგილას, ღრმა ორმოების გვერდით, ქვებისა და ნამტვრევების გორაკები რჩებოდა. მაგრამ თანდათანობით თავი ანებეს განძთა ძიებას და სისტემატურ გათხრებზე გადავიდნენ: ისწავლეს სახლების დაკონსერვება ისე, რომ სართულები არ დანგრეულიყო. გაიტანეს ნაგავი და მთელი კვარტალების პირვანდელი სახე აღადგინეს; ყურადღება მიაქციეს სიცარიელეს გამკვრივებულ ვულკანურ ფერფლში. ეს სიცარიელე ჩაფერფლილი ნივთების, დაღუპული ადამიანებისა და ცხოველების ადგილას წარმოიშვა. თუ ამ სიცარიელეს თაბაშირით ამოვავსებდით, შეიძლება მიგვეღო შესანიშნავი ტვიფრები — იმ ადამიანთა ნამდვილი პორტრეტები, რომლებიც აქ ახ. წ. პირველ საუკუნეში ცხოვრობდნენ და ვეზუვის ამოფრქვევის დღეს დაიღუპნენ.

ახლა უკვე შეგვიძლია პომპეის ვიწრო ქუჩებში გავიაროთ, შევიხედოთ კრამიტით დახურულ სახლებში, სადაც მოზაიკით აჭრელებულ იატაკზე ზოგან ჯაჭვით დაბმული დიდი ძაღლია გამოხატული (იქვეა წარწერა: „ერიდე ძაღლს!“), ზოგან კი ეს იატაკი ხალიჩასავითაა აფერადებული. შეგვიძლია მოვინახულოთ კოლონადით გარშემორტყმული ეზო, სადაც ოდესღაც ვარდი ხარობდა, განუწყვეტლივ მორაკრაკებდა შადრევნებიდან ამოფრქვეული წყალი და ხელოვნურ საფეხურებზე ჩანჩქერივით მოედინებოდა. შევიდეთ სასადილო თუ საძინებელ ოთახებში, სამზარეულოებში, ვნახოთ მრგვალი მაგიდები და საწოლები; ჭამის დროს ამ საწოლებზე მამაკაცები იყვნენ წამოწოლილნი. ვნახოთ ლამაზი, მაგრამ მბეუტავი სანათურები, შეგვიძლია აგრეთვე ვეწვიოთ პომპეის ბაზრებს, პურის საცხობებსა და მაუდის მთელავთა სახელოსნოებს, მონათა საკნებსა თუ საზოგადოებრივ აბანოებს. შეგვიძლია ვნახოთ პომ-

პეელთა პორტრეტები: ხანშიშესული მამაკაცის, ბანკირ ცეცილიუს იუკუნდუსის ბიუსტი. თვალის კუთხეებში მას დაღლილობისაგან ნაოჭები გასჩენია, ტუჩებზე კი ბოროტი ღიმილი დასთამაშებს. ტერენციუს ნეონის სახლის კედლებზე მისი მამის პორტრეტია დახატული. უხეში სახის ახოვან მდაბიოს ღონიერ ხელში წიგნი-გრაგნილი უჭირავს, რაც იმას მოწმობს, რომ მისი პატრონი პომპეის საზოგადოების განათლებულ წრეს ეკუთვნოდა.

პომპეის ქუჩებში თითქმის ორი ათასი წლის წინათ დაღუპული პატარა ქალაქის ცხოვრებისეული სიო ქრის.

მინა და ფოლადი

თანამედროვეთა მიერ შექმნილი ყველაზე ნათელი და ხატოვანი ვერც ერთი მოთხრობა ვერ გაუწევს მეცნიერს არქეოლოგიის მაგივრობას. მართლაც, არქეოლოგი ხომ უტყუარ ნივთებს პოულობს, ნივთებს, რომლებიც ადამიანებს ემსახურებოდნენ შორეულ წარსულში: ჭურჭლეულობას, შრომის იარაღებს, საჭურველს.

მაგრამ ადამიანის ხელით შექმნილი ყველა ნაკეთობა ერთნაირად როდი ინახება მიწაში. იარაღებსა და ჭურჭელს ხომ სხვადასხვა, მეტ-ნაკლებად გამძლე მასალისაგან აკეთებდნენ. რომელი მასალაა უფრო გამძლე?

პუშკინი თავის დროზე წერდა მრავალჭირგადახდილ და სისხლისმღვრელ ბრძოლებში გამობრძმედილ რუსეთზე:

ამრიგად, მძლავრი და მძიმე ხვედა
მინას ამსხვრევს და ჯავარდენს ჭედავს[1].

მინას იგი სისუსტის, რკინას კი სიმტკიცისა და გამძლეობის სიმბოლოდ მიიჩნევს. მაგრამ მიწაში ნაზი მინის სასმისი უფრო ძლებს, ვიდრე ფოლადის ხმალი. მინა და თიხის ჭურჭელი მხოლოდ უმნიშვნელოდ განიცდის მიწისქვეშა წყლებისა და მარილების ზემოქმედებას. თუმცა ჩვენამდე ზოგჯერ დამტვრეული, ფერშეცვლილი და ნადებით დაფარული აღწევს,

[1] თარგმანი შ. ჩანტლაძისა.

მაგრამ მაინც არ ქრება; რკინა კი. პირიქით, ძლიერ იეანგება და ფოლადის მახვილისგან შეიძლება მხოლოდ სახელურიღა დარჩეს. ადამიანის ხელით შექმნილი ყველაზე უძველესი ნაკეთობა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ქვისაგანაა გამოკვეთილი: ქვის (აგრეთვე ძვლის) ნივთები ათეულ ათასწლეულებს უძლებენ, ხოლო ხეს, ქსოვილსა და ტყავს არქეოლოგები იშვიათად პოულობენ, ისიც განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში შემონახულს.

და აი, აქ კელავ შეიძლება წავაწყდეთ მოულოდნელობას: ხე, ქსოვილი, ტყავი ან სხვა არამტკიცე მასალისაგან დამზადებული ნივთები კარგად ინახება არა მარტო იქ, სადაც ძალიან ცივა (გავიხსენოთ პაზირიქის ყორღანები), ან კიდევ იქ, სადაც ძალიან ცხელა და სიმშრალეა (მაგალითად, ეგვიპტეში გადარჩა ნავებიც, ავეჯიცა და ეგვიპტელების საწერი მასალა პაპირუსიც), არამედ ჰაობიან ნიადაგში და წყალსატევის ძირშიც. ოდესღაც ზოგიერთი ტომი ტბის ფსკერზე ჩასობილ ხიმინჯებზე სახლდებოდა. აქ ისინი აგებდნენ ქოხებს. პირუტყვიც კი იქვე ჰყავდათ. ნაპირზე ტივებით ან მორებიდან გამოთლილი ნავებით გადმოდიოდნენ. რამდენჯერ ჩავარდნილა ტბის ფსკერზე ხის იარაღი. ჭურჭელი, ტანსაცმლის ნაგლეჯი ან მარცვალი. შემდეგ კი-განელო საუკუნეებმა, გაქრა ტბები და არქეოლოგებმა შლამიანი ნიადაგიდან ამოიღეს ხიმინჯები. ხეფენილები, ნავები, საქსოვი დაზგები და ხიმინჯების მკვიდრთა ბევრი სხვა ნივთი. შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რუსული ქალაქის—ნოვგოროდის ნესტიან ნიადაგს შემორჩა ნიადაგქვეშა წყლების გადასაგდები ხის მილები, ხეფენილები, ქოხის ხის ძელურები, ქსოვილისა და ფეხსაცმლის ნარჩენები.

რას ეძებს არქეოლოგი წყალსა და ჰაერში?

ამ პატარა თავის სათაურმა არ შეიძლება არ გაგაოცოთ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ არქეოლოგი მიწაში მუშაობს და ნიჩბის დახმარებით ეძებს ძველი ქალაქებისა და სამარხების კვალს. მაგრამ რა უნდა გააკეთოს მან თავისი ნიჩბით წყალში და, მით უმეტეს, ჰაერში?

...ეს დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ მოხდა. რომის სარდალი სულა საბერძნეთში შეიჭრა. მდიდარი ქალაქები, სამფლობელოები და ტაძრები კარს უღებდნენ ზვიად დამპყრობს. სულა ბრძანებდა გაეკაფათ ტყეები, სადაც ოდესღაც ელადის დიდი ფილოსოფოსები დასეირნობდნენ, — მას ხეტყე სჭირდებოდა. იგი ბრძანებდა გემები დაეტვირთათ ტაძრების საგანძურებიდან გამოტანილი ოქროულობითა და ბრინჯაოს ქანდაკებებით; ნაწილ-ნაწილ დაეშალათ და ისე წაეღოთ მარმარილოს სვეტები.

ერთი იმ მრავალ გემთაგანი, სულამ რომში რომ გაგზავნა, ცუდი ამინდის გამო გზას ასცდა და ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროს მიადგა. გემმა ღუზა ჩაუშვა, მაგრამ უეცრად ქარიშხალი ამოვარდა და მძიმედ დატვირთული გემი ნელ-ნელა ჩაიძირა.

ზღვის ფსკერზე გემი თითქოსდა სამუდამოდ დარჩა. ზღვამ შლამი წააყარა, თევზები მარდად დაძვრებოდნენ გემსართავებს შორის, ხოლო ფერდებზე ზღვის ღრუბლები დამკვიდრდნენ. გავიდა დრო, ფსკერის ზედაპირი თანდათანობით მოსწორდა და დაიფარა ორი ათასი წლის წინ ამაყად მცურავი გემის კვალიც.

მაგრამ დაუდეგარი ადამიანები ვერ ისვენებდნენ...

ყველაფერი ზღვის ღრუბლების ძიებიდან დაიწყო. რომელიღაც მარჯვე ტუნისელმა მყვინთავმა, რომელიც ზღვის ფსკერზე ღრუბლებს აგროვებდა, უეცრად შეამჩნია შლამით დაფარული ერთიმეორეზე მიწყობილი მასიური ნივთები. ნაპირზე ამოსვლისას მან განაცხადა, ზღვის ფსკერზე ქვემეხებიაო!

მყვინთავები ზღვაში ჩაეშვნენ და სამოცდასამი ქვემეხი დაითვალეს. მაგრამ როდესაც ერთი მათგანი ნაპირზე ამოათრიეს, მოლუსკების ნარჩენების, შლამისა და წყალმცენარეებისაგან გაწმინდეს, ხელში მარმარილოს სვეტი შერჩათ. ეს ერთი იმ სვეტთაგანი იყო, სულას ბრძანებით რომ გაიტანეს გაძარცული საბერძნეთიდან.

პირველ სვეტს მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე... ამოიღეს ბრინჯაოსა და მარმარილოს ქანდაკებები, ბაღის მოჩუქურთმებული ვაზები. ხუთი წელი გრძელდებოდა გემის წმენდა და ამ

ხნის განმავლობაში მყვინთავებმა იმდენი ნივთი ამოიღეს, რომ ტუნისის მუზეუმის ხუთი დარბაზი გაივსო. მაგრამ 1913 წელს, სახსრების ამოწურვის გამო. გათხრები ზღვის ფსკერზე შეწყდა.

მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ განახლდა ძიება, მაგრამ ახლა ზღვის სიღრმეში მოუქნელი სკაფანდრიანი მყვინთავების ნაცვლად მკვირცხლი აკვალანგისტები ჩაეშვნენ. გულმოდგინედ იყო დამუშავებული წყალში ყოფნის გრაფიკი, რათა წყალქვეშა არქეოლოგი ზღვის სიღრმით გამოწვეული დაავადებისაგან დაეცვათ. წმენდა ახლა უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. გარდა ახალი სვეტებისა, იპოვეს ღუზის ნარჩენები, ფურცლოვანი ტყვიით დაფარული გემბანი, ლიბანის კედარისაგან დამზადებული გემის ნაწილები, ბრინჯაოსა და რკინის ლურსმნები, მარცვლეულის დასაფქვავი დოლაბი და თიხის ჭურჭლები, რაშიც ეს მარცვლეული ინახებოდა. აკვალანგისტებმა მხოლოდ ექვსი დღე იმუშავეს...

ზღვის ფსკერზე ერთიმეორის მიყოლებით აღმოაჩინეს ძველი ხომალდები. ამათგან ყველაზე ძველი — სამი ათასზე მეტი წლისაა: იგი იმ დროს დაცურავდა ზღვაში, როდესაც ჰომეროსს არ ჰქონდა დაწერილი უსასრულო ქვესკნელებში მოხეტიალე ოდისევსის ისტორია. ამ პატარა ხომალდის სიგრძე ცხრა მეტრს არ აღემატებოდა, ტვირთმზიდაობა კი—ერთ ტონას. იგი კვიპროსიდან მოდიოდა სპილენძის ზოდებითა და სხვადასხვაგვარი თიხის ჭურჭლეულობით დატვირთული. ტვირთი გემის ქიმს რომ არ მიხეთქებოდა, მთელი ხომალდი შიგნიდან წნელით იყო ამოფენილი. ხომალდი მცირე აზიის ნაპირებთან ჩაიძირა.

არქეოლოგ-აკვალანგისტები იკვლევენ არა მარტო ათასეული წლის წინ ჩაძირულ უძველეს გემებს, არამედ ძველ ქალაქებსაც. წყალქვეშა ქალაქები, კიტეჟის ზღაპრული ქალაქები — როგორ აღმოჩნდნენ ისინი ზღვის ფსკერზე?

ზღვის სანაპირო ხაზი ცვალებადია. ზღვა ხან უკუიქცევა, ხან მოიქცევა. ჩოგჯერ ნავსადგური თანდათანობით დაშორდება ხოლმე წყალს, ანდა პირიქით — მოქცევისას ზღვა შთანთქავს მთელ სანაპირო კვარტალებს, დაფარავს ნავსადგურის

შენობებს, ანადგურებს მათ, რათა შემდეგში შთამომავლობას შემოუნახოს.

ძველი სევასტოპოლი იქ კი არ მდებარეობდა, სადაც ახლა დღევანდელი გმირი ქალაქია გაშენებული. სევასტოპოლი ერქვა ქალაქს კავკასიის სანაპიროზე, სოხუმის მახლობლად. ახ. წ. პირველ საუკუნეში ამ ქალაქში ცხოვრება დუღდა, აქ ჩამოდიოდნენ ბერძენი ვაჭრები თუ რომის ლეგიონები, მოდიოდნენ ტანადი, ცხვირკეხიანი მთიელები, ბაზრებზე ირეოდა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი. შემდგომ კი სევასტოპოლის ქუჩები წყალმა დაფარა, და ახლა უტყვი თევზებიღა დაცურავენ შლამით დაფარულ სახლებს, საზოგადოებრივ აბანოებსა და ტაძრებს შორის.

ამგვარად, არქეოლოგს ზღვის ფსკერზეც ბევრი აქვს საძებნი. მარილიანი წყალი მარტო მარმარილოსა და თიხას როდი ინახავს კარგად, კარგად ინახავს მყიფე ფოლადსაც, ხის ნივთებსაც და იმასაც კი, რაც ქოთნებშია მოთავსებული. მომხიბვლელია წყლის ქვეშ თევზებზე ნადირობა. თუმცა არა ნაკლებ საინტერესო აღმოჩენები მოელის აკვალანგით შეიარაღებულ ისტორიკოსსაც.

მაგრამ ჰაერი? რა იდუმალი განძი, რა საოცარი ციხე-კოშკები დარჩენია არქეოლოგს ჰაერში?

თვითმფრინავში ჩაჯდომისას არქეოლოგს არც ნიჩაბი აქვს და არც საწმენდი ფუნჯი: მას სულ სხვა იარაღი—ფოტოაპარატი — მიაქვს თან. უდაბურ რაიონებზე ფრენისას არქეოლოგი-მზვერავი სურათს სურათზე იღებს. აეროფოტოგადაღების საშუალებით იგი იგებს ქვიშით ამოვსებული, ან მცენარეულობით დაფარული უძველესი არხების მიმართულებას, ერთიან თავდაცვით სისტემაში გადახლართული ოდესღაც მიუვალი ციხე-სიმაგრეების განლაგებას, აგნებს თითქმის მიწასთან გასწორებული ყორღანების კვალს, იკვლევს ძველი მინდვრების საზღვრებს. აეროფოტოგადაღება არქეოლოგის მუშაობის მხოლოდ დასაწყისია. იგი მეცნიერს აწვდის გეგმას, აძლევს მითითებას, სად რა ეძიოს, ეხმარება ზევიდან — დიდი სიმაღლიდან დახედოს წარსულის კვალს, უცებ შეავლოს თვალი იმას, რასაც ახლოდან თვალი ვერ გასწვდება.

აეროფოტოგადაღება არქეოლოგის ერთგული თანაშემწეა,

თუძცა ის მეცნიერებას ოქროთი, ან მარმარილოს ფილებით კი არ ამდიდრებს, არამედ ფოტოგრაფიული სურათებითა და ბეგმებით.

რა გამოცანებს ხსნის არქეოლოგია

მაშ ასე, ჩვენ მოვინახულეთ ძველი სამარხები, გავისეირნეთ დაღუპული ქალაქების ქუჩებში, თითქმის ხელითაც შეეხეთ არქეოლოგთა მიერ მოპოვებულ ნივთებს.

როგორი რომანტიკული და საიდუმლოებით მოცულია არქეოლოგის შრომა; ის ხომ მიწაში ეძებს გამქრალი კულტურის კვალს! გასაგებია და მისატევებელი ის ჭეშმარიტად ცრუმორწმუნეობრივი ძრწოლა, მეცნიერს რომ მოიცავს ხოლმე, როდესაც ბოლოს და ბოლოს იხილავს ტუტანხამონის ოქროს გამოსახულებას კვერთხითა და საგრილებლით ხელში, როდესაც მას პაზირიქის ქვაყრილიდან ამოაქვს ორი ათასი წლის წინ დახოცილი, საუცხოოდ შენახული ცხენების ნეშტი, როდესაც თაბაშირისაგან ღებულობს ფაქიზი ქსოვილის ტანსაცმლით შემოსილი იმ მზეთუნახავის გამოსახულებას, ასეული წლების წინათ ვეზუვიდან ამოხეთქილ ცხელ ფერფლში რომ ჩაიმარხა. ახლა რამდენი შრომა და მოთმინებაა საჭირო, რომ მიწიდან დაუზიანებლად ამოიღოს ძვირფასი მონაპოვარი, აღადგინოს მიწის სიმძიმისაგან დაზიანებული ვაზები და დანგრეული სახლები, განსაზღვროს ერთი შეხედვით თითქოს გაუგებარი ათობით ნივთის დანიშნულება.

მაგრამ, აი, ვუყურებთ არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ და აღდგენილ ქანდაკებებს, იარაღებსა და სახლებს. პირველი რომანტიკული აღტაცება თანდათანობით ქრება და ჩვენს თავს გონივრულ კითხვას ვუსვამთ: რას მატებს ჩვენს ცოდნას კაცობრიობის წარსულზე არქეოლოგების მიერ ნაპოვნი ნივთები? ნუთუ ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ ფაქტების ილუსტრაციაა, რომელიც არქეოლოგიის გარეშეც ცნობილი იყო ჩვენთვის? რასაკვირველია, არა!

გასული საუკუნის შუა წლებში, როდესაც არქეოლოგია განძთამაძიებლობიდან მეცნიერებად გადაიქცა, კაცობრიობის ისტორიას მხოლოდ ძვ. წ. პირველი ათასწლეულიდან იწყებ-

დნენ. ბერძენ მწერალთა ნაწარმოებებში პოულობდნენ ბუნდოვან გადმოცემებს უძველეს ხანაში მომხდარ ამბებზე, მაგრამ მეტ-ნაკლებად მყარ ნიადაგზე მხოლოდ მაშინ გრძნობდა მკვლევარი თავს, როდესაც იგი ბრმა მგოსნის—ჰომეროსის ხანას, ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებს მიმართავდა.

როგორი მდგომარეობაა დღეს? არქეოლოგებმა ნილოსის, ევფრატისა და ინდის ნაპირებზე, დაახლოებით, ხუთი ათასი წლის წინათ წარმოქმნილი ქალაქები გათხარეს... ახლახან აღმოაჩინეს კიდევ უფრო ძველი ქალაქები, ისინი ააშენეს იმ ადამიანებმა, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეეძლოთ თიხისაგან ქოთნის გამოძერწვა, მაგრამ რბილი ჯიშის ქვებისაგან უკვე აკეთებდნენ შესანიშნავ ფიალებს. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს იმ ხანის ადამიანთა სამოსახლოები, როდესაც ევროპა ჯერ კიდევ ყინულის სამოსელში იყო, ხოლო დნეპრისა და დონის ველებზე მამონტები დაძრწოდნენ და იქაური ბინადარნი მამონტის ეშვებისაგან საბჯენებს უკეთებდნენ თავიანთ ქოხებს. არქეოლოგებმა იპოვეს აგრეთვე რამდენიმე ასეული ათასი წლის წინ, დიდ გამყინვარებამდე შექმნილი კაჟის იარაღები. აი, რამდენად გააფართოვა არქეოლოგიამ კაცობრიობის ისტორიის ქრონოლოგიური საზღვრები!

გასული საუკუნის შუა წლებში ძველი მსოფლიოს ისტორია არსებითად საბერძნეთისა და რომის ისტორიით განისაზღვრებოდა. ეგვიპტისა და ბაბილონეთის ისტორიის შესახებ მაშინ თითქმის არაფერი იცოდნენ, გარდა რამდენიმე სახელისა, რომლებიც დამახინჯებული სახით შემოგვინახა ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ და ზოგიერთმა სხვა ძველმა მწერალმა. ინდოეთის ძველ ისტორიას აღადგენდნენ ძველ ინდურ წიგნებში — „ვედებში" თავმოყრილი სიმღერებისა და ლოცვების საფუძველზე, აგრეთვე იმ ბერძენთა ნაამბობის მიხედვით, რომლებმაც ინდოეთში შეაღწიეს მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელმა თავისი ჩამოფლეთილი, დაქანცული ლაშქრით ინდი გადალახა და პირველად ნახა სპილოებზე ამხედრებული მეომრები. დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის უძველესი ისტორია კი თეთრ ლაქას წარმოადგენდა.

დღეს კი არქეოლოგების შემწეობით ჩვენ ვიცნობთ ეგვიპ-

ტისა და მესოპოტამიის, მცირე აზიისა და კავკასიის, შუა აზიისა და ინდოეთის, ჩინეთისა და ციმბირის ხალხების ძეგლებს. გავიგეთ, როგორ შრომობდნენ და ცხოვრობდნენ ხალხები, რომელთა არსებობაც კი არავინ იცოდა სულ ცოტა ხნის წინ. ამგვარად, არქეოლოგიამ დიდად განავრცო ძველი ისტორიის გეოგრაფიული ჩარჩოებიც.

არქეოლოგიამ დამაჯერებლად გადაჭრა ის საკითხებიც, გასული საუკუნის შუა წლების მეცნიერებს რომ აინტერესებდათ და პასუხის გაცემა კი იმ დროისათვის შეუძლებელი იყო. ერთი ამ საკითხთაგანი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის წარმოშობას შეეხებოდა. ვინაიდან ადამიანებმა, ვიდრე წერას ისწავლიდნენ, დიდი ხნით ადრე მოიშინაურეს პირუტყვი და დაიწყეს მიწის დამუშავება, ბუნებრივია, წერილობითი წყაროები ვერაფერს გვეტყოდნენ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩასახვის ვერც დროზე და ვერც ადგილზე. მხოლოდ ერთი რამ იყო ნათელი: ჰომეროსის თანამედროვეებს ჰყავდათ საქონლის დიდი ჯოგები და მიწას გუთნით ხნავდნენ, თესდნენ ხორბალს, აშენებდნენ ზეთისხილსა და ვენახს.

და აი, გასული საუკუნის მეცნიერები ასკვნიდნენ, რომ მესაქონლეობა წარმოიშვა მიწათმოქმედებაზე ადრე დიდი მდინარეების—ევფრატის, ამუ-დარიის ან ინდის—ამწვანებულ ველებზე. ახლა კი გათხრების წყალობით ვიცით, რომ ეს დასკვნები მცდარია. არქეოლოგებმა გათხარეს ძვ. წ. ხუთი ათასი წლის წინათ მცხოვრებ მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა დასახლებები და აღმოჩნდა, რომ ჩვენმა წინაპრებმა მიწის დამუშავება იმაზე ადრეც კი ისწავლეს, ვიდრე ცხვარსა და ძროხას მოიშინაურებდნენ, თანაც ეს დიდი მდინარეების დაბლობებში კი არ მოხდა, არამედ ამ მდინარეთა მოსაზღვრე მთისწინა ზონებში. ამრიგად, არქეოლოგია რომ არ დაგვხმარებოდა, ეს საკითხი დღესაც გადაუჭრელი იქნებოდა.

იგივე შეიძლება ითქვას ადრეული შუა საუკუნეების ისტორიაზეც. არქეოლოგიამ ამ სფეროშიც მოახდინა გადატრიალება და დიდი ისტორიული პერიოდების ახლებურად შეფასების საშუალება მოგვცა.

რა ხალხი ბინადრობდა ათასი წლის წინ დნეპრის ველებზე?

ისტორიკოსები დიდხანს ამტკიცებდნენ, რომ იმ დროს დნეპრზე ცხოვრობდნენ ნახევრად მომთაბარე მონადირეები და ფუტკრის თაფლის შემგროვებელნი, რომ მათ არათუ რაიმე ხელობა, მიწის დამუშავებაც კი არ იცოდნენ. მათი მთავრები მძარცველები იყვნენ, ქვეყანაში დაძრწოდნენ, ხარკს კრეფდნენ და შემდეგ კონსტანტინოპოლში ბერძნულ ღვინოსა და აბრეშუმის ტანსაცმელზე ცვლიდნენ. ასე გვიხატავდნენ რუსეთის წარსულს ის ისტორიკოსები, ვინც არასოდეს არ ყოფილან რუსეთში და მხოლოდ არაბი და ბიზანტიელი მწერლების მონათხრობს ეყრდნობოდნენ. „რუსებს არა ჰყავთ საქონელი,— წერდა, მაგალითად, X საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი, — და მას პაჭანიგებისაგან ყიდულობენ“.

მაგრამ აი, კამათში არქეოლოგები ჩაებნენ. მათ იპოვეს სახნისები და თოხები, ნამგალი და ცელი, ყოველნაირი შინაური ცხოველის ძვლები. დნეპრისპირეთის მობინადრეებს ეს ცხოველები ჯერ კიდევ კიევის სახელმწიფოს წარმოშობამდე მოუშენებიათ; არქეოლოგებმა გათხარეს ძველი რუსული ქალაქები და აღმოაჩინეს სახელოსნოების ნაშთები, სადაც ოდესღაც შრომობდნენ მჭედლები, მეთუნეები, მინის მდნობელები, ოქრომჭედლები. გაქარწყლდა ლეგენდა ველურსა და ნახევრად მომთაბარე კიევის რუსეთზე.

ბევრი, ძალიან ბევრი გააკეთეს არქეოლოგებმა შორეული წარსულის ისტორიის აღსადგენად. სამარხებსა და მკვდარ ქალაქებში ნაპოვნი უტყვი ნივთები მჭევრმეტყველნი აღმოჩნდნენ: სწორედ მათი წყალობით აღვადგენთ წარმოების, ყოფისა და საცხოვრებლების ისტორიას, მათი შემწეობით ვეცნობით ხალხთა წარსულს, გადავწვდებით ათასწლეულებს, რაზედაც წინათ არაფერი ვიცოდით და რაზედაც დუმან წერილობითი წყაროები.

მაგრამ შეუძლიათ კი ამ ნივთებს გაგვაცნონ შორეული საუკუნეების ცხოვრების ყველა მხარე?

ჩემო ძვირფასო მკითხველო, თქვენი თეატრში მიწვევა მსურს. ეს თეატრი თქვენგან ძალიან შორს, იქ მდებარეობს, სადაც ოდესღაც ბერძნული ქალაქი ეპიდავრი იყო. ეპიდავრის თეატრი არა ჰგავს არც ერთ თქვენთვის ნაცნობ თეატრს. იგი ღია ცის ქვეშაა მოწყობილი, მისი ორმოცდათხუთმეტი რიგი ბორცვის ფერდობზეა განლაგებული, ხოლო ქვის მერხების უკანასკნელი რიგი შეუმჩნევლად გადადის — ეს ალბათ ძველადაც ასე იყო — ზეთისხილის ტყეში. ეპიდავრის თეატრში შესანიშნავი აკუსტიკაა: გადააგდე ლითონის ფული გორაკის ძირას მსახიობთათვის განკუთვნილ ქვის მოედანზე და მის წკრიალს გარკვევით გაიგონებ ყველაზე ბოლო რიგებშიც კი. ეპიდავრის თეატრი, ისევე როგორც საბერძნეთის სხვა ქალაქების მრავალი თეატრი, დიდხანს იყო გაუქმებული. მისი მერხები მიწას დაეფარა. მხოლოდ არქეოლოგებმა შეძლეს მისი ადრინდელი სახით აღდგენა. ამჟამად ეპიდავრის თეატრში დრო და დრო იმართება წარმოდგენები.

დავსხდეთ ამ უზარმაზარი თეატრის ერთ-ერთ მერხზე: ქვევით, ბორცვის ძირას დავინახავთ მოედანს, სადაც მსახიობები თამაშობდნენ, და დაბალ ქვის გალავანს, საიდანაც ისინი გამოდიოდნენ.

და აი, აქ ირკვევა, რომ არსებობს ერთი კითხვა, რაზეც პასუხის გაცემა არქეოლოგს არ ძალუძს: რას დგამდნენ ამ თეატრში და რა პრობლემები აღელვებდა მაშინდელ მაყურებელს? დიახ, არქეოლოგს შეუძლია თქვას, თუ როგორ იყო მოწყობილი მსახიობთა მოედანი თავისუფალ ბერძნულ ქალაქებში, ან როგორ გადააკეთეს ის რომის ბატონობის დროს, რამდენი რიგი და გასასვლელი ჰქონდა თეატრს. მაგრამ როდესაც შენ გინდა რაიმე შეიტყო პიესებზე, დრამატურგებზე, მსახიობებზე, მაყურებლებზე, მაშინ ქვები დუმან. მხოლოდ წერილობითი წყაროებიდან ვიცნობთ ჩვენ დიდი ბერძენი დრამატურგების — სოფოკლეს, ევრიპიდეს, არისტოფანეს სახელებს. უფრო მეტიც, ჩვენ შეგვიძლია წავიკითხოთ მათი პიესები და გავიგოთ ისიც, თუ ამ პიესებიდან განსაკუთრებით რომელი მოსწონდა მაყურებელს, ან რომელ ადგილზე უფრო



ეპიდავრის თეატრი. ძველი ბერძენი
მსახიობების ნიღბები

მეტად ეცინებოდა. ჩვენ ვიცით, რა პოლიტიკური ქარაგმები იმალება ამ პიესებში, ან რა იდეას იცავდა დრამატურგი თავის ნაწარმოებში.

მაგრამ წერილობითი ძეგლები რომ არ გვქონოდა, მაშინ რა გვეცოდინებოდა ბერძნულ თეატრზე რიგების რიცხვისა და ადგილების რაოდენობის გარდა?

პირენეის მთების გამოქვაბულებში არა ერთხელ აღმოჩენიათ პირველყოფილი ადამიანების მიერ კლდეებზე შესრულებული ნახატები. ეს ნახატები რამდენიმე ათეული ათასი წლისაა. ბნელ, მიწისქვეშა დარბაზებში გამოსახულია ირმები, გარეული ღორები, გაქცეული, ფეხზე მდგარი თუ მწოლიარე ბიზონები; მათ გვერდით — რაღაც ფანტასტიკური არსებები— ნახევრად ადამიანები, ნახევრად ცხოველები. აქ შეიძლება ვნახოთ თიხისაგან გამოძერწილი მხეცების გამოსახულებებიც.

საინტერესოა, არა? უდაოდ! როგორ გაოცდება მკვლევარი, როდესაც თავს აწევს და ელექტროფარნით ოდნავ განათებულ კედლებზე ყვითელი, წითელი, ყავისფერი საღებავებით მოხატულ გამოსახულებებს დაინახავს! ისინი ნილოსისა და ევფრატის მიდამოებში პირველი სახელმწიფოების გაჩენამდე მრავალი ათასი წლის წინ შექმნეს მხატვრებმა! მაგრამ, თუ ჩვენს მკვლევარს შევეკითხებით, რატომ იმალებოდა პირველყოფილი მხატვარი ძნელად მისადგომ მღვიმეებში, ან რატომ ხატავდა კედლებზე ქვის ჭრაქის მბჟუტავ შუქზე მხეცების გამოსახულებებს, პასუხის გაცემა გაუჭირდება. კედელზე შესრულებული მხატვრობა ხომ თავისთავად ვერაფერს გვეტყვის. ის უცნობი ხელოვანი, ვის სახელსაც ვერასდროს გავიგებთ, იყო თუ არა მშვენიერების თაყვანისმცემელი, სურდა თუ არა შთამომავლობისათვის დაეტოვებინა ცხოველების გამოსახულებები იმ სახით, როგორიც მან იხილა: ზოგი მშვიდი, ზოგი ყალყზე შემდგარი, ზოგიც დაოთხილი; ან იქნებ ეს ცხოველები მისი ღმერთები იყვნენ და იმ იმედით ხატავდა, რომ ძლიერი და მისთვის გაუგებარი ძალების მფარველობა მოეპოვებინა?

რა ვიცით ჩვენ იმ სიმღერებზე, ეს უცნობი მხატვარი გამოქვაბულის კედლების მოხატვისას რომ მღეროდა? ან იმ ლეგენდებსა თუ თქმულებებზე, რომელსაც იგი კოცონთან ჩაცუცქულ თავის შვილიშვილებს უყვებოდა, სანამ ახალმოკლუ-

ლი ირმის გვერდი შეიწვებოდა? ყოველივე ეს დავიწყებული და დაკარგულია, მიწა არ ინახავს სიმღერებისა და ლეგენდების კვალს.

მაშასადამე, არის ისეთი საკითხები, რაზედაც პასუხის გაცემა არქეოლოგიას არ ძალუძს.

აკლდამები საიდუმლოს ინახავენ

ისტორიკოსისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ადამიანთა შორის ურთიერთობის გარკვევა. როდესაც ჩვენ უძველეს ხალხთა ისტორიას შევისწავლით, უპირველეს ყოვლისა, გვინდა გავიგოთ, იმდროინდელ ადამიანებს შორის თანასწორობა არსებობდა, თუ ერთი ჩაგრავდა მეორეს; სახელმწიფოს ძლევამოსილი მეფეები მართავდნენ, თუ თვითონ მიწათმოქმედნი და მეომრები წყვეტდნენ თავიანთ ბედს. რა შეუძლიათ შემოგვთავაზონ არქეოლოგებმა ამ საკითხის გადასაწყვეტად?

ცოტა ხნით დავუბრუნდეთ ჩვენთვის უკვე ნაცნობ ძველი ურის აკლდამებს, საფლავებს, სადაც მდიდრულად შემოსილი მეფეების გვერდით მათი დაკრძალვის დროს დახოცილი ადამიანები იწვნენ. არქეოლოგებმა სხვა ადგილებშიც მრავლად გათხარეს უძლიერეს ხელისუფალთა ასეთი აკლდამები. ჩინეთში, ქ. ანიანის მახლობლად, იპოვეს დაახლოებით სამი ათასი წლის წინ მცხოვრები მეფის აკლდამა. აკლდამის ასაგებად ამოუთხრიათ 8 მეტრის სიღრმის ორმო; ორმოში მოუწყვიათ დასაკრძალავი საკანი. იატაკი, კედლები და ჭერი საკანს ძელური ჰქონდა. იქ განისვენებდა მეფე. დასაკრძალავი საკნის თავზე მოთავსებული იყო წითლად შეღებილი ფიცრის იატაკიანი დიდი დარბაზი. აკლდამა სავსე იყო მეფის დასაფლავების დროს დახოცილ ადამიანთა ნეშტით: დასაკრძალავი საკნის იატაკქვეშ იწვა მეომარი ბრინჯაოს შუბით ხელში. დიდი დარბაზის კედლებთან დაკრძალული იყო ორმოცზე მეტი ადამიანი, მათ გარდა — მაიმუნი და ძაღლი. დარბაზს ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეზე კარები ჰქონდა დატანებული. ორივე შესასვლელი ადამიანების, ცხენებისა და ძაღლების გვამებით იყო მოფენილი, ხოლო მიწაში, რომლითაც დარბაზი იყო ამოვსე-

ბული, იპოვეს დაკრძალვის დღეს მოკვეთილი ოცდათოთხმეტი ადამიანის თავი.

უძველეს ანიანზე სხვა რომ არაფერი გვცოდნოდა, ამ საშინელ საფლავში ნანახის მიხედვითაც შეგვეძლო გვეთქვა, რომ იმ დროისათვის (ძვ. წ. მეორე ათასწლეულის ბოლოს) ჩინეთში უკვე არსებობდა უთანასწორობა, უკვე არსებობდნენ ძლევამოსილი მეფეები და უუფლებო ქვეშევრდომები, ვისაც მეფის დაკრძალვის დღეს უწყალოდ ხოცავდნენ.

მაგრამ თუ მოვინდომებთ უფრო მეტის გაგებას და ვიკითხავთ: „ვინ იყვნენ დახოცილები — მონები თუ თავისუფალი მსახურნი?" — მიწა ამაზე პასუხს ვერ მოგვცემს. მით უმეტეს, ვერაფერს გვეტყვიან სამარხები იმათზე, ვინც ოქროთი შემოსილ მეფეთა სიმდიდრეს ქმნიდა, ვერაფერს გვიამბობენ ამ მშრომელი ხალხის ყოფასა და ცხოვრებაზე.

გათხრებით ჩვენ ვერც იმას გავიგებთ, თუ ვინ მართავდა სახელმწიფოს — მეფე, ქურუმები თუ დიდებულთა საბჭო.

მშვიდად მოღიმარე ლომები

ოდესღაც ჰომეროსი წერდა: „კრეტა არის კუნძული ღვინისფერი ზღვის შუაგულში". კრეტასთანაა დაკავშირებული მრავალი ბერძნული მითი. ბერძნების გადმოცემით, ღმერთების მეფე ზევსმა ხარის სახე მიიღო, სიდონის მეფის ქალიშვილი ევროპა მოიტაცა, მზეთუნახავთან ერთად ხმელთაშუა ზღვა გადაცურა და მოტაცებული ქალი კუნძულ კრეტაზე მიიყვანა. შემდგომში კრეტას მართავდა ძლევამოსილი მეფე მინოსი, ზევსის შთამომავალი. მეფე მინოსს ლაბირინთში — დერეფნებით დაქსელილ უზარმაზარ სასახლეში — ჰყავდა ხარისთავიანი ურჩხული მინოტავრი, რომელიც ადამიანებს სანსლავდა. მაგრამ გასული საუკუნის დასასრულამდე ნამდვილად არაფერი იცოდნენ კრეტის უძველეს ისტორიაზე.

და, აი, კრეტაზე უეცრად აღმოაჩინეს უზარმაზარი შენობის ნაშთი. შენობას ჰქონდა უამრავი ოთახი, საწყობი, აბანო, კანალიზაცია და ვენტილაცია, კედლებს შემორჩენოდა საუცხოო მხატვრობა. ცხადია, სწორედ ამ შენობამ შთააგონა ბერძნებს, გადმოცემები შეექმნათ ლაბირინთზე. ლაბირინთის მცხოვრებლები ხარს წმინდა ცხოველად მიიჩნევდნენ და მის

გამოსახულებას კედლებზე ხატავდნენ. ეს გამოსახულებები მოგვაგონებენ ბერძნულ ლეგენდებს ხარისსახიან ზევსსა და მინოტავრზე.

მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ კრეტის ლაბირინთი მრავალი საუკუნის წინ არსებობდა და არა ერთხელ გადაუკეთებიათ კიდეც. კედლის მოხატულობის მიხედვით მათ აღადგინეს კრეტელ ქალთა ჩაცმულობა და გამოიანგარიშეს ლაბირინთის საწყობებში შემონახული ზეითუნის ზეთის შესანახი უზარმაზარი თიხის ჭურჭლების საერთო ტევადობა. მაგრამ ისევ წამოიჭრა ახალი საკითხი: იმ დროს კრეტაზე არსებობდა თუ არა სახელმწიფო? ნაწილი მეცნიერებისა ამტკიცებდა, რომ კრეტას ძლიერი მეფეები მართავდნენო, ამის დასასაბუთებლად იმოწმებდნენ ლაბირინთში აღმოჩენილ მისაღებ დარბაზებს, სადაც სამეფო ცხოველების — ლომების — გამოსახულებები იყო გამოხატული. ნაწილი მეცნიერებისა კი ფიქრობდა, რომ კრეტაზე ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო პირველყოფილი ურთიერთობანი. მათი აზრით, კრეტის ლაბირინთი მექსიკელი ინდიელების ნაგებობებს წააგავდა, ინდიელები კი არ იცნობდნენ კლასობრივ საზოგადოებას. რაც შეეხება ლომებს, ეს მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ რაკი მათ მშვიდი და უზრუნველი გამომეტყველება აქვთ, არ შეიძლება ისინი სიმბოლურად მეფის ძალაუფლებას გამოხატავდნენო. აი, როგორ სასაცილო არგუმენტებს იშველიებდნენ მეცნიერები, ვიდრე მათ განკარგულებაში მხოლოდ არქეოლოგიური ძეგლები იყო!

ძველ კრეტაზე არსებული საზოგადოებრივი წყობილების საკითხი მხოლოდ მას შემდეგ გადაიჭრა, რაც მეცნიერებმა შეძლეს კრეტის დაწერლობის ამოშიფვრა და კრეტის არქივში შემონახული დოკუმენტების წაკითხვა. ტყუილად იღიმებოდნენ კრეტის ლომები—ძველი კრეტული საზოგადოება კლასობრივი აღმოჩნდა.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲙᲕᲓᲐᲠ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

ერევნის გარეუბანში აღმართულია გორაკი კარმირ-ბლური (წითელი გორაკი). ახლა ცნობილია, რომ ეს ბორცვი წარმოიშვა, ურარტუს ერთ-ერთი მეფის მიერ აშენებულ თეიშებაი-

ნის ციხე-სიმაგრის ადგილზე. მაგრამ როცა მეცნიერებმა კარ-მირ-ბლურის გათხრები დაიწყეს, არ იცოდნენ, სახელდობრ, რას იპოვიდნენ იქ, რადგან ეს ციხე-სიმაგრე არც ერთ წერილობით ძეგლში არ იყო მოხსენიებული.

გათხრები იშვიათი წარმატებით დაიწყო. წამოვიდა კოკისპირული წვიმა, როცა წვიმამ გადაიღო, მეცნიერებმა შენიშნეს, რომ მიწა უთანაბროდ შრებოდა. გამოუწვავი აგურით ნაგები ძველი შენობის კედლები გაცილებით ნელა ატარებდა ტენს, ვიდრე ის მიწა, რითაც ამოვსებული იყო კედლებს შორის სივრცეები. ამის წყალობით, წითელ ბორცვზე მიწის გაშრობამდე გარკვევით ჩანდა ძველი ნაგებობის გეგმა. არქეოლოგებმა მოასწრეს ციხე-სიმაგრის გეგმის ჩახაზვა, რითაც ხელმძღვანელობდნენ შემდგომი გათხრების დროს.

კარმირ-ბლურის გათხრებმა მდიდარი მასალა მისცა მეცნიერებს. აღმოაჩინეს საწყობები, სახელოსნოები, იარაღი და ჭურჭლეულობა, ხის საგნებისა და ქსოვილის ნარჩენები. ახლა კი შეიძლებოდა წარმოგვედგინა, თუ როგორ ცხოვრობდა იმ ციხე-ქალაქის მოსახლეობა, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისამდე ურარტუს ხელისუფალთა საყრდენს წარმოადგენდა სახელმწიფოს ჩრდილოეთ საზღვარზე (თვით სახელწოდება თეიშებაინი გათხრების დროს ნაპოვნი ბრინჯაოს საკეტის წარწერით დადასტურდა).

კარმირ-ბლურის გათხრებმა მეცნიერებს ბევრი საინტერესო ფაქტის დადგენის საშუალება მისცა. გაირკვა, რამ გამოიწვია თეიშებაინის დაღუპვა. ახლა კი შეძლეს მეცნიერებმა ურარტუს ციტადელის დაცემის დაწვრილებითი აღწერა.

ციხე-სიმაგრის გარეთა კედლებთან იპოვეს დიდი რაოდენობით ისრის ბრინჯაოს წვერები, ისინი თეიშებაინის გარემომცველთ ეკუთვნოდათ. ზოგი ისარი ქვას მოხვედრია და მომტვრეულა, ხოლო ერთი ისრის წვერი ქვის კედლის თიხიან შენალესში იპოვეს ჩარჭობილი. არქეოლოგებმა ისრების ფორმის მიხედვით დაადგინეს, რომ თეიშებაინი სკვითების გარემოცვაში მოქცეულა.

ქალაქის ალყა დიდხანს არ გაგრძელებულა. ასეთ დასკვნამდე მეცნიერები თეიშებაინის საწყობებში აღმოჩენილი მარაგის შესწავლის შემდეგ მივიდნენ. საწყობები ციხის დაცე-

ბის წომენტში ისევ სავსე ყოფილა მარცვლეულით: მაშასადამე, შიმშილი არ ყოფილა ურარტუელების დამარცხების მიზეზი.

ციხე-სიმაგრე აგვისტოს პირველ ნახევარში აუღია მტერს. ასე ზუსტად როგორ დაადგინეს არქეოლოგებმა წლის დრო, მაშინ როდესაც თეიშებაინის დაცემის წელი ჯერაც არ არის ცნობილი? ციხე-სიმაგრის საწყობების გამოკვლევისას მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ ალყაში მოქცევამდე ურარტუელებს პური აღებული ჰქონიათ, ყურძნის კრეფა კი ჯერ არ ყოფილა დაწყებული. მხოლოდ ერთ ადგილას წააწყდნენ ყურძნის რამდენიმე და ისიც მკვახე ნაყოფის წიპწას.

ქალაქს ღამით, მოულოდნელად დასხმიან თავს. პანიკით შეპყრობილთ სასწრაფოდ დაუტოვებიათ თავიანთი ბინები, დაუყრიათ იარაღი და სამკაული. სკვითებს ქალაქისათვის ცეცხლი წაუკიდებიათ. ციტადელის სახურავზე მიტოვებული ცხოველები შიშით ცახცახებდნენ, მერე ჩამოქცეულა ციტადელის ბრტყელი, ცეცხლმოკიდებული სახურავები და თან ჩაუტანია იქ მყოფი ცხენები და ძროხები. გათხრების დროს პირუტყვის არა ერთი დამახინჯებული ჩონჩხი იპოვეს.

აი, როგორ საგულისხმო დეტალებს მიაგნეს არქეოლოგებმა გულმოდგინე შრომის შედეგად. იშვიათად თუ შეძლებდა რომელიმე ძველი მწერალი, უფრო დაწვრილებით მოეთხრო ქალაქების გარემოცვის ან დაცემის ამბავი. მაშასადამე, არქეოლოგიას შეუძლია მოგვაწოდოს გარკვეული ცნობები ძველი სახელმწიფოების პოლიტიკურ მდგომარეობაზეც.

მაგრამ ნუ გავაზვიადებთ არქეოლოგიის შესაძლებლობებს, რადგან, ჯერ ერთი, გათხრები მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში გვაძლევს საშუალებას ისეთი სისრულით აღვადგინოთ პოლიტიკური ისტორიის ესა თუ ის მომენტი, როგორც ეს წითელ გორაკზე მუშაობისას მოხდა. მეორე, არქეოლოგების მიერ დადგენილი თეიშებაინის დაცემის სურათი წარმოადგენს პატარა რგოლს ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის დასაწყისის ისტორიულ მოვლენათა ჯაჭვში, როდესაც სკვითებმა კავკასიონი გადმოლახეს და ახლო აღმოსავლეთის ოლქებში შეიჭრნენ. ამ შემოსევის ამბებს კი უმთავრესად წერილობითი წყაროებიდან ვგებულობთ. მესამეც, კარმირ-ბლურზე ნაპოვნი ნივთების ანალიზი საშუალებას არ გვაძლევს გა-

ვარკვიოთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები: ჩვენ არ ვიცით, რომელ წელს დაეცა თეიშებაინი; თვით ციხე-სიმაგრის სახელწოდებაც ხომ წერილობითი ძეგლიდან გახდა ცნობილი.

ამრიგად, არქეოლოგია შედარებით ძუნწ ცნობებს აწვდის პოლიტიკური ისტორიის—სახალხო მოძრაობის ან ომების ისტორიის — შემსწავლელ მკვლევარს. და ეს სავსებით ბუნებრივია. არქეოლოგია ხომ შრომის იარაღებსა და ჭურჭლეულობას, ადამიანის საცხოვრებელსა და სამარხებს შეისწავლის. მაგრამ როგორ შეიძლებოდა ასახულიყო ამ ნივთებზე პოლიტიკური პროგრამები, მშვიდობიანი მოლაპარაკების პირობები, ან სახალხო ბელადების ბედი?

მადლობა შუა საუკუნეების მოდის ამყოლ ქალებს

ქალთა სამკაულები! რამდენი გესლი და ღვარძლი დანთხეულა, რამდენი უწყინარი დაცინვა თქმულა ყელსაბამის, საყურეებისა და სამაჯურების მისამართით! მათ არც ქედმაღალ კანონმდებელთა ყურადღება მოკლებიათ: შუა საუკუნეების ლიუბეკში ქალაქის ხელისუფალთ საგანგებო კანონიც კი გამოუცია. იგი უკრძალავდა ქალს სამკაულის ტარებას, თუ მისი ღირებულება ქმრის ქონების მეათედს აღემატებოდა.

ქალის სამკაულები არქეოლოგებს არა ნაკლებ უყვარო. ვიდრე ისინი ოდესღაც უყვარდათ მათ მფლობელებს. არქეოლოგები მათ მარტო სილამაზისა და სინატიფის გამო როდი აფასებენ (ზოგიერთი ოქროს სამკაულის ზუსტი პირის ბედნიერება არ ძალუძთ თანამედროვე იუველირებსაც კი),—ქალების სამკაულები თურმე წარსულის ისტორიის ისეთ მხარეებს გვაცნობენ, რაზედაც დუმან სხვა ძველი ნივთები.

საქმე ისაა, რომ შრომის ძირითადი იარაღები, საჭურველი, საცხოვრებელი და ჭურჭელიც კი ხშირად ერთნაირი ჰქონდა სრულიად სხვადასხვა ტომის ხალხს, თუ მათ დაახლოებით ერთნაირ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. სამაგიეროდ, სამკაულების ფორმა და ორნამენტი (განსაკუთრებით ქალის

სამკაულისა) სხვადასხვა ტომს სხვადასხვანაირი ჰქონდა. მაგალითად, XI—XIV საუკუნეების რუსეთში. ყველგან დაახლოებით ერთნაირი ფორმის თიხის ქოთნებს აკეთებდნენ, მაგრამ ვერცხლისა და ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, რომლებსაც რუსი გლეხის ქალები თმებში იწნავდნენ, მეტად მრავალფეროვანი იყო: ერთგან მას სპირალის სახე აქვს, მეორეგან დიდ მავთულის სამაჯურებს მოგვაგონებს, მესამეგან კი — შვიდმხრივად გაშლილ ლაპოტებს. და აი, როდესაც არქეოლოგებმა შეადგინეს სასაფეთქლე რგოლების ტიპების გავრცელების რუკა და შეადარეს მატიანეთა ცნობებს ძველი რუსული ტომების დასახლებების შესახებ, აღმოჩნდა, რომ არქეოლოგიური და წერილობითი ძეგლების მონაცემები კარგად ეთანხმებოდნენ ერთმანეთს: ვთქვათ, იქ, სადაც მატიანის მიხედვით კრივიჩთა ტომები ცხოვრობდნენ, გავრცელებული ყოფილა სამაჯურისებური სასაფეთქლე რგოლები, ხოლო ვიატიჩთა მხარეში (ამ ტერიტორიაზე წარმოიშვა მოსკოვი) — შვიდლაპოტიანები.

ბუნებრივია, მატიანეში ამა თუ იმ ტომის საზღვრები მიახლოებით იყო მითითებული. არქეოლოგებს კი შეუძლიათ ნათი დიდი სიზუსტით დადგენა. მაგალითად, თუ ზვენიგოროდის რაიონში გათხრილ სამარხებში ზოგან სამაჯურისებური სასაფეთქლე რგოლები იპოვეს, ხოლო ზოგან შვიდლაპოტიანი, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კრივიჩებსა და ვიატიჩებს შორის საზღვარი სწორედ ზვენიგოროდის რაიონში გადიოდა?

რასაკვირველია, XI—XIV საუკუნეებში, როდესაც ძველი რუსი ოსტატები სასაფეთქლე რგოლებს აკეთებდნენ, რუსეთი ტომებად კი არა, უკვე სამთავროებად იყოფოდა. მაგრამ სოფლის კეკლუცები კვლავ მისდევდნენ ძველი ტომის ზნე-ჩვეულებებსა და მოდებს. ამ გარემოებამ მეცნიერებს საშუალება მისცა დაეზუსტებინათ საზღვრები ძველ რუსულ ტომებს შორის.

მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ მატიანის დაუხმარებლად არქეოლოგები ვერასოდეს ვერ დაადგენდნენ, რომელ ტომს ეკუთვნოდა ესა თუ ის სასაფეთქლე რგოლი. წერილობითი წყაროების დახმარების გარეშე ვერ ამეტყველდებოდნენ შუა საუკუნეების კეკლუცები.

მე უკვე გიამბეთ ალყაშემორტყმულ თეიშებაინის კედლებთან ნაპოვნ ბრინჯაოს ისრებზე. წერილობითი წყაროების გარეშე ჩვენ ვერასოდეს ვერ დავადგენდით, რომ ეს ისრები სკვითებს ეკუთვნოდათ. მსგავსი ისრები ხშირად გვხვდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, რომელიც, როგორც წერილობითი ძეგლებიდან ვიცით, დასახლებული ყოფილა სკვითებით. ასეთი ისრები გვხვდება სკვითებისდროინდელ სამარხებსა და დასახლებათა ადგილებში. ამიტომ არქეოლოგებს შეუძლიათ შეუცდომლად თქვან: თეიშებაინში ნაპოვნი ისრები სკვითებისაა. ერთი სიტყვით, მხოლოდ არქეოლოგიური ძეგლების მონაცემებისა და ძველი წერილობითი ძეგლების ცნობების გაერთიანებით შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ რომელი ხალხის, რომელი ტომის მიერ იყო შექმნილი ესა თუ ის ისარი ან სამკაული, საცხოვრებელი სახლი თუ იარაღი.

უდავოა, არქეოლოგიამ ძალიან ბევრი რამ გააკეთა კაცობრიობის წარსულის, განსაკუთრებით კი უძველესი ხანის ისტორიის გასარკვევად. ყველგან, სადაც კი ოდესმე უცხოვრიათ ადამიანებს, შემონახულია მათი ნამოღვაწარის კვალი. მიწაში ჯერ კიდევ ბევრი საიდუმლო იმალება და ყოველ წელიწადს არქეოლოგებისათვის ახალ-ახალი მოულოდნელი მონაპოვარი მოაქვს. დასასრულს, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ბევრი წერილობითი ძეგლიც არქეოლოგიური გათხრების დროსაა აღმოჩენილი.

მიუხედავად ამისა, წარსულს მხოლოდ არქეოლოგების მიერ ნაპოვნი ნივთებით ვერ აღვადგენთ. არქეოლოგია უპირატესად იმაზე მოგვითხრობს, თუ როგორ მოიპოვებდნენ ადამიანები საზრდოს. მაგრამ მას არ ძალუძს გვაუწყოს, რაზე ფიქრობდნენ ადამიანები, როგორ ექცეოდნენ თავიანთი ტომის წევრებს, როგორ ეომებოდნენ მომხდურთ და როგორ იბრძოდნენ თავისუფლებისათვის.

მოდით, ვეძიოთ კვალი, რომელიც ამის გაგებაშიც დაგვეხმარება.

თავი II

გაცვეთილი მონეტის ნაკვალევზე

ვაჭარი მინაში ტალანტებს მარხავს

ათასი წლის წინ ადამიანები მგზავრობას დიდ დროს ანდომებდნენ: კურსკიდან კიევამდე გზის გავლას ვაჭრის საბარგული ორ-სამ კვირას უნდებოდა. გზები ცუდი იყო და საკმაოდ სახიფათოც. პაჭანიგი ცხენოსნები გაარღვევდნენ ხოლმე კიევიდან ორი დღის სავალზე გავლებულ მესერს, გრიგალისებურად დაესხმოდნენ ზლაზვნით მიმავალ საზიდრებს, დაიტაცებდნენ საქონელს, დაატყვევებდნენ ხალხს და კვლავ უსასრულო ველებს უბრუნდებოდნენ. შინ დაბრუნებული ვაჭრები ფრთხილად ამოიღებდნენ მძიმე ტყავის საფულეებს, გამოათრევდნენ პატარა სასწორსა და გირებს და ითვლიდნენ ვერცხლის მონეტებს. აგერ, ბიზანტიური მილიარისები. მათზე ძმების — იმპერატორების ვასილისა და კონსტანტინეს პორტრეტებია გამოსახული; აი, კიევის ვერცხლის ´ფული, სამეფო ტახტზე მჯდომი ვლადიმირის გამოსახულებით. აი, არაბული დამწერლობის გაუგებარი გვირისტით მოხატული დირჰემები. ზოგმა მათგანმა, ვინ იცის, რამდენი იმოგზაურა, ვიდრე კიეველი ვაჭრის საფულეში მოხვდებოდა: იქნებ ამ მილიარისებით გადაუ-

ზადეს ჯამაგირი რუს ჯარისკაცს კონსტანტინოპოლის გვარდიაში სამსახურისათვის. დირჰემებმა კი ალბათ კასპიის ზღვა გადმოლახეს, ხაზართა დედაქალაქ ითილს ესტუმრნენ და იქიდან რუსეთის მიწაზე მოხვდნენ.

ვაჭარი ფულს თიხის ქოთანში ფრთხილად ყრის და სიბნელეში მალულად მარხავს საიდუმლო ადგილას. ასე სჯობს, — ფიქრობს იგი, — უფრო საიმედოაო.

მაგრამ, ვინ იცის, საიდან მოვა უბედურება! ერთიც ვნახოთ, უთავო შინამოსამსახურეს კვარის ჩაქრობა დააავიწყდა და ღამით სახლს ცეცხლი გაუჩნდა, ალი მოედო ჩალის სახურავს, ჩამოიქცა ცეცხლმოდებული ჩალანგრები და ქვეშ მოიყოლია მძინარე სახლის პატრონები. ანდა იქნებ ჩვენს ვაჭარს რაიმე სნება შეეპარა, ერთი-ორი დღე იავადმყოფა და მოკვდა ისე, რომ ვერ მოასწრო სიკვდილის წინ ვინმესთვის გაენდო ჩაფლული ფულის საიდუმლოება. ანდა დილაადრიან პაჭანიგი ცხენოსნები დაესხნენ თავს, ხელები ზურგზე გაუკრეს და თავიანთი სადგომებისაკენ გაიგდეს, რათა შემდეგ ბერძენი მონებით მოვაჭრისათვის მიეყიდათ. უპატრონოდ დარჩენილი განძი კი მიწაში ჩაფლული დარჩა, მაგრამ სად, არავინ იცის.

უძველეს დროსა და შუა საუკუნეებში არ არსებობდა არც შემნახველი სალაროები და არც ცეცხლგამძლე კარადები. თუ ადამიანს ფული მოსჭარბდებოდა, მას მიწაში ჩაფლავდა. ერთ რომაელ მწერალს პლავტუსს აქვს ასეთი კომედია: ღატაკ ბერიკაცს ფულით სავსე ქილა მიუგდეს და იმ დღიდან მის მშვიდ ცხოვრებასაც ბოლო მოეღო—მოხუცი დღე და ღამ ფხიზლობდა, ქურდებს დარაჯობდა: ქილას ხან კერასთან მალავდა, ხან ბაღში ჩაფლავდა, ადგილიდან ადგილზე გადაჰქონდა.

იმავე ხანებში წარმოიშვა ასეთი იგავი: ბატონმა შეკრიბა თავისი მონები და ტალანტები დაურიგა (ტალანტი ახლო აღმოსავლეთში მსხვილი ფულის ერთეულს ეწოდებოდა). ზოგიერთმა მონამ თავისი ტალანტი საქმეში გამოიყენა, ხოლო ერთმა მათგანმა გადაწყვიტა, ფული შეენახა და მიწაში ჩაფლა. გავიდა წლები. კვლავ შეკრიბა ბატონმა მონები და მოსთხოვა ანგარიში. ის მონები, რომელთაც გაემრავლებინათ თავიანთი ტალანტები, ბატონმა შეაქო, იმ მონამ კი, მიწაში რომ ჩაფლა ვერცხლი, ვერაფერი უჩვენა ბატონს, მისგანვე ნაჩუქარი ფუ-

ლის გარდა. ცხადია, აბა რა უნდა მოეგო მონას, თუკი მან თავისი ტალანტი მიწაში ჩამარხა?!

ჩვენს დროში სიტყვა „ტალანტმა" სულ სხვა მნიშვნელობა მიიღო. როდესაც ვამბობთ „ტალანტი მიწაში ჩამარხესო", რა თქმა უნდა, ფულს არ ვგულისხმობთ. უძველეს ხანასა და შუა საუკუნეებში ტალანტებს მიწაში იმ იმედით მარხავდნენ, რომ იქ უფრო დაცული იქნებოდა. იმ დროს განძის ჩაფვლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ზოგჯერ ხელუხლებლად იდო მიწაში მანამ, სანამ რაიმე შემთხვევის წყალობით არ იპოვიდნენ, ანდა გათხრების დროს არ აღმოაჩენდნენ.

რა ღირს საიქიოში გამგზავრება?

ძველ ფულებს მარტო განძის სახით როდი პოულობენ. არქეოლოგები მათ ნახულობენ ძველი ქალაქების ან სამარხების გათხრების დროს. აქ გასაკვირი არაფერია: ძველი და შუა საუკუნეების ქალაქების მცხოვრებლებს ხომ ხშირად ეკარგებოდათ ფული, ხან იატაკქვეშ ჩაუვარდებოდათ, ხან — წყალსადენ თხრილში. ზოგჯერ ფულს მიცვალებულს საფლავშიც ატანდნენ, ვინ იცის, იქნებ საიქიოში დასჭირდესო.

ძველი ბერძნების ცრურწმენით, საიქიო დედამიწისაგან გამოყოფილი იყო ნახევარმდინარე-ნახევარჭაობით—აქერონტით. როდესაც მიცვალებულთა მწუხარე ქარავანი აქერონტს მიუახლოვდებოდა, მათ ნაპირზე უნდა დაეტოვებინათ ყოველივე ამქვეყნიური: მდიდრული ტანსაცმელი თუ ძონძები, სიმდიდრე თუ დიდება. ამის შემდეგ მათ ჩასხამდნენ ნავში და მიჰყავდათ ქვეყანაში, საიდანაც ვეღარასოდეს დაბრუნდებოდნენ. მაგრამ მენავე ქარონს, ისევე როგორც ყველა მენავეს, არ სურდა უსასყიდლოდ მუშაობა: თითოეული მიცვალებულისგან გასამრჯელოდ თითო ობოლს, წვრილ სპილენძის ფულს, თხოულობდა. ამიტომ ბერძნები მიცვალებულს დასაფლავებისას პირში ობოლს უდებდნენ. ბერძენი მწერალი არისტოფანე სასაცილოდ მოგვითხრობს ერთი მონის ამბავს, რომელსაც გადასახდელი ფული არ ჰქონდა და იძულებული გახდა, ბაყაყებით სავსე აქერონტის ირგვლივ ერბინა, ქარონის ნავში მჯდომ თავის ბატონს რომ დასწეოდა.

ჩვენ ხელთა გვაქვს მიწიდან ამოღებული მონეტა. შეუძლია თუ არა მას გვიამბოს რაიმე წარსულზე? თურმე შეუძლია, მაგრამ თავის ენაზე და ეს ენა მხოლოდ სპეციალისტ-ნუმიზმატისთვისაა გასაგები.

ნუმიზმატი და არქეოლოგი

რაღა დასამალია, ნუმიზმატებს ჩვენთან ისევე დასცინიან და მათ საქმიანობას ისევე უაზროდ მიიჩნევენ, როგორც ასანთის კოლოფების ან (ასეთებიც არიან!) ძველი ნავთის ლამპების შემგროვებლებს. ნუმიზმატებს დიდი ხანია სასაცილოდ იგდებენ: ჯერ კიდევ შუა საუკუნეების პრუსიულ ქრონიკაში აგდებულად იხსენიებენ მონეტების ერთ-ერთ პირველ შემგროვებელს ნეიდენბურგელ სტეფანე-მათეს (იგი XV საუკუნის ბოლოს ცხოვრობდა). მას სურდა შეექმნა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გამოშვებული ფულების კოლექცია. ქრონიკის ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მას „სისულელით" მოსდიოდა, თუმცა ფრიად ხნიერი ადამიანი იყო.

როგორ არ გავიხსენოთ დიდი საბჭოთა პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსი:

მოაღწევს თქვენთან ჩემი ლექსი
ისე კი არა,
როგორც ისარი
ამურისა — მონადირისა,
და არა ისე,
როგორც აღწევს ნუმიზმატამდე
დროიდან უკვე გაცვეთილი შაურიანი,
და არა ისე, ვით გარდაცვლილ
ვარსკვლავთ სინათლე.[1]

მაგრამ ზოგჯერ „გაცვეთილი შაურიანი" რომ არა, წარსულის მრავალი ფურცელი წაუკითხავი დარჩებოდა. თუმცა, ვიდრე ნუმიზმატების მიერ ამოკითხულ ამ ფურცლებს შევეხებოდეთ, უნდა ჩავუფიქრდეთ ერთ საკითხს. მიწაში ნაპოვნ

[1] თარგმანი ვ. გაფრინდაშვილისა.

სხვა საგნებს შორის მონეტამ რატომ დაიმსახურა განსაკუთრებული ყურადღება, რატომ მოაქციეს ის ძეგლთა განსაკუთრებულ ჯგუფში, რომელსაც ნუმიზმატები შეისწავლიან?

გათხრების დროს ნაპოვნი ყოველი ნივთი მკვლევარს აცნობს მისი დამზადების ტექნიკასა და მის დანიშნულებას. მაგალითად, თუ ხელთა გვაქვს დოქი, შეგვიძლია დავადგინოთ, როგორ გააკეთეს ეს დოქი და რაში იყენებდნენ მას. იგივე შეიძლება ითქვას ისრის წვერზე, სამაჯურზე, ხმალსა თუ სახლზე, ერთი სიტყვით, ნებისმიერ საგანზე. თუ ჩვენ პაზირიქის ყორღანში ქეჩის ხალიჩები ვნახეთ, აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეგვიძლია, რომ მთიან ალტაიში ორი ათასი წლის წინ უკვე ამზადებდნენ ქეჩის ხალიჩებს. ესაა და ეს. ქეჩის ხალიჩები ვერ გვეტყვიან, რას უწოდებდნენ თავიანთ თავს პაზირიქის სამარხების შემქმნელი ტომები, ვერ გვეტყვიან იქ დამარხული ტომის ბელადების სახელებს. სულ სხვაა მონეტა. რამდენი საინტერესო ცნობის მოწოდება შეუძლია მას!

თუ ძველი რუსული ქალაქის გათხრების დროს XI საუკუნის დასაწყისის ბიზანტიური მილიარისები იპოვეს, ეს, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ XI საუკუნის რუსეთში ხმარებაში ყოფილა ბიზანტიური ვერცხლის ფული. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ცოტაა. ამ მილიარისების შესწავლის შემდეგ შევიტყობთ კიდევ უფრო მეტს, რასაც უშუალოდ ფულთან არავითარი კავშირი არა აქვს. წინასწარ გეტყვით: უძველესი მონეტების წყალობით მეცნიერებმა გაიგეს მანამდე უცნობი ქალაქებისა და მეფეთა-დინასტიების არსებობა, სავაჭრო გზების მიმართულება, გაეცვნენ პოლიტიკურ ლოზუნგებს, ქალაქებისა და მთელი სახელმწიფოების ეკონომიური აყვავებისა და დაცემის ხანას.

აბა, დააკვირდით სპილენძის, ვერცხლის ან ოქროს ძველ მონეტას. მასზე თითქმის ყოველთვის რაღაცაა გამოსახული: თევზი ან პურის თავთავი, ხარის ან იმპერატორის თავი. მონეტაზე თითქმის ყოველთვისაა მოკლე წარწერა: სლავურ, ლათინურ, ბერძნულ ან არაბულ ენაზე (მონეტაზე ასეთ წარწერას „ლეგენდას“ უწოდებენ. „ლეგენდა“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს: „იმას, რაც წაკითხული უნდა იქნეს“). სწორედ

ამ გამოსახულებებსა და ლეგენდებში პოულობენ ნუმიზმატები ათასგვარ ცნობებს წარსულზე. გამოცდილი სპეციალისტის ხელში გამოსახულებები და ლეგენდები ძალზე მეტყველნი ხდებიან. მაშასადამე, მონეტა უტყუარი ძეგლი და ჩვენამდე. უცვლელი სახით მოღწეული ნივთია... ამასთანავე, იგი წერილობითი ძეგლიცაა, ისევე როგორც ძველი წიგნი მარტო ეტრატზე, მელანსა და ხის ყდაზე არ გვესაუბრება, მონეტასაც შეუძლია მოგვითხროს ისეთ საგნებზე, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვს ფულთან.

ზოგჯერ სიახალგაზრდავეც საწყენია

თავისი დასკვნების მნიშვნელობით ნუმიზმატიკა არქეოლოგიასთან შედარებით მაინც ღარიბია. არქეოლოგს საქმე აქვს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა მხარესთან დაკავშირებულ ათასგვარ ნივთთან—იარაღთან, ჭურჭლეულობასთან, საცხოვრებელ ბინებთან და ქანდაკებებთან, მაშინ როდესაც ნუმიზმატიკა ძეგლთა მხოლოდ ერთ სახეს — მონეტას შეისწავლის. კაცობრიობის ისტორიის მთელი უძველესი ხანა მიუწვდომელია ნუმიზმატისათვის, რადგან იმ პერიოდში არ ჭრიდნენ ფულს. მონეტა შედარებით გვიან გაჩნდა. ის ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდაა.

თვალი გადაავლე შენს ოთახში ერთმანეთის გვერდით მიდგმულ ნივთებს. ზოგი მათგანი მთლად ახალია, ახლახან შექმნილი. მამაშენს კარგად ახსოვს ის დრო, როდესაც არც ტელევიზორი არსებობდა და არც ელექტროსამართებელი. სამაგიეროდ, ცენტრალური გათბობა ტელევიზორს პაპის პაპის პაპად ერგება — მას რომაელები უკვე იყენებდნენ თავიანთი აბანოების გასათბობად. ნაბეჭდი წიგნის დაბადებიდან სულ რაღაც ხუთასი წელი გავიდა, ბორბალი კი ბევრად უფროსია მასზე — იგი უკვე კარგა ხუთი ათას წელს ითვლის. დანის წლოვანება ათეული ათასი წლით განისაზღვრება. თავდაპირველად იგი ქვისა იყო, რკინის დანა კი პირველად სამი ათასი წლის წინ გამოჭედეს.

ამა თუ იმ ნივთის დაბადების დღის განსაზღვრა ყოველთვის არაა იოლი, ზოგი ნივთის დაბადების საუკუნეც კი უცნობია. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომელ საუკუნეში გაჩნდა მონეტა. მონეტა პირველად მცირე აზიაში ძვ. წ. VI-I საუკუნეში მოჭრეს, მანამდე მის მაგივრობას ლითონის ზოდი წევდა, ხშირად მას ცულის ან რგოლის ფორმა ჰქონდა. ძვ. წ. II ათასწლეულში ნაკეთებ ასეთ ბრინჯაოს ცულებს არქეოლოგები პოულობენ კრეტაზე, სიცილიაზე, სარდინიასა და იტალიაში. ფარაონ ტუთმოს III-ის დროინდელ (დაახლოებით ძვ. წ. 1500 წ.) ეგვიპტურ ნივთებზეც გამოსახულია, თუ კრეტელებს ხარკად როგორ მიაქვთ ბრინჯაოს ცულები. ეს ცულები არც სამუშაო და არც საბრძოლო დანიშნულების არაა. მათ პირი ბლაგვი აქვთ, ყუა კი ისეთი არაპროპორციულად პატარა, რომ შეუძლებელია მასში შესაბამისი სიდიდის ტარის ჩასმა. მთელი ცული დაფარულია ორნამენტებით. წინათ ფულის როლს ასრულებდა აგრეთვე ძვირფასი ქვები, ნიჟარები, პირუტყვი, ხოლო ძველი ბაბილონეთის მცხოვრებნი ნავაჭრის საფასურს არა მარტო ვერცხლით (წონით) იხდიდნენ, არამედ პურით, აგურით და გამხმარი თევზით.

ამრიგად, მონეტას ორნახევარ ათასწლეულზე ცოტა მეტი ხნის ისტორია აქვს და მხოლოდ დროის ამ მოკლე მონაკვეთზე შეუძლია გვესაუბროს, რაც ვერ შეედრება არქეოლოგების მიერ გახსნილი ათასწლეულების ისტორიას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ უკანასკნელი ორნახევარი ათასწლეული საყურადღებო მოვლენებით მდიდარი დროის მონაკვეთია, და ჩვენთვის, შთამომავალთათვის იგი ყველაზე მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია: ამ პერიოდს ემთხვევა ძველბერძნული ქალაქების აღორძინების ხანა, რომის სახელმწიფოს მთელი ისტორია და შუა საუკუნეები მთლიანად, აღარაფერს ვამბობ ახალ დროზე, რომლის შესასწავლად იმდენი წყარო არსებობს, რომ ნუმიზმატების როლი ამ შემთხვევაში პრაქტიკულად მეტად მცირეა.

ამ ორნახევარი ათასი წლის მანძილზე გამოუშვეს ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ფულების ძალზე დიდი რაოდენობა. მართალია, მათი ნაწილი ახალი ფულის ჩამოსასხმელ მასალად იქცა და თავისი არსებობა სამსხმელო ქურაზე შეწყვიტა, მაგ-

რამ ჩვენამდეც ბევრმა მოაღწია: საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირის მუზეუმებში რამდენიმე მილიონი ძველი მონეტა ინახება.

ვნახოთ, რას გვიამბობს ძველთაძველი გაცვეთილი მონეტა.

ჰქონდა თუ არა წვერი კონსტანტინე წვეროსანს?

ჩვენ ხშირად ვიღებთ სურათებს პირადობის მოწმობისა თუ ელექტრომატარებლის სამგზავრო ბილეთისათვის, კვირა დღეს სადმე ტყის პირას, ანდა ინსტიტუტის დამთავრების აღსანიშნავად მოწყობილ ნადიმზე. ჩვენს დროში იშვიათია ადამიანი, სურათების ალბომი რომ არა ჰქონდეს. გასული საუკუნეების დიდი ადამიანების გამოსახულებები კი გაცილებით ნაკლებადაა შემონახული.

არსებობს ტროპინინისა და კიპრენსკის ფუნჯით შესრულებული პუშკინის პორტრეტები, გუდონის ნაძერწი ვოლტერის ბიუსტი.

თითქმის არ გაგვაჩნია უძველესი ხანისა და შუა საუკუნეებისდროინდელი პორტრეტები, ხოლო შემორჩენილი სკულპტურული გამოსახულებები ხშირად უსახელონი არიან: ვხვდებით, რომ ჩვენს წინაშეა რომელიღაც დიდი ადამიანის მარმარილოს ბიუსტი, მაგრამ, სახელდობრ, ვისი, ხშირად ამოუხსნელი რჩება.

აი, აქ გვეხმარება მონეტა. რომის იმპერიის მონეტებზე ჰეადვდნენ მმართველი იმპერატორის გამოსახულებას. ჩვეულებრივ, ნამუშევარი ოსტატურადაა შესრულებული და კარგად გადმოგვცემს პორტრეტულ მსგავსებას. რომის მონეტებზე გამოსახულია ის პოლიტიკური მოღვაწეები, ვისზედაც მოგვითხრობენ ძველი ისტორიკოსები: აი, იულიუს ცეზარის სახის მკვეთრი ნაკვთები — მსხვილი ცხვირი, ჩავარდნილი ლოყები, წინწამოწეული ნიკაპი, ანდა გვიანი იმპერიის ერთ-ერთი შემქმნელის — დიოკლეტიანეს არაფრისმთქმელი და კერპი სახე. თმის სადა ვარცხნილობა უფრო მეტად აჩენს მისი კისრის სიძ-





კონსტანტი II წვეროსანის
მონეტები





უწვერო კონსტანტინეს
მონეტები

ლიერესა და სიმსუქნეს. ეს პორტრეტები ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას იმ ადამიანთა ხასიათზე, ვინც ოდესღაც ასეული ათასობით ქვეშევრდომის ბედს განაგებდა.

მონეტების პორტრეტული გამოსახულებანი გვეხმარებიან ამა თუ იმ ხელმწიფის მეტსახელის დაზუსტებაშიც. VII საუკუნეში ბიზანტიის იმპერიას სათავეში ედგა კონსტანტინე IV. ეს პერიოდი მეტად მძიმე დრო იყო იმპერიისათვის. აღმოსავლეთიდან მას არაბები უტევდნენ, არაბთა ფლოტი ბიზანტიის დედაქალაქს — კონსტანტინოპოლს ემუქრებოდა. ბიზანტიელებმა ამ ბრძოლაში პირველად გამოიყენეს საშინელი იარაღი „თხევადი ცეცხლი". კალინიკეს მიერ გამოგონილ საგანგებო ჭურჭლებიდან ისროდნენ ამ სითხეს და ცეცხლს უკიდებდნენ მტრის გემებს. საუბედუროდ, VII საუკუნის ბიზანტიის ისტორიას ძალიან ცუდად ვიცნობთ. მემატიანეთა მიერ აღწერილი ამ დროის ამბები არეულ-დარეული და ბუნდოვანია. ძალიან ცოტა რამ ვიცით თვით კონსტანტინე IV-ზეც. დიდხანს ეგონათ, რომ კონსტანტინეს ზედმეტ სახელად პოგონატს ეძახდნენ, რაც წვეროსანს ნიშნავს — ასე იხსენიებდნენ მას ყველა ისტორიულ თხზულება-

ში. მაგრამ გამოირკვა, რომ ამ იმპერატორს მონეტებზე თითქმის ყოველთვის უწვეროდ გამოხატავდნენ. სამაგიეროდ, მამამისს — კონსტანტ II-ს, მისი მონეტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფართო და გრძელი წვერი ჰქონდა. მაშასადამე, მეტსახელი პოგონატი ეკუთვნის არა კონსტანტინე IV-ს, არამედ მამამისს კონსტანტ II-ს.

მონეტაა თუ პლაკატი?

ძველი და შუა საუკუნეების მონეტებზე აღბეჭდილი გამოსახულება უბრალო პორტრეტი როდია,—იმ დროს მონეტა პროპაგანდის საშუალებასაც წარმოადგენდა. მონეტა თავისებური პლაკატია, რომელმაც წარსული საუკუნეების პოლიტიკური ლოზუნგები ჩვენამდე მოიტანა. როდესაც რომში სამოქალაქო ომების ხანა დამთავრდა და ძალაუფლება ხელში აიღო ახალგაზრდა ოქტავიანემ, მისი ბრძანებით დაიწყეს ახალი მონეტების მოჭრა. ეს მონეტები ხალხს ნაყოფიერების, სიუხვისა და ხანგრძლივი მშვიდობიანი საუკუნის დადგომას ჰპირდებოდა: მონეტებზე გამოხატულია მშვიდობის ქალღმერთი, თავთავები და თხის რქის თანავარსკვლავედის გამოსახულება. თხას ზურგით დოვლათი მიაქვს (თხის რქა სიმბოლურად გამოხატავს თვით ოქტავიანეს. ამბობდნენ, რომ ის „თხის რქის ნიშანზე", ე. ი. წელიწადის იმ დროს დაბადებულა, როდესაც მზის დანახვა შეიძლებოდა თხის რქის თანავარსკვლავედში). მაგრამ მალე, როგორც კი ოქტავიანემ ღვთაებრივი ავგუსტუსის სახელი მიიღო, დაივიწყა თავისი დანაპირები და მსოფლიო ბატონობისაკენ ლტოლვა იწყო; მაშინ მის მონეტებზე სულ სხვა ხასიათის სიმბოლური გამოსახულებების — გამარჯვების ქალღმერთისა და დედამიწის სფეროს გამოჭედვა დაიწყეს.

როდესაც IV საუკუნეში დიოკლეტიანეს ერთ-ერთი მემკვიდრის, იმპერატორ ვალენტინიანე I-ის მონეტებზე აღმოსავლეთის მეფეების მსგავსად თავზე დიადემით გამოხატვა დაიწყეს, ეს ხაზს უსვამდა იმას, რომ მონარქია განმტკიცდა და რომის ხელისუფალთ უკვე აღარ სურდათ თავი ისე დაეჭირათ, თითქოს ძველი რომის რესპუბლიკურ ადათებს იცავდნენ. მას შემდეგ, რაც ქრისტიანობამ გაიმარჯვა, მონეტების გამოსახულე-

ავგუსტუსის მონეტები. ავგუსტუსის პორტრეტი (ზურგის მხარეს — თავთავები, მოსავლის სიმბოლური გამოსახულება). თხის რქის თანავარსკვლავედი. ავგუსტუსის პატივსაცემად მოჭრილი მონეტა: არწივს ბრჭყალებში დედამიწის სფერო - უპირავს.

ბებმა ახალი დანიშნულება მიიღეს: მათ ხაზი უნდა გაესვათ, რომ იმპერატორებს, მეფეებსა და თავადებს ძალაუფლება ღვთითა აქვთ მინიჭებული, რომ მონარქებს ღმერთი და წმინდანები იცავენ. აი, რატომაა ვენეციის ოქროს მონეტაზე, ცეხინზე, ქალაქის მფარველის—წმინდა მარკუსის წინაშე მუხლმოდრეკილი დოჟი გამოსახული. ბიზანტიის ოქროს მონეტაზე — სოლიდზე გამოსახულ მდიდრულად შემოსილ თვითმპყრობელს კი ხელში მეფური ღირსების აღმნიშვნელი საგნები უპყრია, გვერდით ღვთისმშობელი უდგას და მარჯვენა ხელი მეფისათვის დაუდვია თავზე.

XIII საუკუნის დასაწყისში სიცილიის მეფე და გერმანიის იმპერატორი იყო ფრიდრიხ II. ამ განათლებულ და ჭკვიან ადამიანს არა ერთხელ გამოუთქვამს ეჭვი საეკლესიო დოგმების სამართლიანობაზე, თუმცა ამ შეხედულებებს ხელი არ შეუშლია მისთვის, სიცილიის ეკლესია თავისი პოლიტიკური ინტერესებისათვის გამოეყენებინა. ფრიდრიხი ეომებოდა რომის პაპს და ისწრაფოდა დაემტკიცებინა, რომ პოლიტიკური ხელისუფლების სათავე იტალიაში თვითონ უნდა ჰქონოდა ხელთ, რადგან სწორედ ის იყო რომის იმპერატორების მემკვიდრე. ამ იდეის შესაბამი-

სად ავგუსტალებზე. ფრიდრიხ II-ის მონეტებზე, იმპერატორს ანტიკურ ტანსაცმელში გამოხატავდნენ, თუმცა ამ ტანსაცმელს მისი თანამედროვეები უკვე აღარ ატარებდნენ. ავგუსტალზე გამოსახულია სწორნაკვთებიანი ნატიფი სახე, მბრძანებელს თავზე თმის საკრავი აქვს გადაჭერილი, მოსასხამი — მარჯვენა მხარეზე შესაკრავით დამაგრებული. ეს პორტრეტი კი არა, ანტიკური მანერით შესრულებული იდეალიზებული გამოსახულებაა.

ძველი მონეტების გამოსახულებანი ზოგჯერ საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ამა თუ იმ სახელმწიფოს სამეურნეო ცხოვრებაზე. ძველ საბერძნეთში ყოველი ქალაქი თავის მონეტას ჭრიდა, ამიტომ გამოსახულებები ძველ ბერძნულ მონეტებზე არაჩვეულებრივად მრავალფეროვანია: გამოსახულია ღმერთების ან ქალღმერთების თავები, ამა თუ იმ ღმერთებისადმი შეწირული ცხოველები (მაგალითად, ლომის სახე, რომელსაც თაყვანს სცემდნენ, როგორც აპოლონის ღვთიურ ცხოველს) და ქალაქების სიმბოლური ნიშნები. ყირიმის პატარა ბერძნული ქალაქი მირმექიონი თავის მონეტებზე ჭედდა ჭიანჭველის გამოსახულებას (ბერძნულად „მირმექს“ ჭიანჭველას ნიშნავს), რაც ამ ქალაქის სიმბოლო იყო. ამავე დროს, ბერძნულ მონეტებზე ვხვდებით სხვა სახის გამოსახულებასაც. მეღვინეობით ცნობილი ქალაქები მონეტებზე ყურძნის მტევანსა და ვაზს ამოჭრიდნენ ხოლმე. აღმოსავლეთ ყირიმში მდებარე ქალაქ პანტიკაპეას მონეტებზე გამოსახულია ხან თართი, ხან თავთავი, ხან კი გუთანი. ყველა ეს ნიშანი პანტიკაპეას სამეურნეო ცხოვრებაზე მიგვითითებს, ამ ქალაქისათვის პურის მოყვანა და თევზისჭერა სინამდვილეშიც სიმდიდრის მოპოვების უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა.

ზოგიერთი რამ გამოსახულებებზე

მოდით, ცოტათი უკან დავიხიოთ.

ძველი გამოსახულებები მხოლოდ მონეტებზე როდი შემორჩენილა. პირველყოფილი მხატვრები კლდეებზე ხატავდ-



მოსავლის აღება ეგვიპტეში

ნენ იმ ცხოველებს, რაზეც ნადირობდნენ. ასურეთის მეფეები ბრძანებდნენ, მათი სასახლეების ქვის ფილებზე გამოესახათ ომები, ალყა და ბრძოლები. ფარაონებისა და ეგვიპტის დიდებულთა აკლდამებში წარმოდგენილია სცენები სამოთხის ცხოვრებიდან: ნაყოფით დახუნძლული ხეები, ჩრდილიანი ბაღები და არხების კამკამა წყალი—თაკარა მზითა და უდაბნოს სუნთქვით გათანგული ნილოსის ველის მცხოვრებთა ოცნების საზღვარი; მხიარული ნადიმები და ლერწმიანში ნადირობა; ასობით მონა ხნავს და აღებულ მოსავალს თავიანთი ბატონის ბეღლებში ყრის; უსახელო მშრომელები შინაურ ფრინველებს მიერეკებიან და მუხლმოყრილნი სთავაზობენ გოროზ ხარკის ამკრეფთ.

შუა საუკუნეების ხელნაწერები სავსეა მინიატურებით — ათასფერი საღებავებით შესრულებული ერთი ციცქნა ნახატებით. ზოგ მინიატურაში დასურათებულია ბიბლიის თქმულებები: წარღვნა, ეგვიპტიდან ებრაელების წასვლა, იერუსალიმის ალყა. ზოგან ბრძოლების, ელჩების მიღებისა და დაკრძალვის სცენებსაც ვხედავთ. მინიატურებით შემკულ ხელნაწერებს მოხატულს უწოდებენ. რუსული მოხატული

ხელნაწერებიდან განსაკუთრებით ცნობილია რაძივილისეული ბიბლიანე, მის მინიატურებში წარმოდგენილია ძველი რუსეთის ისტორიის მნიშვნელოვანი ამბები.

ძველ გამოსახულებებს — ქვაზე იქნება ის შესრულებული, ხეზე თუ ქაღალდზე, საღებავებით იქნება დახატული თუ საჭრისით ამოკვეთილი — ისტორიკოსისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი ეხმარებიან მას, თვალნათლივ გაეცნოს დიდი ხნის წინ გადაშენებულ თაობათა ყოფას, მათ ჩაცმულობას, აღჭურვილობას, ავეჯეულობასა და შრომა-საქმიანობას. ძველი ნახატი ხშირად შველის არქეოლოგს გათხრების დროს ნაპოვნი ნივთის დანიშნულების დადგენაშიც.

ძველ გამოსახულებათა განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის გერბები. გერბი არც რეალისტური ნახატია და არც რაიმე ცხოვრებისეული სცენა: ის არ გამოგვადგება წინანდელი ყოფის შესასწავლ წყაროდ. იგი სიმბოლური, პირობითი გამოსახულებაა, ნიშანია, რომელსაც ისაკუთრებს ესა თუ ის ადამიანი. პირველი გერბები ინდივიდუალური ნიშნები იყო. დროთა განმავლობაში იწყეს მათი შთამომავლობითი გადაცემა. ბოლოს კი მთავრებისა და ფეოდალური დიდკაცობის საგვარეულო გერბებად აქციეს.

აბჯარასხმული და სახეზე ზარადჩამოფარებული შუა საუკუნეების რაინდი ბრძოლაში თუ ასპარეზობაზე სხვა რაინდებისაგან მხოლოდ თავისი გერბით გამოირჩეოდა. უფრო მოგვიანებით თავადებმა თავიანთი სახლების, კარეტების, ავეჯისა და მსახურთა ლივრეის გერბებით შემკობა დაიწყეს.

შუა საუკუნეების გერბი გარკვეული ელემენტებისაგან შედგებოდა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: ფარი, ზედ გამოსახული სხვადასხვაგვარი ფიგურებითა და აქეთ-იქით მდგომი ფაროსნებით (ლომები, მარტორქები, კეტებით შეიარაღებული გოლიათები); ფარს ზემოთ სამკაულიანი მუზარადი (სამკაული ხშირად იმეორებდა ფარზე გამოხატულ რომელიმე ფიგურას); გერბისათვის ფონის მიმცემი მანტია და, რასაკვირველია, დევიზი.

პატარა ქალაქ სტრატფორდის ყასბის შვილს, დიდ ინგლისელ დრამატურგს უილიამ შექსპირს, გავლენიანმა მფარველებმა გარჯით მოუპოვეს გერბი საკმაოდ ირონიული დევი-

ზით: „არც თუ ისე დაუმსახურებლად“. ამ გავლენიან პირებს მხოლოდ იმიტომ სძულდათ მწერალი და ცდილობდნენ მის დამცირებას, რომ ისინი თავადები იყვნენ და საგვარეულო გერბების მთელ გროვას ფლობდნენ. მაგრამ დრომ თვითონ დასცინა მათ. იმ ადამიანის სახელი, რომლის გერბს ორაზროვანი დევიზი ამშვენებდა, საუკუნეებს შემორჩა, ხოლო მისი მფარველები საკუთარ გერბებთან ერთად სამუდამოდ დაივიწყეს.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში შეიქმნა გერბების შემსწავლელი საგანგებო დარგი — ჰერალდიკა. შუა საუკუნეების თავადთა ნიშნებისა და საგვარეულო გერბების შესწავლა ეხმარება ისტორიკოსს დააზუსტოს თავადების საგვარეულოთა ბედი, განსაზღვროს, თუ რომელ ფეოდალს ეკუთვნოდა საბუთებზე დასმული ბეჭედი, ანდა გათხრების დროს ნაპოვნ ნივთზე რომელი თავადის ნიშანია აღბეჭდილი.

ამგვარად, გამოსახულებები საერთოდ, და განსაკუთრებით კი მონეტისა, წარმოადგენენ ძალზე მნიშვნელოვანი ცნობების წყაროს.

მაშ, რას გვიამბობს მონეტის ლეგენდა?

ბერძნები შუა აზიის ტახტზე

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ძველ მონეტებზე წარწერილი ლეგენდები წარმოადგენდნენ მთელ ტრაქტატებს ისტორიასა და პოლიტიკურ წყობილებაზე. ცხადია, პატარა მონეტაზე მთელი ნაწარმოები ვერ დაიწერებოდა. არსებობს ძველი მონეტები, რომლებიც ნახევარ გრამზე ნაკლებსაც კი იწონიან! ამიტომ ლეგენდა ძალაუნებურად მოკლეა: ზოგჯერ მონეტაზე მხოლოდ იმ ქალაქის სახელწოდება წერია, სადაც მოჭრეს; ზოგჯერ მხოლოდ მმართველის სახელი და ტიტულია წარწერილი („დიდი მეფე ევკრატიდე“), იშვიათადაა კიდევ რაიმე დამატებითი ცნობები. მაგალითად, ბიზანტიის იმპერატორ ანასტასი I-ის მონეტაზე, რომელიც V-VI საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა, აღნიშნული იყო სამონეტო სახელოსნოს ნომერი. ხშირად მონეტაზე წარწერილი ლეგენდის ცალკეუ-

ლი სიტყვები შემოკლებულია (ადგილის ეკონომიის მიზნით). ზოგიერთი ასეთი შემოკლება დღემდე ამოუხსნელი რჩება.

მიუხედავად ამისა, მოკლე ლეგენდიდანაც კი შეიძლება ამოვკრიფოთ ისეთი ცნობები, რომლებსაც ვერც ერთ სხვა ისტორიულ ძეგლში ვერ შევხვდებით. მაგალითად, ძველი ავტორებიდან არავის მოუხსენიებია სიცილიის ქალაქი სილერი. მისი არსებობა ძვ. წ. IV საუკუნის შუა წლებში ამ ქალაქში მოჭრილი ბრინჯაოს მონეტების წყალობით შევიტყვეთ მხოლოდ.

ძვ. წ. III საუკუნის შუა ხანებში ალექსანდრე მაკედონელის ვრცელი იმპერიის ნანგრევებზე წარმოიშვა ბაქტრიის სახელმწიფო. ბაქტრია დღევანდელი შუა აზიის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა და ერთ ხანს მორჩილებაში ჰყავდა ჩრდილო ინდოეთის ოლქებიც.

წერილობითი წყაროები ბაქტრიაზე ძალზე მცირეა. ბერძენი და ჩინელი მწერლები ხანდახან თუ მოიხსენიებდნენ იმდროინდელი ამბების აღწერისას, მაგრამ ეს მწერლებიც შორს ცხოვრობდნენ ბაქტრიის საზღვრებიდან და მის ისტორიასაც ნაკლებად იცნობდნენ.

ბაქტრიის მმართველები ბერძნულ ენაზე შედგენილ ლეგენდებიან ვერცხლისა და სპილენძის მონეტებს ჭრიდნენ. ამ ლეგენდებიდან გავიგეთ მაშინდელი მეფეების — ევტიდემეს, დემეტრიოსის, ევკრატიდეს — სახელები. ყველა ეს სახელი ბერძნულია. ნუმიზმატიკური მონაცემებისა და ბაქტრიის შესახებ არსებული წერილობითი ძეგლებიდან ამოკრეფილი ძუნწი ცნობების საფუძველზე მეცნიერებმა დაადგინეს ბერძენ-ბაქტრიელ მეფეთა მმართველობის თანმიმდევრობა და დაახლოებით მათი მეფობის წლებიც. რადგანაც ევკრატიდეს სპილენძის მონეტების წარწერები ორენოვანია — ბერძნულ და ინდურ ენებზე — მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს ფულები განკუთვნილი იყო ინდოეთისათვის, რომელიც ევკრატიდეს მეფობის დროს (იგი ლეგენდებში თავის თავს „დიდ მეფეს“ და „მხსნელს“ უწოდებს) ბაქტრიის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

მონეტებზე აისახა შუა საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრებაც. შუა საუკუნეებში ევროპის სახელმწიფოების უმეტეს-

მა ნაწილმა ფეოდალური დაქუცმაცებულობის ხანა გაიარა: სამეფოები იშლებოდა სამთავროებად და საგრაფოებად, რომელთა მმართველები დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ. ყველა დამოუკიდებელი სენიორი — ჰერცოგი, გრაფი, ეპისკოპოსი, მონასტრის აბატი — საკუთარ ფულს ჭრიდა. საკუთარ მონეტას ჭრიდნენ აგრეთვე ქალაქებიც. შუა საუკუნეების მონეტების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, როდის დაიწყო ფეოდალური დაქუცმაცებულობა ამა თუ იმ ქვეყანაში. მაგალითად, საფრანგეთში ფეოდალმა სენიორებმა საკუთარი მონეტების გაცხოველებული მოჭრა დაიწყეს უკვე X საუკუნის შუა წლებიდან, ხოლო გერმანიაში — შედარებით მოგვიანებით, XII საუკუნის შუა ხანიდან.

მონეტა და გეოგრაფიული რუკა

დავუბრუნდეთ ჩვენს ვაჭარს, ამ თავის დასაწყისში რომ მოვიხსენიეთ. ჩვენ არც სახელი ვიცით მისი და არც ის, თუ რა ბედი ეწია. მართალი გითხრათ, მისი თავგადასავალი — გახარებული როგორ სინჯავდა თავის ქისას ისე, რომ არც დაფიქრებულა ხვალინდელ დღეზე — ჩემი ფანტაზიის ნაყოფია. მსგავსი ამბავი არც ერთი წყაროდან არ ამომიკითხავს. მაგრამ უდავოა, რომ კიევის მიწა-წყალზე მოგზაურობდნენ რუსი, ბიზანტიელი თუ არაბი ვაჭრები და დროდადრო მიწაში მარხავდნენ განძს. რაღაც მიზეზების გამო ამ განძთა ნაწილი ზოგმა ვეღარ ამოთხარა. დაფლულ სიმდიდრეს საუკუნეების განმავლობაში ფარავდა მიწა და ბოლოს არქეოლოგებისა და ნუმიზმატების საკუთრებად იქცა.

თუ რუკაზე გადავიტანთ იმ ადგილებს, სადაც X—XI საუკუნეების არაბული და ბიზანტიური მონეტები იქნა ნაპოვნი, ისინი განლაგდებიან გარკვეულ ხაზებზე. ამათგან მთავარი ორი ხაზი იქნება: ერთი გაყვება მდინარე ვოლგას, მეორე — დნეპრს (განსაკუთრებით ბევრია ასეთი ადგილები ვოლგისა და დნეპრის სათავეებთან და ნოვგოროდის რაიონში). ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის: განძს უმთავრესად იქ მარხავდნენ, სადაც დიდი სავაჭრო გზები გადიოდა. ამ გზებზე დადიო-

დნენ ვაჭრები ფულით სავსე ქისებით. ამრიგად, ამ რუკაზე აისახება ძველი სავაჭრო გზები. მართალია, შიგადაშიგ ისინი წყვეტილი პუნქტირებით წარმოგვიდგება, მაგრამ ვერც ერთი წერილობითი წყარო ისეთი სიზუსტით ვერ მოგვაწვდის ცნობებს ადრეული შუა საუკუნეების სავაჭრო გზებზე, როგორც ეს რუკა.

აი, წარსული ცხოვრების კიდევ ერთი მხარე, რომელიც შეიძლება გაგვაცნოს ნუმიზმატიკამ.

აღორძინებაა თუ დაცემა?

მიწაში ნაპოვნი სხვა მრავალი ნივთიდან მონეტა იმით გამოირჩევა, რომ იგი, როგორც წესი, ზუსტადაა დათარიღებული. მათი საშუალებით ზოგჯერ წლის, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, იმის დადგენა შეიძლება, ვისი მეფობის დროსაა მოჭრილი ფული. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს მონეტები იმის გასარკვევად გამოვიყენოთ, თუ როდის განიცადა ამა თუ იმ ქვეყანამ სამეურნეო აღმავლობა ანდა დაცემა. ამ მხრივ ნუმიზმატიკის მონაცემები ხშირად უფრო არსებითი აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე ძველი მწერლების ცნობები.

ამ სიტყვებმა, ერთის შეხედვით, შეიძლება გაკვირვებაც გამოიწვიოს: ძველ მწერლებს ხომ ზოგჯერ ნათლად აქვთ ასახული ქვეყნის ეკონომიური აყვავებისა თუ დაცემის სურათი, შიმშილობა თუ სიღატაკე, როგორ შეედრება წარსულის ამ საუკეთესო მოწამეს გაცვეთილი მონეტა?

მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი არსებითი გარემოება: ძველი ავტორის მიერ ნათლად დახატულმა წარსულის სურათმა შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. როდესაც ძველი დროის მწერალი ამა თუ იმ ქალაქის აყვავებაზე ლაპარაკობს, ის არ ხელმძღვანელობს ზუსტი საშუალო წლიური სტატისტიკური მონაცემებით; ძველ დროში არც აწარმოებდნენ შემოსავლის და გასავლის აღრიცხვას. მწერალი ხელმძღვანელობს თავისი საკუთარი დაკვირვებებით, ან მისი ნაცნობი ადამიანების ნაამბობით. მაგრამ მწერლის, ან მისი ნაცნობების დაკვირვებანი ბევრად იყო დამოკიდებული მთელ რიგ გარემოებებზე: იმაზე, თუ როგორ ურთიერთობაში იყვნენ

ისინი ქალაქის მმართველთან, როგორი შეხედულებები ჰქონდათ საზოგადოების მაშინდელ მდგომარეობაზე, როგორი იყო მათი განათლებისა და ამ ქალაქის წარსული ისტორიის ცოდნის დონე და, ბოლოს, თვით ადამიანის ხასიათზეც. ზოგჯერ ასეც ხდება: ორი სხვადასხვა მწერალი აგვიწერს ერთსა და იმავე ქალაქის ერთსა და იმავე პერიოდს, მაგრამ ერთი ლაპარაკობს მის ეკონომიურ აღმავლობაზე, მეორე — ეკონომიურ დაცემაზე. მონეტა კი, ძველი მწერლის ნაწარმოებისაგან განსხვავებით, სინამდვილის ანარეკლს კი არ წარმოადგენს, არამედ თვით ამ სინამდვილის ნაწილია.

რასაკვირველია, მეტად დიდი სიფრთხილე გვმართებს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგ შემთხვევაში შეიძლება შეცდომაც დავუშვათ, თუ მხოლოდ ნუმიზმატიკურ მონაცემებს დავენდობით. ასე მაგალითად, ათენში დიდხანს იყო შიმოქცევაში ვერცხლის ფული, ხოლო V საუკუნის ბოლოდან დაიწყეს ოქროს მონეტის მოჭრა. რა არის ეს? ქალაქის ეკონომიური აღმავლობის, მისი სიმდიდრისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის ნიშანი? სრულიადაც არა: იმ წლებში ათენელები მძიმე (ეგრეთ წოდებულ პელოპონესის) ომში იყვნენ ჩაბმული სპარტასთან და მის მოკავშირეებთან და V საუკუნის ბოლოს დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდნენ. მდგომარეობა განსაკუთრებით იმიტომ გაუარესდა, რომ სპარტელებმა შეძლეს მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარების მიღება სპარსელებისაგან; ათენელებს კი სახსრები აღარ ეყოთ და იძულებული გახდნენ პართენონის ოქროს ქანდაკებები გადაედნოთ, რათა მისგან ფული მოეჭრათ. ამგვარად, ათენის ოქროს მონეტა ქალაქის აყვავებასა და სიმდიდრეზე კი არ მეტყველებს, არამედ მის გაჭირვებასა და სიღატაკეზე.

მიუხედავად ამისა, ნუმიზმატიკა მაინც აძლევს საშუალებას მეცნიერებს შეამოწმონ, დააზუსტონ და ზოგჯერ გადასინჯონ კიდეც ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდებზე თავიანთი დასკვნები. აქ უკვე ლაპარაკია არა იმპერატორ კონსტანტინეს წვერზე, არამედ იმაზე, სწორად არის თუ არა გაგებული მთელი ეპოქები!

ახ. წ. V საუკუნეში დასავლეთ რომის იმპერია დაემხო. ბარბაროსებმა დაიპყრეს გალია, ესპანეთი, აფრიკა, იტალია,

ხელში ჩაიგდეს რომის დიდებულთა ვილები. ოდესღაც ძლიერი იმპერია სამეფოებად დაიშალა; ამ სამეფოებს განაგებდნენ ბარბაროსთა ბელადები, რომლებმაც არ იცოდნენ ლათინური ლექსთწყობის წესები, მაგრამ კარგად ფლობდნენ მახვილს. რომის არისტოკრატიის უკანასკნელი წარმომადგენლები დასცინოდნენ საკუთარ თავს და თხზავდნენ პანეგირიკებს, სადაც ქება-დიდებას ასხამდნენ ახალი მმართველების კეთილშობილებასა და ჭკუა-გონებას, რომლებიც ნელ-ნელა ეჩვეოდნენ აბანოებსა და ანტიკური ცივილიზაციის სხვა მიღწევას. ქრისტიანები ამტკიცებდნენ: რომის სახელმწიფო ღვთის ნებასურვილით დაემხო, რადგან რომაელებს ცოდვები ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარიო, და წინასწარმეტყველებდნენ, მალე მოეღინება ქვეყნიერებას ღვთის მეუფებაო.

რა მოუვიდა იმდროინდელ რომის იმპერიას? მართლა შეწყდა დასავლეთის სავაჭრო ურთიერთობანი აღმოსავლეთის მდიდარ ქალაქებთან? მართლა შეწყვიტეს ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილების, იუველირთა ნაკეთობების, მინისა და პაპირუსის შემოტანა აღმოსავლეთიდან? მართლა შეწყვიტეს არსებობა ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრმა-ქალაქებმა, ანდა მთელი სამეურნეო საქმიანობა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობამდე, უბრალო თიხის ჭურჭლისა და შინნაქსოვი ტანსაცმლის დამზადებამდე მართლა დავიდა?

თუ იმ დროის მწერლების თხზულებებს მივმართავთ, აღმოჩნდება, რომ მათ მიერ მოწოდებული ცნობები ურთიერთსაწინააღმდეგოა: ზოგან ქალაქების გაპარტახებაზე ჩივიან და გვაუწყებენ, რომ რომის მოედნებზე პური მოყავდათო. ზოგ ნაწარმოებებში კი, პირიქით, ლაპარაკია სამხრეთ გალიის ქალაქებში სირიელი ვაჭრების გაცხოველებულ საქმიანობაზე, იტალიაში გემთსაშენებისა და ძოწეულის დამამზადებელი სახელოსნოების მშენებლობაზე. ისტორიკოსი საგონებელში ვარდება, — როგორღა გაარკვიოს, განიცადა თუ არა V საუკუნეში დასავლეთ ევროპამ ეკონომიური დაცემა?

აქ ისტორიკოსს ნუმიზმატი შველის. მას ხელთ ნაკლებად დაკვირვებული და საქმეში ნაკლებად ჩახედული თანამედროვის შთაბეჭდილებანი კი არა აქვს, არამედ ათასობით ძველრომაული მონეტა: ოქროს სოლიდები, ვერცხლის დინარები.

სპილენძის ნუმები — იმ დროის ზარაფხანების უტყუარი ნაწარმი. მეცნიერებს შეუძლიათ გამოარკვიონ, რომელ საუკუნეშია მოჭრილი ესა თუ ის დინარი, გაზომონ მისი დიამეტრი და გაიგონ წონა, შეუძლიათ განსაზღვრონ ვერცხლის ხარისხი. ვნახოთ, რას მივიღებთ შედეგად.

აღმოჩნდება, რომ უკვე V საუკუნის დასაწყისში რომაული სპილენძისა და ვერცხლის მონეტების მოჭრის საქმე თითქმის მთლიანად იყო ჩაშლილი: IV საუკუნეში მიმოქცევაში მყოფი სხვადასხვა სახის მონეტების დიდი ნაწილი თანდათანობით ქრებოდა, V საუკუნის ზარაფხანები კი მხოლოდ ძალიან წვრილ სპილენძის მონეტებსღა ჭრიდნენ და იმასაც უმნიშვნელო რაოდენობით. მართალია, V საუკუნის დასასრულიდან იტალიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში კვლავ დაიწყეს კარგი ხარისხის სპილენძის ფულის გამოშვება, მაგრამ ესპანეთსა და გალიაში ფულის ჭრის საქმე სულ უფრო და უფრო უარესდებოდა, ხოლო VI საუკუნის შუა ხანებიდან წვრილი მონეტების გამოშვებაც სრულიად შეწყდა.

შევეცადოთ, ზემოთ ნათქვამი ნუმიზმატიკის ენიდან ისტორიის ენაზე გადავიტანოთ. ამისათვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ დროს ყოველდღიურ ანგარიშსწორებას სწორედ სპილენძისა და ვერცხლის მონეტით აწარმოებდნენ. ამიტომაც ევროპის დასავლეთ ოლქებში მონეტის მოჭრის შემცირება და შემდეგ მთლიანად შეწყვეტა დაკავშირებული იყო ვაჭრობის მკვეთრ შემცირებასთან და, მაშასადამე, სამეურნეო დაცემის დაწყებასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ დროს ყოველი გლეხის ოჯახი ნამდვილად ამზადებდა საკუთარი საშუალებებით მარტივ სახელოსნო იარაღებსა და ჭურჭელს; უფრო მეტიც, თვით მსხვილი მიწის მესაკუთრენიც იშვიათად მიმართავდნენ ბაზარს და თავიანთი გლეხებისაგან იღებდნენ არა მარტო ხორბალსა და კვერცხს, არამედ ქსოვილებს, ცხენის ნალებსა და მოთრიმლულ ცხვრის ტყავსაც კი ზამთრისათვის. ამასთანავე, ირკვევა, რომ სამეურნეო დაცემა უფრო მეტად გალიაში იგრძნობოდა, ვიდრე იტალიაში. ზოგჯერ ცდილობდნენ კიდეც განეახლებინათ გასავლიანი მონეტების მოჭრა; ეს კი, თუმცა ცოტა ხნით, მაგრამ მაინც ვაჭრობის გამოცოცხლებას ნიშნავდა.

იმ დროს, როდესაც დასავლეთ რომის იმპერია დაემხო და მის ტერიტორიაზე ბარბაროსული სამეფოები შეიქმნა, აღმოსავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქმა — კონსტანტინოპოლმა გაუძლო სლავებისა და არაბების გარემოცვას. იმპერია, რომლის მცხოვრებნი ბერძნულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ თავს ძველებურად რომაელებს უწოდებდნენ, ისევ არსებობდა. დიდხანს უპირისპირებდნენ ისტორიკოსები ადრეული შუა საუკუნეებისდროინდელი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბედს: დასავლეთში, ამბობდნენ ისინი, გაიმარჯვა ბარბაროსობამ, აღმოსავლეთს კი შემორჩა რომის კულტურის სახელოვანი ტრადიციები; დასავლეთში მეფეები ცხვრის ტყაპუჭებს იცვამდნენ, აღმოსავლეთში კი არა მარტო იმპერატორი, არამედ კარისკაცებიც აბრეშუმის ტანსაცმელს ატარებდნენ; დასავლეთში ძელურ ქოხებში ცხოვრობდნენ, აღმოსავლეთში კი აგებდნენ მოზაიკით დამშვენებულ გრანდიოზულ ეკლესიებსო.

მართლა ასე იყო? დახმარებისათვის კვლავ ნუმიზმატს უნდა მივმართოთ, თუ გვინდა გავერკვეთ აღმოსავლეთ რომის იმპერიაში მომხდარ სამეურნეო ცვლილებებში. ისევ მონეტა, რომლის მოჭრის დრო ზუსტადაა ცნობილი, გვამცნობს, თუ როდის დაიწყო აღმოსავლეთში სამეურნეო დაცემის ხანა. ეს არ მომხდარა VI საუკუნეში, როდესაც ზარაფხანები კონსტანტინოპოლსა და სხვა ქალაქებში სხვადასხვა სახის სპილენძის ნუმებს ჭრიდნენ. არ მომხდარა არც VII საუკუნის შუა წლებში, როდესაც იმპერატორები სრულფასოვან ვერცხლის მონეტებს უშვებდნენ. VII საუკუნის დასასრულიდან კი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა: მართალია, სპილენძის ნუმების მოჭრას განაგრძობდნენ, მაგრამ წინანდელთან შედარებით ნაკლები რაოდენობით ჭრიდნენ. ოქროს სოლიდებსა და ვერცხლის მილიარისებსაც ნაკლები რაოდენობით უშვებენ, უმთავრესად რომელიმე საზეიმო მოვლენასთან დაკავშირებით: მაგალითად, ისინი განკუთვნილი იყო იმპერატორის კორონაციის შემდეგ სასახლის მსახურთათვის დასარიგებლად. მაგრამ ამ ფულს პურის, ცხენის ან მოსასხამის საყიდლად როდი იყენებდნენ, ეს იყო მონეტა-პლაკატი, მონეტა-მედალი, სამახსოვრო მონეტა. მაშასადამე, აქაც, აღმოსავლეთ რომის

·იმპერიაშიც, დადგა სამეურნეო დაცემის ხანა, მხოლოდ უფრო გვიან, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, — VII საუკუნის დასასრულს.

ცხადია, ადამიანებს გული სწყდებოდათ ხოლმე, როცა ვერცხლის მონეტა ქვაზე გაიწკრიალებდა და წყალსადენ თხრილში ჩაგორდებოდა. ხოლო კიდევ უფრო მეტად ალბათ მაშინ წუხდნენ, როდესაც სახლ-კარისა და მიწაში ჩაფლული ფულით სავსე ქოთნების დატოვება უხდებოდათ. დაკარგული დირჰემებისა და მილიარისების გამო რამდენი უვიშვიშიათ ხარბ მევახშეებს, რამდენი ცრემლი უღვრიათ გლეხის ქალებს, როცა სახელმწიფო გადასახადის ამკრეფნი მისდგომიან კარს. რამდენი ქარგალი დაღონებულა საკუთარი დუქნის გასახსნელად კაპიკ-კაპიკ შეგროვილი ფულის დაკარგვით. მაგრამ განვლო საუკუნეებმა და ადამიანებმა, დანაკარგს რომ მისტიროდნენ, კარგა ხანია ჰპოვეს სამარადისო სიმშვიდე. დაკარგული ფულისა თუ მიწაში ჩატოვებული განძის ნაწილი კი ნაპოვნია და გაცვეთილი მონეტა დღეს დიდ დახმარებას გვიწევს შორეული წარსულის ისტორიის აღდგენაში.



ქვაზე ამოკვეთილი ასოები

უცნაური აფიშა

მკვდარ ქალაქ პომპეიში სახლების კედლებზე ბევრი წარწერა გადარჩა. აი, ერთი მათგანი (გადმოგცემთ ქართული ასოებით):

თ. მ.
გ. პუგნაქსი ნერ III
დ. მურანი ნერ III
კ. თ.
გ. კიკნოსი იულ IX
შ. ატიკოსი იულ XIV
ეს.
შ. ოსტორიუსი LI
გ. სკილაქსი იულ XXVI

თავის დროზე ამ წარწერასთან თავს იყრიდნენ პომპეელები და გაცხოველებით კამათობდნენ. ახლა კი უცებ ვერც გაიგებთ, რაზეა ლაპარაკი: წარწერა თითქოს სახელების, ci-

ფრებისა და შემოკლებათა უაზრო თავმოყრაა, მაგრამ თუ გავერკვევით ამ შემოკლებებსა და ციფრებში, მაშინ წარწერაში შეიძლება ამოვიკითხოთ თითქმის ორი ათასი წლის წინათ პომპეის ამფითეატრში მომხდარი სისხლიანი ამბები.

ძველად ამფითეატრს უწოდებდნენ იმ აღგილს, სადაც ქალაქის ხელისუფალნი, ან უბრალოდ მდიდარი მოქალაქენი, დროდადრო სანახაობებს აწყობდნენ მოსახლეობის გასართობად.

პომპეის ამფითეატრი ოცი ათასამდე კაცს იტევდა. იგი ქალაქის განაპირას, მისი სიმაგრეების მახლობლად მდებარეობდა. ცენტრში მოთავსებული იყო მერხებისაგან ორმეტრიანი ქვის კედლით გამოყოფილი ელიფსის ფორმის არენა, ქვის კედლის ზედა ფილებში ჩადგმული იყო რკინის ცხაური. აქ, ამფითეატრის ქვიშამოყრილ არენაზე, იმართებოდა იმ დროის რომაელთა საყვარელი გასართობები — გლადიატორთა ბრძოლა და ნადირთა დევნა.

გლადიატორები—პროფესიონალი მებრძოლები — წვრთნას საგანგებო სკოლებში გადიოდნენ. განსაკუთრებით განთქმული იყვნენ იულიუსელები და ნერონელები, ესე იგი, ისინი, ვინც იულიუს ცეზარისა და ნერონის მიერ დაარსებულ გლადიატორთა სკოლებში ემზადებოდნენ.

გლადიატორთა უმრავლესობა მონები იყვნენ, მაგრამ ზოგჯერ ლუკმაპურის საშოვნელად თავისუფალი ადამიანიც უერთდებოდა მათ რიგებს და როგორც კი გლადიატორად იქცეოდა, უსიტყვოდ ემორჩილებოდა გლადიატორთა ყაზარმის მკაცრ დისციპლინას. იგი ფიცს დებდა და ამ ფიცით უფლებას აძლევდა თავის პატრონებს, თუკი საჭიროდ მიიჩნევდნენ, დაეწვათ, შეებოჭათ, გაეწკეპლათ და მოეკლათ კიდეც.

რომაელებს გლადიატორები სძულდათ და, ამავე დროს, ეშინოდათ კიდეც მათი: ვარჯიშის დროს ტყუილად კი არ აძლევდნენ მხოლოდ ხის ხმლებით ბრძოლის უფლებას, ნამდვილ იარაღს კი არენაზე გასვლის წინ ურიგებდნენ. რომაელები აღტაცებულნიც იყვნენ გლადიატორთა ვაჟკაცობით, მათი სახელები და გამარჯვებათა რიცხვი ქალაქში ყველა ბიჭმა იცოდა, მათ გამოსახულებას კედლებზე ხატავდნენ და წარწერებს უკეთებდნენ. ამ წარწერებში ზოგან აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ, ზოგან კი — ზიზღსა და დაცინვას.

გლადიატორების ბრძოლა

არენაზე სხვადასხვანაირად შეიარაღებული გლადიატორები გამოდიოდნენ: თრაკიელები — ჩაფხუტით, მაღალი საბარკულლებით, მრუდე მახვილითა და პატარა მრგვალი ფარით. ჰოპლომახოსები საბარკულს მხოლოდ ერთ ფეხზე იცვამდნენ, სამაგიეროდ, თავს დიდი ფარით იცავდნენ, მახვილი კი სწორი და მოკლე ჰქონდათ; მურმილონების ჩაფხუტზე თევზი იყო გამოხატული; რეტიარიებს ჩაფხუტი არ ეხურათ და მხოლოდ ბადითა და სამკაპით იყვნენ შეიარაღებულნი; იყვნენ კიდევ მხედრები და ესედარიები, ისინი ეტლებით იბრძოდნენ. არც ერთ გლადიატორს გულ-მკერდი და ზურგი დაფარული არ ჰქონდა, ისინი თავს მხოლოდ ფარით იცავდნენ და ვაი მას, ვინც დაიჭრებოდა და ფარი ხელიდან გაუვარდებოდა.

გლადიატორები არენაზე წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ: რომის ბრწყინვალე დღესასწაულებზე ზოგჯერ გლადიატორთა

ასობით წყვილი იღებდა მონაწილეობას. დაჭრილ მებრძოლს უფლება ჰქონდა მაყურებლებისათვის შეწყალება ეთხოვა, თუ ისინი თითებს ასწევდნენ, მისი სიცოცხლე გადარჩენილი იყო. მაგრამ ბრბოს ხშირად სისხლი სწყუროდა და თითის დაბლა დაწევით მოითხოვდა, რომ მოწინააღმდეგეს დაჭრილისათვის ბოლო მოეღო.

ახლა დავუბრუნდეთ პომპეის წარწერას, რომლითაც ეს თავი დავიწყეთ.

ეს წარწერა აფიშა არის და გლადიატორთა ბრძოლების ამბავს გვაუწყებს. ადამიანმა იგი კედელზე გადაწერა მხოლოდ და ზოგადი ცნობისათვის ბრძოლის შედეგები დაურთო. გავშიფროთ ახლა ეს აფიშა:

იმ დღეს პირველ წყვილში იბრძოდნენ თრაკიელი (თ), სახელად პუგნაქსი, და მურმილონი (მ) მურანი. ორივე ნერონის (ნერ) სკოლიდან იყო და ორივე ამ შეხვედრამდე არენაზე სამჯერ იყო გამოსული. გაიმარჯვა (გ) პუგნაქსმა, ხოლო მურანი დაიღუპა (დ): ჩანს, მან ვერ გამოიწვია მაყურებელთა თანაგრძნობა და ულმობელმა პომპეელებმა თითები ძირს დაუშვეს.

მეორე წყვილში ჰოპლომახოსი (ჰ) კიკნოსი, რომელსაც უკვე ცხრა შეჯიბრებაში მიეღო მონაწილეობა, იბრძოდა გამოცდილი მებრძოლის, თრაკიელი ატიკოსის წინააღმდეგ. ატიკოსი მანამდე თოთხმეტ შეხვედრაში მონაწილეობდა. ორივე იულიუს ცეზარის (იულ) სკოლაში იწრთობოდა. გაიმარჯვა კიკნოსმა, ხოლო ატიკოსი შეიწყალეს (შ).

მესამე წყვილში იბრძოდნენ ესედარიები — მეეტლეები (ეს). ოსტორიუსი, რომელსაც უკვე ორმოცდათერთმეტჯერ ეცადა ბედი, დაამარცხა იულიუსელმა სკილაქსმა, მაგრამ დამარცხებული შეიწყალეს.

პომპეის სახლების კედლებზე ბევრი სხვა სახის წარწერაცაა შემორჩენილი. ამ წარწერების მნიშვნელოვანი ნაწილი თანამდებობის პირთა არჩევნების წინადღეს ჩნდებოდა ხოლმე: კედლებს ახლად მოაბათქაშებდნენ და მერე გამოცდილი მწერლები მას დაუსრულებელი მოწოდებებითა და შეხსენებებით ავსებდნენ. „მეზობლებო, გაიღვიძეთ და ხმა მიეცით ამპლიატუსს“, — ვკითხულობთ ერთ წარწერაზე, ხოლო ვინმე რუფი-

პომპეის წარწერა მოუწოდებს ხალხს, ხმა მისცენ კვინტუს პოსტუმია მოდესტას.

ნუსის სახლის კარზე აშკარა დაპირება მიუწერიათ: „ედილად აირჩიეთ პოპიდიუს საბინუსი, უპატიოსნესი ახალგაზრდა. რუფინუს, მხარი დაუჭირე მას და იგი შენ აგირჩევს“.

პომპეის წარწერები სამარადისო არსებობისათვის არ იყო გამიზნული: რამდენიმე თვეში დაივიწყებდნენ მურმილონ მურანს, მეოთხე შეხვედრის დროს თრაკიელი პუგნაქსის ხელით რომ დაიღუპა, ხოლო წარწერას, რომელიც რუფინუსს მოუწოდებდა ედილად (თანამდებობის პირია, ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს განაგებდა) ჭაბუკი პოპიდიუს საბინუსი აერჩია, ახალი ბათქაშით შელესავდნენ, 79 წელს ვეზუ-

ვი რომ არ ამოფრქვეულიყო. მან პომპეი გაანადგურა. მაგრამ შემოგვინახა სახლის კედლები და კედლებზე ამოკვეთილი წარწერები. ცხადია, ვისაც სურდა, თავისი სახელი საუკუნეებს შემორჩენოდა, ბათქაშზე კი არ წერდა, არამედ უფრო გამძლე მასალაზე.

ლათინურის დიადი ჟღერა

ჩრდილოეთ იტალიაში, იქ, სადაც მდინარე პო ადრიატიკის ზღვას ერთვის, მდინარის შესართავის მახლობლად, მდებარეობს პატარა ქალაქი რავენა. ეს ქალაქი ახ. წ. V საუკუნეში იტალიის დედაქალაქი იყო. ქალაქს მოხერხებული ნავსადგური და სქელი კედლები ჰქონდა, გარს ჭაობები ეკრა და მხოლოდ ერთადერთი მისასვლელი გააჩნდა, რაც მას თითქმის მიუვალს ხდიდა. ოსტგუთების მეფემ თეოდორიხმ ხმელეთიდან და ზღვიდან ალყა შემოარტყა რავენას. გარემოცვა ორწელიწადნახევარს გაგრძელდა და მხოლოდ შიმშილმა აიძულა ალყაშემორტყმულნი იარაღი დაეყარათ. ასე გაჭირვებით დამორჩილებული რავენა ოსტგუთების მეფემ თავის სატახტო ქალაქად გაიხადა. იგი იქვე, რავენაში აშენებულ მრგვალ ტაძარში დაკრძალეს. ამ ტაძრის გუმბათი ვეებერთელა მთლიანი ქვისგან იყო გამოკვეთილი.

1909 წლის ზაფხულში თეოდორიხის ქალაქს რუსი პოეტი ალექსანდრე ბლოკი ეწვია. მან მოინახულა მოზაიკით შემკული დიდებული ეკლესიები და თეოდორიხის აკლდამა, რომელიც რავენას წარსულ დიდებაზე ღაღადებდა. ახლა კი ქალაქი მიყრუებული და უდაბური იყო:

ახალი ზვარი, ახალი კერა
წარსულს შემუსვრილს ექცა სამარედ
და ლათინურის დიადი ჟღერა
დარჩა საფლავის ქვების ამარა[1].

რავენის შემორჩენილ წარწერებში მოხსენიებულია იმ დროის მეზღვაურები და ხომალდების მშენებელი ხუროები; რომისდროინდელი თანამდებობის პირნი და ოსტგუთების მეფის

[1] თარგმანი რ. თვარაძისა.

კარისკაცნი. წარწერები ქება-დიდებას ასხამენ თეოდორიხს, მას, ვინც ჭაობები ამოაშრო და ბაღნარად აქცია იქაურობა.

მარტო-რავენაში კი არა, მთელი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზეა გაბნეული ლათინურწარწერებიანი ქვის ფილები. სადაც კი რომის ლეგიონები იდგნენ, — ბრიტანეთიდან მოყოლებული ევფრატის ნაპირებამდე, — ყველგან გაჩნდა ქვაზე წარწერები. ქერსონესში თავიანთი წარწერები დატოვეს კლავდიუსის XI ლეგიონის მეომრებმა, ხოლო აზერბაიჯანში, კასპიის ზღვიდან ოთხი კილომეტრის დაშორებით, აღმოაჩინეს XII ელვისებური ლეგიონის ასისთავის ლუციუს იულიუს მაქსიმუსის ლათინური წარწერა.

ლათინურის გვერდით თითქმის ყოველთვის გვხვდება ბერძნული წარწერებიც. დღემდე ასი ათასზე მეტი ასეთი წარწერაა შემორჩენილი.

პარნასის შიშველი ქვიანი მთაგრეხილის ძირას, იქ. სადაც ახლა ძლივს მოჟონავს კასტალიის წყარო, ოდესღაც იდგა ღმერთ აპოლონის სახელზე აგებული ცნობილი დელფოს ტაძარი. იგი განთქმული იყო თავისი მისნობით. აქ ჩამოდიოდნენ ქალაქებისა და ძლიერ მეფეთა ელჩები, რათა გაეგოთ თავიანთი მომავალი. აქ მოდიოდნენ რჩევისათვის, დაეწყოთ თუ არა ომი, დაექორწინებინათ თუ არა შვილი, წასულიყვნენ თუ არა სამოგზაუროდ. დელფოს ტაძრის საგანძურში უხვად მოედინებოდა სიმდიდრე: მოგვითხრობენ, რომ ლიდიის მეფე კრეზემ დელფოში ოქროს აგურებიც კი გამოგზავნაო.

გავიდა დრო, ტაძარი დაინგრა და მისი ნანგრევები მიწამ დაფარა, მაგრამ გაჩნდნენ არქეოლოგები, იქაურობა მიწისაგან გაწმინდეს და ტაძრისა და მასზე მიდგმული თეატრის ნაშთები, აპოლონის თაყვანისმცემლების შეწირული ქანდაკებები და წარწერებით დაფარული კედლები ნახეს. ქვებზე ამოჭრილი იყო დელფოელებისადმი გამოგზავნილი სხვადასხვა ქალაქისა და მეფის წერილები, გადაწყვეტილებანი მიწების დაყოფის შესახებ, დელფოს ტაძრის ქონების განმგებელ თანამდებობის პირთა ანგარიშგებანი, მონათა განთავისუფლების აქტები და სანოტო ნიშნიანი ჰიმნები.

ქვის ფილებზე ამოღერებული დიდებული ლათინური და არა ნაკლებ დიდებული ბერძნული ყოველთვის როდი გვაუწყებენ

გრანდიოზული გამარჯვებების, განადგურებული მტრის გაქცევისა და დაცემულ მეომართა გმირობის ამბებს. პირიქით, ამ წარწერებში, ჩვეულებრივ, ლაპარაკია ყოველდღიურ ამბებზე: ვინმე ეპამინონდი ეპამინონდის ძე გვატყობინებს, რომ საუზმე გავუმართე ქალაქის მთელ მოსახლეობას და მონებიც კი არ გამომიტოვებიაო; ერთ-ერთი წარწერა პატარა ბერძნულ ქალაქ ელევსინში თევზით სპეკულაციას კრძალავს; მეორეში—თრაკიის სოფლების მცხოვრებნი მძიმე გადასახადებს უჩივიან. სხვა წარწერაში დადგენილია აფრიკელ მიწათმოქმედთა უფლებები დასამუშავებელ ნადელებზე და მითითებულია, როგორი გადასახადების გადახდა ეკისრებათ მათ.

ასეთი წარწერები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიკოსისათვის, რადგან ისინი გვაცნობენ ანტიკური ქალაქების ყოფა-ცხოვრებას, ქონებრივ ურთიერთობებს, თანამდებობის პირთა მოვალეობებს, ხოლო ცხოვრების ეს მხარეები, ჩვეულებრივ, არ იპყრობდნენ ძველი ავტორების ყურადღებას: მათ თავიანთი მკითხველებისათვის განსაკუთრებული ამბებისა და სახელგანთქმული ადამიანების გაცნობა სურდათ მხოლოდ: ამასთანავე წარწერები, როგორც წესი, უტყუარი საბუთებია: მწერალს შეეძლო გადმოეცა საზავო ხელშეკრულების შინაარსი ისე, როგორც მას ახსოვდა, შემოკლებით ანდა სახეშეცვლილად, მაგრამ თუ ბედი გაგვიღიმებს და ვიპოვით ქვის ფილას, რომელზედაც ეს ხელშეკრულება იქნება ამოკვეთილი, მაშინ ჩვენ ხელთ გვექნება ნამდვილი ოფიციალური ტექსტი დაუმახინჯებლად.

ძველი მწერლები დაწვრილებით გადმოგვცემენ მსხვილ ცენტრებში — ათენში, სპარტაში, რომში — მომხდარ ამბებს, მაგრამ პროვინციული ქალაქების ისტორიას იშვიათად ეხებიან. წარწერები კი ყველგან რჩება. ამიტომაცაა, რომ ისინი ყველაზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ანტიკური სამყაროს პროვინციულ ცხოვრებაზე. ოდესღაც ყირიმში არსებულ ბერძნულ ქალაქებზე ძალიან ცოტა რამ გვეცოდინებოდა, იქ ნაპოვნი წარწერებიდან რომ არ შეგვეტყო მეტად საჭირო მრავალი წვრილმანი.

ანტიკური ქერსონესის ახალგაზრდა მოქალაქეებს, როგორც კი სრულწლოვანნი გახდებოდნენ, უნდა შეეფიცათ მშობლიუ-

რი ქალაქისათვის, რომ არ დაარღვევდნენ დემოკრატიას და აცნობებდნენ ხელისუფლებას იმათ სახელს, ვინც მის დამხობას განიზრახავდა. ისინი ფიცს დებდნენ, არ გაეცათ სახელმწიფო საიდუმლოება და თავიანთ სამფლობელოებში მოწეული პური მხოლოდ ქერსონესში გაეყიდათ. ქერსონელების ეს ფიცი, რომელიც ნათელს ფენს ქალაქში არსებულ მაშინდელ საზოგადოებრივ წესებს, მარმარილოს ფილაზეა ამოჭრილი. ეს ფილა გათხრების დროს ორად გაპობილი იპოვეს.

ქერსონესში ნაპოვნი მეორე წარწერა გვაუწყებს ძვ. წ. II საუკუნის ბოლოს ბოსფორზე მომხდარი აჯანყების ამბებს. აჯანყებულებს სავმაკის ხელმძღვანელობით ბოსფორის მეფე პერისადე მოუკლავთ და ქალაქი აუღიათ.

ამეტყველებული საფლავის ქვები

თუ ქვებზე ამოკვეთილი წარწერების კვალს გავყვებით, ეს გზა აუცილებლად ნეკროპოლთან მიგვიყვანს. ნეკროპოლი მკვდრების ქალაქს ნიშნავს, რასაც ახლა ჩვენ, ჩვეულებრივ, სასაფლაოს ვუწოდებთ.

ისე, როგორც ჩვენი თანამედროვენი, ძველი ათენელებიც საფლავზე ძეგლებს დგამდნენ: ეს იყო ზოგჯერ დიდი ქვისაგან დამზადებული რაიმე ჭურჭელი, ზოგჯერ — სტელები, ოთხკუთხედი ფილები. ამ ფილებზე მიცვალებულს გამოხატავდნენ თავისი ახლობლების წრეში. აი, სკამზე ზის ახალგაზრდა ქალი (წარწერიდან ვგებულობთ, რომ მას გეგესო ერქვა), წინ მონა ქალი უდგას და მისი საყვარელი სამკაულებით სავსე ყუთს აწვდის; აი, მნესაგორას სტელა, სტელაზე გამოსახულია თვით მნესაგორა და მისი პატარა ძმა. მარცხენა მუხლზე დაჩოქილი ბიჭუნა ხელებს მისკენ იწვდის. იქვე, გამოსახულებათა გვერდით, ძუნწი წარწერებია: რამდენიმე გამოსამშვიდობებელი სიტყვა მიცვალებულისადმი, მისი სახელი და იშვიათად — პროფესიაც. რისი გაგება შეუძლია ისტორიკოსს ამ მოკლე ფრაზებიდან?

რასაკვირველია, ერთი, ორი ან სამი ასეთი წარწერა მაინცადამაინც ვერ გაგვიმდიდრებდა წარმოდგენას შორეულ

„მშვიდობით, გეგესო!“
საფლავის ქვა

წარსულზე. მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი წარწერა უამრავია.

მცირე აზიაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ოდესღაც მდებარეობდა ქალაქი კორიკი. ძველი ავტორები მას ძალიან იშვიათად იხსენიებენ. სამაგიეროდ, კორიკის ნეკროპოლში შემონახულია ხუთასზე მეტი წარწერა (ეპიტაფია). ისინი ახ. წ. IV—VI საუკუნეებში ამოუკვეთიათ. ბევრ ეპიტაფიაზე გარდა სახელისა აღნიშნულია თვით მიცვალებულის, ან მისი მამის ხელობა, ანდა ორივესი ერთად: „მემაუდე თეოდოტე, კორიკელ მემაუდე დიონისეს ძე“.

მაშასადამე, თუ შევკრებთ კორიკის ეპიტაფიებში მოხსენიებულ ყველა პროფესიას, შეიძლება წარმოდგენა შეგვექმნას ხელოსნობის განვითარებაზე IV—VI საუკუნეების აღმოსავლეთ რომის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციულ ქალაქში. აქ გვხვდებიან მეთუნეები, მემაუდეები, ოქრომჭედლები, მეწაღეები, მედანეები, სელის ქსოვილის დამამზადებელი ოსტატები და სხვა ხელოსნები.

წარწერებში მოხსენიებულია ოსტატი-ხუროები, ექიმები, აბანოს მეპატრონეები, მებაღეები, სასაუზმეთა მფლობელები, წვრილი ვაჭრები და სხვ. წარწერებში ხშირადაა ნახსენები ღვინითა და სელის ქსოვილებით მოვაჭრეები. საფლავის ქვები დაუდგამთ სხვა ქალაქებიდან — ანტიოქიიდან, ნიკომედიიდან,

სხვადასხვა მეზობელი სოფლებიდან და შორეული ბიზანტიონიდან (კონსტანტინოპოლიდან) — გადმოსახლებული ადამიანებისათვისაც. არსებობს თვით მესაფლავეების, — ამ პროფესიასაც კი ვერ უხსნია ისინი სიკვდილისაგან, — ხუთი საფლავის ქვა.

როდესაც ძველი კორიკის მცხოვრებლები ქვაზე ჭრიდნენ მოკლე წარწერებს, ისინი ყველაზე ნაკლებად ფიქრობდნენ იმათზე, ვინც მომავალში ეპიტაფიების საშუალებით აღადგენდა მათი ქალაქის სამეურნეო ცხოვრების სურათს. სწორედ ამაშია კორიკის წარწერების მნიშვნელობა: მათი წყალობით ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ IV—VI საუკუნეების კორიკი ინტენსიურად ვაჭრობდა ღვინითა და სელის ქსოვილებით, ქალაქში მრავალი ხელოსანი ცხოვრობდა და იმპერიის სხვადასხვა კუთხეებიდან ხალხი იქ გადადიოდა საცხოვრებლად.

ეპიტაფია უტყუარი საბუთია და თუ მასში ნათქვამია, რომ საფლავის ქვის ქვეშ მეთუნეა დაკრძალული, ამ სიტყვების სიმართლეში ეჭვი არ შეგვეპარება. მაშასადამე, აღმოსავლეთ რომის იმპერიის ქალაქები IV—VI საუკუნეებში (კორიკი გამონაკლისი არ იქნება!) ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებად რჩებოდა, იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპაში ხელოსნობა და ვაჭრობა უკვე დაეცა. მაგრამ ასე მხოლოდ VI საუკუნემდე გაგრძელდა. უფრო მოგვიანებით კორიკი დაანგრიეს და მისი არსებობაც შეწყდა.

ყველა წარწერაში როდია მიცვალებულის პროფესია ნახსენები. მაგრამ ყველაზე ძუნწი ეპიტაფიებიც კი, მხოლოდ მკვდრების სახელებს რომ შეიცავს, ზოგჯერ დიდ დახმარებას გვიწევენ წარსულის აღდგენაში. ძველად დონის შესართავის მახლობლად არსებობდა ბერძნული კოლონია ტანაისი. იგი ბოსფორის სამეფოში შედიოდა. როგორ გავიგოთ, ვინ ცხოვრობდა ამ ქალაქში: ბერძნები თუ ადგილობრივი მცხოვრებნი? მეცნიერებმა გამოიკვლიეს ტანაისის ნეკროპოლის საფლავის წარწერები და დაასკვნეს, რომ სახელების ორმოცი პროცენტი ადგილობრივია და არა ბერძნული. ამასთანავე, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უდავოდ ბერძნულ სახელებს ატარებდა, მაშინ აღმოჩ-

ხდება, რომ ძველი ტანაისის მცხოვრებთა თითქმის ნახევარი სკვითების, სარმატებისა და შავიზღვისპირეთის სხვა ტომთა ხალხებისაგან შედგებოდა.

თუმცა, საფლავის ქვის წარწერები ყოველთვის არაა მოკლე და ძუნწი. ზოგჯერ ისინი პატარ-პატარა მოთხრობებს მოგვაგონებენ, მათში ლაპარაკია მიცვალებულის სათნოებაზე. რომის იმპერიისდროინდელ ერთ ეპიტაფიაში ვკითხულობთ:

ამ სამარეში განისვენებს პრესტანციუსი,
სახელგანთქმული ამა ქვეყნად პატიოსნებით.
უმეტეს სხვათა იყო იგი სვებედნიერი,
იყო უბრალო, გულკეთილი და იღბლიანი.
იცოდა ლხენა მწუხარებაგაურეველი
და არც სიკვდილს ინატროდა მოხუცთა მსგავსად,
რამეთუ სძულდა მას სიკვდილი და არც სჯეროდა.
იგი სამარეს მიაბარა მეუღლემ მისმა ,
და ცხარე ცრემლით დაიტირა მწუხარე ბედი[1].

ჩვენ არაფერი ვიცით პრესტანციუსზე, რომელსაც ცოლმა ასე გაუთქვა სახელი, და არც სხვა ასობით უცნობ ადამიანებზე, რომელთა გულკეთილობას, ალალმართლობასა და ლმობიერებას უკვდავყოფენ ეპიტაფიები. წარწერები აქვს ღარიბების, გათავისუფლებული მონებისა და თვით მონათა საფლავებსაც კი. მათი საფლავის ქვებზე გამოხატულია ხუროსა და მჭედლის ხელსაწყოები, ხოლო სიღარიბე და შრომისმოყვარეობა მიცვალებულის დამსახურებადაა მიჩნეული.

მაშასადამე, მარტივ პროზაულ (ხოლო ხშირად ლექსად დაწერილ) ეპიტაფიებში მეღავნდება ძველი რომის უბრალო ადამიანთა იდეალები. ეს იდეალები შორსაა მონათმფლობელური სამყაროს მორალისაგან. ალალმართლობა, შრომისმოყვარეობა, სიღარიბე არ იზიდავდა არისტოკრატსა და შეძლებულს. იგი მიჩვეული იყო მდიდრული ნადიმიდან გათენებისას დაბრუნებას, მისი ახირება სასწრაფოდ უნდა დაეკმაყოფილებინა ასობით მონას — მზარეულებს, მეკარეებს, მეაბანოეებსა და მკერავებს.

---

[1] თარგმანი შ. ჩანტლაძისა.

ეპიტაფიებში ალბათ ხშირად შელამაზებულია მათი პატრონების ღირსებანი: იქნებ ზოგი წარწერა იმ ადამიანის გულმოწყალებას ასხამს ხოტბას, ვინც სიცოცხლეში ულმობელი მსაჯული იყო, აქებს და ადიდებს იმ ადამიანის გულკეთილობას, ვისაც ამფითეატრში არაერთხელ დაუშვია თითი ძირს და დაუყვირია: „ბოლო მოუღე, არ დაინდოო!“ საფლავის ქვის წარწერების შესამოწმებლად უნდა ვიცნობდეთ მათი პატრონების ცხოვრებასა და საქმიანობას, მაგრამ თითქმის ყოველთვის მათზე მხოლოდ ის ვიცით, რაც წარწერაშია ნათქვამი.

ღვთაებრივი ავგუსტუსის საქმენი

ახ. წ. 14 წლის 19 აგვისტოს გარდაიცვალა რომის იმპერიის დამაარსებელი ოქტავიანუს-ავგუსტუსი. იგი დიდი პატივით დაკრძალეს. შეიკრიბა უამრავი ხალხი, მეომრები დასაკრძალ კოცონში ყრიდნენ მამაცობისათვის მიღებულ წარჩინების ნიშნებს. რომელიღაც სენატორი ირწმუნებოდა, საკუთარი თვალით ვნახე, ავგუსტუსი როგორ ამაღლდა კოცონიდან და ცაში როგორ აფრინდაო: იმპერატორის ქვრივმა არაფერი დაიშურა, რათა ღირსეულად დაესაჩუქრებინა სენატორი მისი მახვილი მხედველობისათვის, უფრო მეტად კი გონებაგამჭრიახობისათვის. დაკრძალვის შემდეგ მალე გამოიცა სენატის საგანგებო დადგენილება, რომლის თანახმად ავგუსტუსი ღმერთად იქნა აღიარებული.

ავგუსტუსის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ საბუთებს შორის იყო მისი საქმეთა სია, რომელიც, გარდაცვლილის სურვილისამებრ, სპილენძის ფირფიტებზე ამოკვეთეს და ავგუსტუსის მავზოლეუმის წინ დადეს.

რომაელმა მწერალმა სვეტონიუსმა შეადგინა ავგუსტუსის ცხოვრების აღწერა, სადაც მოიხსენია ეს ფირფიტები. მართალია, ამ ფირფიტებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ რომის იმპერიის სამ ქალაქში აღმოაჩინეს ქვაზე ამოჭრილი წარწერები. წარწერები ამ სიის პირებს შეიცავდა და სათაურად „ღვთაებრივი ავგუსტუსის საქმენი“ ეწერა.

„ღვთაებრივი ავგუსტუსის საქმენი“ საფლავის ქვის ჩვეუ-

ლებრივი წარწერა არაა; ეს ვრცელი დოკუმენტი მოგვითხრობს იმპერატორის გამარჯვებებსა და გულუხვობაზე, მის სამართლიანობასა და გულმოწყალეობაზე. ავგუსტუსი ხალხისთვის აწყობდა გლადიატორთა დიდ ბრძოლებს და გარეულ ნადირთა დევნას; ავგუსტუსს თავისი ფული სახელმწიფო ხაზინაში შეჰქონდა; ავგუსტუსმა საკუთარი სახსრებით ააშენა ტაძრები და საზოგადოებრივი შენობები; ავგუსტუსმა ზღვა მეკობრეებისაგან გაწმინდა; ავგუსტუსმა მშვიდობა დაამყარა და ომი მოიგო; ავგუსტუსმა რომის სენატსა და ხალხს ძალაუფლება დაუბრუნა. მას დაუდგეს ოქროს ფარი, რომლის წარწერა იუწყებოდა, რომ „სენატმა და რომაელმა ხალხმა მიბოძა მე იგი სიმამაცის, ლმობიერების, სამართლიანობისა და ღვთისმოსაობისათვის".

ავგუსტუსი არაა ვიღაც პრესტანციუსი, რომელმაც სახელი იმით გაითქვა, რომ სიკვდილი არ სწადდა. ავგუსტუსზე ბევრი წერდა: თანამედროვეებიც და ისინიც, ვინც მის თანამედროვეებს იცნობდნენ. ჩვენ შეგვიძლია ვკითხოთ მათ: არის თუ არა სარწმუნო ის, რაც „ღვთაებრივი ავგუსტუსის საქმეებშია" მოთხრობილი? სწორად აფასებს თუ არა ეს წარწერა იმპერატორის ღვაწლს? რასაკვირველია, როდესაც ავგუსტუსი ფაქტებს ჩამოთვლის და ციფრებს გვაცნობს, ჩვენ უნდა ვენდოთ მას. დიახ, ავგუსტუსმა ნამდვილად მოაწყო რომში გლადიატორთა თამაშობანი რვაჯერ, არც ისაა საეჭვო, რომ ამ შეჯიბრებაში ნამდვილად ათი ათას გლადიატორს მიეღოს მონაწილეობა. დიახ, ავგუსტუსი ნამდვილად იძლეოდა ბრძანებებს, შეეკეთებინათ და აეგოთ ტაძრები. ძაგრამ იყო თუ არა ავგუსტუსი მამაცი და სამართლიანი, იყო თუ არა რომის ეს პირველი იმპერატორი რესპუბლიკური წყობილების ანდა სენატისა და სახალხო ხელისუფლების მომხრე?

ეს ადამიანი, „მამაცობისათვის" ოქროს ფარით რომ დაუჯილდოებიათ, ხოლო მრავალრიცხოვან ქანდაკებებში მხედართმთავრის ტანსაცმელში გამოწყობილი დიდებამოსილი რომ მიუძღვის ლეგიონებს შეტევაზე, ბრძოლის წინადღით, ჩვეულებრივ, ავად ხდებოდა და ჯარის სარდლობას რომელიმე თავის გამოცდილ და ნიჭიერ თანაშემწეთაგანს ავალებდა. თავისი სამართლიანობითა და გულუხვობით თავმომწონე ამ ადა-

მიანს არ შერცხვა, სიყმაწვილის ჟამს სიკვდილით დაესაჯა ერთი რომაელი მდიდარი მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ბრინჯაოს ჭურჭელი მოეწონა. ამ ადამიანმა, თავს რესპუბლიკანელად რომ აცხადებდა, სინამდვილეში ბოლო მოუღო რომაელი ხალხის თავისუფლებას: ავგუსტუსის მეფობის დროს სახალხო კრება მორჩილად აძლევდა ხმას იმას, ვისაც იმპერატორი უწევდა რეკომენდაციას, ხოლო ყველა მნიშვნელოვან საკითხს თვითონ ავგუსტუსი წყვეტდა.

„ღვთაებრივი ავგუსტუსის საქმენი“ გულმოდგინედ ჩქმალავს ყველა მის მარცხს. იგი ამაყობდა თავისი სამხედრო წარმატებებით. „მე დავთრგუნე გერმანია!“ — აცხადებდა ავგუსტუსი, მაგრამ ტევტობურგის ტყეში რომაელების დამარცხებაზე სიტყვასაც არ ძრავდა. როცა გერმანელებმა რომაელთა სამი ლეგიონი გაანადგურეს, ხოლო ჯარის სარდალმა კვინტილიუს ვარუსმა თავი მოიკლა და ავგუსტუსმა ეს ამბავი შეიტყო, ამბობენ, თავს კედელს ახლიდა და გაჰყვიროდა: ვარუს, ვარუს, დამიბრუნე ჩემი ლეგიონები. „არაბეთში, — განაგრძობს ავგუსტუსი, — ჩემმა ლეგიონებმა საბელთა საზღვრამდე, ქალაქ მარიბამდე, წაიწიეს“. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ არ არის ნათქვამი მხოლოდ ის, რომ ლაშქრობა მარიბასთან რომაელთა ჯარების სასტიკი დამარცხებითა და უკუქცევით დამთავრდა.

ამგვარად, თუკი მონეტა შეიძლებოდა ყოფილიყო პროპაგანდის საშუალება, თავისებური პატარა პლაკატი, წარწერას უფრო მეტი საშუალებები ჰქონდა საამისოდ. მაგრამ წარწერაც არის და წარწერაც: ზოგს ჩვენამდე ნამდვილი ფაქტები მოაქვს, როდესაც გვაცნობს ოდესღაც მცხოვრებ ადამიანთა სახელებსა და პროფესიას, მიწის ნაკვეთების ზომას, მონათა გაბატონებას; წარწერების სახით შემორჩა ქალაქის ხელისუფალთა ნამდვილი დადგენილებები და საზავო ხელშეკრულებები. ზოგიერთი მათგანი კი ქვაზე დაწერილი მთელი ლიტერატურული ნაწარმოებია: იგი ასახავს ადამიანის განწყობილებას, მისწრაფებებსა და იმედს. მაგრამ ასეთ წარწერებში ხშირად რაღაც გაზვიადებულია, რაღაც ბოლომდე არ არის ნათქვამი და საბოლოოდ ვღებულობთ ისეთ პორტრეტს, რომელიც სრულიად არ წარმოადგენს იმ ადამიანის ნამდვილ სახეს.

აქამდე მე მოგითხრობდით ანტიკურ წარწერებზე. შუა საუკუნეების დადგომასთან ერთად მათმა რიცხვმა საგრძნობლად იკლო. ეს გასაგებიცაა: იმ ხანებში ცოტანი იყვნენ წერა-კითხვის მცოდნენიც და დახელოვნებული ქვაზე ამომჭრელებიც. ზოგჯერ ეკლესიაზე თუ ამოკვეთავდნენ აგების წელს ან იმ მეფის სახელს, ვინც მისი აშენება ბრძანა. გვხვდება წარწერები, სადაც ლაპარაკია ციხე-სიმაგრის კედლების შეკეთებაზე, ან ციხე-სიმაგრის კარის მშენებლობაზე. არსებობს, რასაკვირველია, შუა საუკუნეების ისეთი წარწერებიც, რომლებიც უფრო მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან, მაგრამ ასეთები შედარებით ნაკლებია.

XI საუკუნის ბოლოს ორლეანის წმინდა ჯვრის ეკლესიაში ეპისკოპოსმა იოანე ორლეანელმა ბრძანა ბრინჯაოზე ამოეკვეთათ სიგელი. ამ სიგელის თანახმად თავისუფლება ეძლეოდა მონას, სახელად ლეტბერტს. „მოწამე თავისუფლების წყალობისა, — ნათქვამია წარწერაში, — ეს წმინდა ეკლესიაა“.

დღევანდელი სევასტოპოლის მახლობლად შემორჩენილია ძველი ქალაქის ნანგრევები: მოჩანს ბურჯებით გამაგრებული ქალაქის სქელი კედლები, ვიწრო ქუჩებში გამწკრივებულან საცხოვრებელი სახლების ნარჩენები. ამ ქალაქს ძველად ქერსონესი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში კი — ქერსონი.

ქერსონი დიდხანს შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში — ნაცვლებს აქ კონსტანტინოპოლიდან გზავნიდნენ. მაგრამ აი, 989 წლის ზაფხულში ქერსონის კედლებთან გამოჩნდა რუსების ჯარი თავად ვლადიმირის მეთაურობით. თავდაპირველად ალყა უშედეგო გამოდგა. ვლადიმირმა ბრძანა, ქალაქის კედლების გასწვრივ მიწაყრილი გაევლოთ, რათა იქიდან მის ჯარისკაცებს ქვები და ისრები დაეშინათ ალყაშემორტყმული ქერსონელებისათვის. მაგრამ მიწაყრილის გავლება ვერ მოხერხდა, რადგან ქალაქის მცხოვრებლებს კედელქვეშ გაყვანილი ხვრელით მიწა თავისკენ გაჰქონდათ. მაგრამ მოქალაქეთა შორის ვლადიმირს მომხრეები გამოუჩნდნენ: ერთმა მათგანმა ბარათი დაწერა, ისარს მიამაგრა და რუსი მთავრისაკენ გაგზავნა. ბარათში აღნიშნული იყო ადგილი, სადაც გადიოდა ქალაქის წყალსადენი

მილი. რუსებმა წყალსადენი გადაჭრეს, წყურვილმა მოქალაქეები აიძულა დანებებულიყვნენ. რა ბედი ეწვია ამის შემდეგ ქალაქს, ვის ეკუთვნოდა ქერსონი მომდევნო საუკუნეებში? ამაზე რუსული მატეანეცა და ბიზანტიური ქრონიკებიც დუმან.

XIX საუკუნის ბოლოს ქერსონის თავდაცვითი კედლის გარეთა მხარეს იპოვეს მარმარილოზე ამოჭრილი ბერძნული წარწერა. წარწერა იუწყებოდა, რომ ქერსონის ბიზანტიელმა ნაცვალმა, ლეონ ალიატმა 1059 წლის აპრილში ააგო რკინის კარი, აგრეთვე შეაკეთა ციხე-სიმაგრის სხვა კარებიც. ამ წარწერამ გაარკვია გაუგებარი საკითხი; მაშასადამე, ბიზანტიის ხელისუფლება ქერსონში აღდგა და XI საუკუნის შუა წლებში ქალაქი კვლავ კონსტანტინოპოლს ემორჩილებოდა.

იმავე საუკუნეში, როდესაც ქერსონის ბიზანტიელმა ნაცვალმა ლეონ ალიატმა რკინის ჭიშკარი ააგო და ეპისკოპოსმა იოანემ თავისი მონა ლეტბერტი გაათავისუფლა, მოხდა სხვა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ამბავი — ნორმანებმა დაიმორჩილეს სიცილია და სამხრეთ იტალია. ნორვეგიის, შვეციისა და დანიის მკვიდრი ნორმანები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ჭირად მოედვნენ ევროპას. მათი წითელიალქნიანი მსუბუქი ხომალდები — „ზღვის ფრინველები“ და „ზღვის ურჩხულები“ — თავს ესხმოდნენ ინგლისის სანაპიროებს, მდინარე სენით პარიზამდე აღწევდნენ. ნორმანები ბიზანტიის იმპერატორების ჯარებსა და რუსეთის მთავრობის რაზმებში მსახურობდნენ. ისინი ვერც ციმბა ზღვებმა შეაშინა — ისლანდიასა და გრენლანდიაში დასახლდნენ, მათ შორეულ ვინლანდს— ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროსაც კი მიაღწიეს. შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებულებს თან მოჰქონდათ აურაცხელი სიმდიდრე და არაბული დირჰემებისა და ბიზანტიური მილიარისების უთვალავ განძს, ნუმიზმატების გასახარად, თავიანთ სამშობლო მიწაში მარხავდნენ.

უცხოელი მემატიანეები ძრწოლვით იხსენიებენ ნორმანების შემოსევას. მაგრამ საიდან გავიგოთ სკანდინავიის — მეთევზეთა და მჭედელთა ამ საოცარი მხარის — საშინაო ცხოვრების პირობები, მხარისა, რომელიც დაუსრულებლად გზავნიდა თავაშვებულ დამპყრობლებს ევროპის ყველა კუთხეში?

სკანდინავიის კანონთა კრებულიდან? მაგრამ ისინი ხომ უფრო გვიანდელ ხანას ეკუთვნის. სკანდინავიის სახალხო მგოსნების— სკალდების — სიმღერებიდან, წინაპართა საგმირო საქმეებზე რომ მოგვითხრობენ? მაგრამ ისინიც ხომ ამ ამბებზე ბევრად უფრო გვიანაა ჩაწერილი და სავსეა ათასგვარი მონაგონით.

ისტორიკოსებს ხელთ არა აქვთ არც იმდროინდელი სკანდინავური ქრონიკები, არც არქივები. მხოლოდ ქვებმა და ჩუქურთმითა და წარწერებით დაფარულმა ხის ნაკეთობებმა შემოგვინახეს სკანდინავიის დამწერლობის უძველესი ძეგლები.

სკანდინავურ წარწერებს რუნები ეწოდება. მათი არსებობა პირველად დაადასტურა VI საუკუნის იტალიელმა პოეტმა და ორატორმა ვენანტიუსმა, იგი შემდეგში საფრანგეთის ქალაქ პუატიეს ეპისკოპოსი გახდა. ვენანტიუსს თავი მოჰქონდა ენების ცოდნით და იკვეხიდა, რომ არა მარტო ებრაული, სპარსული და ბერძნული ენები ვიცი, არამედ ხის ფირფიტებზე დაწერილ „ბარბაროსულ რუნებსაც“ ვარჩევო.

რუნული წარწერები, ჩვეულებრივ, სიტყვაძუნწია. მათში შეხვდებით იმ მმართველთა სახელებს, ვინც ხიდი ან ტაძარი ააგო; მოხსენიებულია წარმართული ღმერთები, ქრისტიანობის მიღებამდე თაყვანს რომ სცემდნენ ნორმანები, და უცხო ქვეყნებში დაღუპულ მებრძოლთა სახელები. მაგრამ ზოგჯერ რუნებში ლაპარაკია მნიშვნელოვან ისტორიულ ამბებზეც. მაგალითად, დანიის პროვინცია იუტლანდიაში ნაპოვნ ქვაზე X ს-ში ამოკვეთილი ასეთი წარწერა ამოიკითხეს: „მეფე ჰარალდმა, იმ ჰარალდმა, მთელი დანია და ნორვეგია რომ დაიმორჩილა და დანიელები ქრისტიანულ სჯულზე მოაქცია, ბრძანა, დაედგათ ესე ქვა თავისი მამის ჰორმისა და დედის ტირას ხსოვნის აღსანიშნავად“. იუტლანდიის რუნული წარწერის ეს ოთხი სტრიქონი სკანდინავიის ისტორიის მთელ გვერდს წარმოადგენს და ქრონიკის ნაწყვეტს მოგვაგონებს.

როგორი ძუნწიც არ უნდა იყოს ტექსტები, მათ მაინც დიდი მნიშვნელობა აქვთ თითქმის სრულიად შეუსწავლელი ნორმანთა ადრეული ისტორიისათვის.

ბულგარეთში იპოვეს ძველი სლავური წარწერები. ისინი IX საუკუნის ბოლოსა და X საუკუნის დასაწყისს განეკუთვნებიან. ამ დრომდე ბულგარელი თავადები და დიდებულები

წარწერებს ბერძნულ ენაზე ადგენდნენ, სადაც მოგვითხრობდნენ შორეულ ქვეყნებში თავიანთი ლაშქრობის ამბებს.

შუა საუკუნეების ზოგიერთი რუსული წარწერაც არის შემონახული. ტამანის ნახევარკუნძულზე ნაპოვნი ქვის ფილა გვატყობინებს, რომ 1068 წელს ტმუტარაკანის მთავარმა გლებ სვიატოსლავის ძემ ყინულზე გაზომა ქერჩის სრუტის სიგანე ტმუტარაკანიდან ქერჩამდე. ნოვგოროდისა და კიევის ზოგიერთ ძველ რუსულ ეკლესიაში შეიძლება წავაწყდეთ ეკლესიის მგალობლებისა და მსახურთა მიერ შესრულებულ წარწერებს, რომელთა შინაარსი სრულიადაც არაა ლოცვების შემცველი. აი, მაგალითად, XII ს-ში მცხოვრებ ვიღაც უცნობს თავისი მეგობრის გამასხარავება მოუსურვებია და სოფიის ტაძრის კედელზე მიუწერია: „კუზმა გოჭი". „აკიმ, შენ ზეზეულად ჩამოგეძინა", — ვკითხულობთ დამცინავ წარწერას ნოვგოროდის ერთ-ერთი ეკლესიის კედელზე.

ამგვარად, შუა საუკუნეებიდან რაღაც წარწერები მაინც შემოგვრჩა, მაგრამ მათ შუა საუკუნეების შემსწავლელი ისტორიკოსისათვის გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ანტიკური ისტორიის შემსწავლელი მისი თანამოძმისათვის.

წიგნისა და გაზეთის ბეჭდვის დაწყებასთან ერთად დადგა, არსებითად, წარწერების აღსასრულიც. მართლაც, ვინ დაიწყებს ახლა სპილენძის დაფაზე ანდა მარმარილოს ფილებზე ახალი კანონის ტექსტის ამოკვეთას, როდესაც ეს კანონი გაზეთების საშუალებით უფრო სწრაფად ხდება ხელმისაწვდომი მთელი მსოფლიოსათვის. რასაკვირველია, ახლაც შეიძლება ვნახოთ მემორიალური დაფები ან წარწერები ქანდაკებებსა და სასაფლაოებზე, მაგრამ ვის მოუვა აზრად, ქვაზე ამოჭრას ჟურნალში დაბეჭდილი ნეკროლოგის ტექსტი?

თუმცა ზოგჯერ ჩვენს დროშიც იქმნება პოლიტიკური შინაარსის წარწერები. ისინი გვეხმარებიან ჩვენი თანამედროვეების მისწრაფებათა გაგებაში. ძველი წარწერების კლასიკურ ქვეყანაში — საბერძნეთში, პელოპონესის მთებში — მეორე მსოფლიო ომის დროს პარტიზანებმა აღმართეს უზარმაზარი წარწერა, რომელიც მრავალი კილომეტრის მანძილიდან მო-

ჩანდა. აი, ეს წარწერაც — „ოხი!" — რაც „არა"-ს ნიშნავს. „არა! — მიმართავდა იგი ფაშისტ დამპყრობლებს, — თქვენ არ შეგიძლიათ გატეხოთ პატარა, მაგრამ მამაცი ხალხის წინააღ-მდეგობა".

წარწერაა თუ ნახატი?

თქვენ გახსოვთ, რომ პირველი მონეტა ძვ. წ. VII საუკუნეში გაჩნდა. მაგრამ როდის გაჩნდა წარწერა? მონეტაზე ადრე თუ უფრო გვიან?

ზუსტად ძვ. წ. VII საუკუნეს ეკუთვნის პირველი ძველი ბერძნული წარწერები, რომლებიც სრულიად არა ჰგავს მომდევნო საუკუნეების წარწერებს: მათ შორის ყველაზე ადრეულ ნაწერს ჯერ კიდევ არა აქვს ხმოვანი ბგერების გამოსახატავი ნიშნები, წერდნენ არა მარცხნიდან მარჯვნივ (როგორც ჩვენ ვწერთ), არამედ მარჯვნიდან მარცხნივ, ანდა ეგრეთ წოდებული „ბუსტროფედონით" („როგორც ხარი მობრუნდება") — ერთი სტრიქონი მარჯვნიდან მარცხნივ იწერება, ხოლო მომდევნო, პირიქით,—მარცხნიდან მარჯვნივ. ამომჭრელი მობრუნდება, ისე როგორც გუთანში შებმული ხარი მობრუნდება მინდორზე, და იწყებს ახალ სტრიქონს იმ სიტყვის ქვეშ, რომლითაც დამთავრდა წინა სტრიქონი.

მაგრამ ბერძნულ წარწერებზე ბევრად უფრო ძველია აღმოსავლეთის უძველესი სახელმწიფოების—ეგვიპტის, ბაბილონეთის, ურარტუს—წარწერები. მათ შორის ყველაზე ადრეული დაახლოებით ხუთი ათასი წლისაა. ეს წარწერები ამოჭრილია კედლებზე და ტაძრების სვეტებზე, საგანგებო ქვის ფილებსა და ფირფიტებზე, ამოტვიფრულია აგურსა და თიხის ცილინდრებზე, ამოკვეთილია გზებისა და ტბების პირას აღმართულ ციცაბო კლდეებზე.

რა მრავალფეროვანია ძველაღმოსავლური წარწერების დამწერლობა! ზოგი შესრულებულია ასოებით, თუმცა ისინი არ გვანან ბერძნული ანბანის ასოებს; ზოგი შედგება ნიშნების სხვადასხვანაირი კომბინაციებისაგან; ეს ნიშნები თავიანთი ფორმით ქვემოთ შევიწროებულ სამკუთხედს, სოლს, ან ლურსმანს მოგვაგონებენ. ზოგიერთი წარწერა კი წარმოადგენს სა-

გულდაგულოდ ამოჭრილ და შეფერადებულ ნახატებს: მობაჯბაჯებს მსუქანი ბატი, ადამიანს თავზე ჯამი შემოუდგამს, ტალღისებური ხაზითაა გადმოცემული წყალი, შემდეგ კი გამოხატულია — თევალი, ქოთანი, ანტილოპის თავი, მზე, ყვავილები, გორაკები...

იეროგლიფურწარწერიანი ძველი ეგვიპტური ნახატი

სხვადასხვა ხალხს სხვადასხვანაირი ანბანი ჰქონდა: ძველი შუამდინარეთის მცხოვრებნი და ურარტელები ლურსმულად წერდნენ, ეგვიპტელები — თავიანთ წარწერებს იეროგლიფებით ხატავდნენ. იეროგლიფები ცხოველებს, ყვავილებსა და სხვადასხვაგვარ ნივთებს წააგავდა. ფინიკიელებმა კი უკვე შექმნეს ანბანური დამწერლობა და მხოლოდ ასოების სახელწოდებაღა მოგვაგონებდა, რომ ოდესღაც ეს ასოები ნახატები იყო. ერთ ასოს „ალეფ" — ხარი — ერქვა, მეორეს „ბეთ" — სახლი, მესამეს „გიმელ" — კუთხე. ეს სახელწოდებები შემდგომში ბერძნებმა ფინიკიელებისაგან გადმოიღეს. სხვათა შორის, ყველასათვის კარგად ცნობილი სიტყვა „ალფაბეტი" სწორედ ბერძნულად გადმოკეთებული ორი პირველი ფინიკური ასოს „ალეფ"-ისა და „ბეთ"-ის — სახელწოდებისაგან შედგება. ასო «Г» ფინიკიური „გიმელის" მსგავსად, ახლაც კუთხეს მოგვაგონებს.

ძველაღმოსავლურ წარწერებს შორის ბევრია სამეფო წარწერები. ქვაზე მართლაც „ზვიადად აღერებულა" მეფური მედიდურობა! „გავემართე ერიახის ქვეყანაზე, — აცხადებს ურარტუს მეფე არგიშტ I, — წავედი სალაშქროდ აფუნის ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი ქალაქი ურიეიუნი, ვიტერუ-

ხის სამეფო ქალაქი. ხელთ ვიგდე 19 255 ყმაწვილი, 10 140 მეომარი ცოცხლად, 23 280 ქალი, სულ 52 675 ადამიანი ამ ჭელს—ერთნი გავჟლიტე, სხვები ცოცხალი წამოვიყვანე". შემდეგ კვლავ ჩამოთვლილია ათასობით ადამიანი, მიტაცებული და გარეკილი ათასობით სული საქონელი, წარმატებით დაგვირგვინებული ბრძოლები და დაპყრობილი ქალაქები. ეს ერთფეროვანი, პირქუში სამეფო წარწერა ვანის ტბასთან კლდეზეა ამოკვეთილი. თავისი ნადავლით ტრაბახობს ეგვიპტის ფარაონი ამენჰოტეფ II-ც მემფისში დატოვებულ წარწერაში: „...ნადავლის ნუსხა: წარჩინებული ხირიელები 550, მათი ცოლები 240, ქანანეველნი 640, ხელისუფალთა ვაჟიშვილები 232, ხელისუფალთა ქალიშვილები 323, უცხო ქვეყნის ხელისუფალთა მონა ქალები 270, მთელი თავიანთი ოქროსა და ვერცხლის სამკაულებით". შემდეგ კვლავ ახალი ლაშქრობები და ახალი ნადავლია ჩამოთვლილი: კიდევ ათასობით ადამიანი მოწყვიტეს მშობლიურ ადგილებს და მონებად აქციეს, ხოლო მათი საქონელი და ქონება გამარჯვებულებმა მიითვისეს. ამ მკვლელობებისა და ძარცვა-გლეჯის ამბებს გვიყვება ლამაზი იეროგლიფებით შედგენილი წარწერა, ყვავილებსა და ჩიტებს რომ გვაგონებენ.

ყელზე თოკგამობმული მეამგოხენი

ბაბილონეთიდან ძველსპარსული სახელმწიფოს შიდა ოლქებისაკენ ბისუტუნის კლდის მახლობლად დიდი საქარავნო გზა გადიოდა. აქედან არცთუ ისე შორს იყო ეკბატანა, სპარსეთის ერთ-ერთი სატახტო ქალაქი.

ბისუტუნის კლდის ძნელადმისადგომ ციცაბო ფერდობზე, ასი მეტრის სიმაღლეზე მიმაგრებულია ფილები და ზედ გამოხატულია სამეფო ტახტზე მჯდარი წარბშეკრული გოლიათი. მის წინ კი ყელზე თოკგამობმული ცხრა კაცი დგას. გამოსახულების გვერდით ლურსმული წარწერაა სამ ენაზე: ძველსპარსულ, ბაბილონურ და ელამურ ენებზე. ამ კოლოსალური წარწერით სპარსეთის მეფე დარიოსი (გოლიათი დარიოსია) თავისი მრავალეროვანი სახელმწიფოს ქვეშევრდომთ ამც-

ნობდა, რომ ძვ. წ. 522 წლის დასაწყისში სახელმწიფო ძალაუფლება ხელში ჩაიგდო მოგვმა გაუმატამ, რომელიც თავს მეფის ძმად აცხადებდა. რადგანაც გაუმატამ ტახტი უკანონოდ მიიტაცა და რადგანაც იგი სპარსელებს ავიწროებდა, დარიოსი აღდგა გაუმატას წინააღმდეგ და მოკლა იგი. მაგრამ რადგან მეამბოხეები დარიოსს არ დაემორჩილნენ, მას მრავალი პროვინციის მმართველთან მოუხდა შებმა. აი, ერთი მათგანი უკვე მოჰგვარეს დარიოსს შებოჭილი, მეორენი გარბიან ბრძოლის ველიდან, მაგრამ მათ მისდევენ და იპერენ. გამარჯვებულმა დარიოსმა ბრძანა, მათთვის ცხვირი და ყურები მოეჭრათ, თვალები ამოეთხარათ. მან ისინი შებორკილნი საკუთარი ჭიშკრების წინ დაყარა და ბოლოს სარზე ჩამოაცვა. „როგორც მენება, — აცხადებს დარიოსი ბისუტუნის წარწერაში,— მე ისე მოვექეცნო მათ“.

დარიოსი არ ცდილობს „ღვთაებრივი“ ავგუსტუსივით თავი რესპუბლიკის აღმდგენელად მოგვაჩვენოს. ის ძლიერი მეფეა, რომელსაც ღმერთები იცავენ, და ისე იქცევა, როგორც მოესურვება.

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე მეცნიერები ბისუტუნის წარწერის არსებობას გაიგებდნენ, თავბრუდამხვევ სიმაღლეზე ავიდოდნენ, ასლს გადაიღებდნენ და წაიკითხავდნენ, დარიოსის ისტორია უკვე ცნობილი იყო. ის აღწერა ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ, დარიოსის თანამედროვეების გადმოცემების მიხედვით. ბევრგან ბისუტუნის წარწერა ჰეროდოტეს მონათხრობს ემთხვევა. აჯანყების ჩაქრობის ბევრი წვრილმანი პირველად ამ წარწერიდან გამომჟღავნდა. მაგრამ აი, რა არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი: თუ დარიოსი მოგვ გაუმატას სიძულვილით იხსენიებს, ჰეროდოტე აშკარად თანაუგრძნობს მას. „მან ბევრი სიკეთე გაუწია ყველა თავის ქვეშევრდომს, ისე რომ, როდესაც დაიღუპა, აზიაში ყველას დაენანა, სპარსელების გარდა“, — აი, რას ამბობს ჰეროდოტე გაუმატაზე, ვისაც სმერდისს უწოდებს, და დასძენს, რომ მოგვმა სამი წლით გაანთავისუფლა მოსახლეობა გამოსაღებებისა და სამხედრო სამსახურისაგანო.

ძლევამოსილ მეფე დარიოსს შეეძლო ებრძანებინა, ყურები მოეჭრათ აჯანყებულთათვის, შეეძლო ისინი დაებორკა და ისე



ᲛᲔᲤᲔ

ბისუტუნის კლდე, დარიოს I თავის მტრებს ასამართლებს.
ძველი სპარსული სიტყვა — „მეფე“

დაესაჯა, როგორც მას მოესურვებოდა; შეეძლო ებრძანებინა, შეექმნათ სამენოვანი წარწერა და აღემართათ ის ბისუტუნის კლდის ციცაბო ფერდობზე; შეეძლო ამ წარწერაში საკუთარ გამარჯვებებსა და თავისი მტრების თავაშვებულობაზე ელაპარაკა, მაგრამ მან ვერ მოახერხა ისტორიისათვის დაემალა, რომ გაუმატამ ხალხი გადასახადებისაგან გაანთავისუფლა.

დამარცხება, რომელიც გამარჯვებად იქცა

ეგვიპტის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ტაძრის კედლებზე მხატვრებმა გამოხატეს ფარაონ რამზეს II-ის ხეთებთან ბრძოლის სცენები (ხითები მცირე აზიის მცხოვრებნი იყ-

ვნენ): ბრძოლის ველი მოფენილია მკვდარი ხეთებით, ცხენებზე ამხედრებული ხეთები მდინარე ორონტში ეშვებიან და ხსნას მეორე ნაპირზე გასვლაში ეძებენ. გამარჯვებული რამზესი ეტლზე დგას. „დავამარცხე ყველა ქვეყანა“, — ნათქვამია იეროგლიფურ წარწერაში, რომელიც თან ახლავს ამ ნახატებს.

წარწერა საშუალებას გვაძლევს, თანმიმდევრულად აღვადგინოთ ბრძოლის მთელი მსვლელობა. თავისი მმართველობის მეხუთე წელს (ეს იყო ძვ. წ. 1312 წელს) ახალგაზრდა ფარაონი რამზესი სირიაში შეიჭრა, სწრაფად წაიწია ჩრდილოეთისაკენ და ქალაქ კადეშის მიდამოებს მიაღწია. იგი ვარაუდობდა აქ გაენადგურებინა ხეთების ლაშქარი, მაგრამ მტრის ნასახიც არსად ჩანდა. ორმა სირიელმა (სინამდვილეში ისინი ხეთების მეფის მოგზავნილები იყვნენ) განუცხადა, რომ ხეთებმა ეს ადგილები უკვე დატოვესო. მაშინ რამზესი აჩქარდა, უნდოდა იმავე დღეს შემოერტყა ალყა კადეშისათვის და მცირე რაზმით გაბედულად წაიწია წინ. რამდენიმე საათში უკვე ამ ქალაქის მახლობლად დაბანაკდა.

სინამდვილეში ხეთები ორონტის მეორე ნაპირზე იმყოფებოდნენ. მათ გადალახეს მდინარე ორონტი და რამზესს ზურგში მოეკვეცნენ. ხეთების ეტლები ელვისებური სისწრაფით დაესხნენ თავს და სწრაფად წალეკეს რამზესის ბანაკისაკენ მიმავალი ეგვიპტელთა ქვეითი ჯარი. ნაწილი ადგილზევე ამოხოცეს, ნაწილი კი უწესრიგოდ გაემართა ჩრდილოეთისაკენ, მათ ხეთები დაედევნენ ეტლებით. დევნილებმა მიაღწიეს რამზესის ბანაკს, გვერდზე ჩაუქროლეს და თან გაიყოლიეს, ვინც ბანაკში იყო. მხოლოდ რამზესი ჩაება ბრძოლაში გვარდიელების ნაწილებთან ერთად: წინააღმდეგობა იმდენად მოულოდნელი იყო ხეთებისათვის, რომ შედგნენ. ფარაონი მდინარისაკენ გაიჭრა და რამდენიმე საათს გაუძლო მტრის შემოტევას. ხეთების არა ერთი და ორი ეტლი გადააყირავა ორონტში; რამზესმა ექვსჯერ სცადა სამხრეთისაკენ გაღწევა, სადაც მისი ლაშქრის ძირითადი ნაწილი დარჩა, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ საღამო ხანსღა გაარჩია ბრძოლის ველზე ავარდნილ მტვრის კორიანტელში ეგვიპტელთა საბრძოლო ალმები მათი ღმერთის — ჰატახის გამოსახულებით. ახლოვდებოდნენ ეგვიპტელთა რაზმე-

ხეთებზე გამარჯვებული რამზეს II. ხეთების მზვერავების დაკითხვა კადეშის ბრძოლის წინ

ბი, რამაც იხსნა ფარაონი. ამგვარად, რამზესმა კადეშთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა, როგორც საუკეთესო მებრძოლმა, და ამავე დროს, როგორც დაუფიქრებელმა მთავარსარდალმა.

„მე დავამარცხე ყველა ქვეყანა, — აცხადებს რამზესი მრავალრიცხოვან წარწერებში, — მე ერთადერთმა, როდესაც ჩემმა ლაშქარმა და ეტლებმა მიმატოვეს“. მაგრამ რამზესს არ დაუმარცხებია მტერი. კადეშთან ბრძოლის შემდეგ მას ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდა: ეგვიპტელებმა თავიანთი საზღვრებისაკენ დაიხიეს და მომდევნო წლების ბრძოლებმა სირიის სამხრეთ ნაწილში გადაინაცვლა. მხოლოდ ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ დადო რამზესმა საზავო ხელშეკრულება ხეთებთან. ამ ხელშეკრულების თანახმად სირია ორმა სახელმწიფომ გაიყო შუაზე.

რასაკვირველია, ყველა ძველაღმოსავლური წარწერა არ შეიცავს მეფეთა აღფრთოვანებულ ცნობებს თავიანთ

(ზოგჯერ ნამდვილ და ზოგჯერ მოგონილ) გამარჯვებებზე: ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე ქვაზე ამოკვრილმა კანონებმა, დიდებულთა ბიოგრაფიებმა, ეპიტაფიებმა, თითოეული მათგანი დიდი ხნის წინ გადაშენებულ თაობათა ცხოვრების ერთ რომელიმე შეუსწავლელ მხარეს გვაცნობს.





თავი IV

კალმით ნაწერი

აიაქსი ღრუბელმა იმსხვერპლა

აიაქს ტელამონიდი ერთ-ერთი ძლევამოსილი ბერძენი გმირია. მის საგმირო საქმეებზე მოგვითხრობს ჰომეროსი. აიაქსი სხვა ბერძნებთან ერთად მივიდა ტროას კედლებთან, სადაც თავისი მამაცობითა და ძლიერებით მოიპოვა სახელი და დიდება. სწორედ მან გაბედა ტროას გმირის ჰექტორის ორთაბრძოლაში გამოწვევა. შორიდან ესროლა დიდი ქვა და მოწინააღმდეგეს ფარი დაუზიანა, ხოლო თვითონ ჰექტორი ზურგზე დასცა. აიაქსი იყო, ბერძნებს რომ ამხნევებდა, როდესაც ისინი ტროაელებმა შეავიწროვეს და ზედ ხომალდებამდე მისდიეს. მან გამოიტანა ბრძოლიდან აპოლონის ისრით განგმირული აქილევსის გვამი; მას მხოლოდ ოდისევსი შველოდა, იცავდა უკან დახევისას და იგერიებდა შეტევაზე გადმოსულ ტროაელებს.

აი, სწორედ აქ, ბრძოლის შემდეგ, აიაქსსა და ოდისევსს შორის დავა გაიმართა. მჭედელმა ღმერთმა ჰეფესტომ ოდესღაც აქილევსს საჭურველი გამოუჭედა: ჯავშანი, საბარკულები, ოქროს სავარცხულიანი ჩაფხუტი და ფარი. ფარზე გამოსახუ-

ლი იყო ვარსკვლავები და ქალაქები, ომები და მშვიდობიანი შრომა. ვის უნდა რგებოდა ეს საჭურველი — აიაქსს თუ ოდისევსს? როდესაც ბერძნების ბელადებმა ოდისევსი უფრო ღირსეულ გმირად ჩათვალეს (მძიმე ტვირთს ქალიც კი ზიდავს, მტრის მოგერიება კი მხოლოდ მეომარს შეუძლიაო, — ასე მსჯელობდნენ ისინი) და მოხერხებულ ოდისევსს აქილევსის საჭურველი მიაკუთვნეს, აიაქსი გამძვინვარდა. მან გონება დაკარგა და ღამით ფარას დაერია, რადგამ პირუტყვები თავის შეურაცხმყოფლებად მიიღო. საცოდავად აბღავლებული ცხვრები ბოძებზე მიაკრა და მათრახით დაუწყო ცემა. დაე, სამარცხვინო სიკვდილი ერგოთო მტრებს!

მაგრამ აიაქსი გონს მოეგო. შერცხვა. სამუდამოდ მოეჭრა თავი. ახლა ოდისევსი დასცინებს, იტყვის: „ხარებისა და ცხვრების დახოცვააო აიაქსის ღირსეული საქმე". აიაქსი გაექცა თვისტომთა დამცინავ მზერას, ლანძღვას, რისხვასა და ზღვის პირზე ბუჩქნარში დაიმალა. მხოლოდ მახვილი, ერთგული მახვილი, ორთაბრძოლის შემდეგ რომ აჩუქა ჰექტორმა. თუ იხსნის სირცხვილისაგან. აიაქსმა თავი მოიკლა: იგი თავის მახვილზე აეგო.

აიაქსის ტრაგიკული დაღუპვის სიუჟეტს ბევრი ძველი მწერალი მოუხიბლავს. მათ შორის რომის იმპერატორი ავგუსტუსიც, მან დაწერა ტრაგედია „აიაქსი". როცა მეგობრები ავგუსტუსის ტრაგედიის ბედით დაინტერესდნენ, მან უპასუხა, რომ ჩემი აიაქსი მახვილმა კი არა, ზღვის ღრუბელმა იმსხვერპლაო.

როგორ მოუღო ბოლო ასეთ დევგმირს რბილმა და პატარა ღრუბელმა? — ეს რომ გავიგოთ, ამისათვის წარმოდგენა უნდა გვქონდეს, თუ ძველად როგორ იწერებოდა წიგნები.

რას თლის კალმის სათლელი დანა

ჩვენთვის, წიგნის ბეჭდვის სასწაულებს მიჩვეულთათვის, ძნელი წარმოსადგენია, რომ ჯერ კიდევ ხუთასი წლის წინ წიგნებს ხელით წერდნენ. წარმოიდგინეთ, რამდენი შრომა დას-



ძველებური საწერი მოწყობილობა: ლერწმისა და მეტალის კალმები და მათი ჩასაწყობი საკალმე.

ჭირდებოდა რომელიმე დიდი წიგნის რამდენიმე ეგზემპლარის მომზადებას!

ძველად გადამწერი წაწვეტებულ ლერწმის ღეროს იყენებდა კალმად. გარდა ლერწმისა, მაშინ ძვლის ან ლითონის კალმებითაც წერდნენ. ზოგიერთი მათგანი, ახლანდელი რეისფედერების მსგავსად, ლითონის ორი ფირფიტისაგან შედგებოდა, ფირფიტებს შორის შუალედი მელნით ივსებოდა. ასეთ კალმებს ზოგჯერ გათხრების დროს ვპოულობთ.

ფრინველის ფრთა საწერად უფრო მოგვიანებით, მხოლოდ შუა საუკუნეებში გამოიყენეს. რუსეთში უპირატესად ბატის ფრთას ხმარობდნენ, უფრო იშვიათად — გედისას, ხოლო ფარშევანგის ფუმფულა ფრთის კალმად გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ ახირებად ითვლებოდა. ფრინველის ფრთით რომ ეწერათ, საჭირო იყო მისი წინასწარი გაპობა და შემდეგ წაწვეტება, ამიტომ მწერალი არ იშორებდა კალმის სათლელ დანას. ამ დანას ის ტექსტში შეცდომების ამოსაფხეკადაც ხმარობდა. ახლა კალამს არასოდეს არ ვთლით კალმის სათლელი დანით, მაგრამ მისი ძველი სახელი მაინც შემოგვრჩა.

ძველად პაპირუსზე წერდნენ. პაპირუსი მდინარის ნაპირებზე და ჭაობიან ადგილებში ხარობს. წყლის ზედაპირზე წამოიზრდება მაჯის სიმსხო, სამი მეტრი სიმაღლის კოხტა, სამწახნაგოვანი ღეროები. ღეროს წვერზე მოსხმული გრძელი, ნაზი თავთავების კონა პარიკს მოგვაგონებს, მთელი მცენარე კი—გრაციოზულ, ტანწერწეტა ქმნილებას, რომელიც ჩაფიქრებულა და თითქოს თავს აქნევსო.

ახლა პაპირუსი იშვიათად გვხვდება, ძველად კი არა მარტო ქვენო ეგვიპტის ჭაობებში, არამედ სიცილიასა და იტალიაში, ევფრატის ნაპირებზე და ყირიმშიც იზრდებოდა.

საწერ მასალას ამ მცენარის გულისაგან ამზადებდნენ. მას ჭრიდნენ გრძელ და თხელ გასწვრივ ზოლებად და მჭიდროდ აწყობდნენ გლუვ ფიცარზე; გარდიგარდმო დააფენდნენ ზოლების მეორე ფენას და ასხამდნენ ბლომად თიხანარევ წყალს (თიხაშერეული წყალი წებოვანი ხდებოდა). პაპირუსს ჯერ ხის ჩაქუჩებით წნეხდნენ, შემდეგ კი მზეზე აშრობდნენ.

ასე ღებულობდნენ გატკეცილ ღია ყვითელი ან მუქი ყვითელი ფერის (მცენარის ასაკის მიხედვით) ფურცელს. ამ ფურცელს ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: მყიფე იყო და მოკეცვისას იმსხვრეოდა.

საწერ მასალად პაპირუსს ფართოდ იყენებდნენ ძველ ეგვიპტეში. ეგვიპტის ლიტერატურის ღირსშესანიშნავი ძეგლები სწორედ პაპირუსმა შემოგვინახა და არა კედელზე ამოკვეთილმა წარწერებმა. პაპირუსზეა დაწერილი, მაგალითად, ეგვიპტელი სინუხეტის ნაამბობი. იგი ოთხი ათასი წლის წინ ცხოვრობდა. სინუხეტი მოგვითხრობს, როგორ გაიქცა თავისი მშობლიური ქვეყნიდან, როგორ დაეხეტებოდა უდაბნოში და წყურვილმა კინაღამ სიკვდილის პირამდე როგორ მიიყვანა. ბედად, იგი მომთაბარეებმა იპოვეს, სიკვდილს გადაარჩინეს და ბელადად გაიხადეს. მაგრამ სამშობლოს სევდა ისევ მშობლიური ქვეყნისაკენ ეწეოდა სინუხეტს. იგი შინ დაბრუნდა, ფარაონს ფეხებში ჩაუვარდა და მოუყვა თავისი ხეტიალისა და შორეული ქვეყნების ამბები.

პაპირუსზე წერდნენ აგრეთვე ბერძნები და რომაელები:

ეგვიპტის მშრალ სილაში მრავლად პოულობენ ბერძნულ პაპირუსებს. ისინი შეიცავენ მიწის იჯარით გაცემისა და მუშახელის დაქირავების ხელშეკრულებებს, ისეთი გამოჩენილი მეცნიერების ტრაქტატებს, როგორიც, მაგალითად. არისტოტელეა, აგრეთვე ლექსებსა და კომედიებს. ჯერ კიდევ ახ. წ. VI-VII საუკუნეებში ევროპაში წიგნებს პაპირუსზე წერდნენ, ხოლო რომის პაპის კანცელარია პაპირუსს XI საუკუნემდეც იყენებდა.

პაპირუსის გარდა საწერ მასალად ძველ დროში ტყავსაც იყენებდნენ. ტყავს ხმარობდნენ ძველი სპარსელი გადამწერები, ტყავზე წერდნენ სირიელები და ძველი ებრაელები. მცირე აზიაში მცხოვრები ბერძნები საწერად თხის ტყავს იყენებდნენ. იტალიელები ტყავზე წერდნენ ქალაქებს შორის საზავო ხელშეკრულებათა პირობებს. ჩვენ არ ვიცით, სახელდობრ. როდის დაიწყეს ტყავისაგან პერგამენტის — ეტრატის დამზადება. პერგამენტი პაპირუსზე გამძლე იყო და ზედაპირიც უფრო სწორი ჰქონდა. თან გაკეცვისას არ ტყდებოდა; არსებობს გადმოცემა, რომ მისი დამზადება მცირე აზიის ქალაქ პერგამონში ისწავლეს მას შემდეგ, რაც ეგვიპტელებმა იქ პაპირუსის შეტანა აკრძალეს, რადგან შურდათ პერგამონის ბიბლიოთეკის სწრაფი ზრდაო.

დიდხანს რჩებოდა პაპირუსი ყველაზე უფრო გავრცელებულ და იაფ საწერ მასალად, მხოლოდ ახ. წ. IV საუკუნიდან იწყო ეტრატმა (პერგამენტმა) მისი თანდათანობით განდევნა. შუა საუკუნეებში (ევროპაში XIV საუკუნემდე) ეტრატი ბატონობს — სწორედ ეტრატზეა დაწერილი შუა საუკუნეების უძველესი ხელნაწერებისა და დოკუმენტების დიდი უმრავლესობა.

ეტრატს ამზადებდნენ თხის, ცხვრის, ღორისა ან ხბოს ტყავისაგან, ხოლო განსაკუთრებით ნაზ და კარგ ეტრატს პატარა ფორმატის წიგნებისათვის — ახლად დაბადებული ბატკნის ტყავისაგან.

რუსეთში ეტრატზე დაწერილ სიგელებს ხშირად „ტყავებს“ ან „ხბოს ტყავებს“ უწოდებდნენ. ეს უკანასკნელი სახელწოდება ხაზს უსვამს იმას, რომ ეტრატის დასამზადებლად რუსები უმეტესად სწორედ ხბოს ტყავს იყენებდნენ.

ეტრატის დასამზადებლად ტყავს საგულდაგულოდ ამუშავებდნენ: ალბობდნენ, აცლიდნენ ბეწვის ნარჩენებს, ცხიმის შესაწოვად ჩააზელდნენ ცარცს, ასწორებდნენ პემზით და აშრობდნენ. ეტრატი ძვირი ღირდა და ამიტომ ტყავზე პატარა ნახვრეტებსაც კი გულმოდგინედ აკერებდნენ. დიდი წიგნის დასამზადებლად ხბორების მთელი ჯოგის გაწყვეტა იყო საჭირო.

ქაღალდის სამშობლო აღმოსავლეთია

ახლა ჩვენ არც პაპირუსზე ვწერთ და არც პერგამენტზე. სიტყვა პერგამენტმა დაკარგა ძველი მნიშვნელობა. „პერგამენტის ქაღალდი" ახლა საწერად გამოუსადეგარ, შესახვევ ქაღალდს ჰქვია. ის არ ატარებს ცხიმსა და სისველეს.

მომიტევოს მკითხველმა, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი ამბავი უნდა შევახსენო: ჩვენ ვწერთ ქაღალდზე. რვეულები და დღიურები, წიგნები და გაზეთები, კონვერტები და საფოსტო ბარათები — ყველაფერი ქაღალდისაგანაა დამზადებული. როდის გაჩნდა ქაღალდი?

ქაღალდი ჩინელებმა გამოიგონეს. ჩინეთში ქაღალდი უკვე ახ. წ. II საუკუნეში იყო ცნობილი, მაშინ, როდესაც რომში ეტრატი ჯერ კიდევ ვერ უწევდა კონკურენციას პაპირუსს. ქაღალდის წარმოების საიდუმლოება ჩინეთიდან სამარყანდში შეიტანეს, ხოლო VIII საუკუნეში ქაღალდი ცნობილი გახდა არაბებისათვისაც; არაბეთის ქვეყნებიდან ქაღალდმა ჯერ ბიზანტიაში, ესპანეთსა და სამხრეთ იტალიაში შეაღწია, ხოლო XII-XIII საუკუნეებში მთელს დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში გავრცელდა. ქაღალდზე დაწერილი პირველი რუსული ხელნაწერები კი XIV საუკუნეს მიეკუთვნება.

იმ დროს ქაღალდს ხელით ამზადებდნენ. ხელისა და ბაჭის ბოჭკოსაგან ან ძონძებისაგან. მცენარეულ ბოჭკოებსა და ჩვრებს საღებავიან და წებოიან როფში დაალბობდნენ და აურევდნენ. ბოჭკო და ჩვრები დანამცეცდებოდა და ფაფის მსგავს მასად გადაიქცეოდა. ქაღალდის დამამზადებელი ოსტატი ფაფას ამოიღებდა ფორმით, რომელსაც სპილენძის ბადის ფსკერი ჰქონდა; და შედგამდა როფზე დადგმულ ფიცარზე.

შუასაუკუნეებისდროინდელი ქაღალდის ოსტატის სახელოსნო. როფში ფაფისმაგვარი მასაა. უკან წნეხი მოჩანს. გარშემო შუასაუკუნეებისდროინდელი ფილიგრანები — ჰვირნიშნებია დახატული.

წყალი რომ დაიწრიტებოდა, ქაღალდის სველ ფურცელს მაუდზე დააფენდა, ქაღალდს ზემოდან კვლავ მაუდს დააფარებდა, შემდეგ ისევ სველი ქაღალდის ფურცელს დაადებდა, კვლავ მაუდს დააფარებდა და ასე გაიმეორებდა რამდენჯერმე,

ვიდრე ახალი ფურცლების მთელ დასტას არ მიიღებდა. ასეთი დასტა (მაუდთან ერთად) შეგირდს წნეხში მიჰქონდა, ზედმეტი სინოტივე რომ გამოეწურა. შემდეგ მაუდს ამოიღებდნენ, ხოლო ფურცლებს ხელმეორედ წნეხდნენ და გასაშრობად გაფენდნენ.

შუა საუკუნეების ქაღალდს მზეზე რომ გავხედოთ, ფურცელზე გამოიყოფა შედარებით ღია ფერის მოხატულობა — წყლის ნიშანი, სხვანაირად მას ფილიგრანს — ჭვირნიშანს უწოდებენ.

წყლის ნიშნები ქაღალდზე XIII საუკუნის მიწურულიდან ჩნდება. ევროპელი ხელოსნები, თავისი არაბი მასწავლებლებისაგან განსხვავებით, ქაღალდებს ნიშანს უკეთებდნენ. ამისათვის ისინი მავთულის ბადეზე აკეთებდნენ ორნამენტს, რომელიც აღიბეჭდებოდა ქაღალდის ფურცელზე. ყოველ ხელოსანს თავისი ორნამენტი, მაშასადამე, თავისი ჭვირნიშანი ჰქონდა. წყლის ნიშნები მეტისმეტად მრავალფეროვანია: გვხვდება ასოები, ირმები, ბატები, ხელთათმანები, მაკრატლები, ფანტასტიკური მხეცები და სხვ. მეცნიერებმა შეადგინეს წყლის ნიშნების ტაბულა, რომლის დახმარებით შეიძლება მეტ-ნაკლები სიზუსტით დავადგინოთ, სად და რა დროს დამზადდა ამა თუ იმ ხელნაწერის ქაღალდი.

კარგი ხარისხის ქაღალდს და ფულს ჩვენს დროშიც უკეთებენ ჭვირნიშანს.

უხილავი ტექსტი

აი, ძველი დროის მწერალი საწერად ემზადება: წინ პაპირუსის ფურცელი დაიდო, კალმის ნაცვლად ხელში ლერწმის ღერო მოიმარჯვა და კვნეტა დაუწყო. მაგრამ, მოითმინეთ, ვნახოთ, რაში ჩააწობს კალამს?

ახლა კი ვუახლოვდებით აიაქსის უცნაური დაღუპვის საიდუმლოების ამოხსნას.

მწერალს წინ თიხის უბრალო სამელნე უდგას (ასეთ სამელნეებს ამომშრალი მელნით ხშირად ნახულობენ გათხრების დროს). მელანი დამზადებულია ჭვარტლისგან ანდა მელანთევ-

ზას „მელნის პარკიდანაა“ ამოღებული. ამ მელნის ხარისხის ბრალია, თუ პაპირუსსა აქვს ასეთი თვისება — ტექსტი ადვილად ირეცხება ზღვის ღრუბლით. „გამანადგურებელ ღრუბელს“ ხშირად ძრწოლვით იხსენიებენ ანტიკური ხანის პოეტები და პროზაიკოსები.

აი, თურმე რა ჰქონდა მხედველობაში ავგუსტუსს, როდესაც აიაქსის დაღუპვას ზღვის ღრუბელს აბრალებდა...

ავგუსტუსის ერთ-ერთი მემკვიდრის, თავნება და თავის თავზე შეყვარებულ იმპერატორ კალიგულას დროს, რომელმაც თავისი ცხენი რომის სენატის წევრად დანიშნა, იმართებოდა პოეტური პაექრობანი. თუ მსაჯულებს ნაწარმოები არ მოეწონებოდათ, ავტორს საკუთარი ხელით უნდა მოესპო თავისი ქმნილება: კარგი იყო, თუ ღრუბლის გამოყენების უფლებას მისცემდნენ, ზოგს ენით უხდებოდა ტექსტის ალოკვა.

მხოლოდ შუა საუკუნეების დასაწყისიდან გაჩნდა მელანი, რომელსაც სამელნე გალიდან ამზადებდნენ: ახლა უკვე არ შეიძლებოდა ტექსტის არც გადარეცხა და არც ალოკვა — ის პემზით ან დანით უნდა ამოეფხიკათ. ზოგჯერ მარტო შეცდომით დაწერილ ასოებს კი არა, მთელ წიგნებსაც ფხეკდნენ. საწერი მასალა ხომ ძვირი ღირდა. და აი, შუა საუკუნეების ბერებმა გადაფხიკეს დიდი ბერძენი მათემატიკოსის ევკლიდეს თხზულებანი, იმისათვის, რომ გასუფთავებულ ეტრატზე პაპი გრიგოლ I-ის მსჯელობა ჩაეწერათ; რომაელი იურისტის გაიუსის ტრაქტატის ადგილას საეკლესიო მწერლის იერონიმეს ნაწარმოებები გადაწერეს. თუმცა მოგვიანებით, როცა ანტიკური ხანის მწერლებისადმი ინტერესმა კვლავ გაიღვიძა, შუა საუკუნეების გადამწერები პირიქით იქცეოდნენ: ბიბლიას შლიდნენ და ახალ ტექსტს—სოფოკლეს ტრაგედიებს წერდნენ.

სამელნე გალიდან დამზადებული მელანი ისე გაუჯდებოდა ხოლმე ეტრატს, რომ პემზითაც შლიდნენ, დანითაც ფხეკდნენ, მაგრამ მაინც ტოვებდა კვალს და ახალი ტექსტის ქვეშ მკრთალად, გაურკვევლად მოჩანდა ძველი ნაწერი. ასეთმა ხელნაწერებმა, რომლებსაც ამოშლილ ტექსტზე წერდნენ, პალიმფსესტების სახელწოდება მიიღო (ეს სახელწოდება წარმოიშვა ბერძნული სიტყვებიდან „კვლავ“ და „წაშლა“).

პალიმფსესტების ძველი ტექსტების ამოსაკითხავად დაიწ-

ყეს ხელნაწერების ქიმიური დამუშავება: ძველი ტექსტი თითქოს გაცოცხლდა, კვლავ შესაძლებელი გახდა მისი წაკითხვა. თუმცა პირველ ხანებში წარმატება ხანმოკლე იყო: ხელნაწერის ქიმიურად დამუშავებული ფურცლები გამუქებას იწყებდა და რამდენიმე ხნის შემდეგ შეუძლებელი ხდებოდა მარტო ძველის კი არა, ახალი ტექსტის წაკითხვაც.

ახლა პალიმფსესტებს ქიმიურად აღარ ამუშავებენ; ამის ნაცვლად ხდება მათი სპეციალური ფოტოგადაღება და სურათზე მრავალი ასეული წლის წინათ ამოშლილი ტექსტის უხილავი სტრიქონები მეღავნდება.

ორკაპებიანი წიგნი

იცით თუ არა თქვენ, რა არის პროტოკოლი? შეიძლება იცოდეთ, მაგრამ ის კი არ გეცოდინებათ, რას ეწოდება ესხატოკოლი. ახლავე მოგახსენებთ.

პაპირუსს მარტო საბუთების შესადგენად ანდა პირადი წერილების დასაწერად როდი ხმარობდნენ. მასზე მთელ წიგნებს წერდნენ. მაგრამ ვინაიდან სიმყიფის გამო პაპირუსი გაკეცვისას იმტვრეოდა, ძნელი იყო წიგნისათვის ისეთი სახე მიეცათ, როგორიც დღესა აქვს — შეუძლებელი ხდებოდა მისი ფურცლებად შეკვრა. პაპირუსის წიგნი თითქმის ყოველთვის გრაგნილია და ყველა ფურცელი ერთიმეორეზეა მიწებებული. ასეთ გრაგნილს თუ გავშლით, ზოგჯერ რამდენიმე ათეული მეტრის სიგრძის ლენტს მივიღებთ.

პაპირუსის წიგნის პირველ ფურცელს პროტოკოლი ერქვა (ბერძნული სიტყვიდან „პროტოს“ — პირველი და „კოლლაო“ — ვაწებებ), უკანასკნელს კი—ესხატოკოლი (ბერძნული „ესხატოსიდან“ — უკანასკნელი). ხშირად იმ ადამიანზე, ვისაც კითხვა უჭირდა, ძველად ასე იტყოდნენ ხოლმე: „ახლა აიღო წიგნი ხელში და უკვე ესხატოკოლზე ოცნებობსო!“

პაპირუსის წიგნს ლილვაკზე ახვევდნენ, ლილვაკს ბოლოებში ორკაპები ჰქონდა, წიგნი რომ უფრო მოხერხებულად დაეჭირათ ხელში. წაკითხვის შემდეგ წიგნს ტყავის ბუდეში, ე. წ. ფელონში დებდნენ. ბიბლიოთეკაში პაპირუსის გრაგნილებს კალათებში ინახავდნენ.

ეტრატების ზოგიერთი წიგნიც ფორმით პაპირუსისას ჰგავდა და ასეთსავე გრაგნილებს წარმოადგენდა. მაგრამ ადრეული შუა საუკუნეების დასაწყისში მან უკვე თანამედროვე წიგნის სახე მიიღო. იგი შედგებოდა შუაზე გაკეცილი ერთად შეკრული ფურცლებისაგან. სამ-სამი, ხუთ-ხუთი, ექვს-ექვსი, უმეტესად კი ოთხ-ოთხი ასეთი ორად გაკეცილი ფურცელი ერთად იყო შეკრული. ერთად შეკრულ ამ ოთხ ორმაგ ფურცელს ბერძნულად „ტეტრადი" ერქვა, რაც „ოთხიანს" ნიშნავს (რვეულის რუსული სახელწოდებაც აქედანაა წარმომდგარი). რამდენიმე „ტეტრადი" ერთად იკვრებოდა და ღებულობდნენ წიგნს. შუა საუკუნეებში წიგნებს, ჩვეულებრივ, ხის ყდაში ან ტყავში სვამდნენ, ხოლო განსაკუთრებით ძვირფასი წიგნების ყდას ვერცხლის ბალთებით, მინანქრითა და ძვირფასი ქვებით ამკობდნენ. ეტრატი რომ არ დაბრეცილიყო, ყდას საგანგებო ბრინჯაოს შესაკრავებს უკეთებდნენ.

ეტრატის წიგნები ბევრად უფრო მოხერხებულია, ვიდრე ორკაპებიანი პაპირუსის გრაგნილები. გაშლილი პაპირუსის გრაგნილს წინ ვერ დაიდებ, აუცილებლად დაიხვევა. ამიტომ გრაგნილიდან გადაწერა მეტად მოუხერხებელი იყო; ჩვეულებრივ, გადამწერი კარნახით წერდა... რომის სახელოსნოებში კარნახით ერთდროულად ერთი და იმავე თხზულების რამდენიმე ცალი მზადდებოდა. სამაგიეროდ, გადამწერი ორიგინალს ვერ ხედავდა და ხშირად უხეშ შეცდომებს უშვებდა. ამიტომ დიდი უხერხულობა იქმნებოდა პაპირუსის სხვადასხვა გრაგნილის ერთმანეთთან შეჯერების დროს. გასაკვირი არაა, რომ ბევრი მეცნიერები წიგნიდან ცნობების ამოკრებას ბევრი რამის ზეპირად დამახსოვრებას ამჯობინებდნენ და ციტატებიც ზეპირად, მაშასადამე, ხშირად არაზუსტად მოჰყავდათ.

ორმაგზსკერიანი ფირფიტა

ძველად მარტო პაპირუსსა და ეტრატზე არ წერდნენ: შენიშვნებისა და ჩანაწერებისათვის იყენებდნენ ხეს, სანთელს, არყის ხის ქერქს, ტყვიას, რბილ თიხას, მაგარ, გამომწვარ თიხის ნატეხებს.

ძველ მესოპოტამიაში თიხა ყველაზე უფრო მიღებული

„ქაღალდი" იყო. აქ თიხის ფირფიტებზე წერდნენ წერილებს და თიხისგანვე ამზადებდნენ კონვერტებს. თიხაზე წერდნენ მიწის გაყიდვის აქტებს, თიხაზეა გადაწერილი მთელი ლიტერატურული ძეგლები.

პირველ თავში ჩვენ ვახსენეთ მეფე აშურბანიპალის ბიბლიოთეკა ნინევიაში. მთელი ეს ბიბლიოთეკა თიხის ფირფიტებისაგან შედგებოდა.

ძველი შუამდინარეთის მცხოვრებთ რბილ თიხაზე პატარა წვეტიანი ჯოხით გამოჰყავდათ მათი დამწერლობისათვის დამახასიათებელი სოლისებური (ლურსმული) ნიშნები. შემდეგ თიხას გამოწვავდნენ. თიხის წიგნებს ვერაფერს დააკლებდა ვერც წყალი და ვერც ცეცხლი. შეიძლებოდა მათი ნაწილებად დამტვრევა, მაგრამ მთლიანად მოსპობა შეუძლებელი იყო.

ნინევიის ბიბლიოთეკის თიხის წიგნებმა შესანიშნავად გაუძლეს ხანძარს: ცეცხლმა კიდევ უფრო გაამაგრა ისინი. ზოგიერთი მათგანი დაიმტვრა, მაგრამ მეცნიერებმა შეაგროვეს დამტვრეული ფირფიტები და შეაერთეს მათი დაფანტული ნაწილები. აქ როგორ არ გავიხსენოთ ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, ახ. წ. V საუკუნის დასაწყისში უმეცარმა ბერებმა ცეცხლი რომ წაუკიდეს. ათასობით ფასდაუდებელი პაპირუსის შემცველი ეს ბიბლიოთეკა მთლიანად დაიწვა.

ძველ ეგვიპტეში ჩანაწერებისათვის ზოგჯერ გამომწვარი თიხის ფირფიტებს (ოსტრაკონებს) ხმარობდნენ. შემონახულია, მაგალითად, ოსტრაკონები, რომლებსაც ქვითრებად იყენებდნენ.

ათენშიც ხმარობდნენ ოსტრაკონებს, მაგრამ სულ სხვა მიზნით — ოსტრაკიზმის გასატარებლად. თუ ათენელები შეამჩნევდნენ, რომ რომელიმე მოქალაქემ მეტისმეტად დიდი გავლენა მოიპოვა და შეეშვდებოდნენ, ერთპიროვნული ხელისუფლების დამყარებისაკენ ხომ არ მიისწრაფვისო, მოქალაქეთა ფარული კენჭისყრით გადაწყვეტდნენ საკითხს, შეიძლებოდა თუ არა ამ საშიში ადამიანის ქალაქში დატოვება. ხმის მიცემა ხდებოდა ოსტრაკონებით. თუ 6000 ოსტრაკონზე ამ ადამიანის სახელი აღმოჩნდებოდა, იგი 10 წლით განიდევნებოდა ქალაქიდან. ასეთმა ოსტრაკონებმა შემოგვინახეს გამო-

ჩენილი ათენელი პოლიტიკური მოღვაწეების სახელები, მაგალითად ჰემისტოკლესი.

ყველაზე უძველესი ჩინური ტექსტები კუს ბაკანზე, ან ხარის ბეჭზე დაწერილი მოკლე კითხვა-პასუხებია. ისინი მიეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულს.

ომის, ნადირობის ან თესვის დაწყების წინ ჩინელი თავადები მკითხაობდნენ, ელოდათ თუ არა წარმატება. ძვალზე წერდნენ, მაგალითად, ასეთ კითხვას: „დღეს თავადი სანადიროდ მიდის — ქარიშხალი ხომ არ შეუშლის ხელს?“ ანდა: „ავიღებთ თუ არა ფეტვის მოსავალს?“ ამის შემდეგ ბაკანს ახურებდნენ, ბაკანზე წარმოიქმნებოდა ბზარები და ამ ბზარების მიხედვით განსაზღვრავდნენ ღვთაების „პასუხს“. კუს წარწერებიანი ბაკნები მეცნიერებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა უძველესი ჩინური სახელმწიფოების მეურნეობის, წეს-ჩვეულებებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესასწავლად.

საბერძნეთშიც მკითხაობდნენ წინასწარ დაწერილი კითხვების დახმარებით, ოღონდ ამ კითხვებს ძვალზე კი არა, ტყვიის ფირფიტებზე წერდნენ. ზოგჯერ ტყვიის ფირფიტებს აკლდამებშიც პოულობენ, ზედ ბოროტი სულების წინააღმდეგ შელოცვა ან მტრების წყევლა წერია. ტყვიაზე შემონახულია საყოფაცხოვრებო ხასიათის ტექსტები და უბრალო წერილებიც კი. რომაელები ამ მძიმე საწერ მასალას „ტყვიის ქაღალდს“ უწოდებდნენ.

ჩრდილოეთ აფრიკაში იპოვეს ხის ფირფიტები. ესენი მიწის ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტებია და შედგენილია იმ დროს, როდესაც აფრიკაში რომის ძალაუფლება დაეცა და ჩრდილოეთიდან მოსული ვანდალები განმტკიცდნენ. ძირითადად ამ ხის ფირფიტებით ვეცნობით ახ. წ. V საუკუნის მიწურულის ჩრდილო აფრიკის საშინაო ცხოვრებას.

ძველ დროში ხის ქერქზედაც წერდნენ: მაშინდელი ავტორები მოიხსენიებენ ცაცხვის ლაფანის გრაგნილებს, მაგრამ ასეთ გრაგნილებს ჩვენამდის არ მოუღწევიათ. სამაგიეროდ, ძალიან კარგად ვიცნობთ ნოვგოროდის გათხრების დროს ნაპოვნ არყის ხის ქერქის სიგელებს. ნოვგოროდელები წვეტიანი ძვლის ჯოხით ფხაჭნიდნენ ასოებს არყის ქერქის შიდა გლუვ

მხარეზე. ნოვგოროდის არ-
ყის ხის ქერქის სიგელების
უმრავლესობა კერძო წე-
რილებია, მათი საშუალე-
ბით ვეცნობით XI—XV
საუკუნეების ნოვგოროდის
ყოველდღიურ ცხოვრებას.
ვიღაც ბორისი წერილს
სწერს, როგორც ჩანს, თა-
ვის ცოლს ნასტასიას და
სთხოვს, ვინმე შესვი ულაყ-
ზე და ჩემთან გამოგზავნე,
თან ჩემი პერანგი გამოატა-
ნე, მანდ რომ დამრჩაო.
მეორე წერილს ვინმე პეტ-
რე უგზავნის მარიას. იგი
ჩივის, რომ პოოზერიეში სა-
თიბავად გავემგზავრე და ად-
გილობრივმა მცხოვრებლებ-
მა თივა წამართვესო. რო-
გორც ჩანს, იმ დროს ბევრმა
ნოვგოროდელმა იცოდა წე-
რა-კითხვა.

მაგრამ ძველ დროში
ყველაზე გავრცელებულ მა-
სალას შენიშვნების, ქვით-
რებისა და წერილებისათვის
გასანთლული ოთხკუთხედი
ფიცრები, ეგრეთ წოდებუ-
ლი ცერები წარმოადგენდა.
ჩვეულებრივ, ორი ცერა ერ-
თად მაგრდებოდა და ქმნი-
და დიპტიხს, რაც ბერძნუ-
ლად „ორად გაკეცილს“ ნიშ-
ნავს.

ცერაზე წერდნენ ძვლის



ახალგაზრდა ცერაზე დაწერილ
წერილს კითხულობს. ძველებური
დიპტიხი და მეტალის სტილები

ან ლითონის ჯოხით — სტილით, ჯოხს ერთი ბოლო წვეტიანი ჰქონდა, მეორე — მომრგვალებული. მომრგვალებულ ბოლოს სანთლის მოსასწორებლად ხმარობდნენ. ადამიანი მიიღებდა ცერაზე დაწერილ წერილს, წაიკითხავდა, შემდეგ მოასწორებდა და ამავე ცერაზე დაწერდა პასუხს. „ხშირად შეაბრუნე სტილი", — ასე ურჩევდნენ რომაელი პოეტები მათ, ვინც ლექსების წერას იწყებდნენ, ე. ი. ხშირად წაშალე დაწერილი, მოიფიქრე და ხელახლა დაწერეო.

ძველი ცერებიდან ბევრმა ვერ მოაღწია ჩვენამდე. სანთლის ფირფიტების საკმაო დიდი რაოდენობა შემოგვრჩა ჩვენი პომპეელი ნაცნობის, ბანკირ ცეცილიუს იუკუნდუსის სახლში. ცერები ხის ყუთში ეწყო. ეს იყო ხელწერილები ფულის გაცემის თაობაზე, დოკუმენტები მაუდის სამთელაოსა და ქალაქის საბალახოების არენდის შესახებ. ცეცილიუს იუკუნდუსი ბანკირი ყოფილა და ფულს სესხად აძლევდა, გარდა ამისა, როდესაც გაკოტრებულთა ქონება იყიდებოდა, ის ამ ქონების შემფასებელი იყო. ასეთ დროს მისგან ხშირად სესხულობდნენ ფულს: ზოგს ძველი მაგიდის ყიდვა სურდა, ზოგს კი — ახალგაზრდა მონა ქალის. შემფასებელი იქვე გაასესხებდა ხოლმე ფულს, რასაკვირველია, დიდი პროცენტებით.

ცერებმა გამოიარეს ანტიკური ეპოქა; მათ ფართოდ იყენებდნენ ადრეულ შუა საუკუნეებშიც. მოგვითხრობენ, რომ კარლოს დიდი, რომელიც წერა-კითხვას ძნელად ითვისებდა, სანთლის ფირფიტებზე ვარჯიშობდაო. შემორჩენილია გულუბრყვილო ლეგენდა ეპისკოპოს ანსელმზე, რომლის ღვთისმოსაობამ ეშმაკი სძლია: ეშმაკმა როგორღაც მოინდომა გაემასხარავებინა ეპისკოპოსი და ღამით სანთელი ამოუჩიჩქნა ფირფიტებიდან, თვითონ ფირფიტები კი მიმოფანტა. მაგრამ მოხდა სასწაული: სანთელი თავისით დაუბრუნდა ძველ ადგილს და ისევ ხის ჩარჩოში მოთავსდა, ისე რომ ტექსტი ოდნავადაც არ დაზიანებულა.

ხშირად პოულობენ შუა საუკუნეების (XIII და უფრო გვიანდელი საუკუნეების) ცერებს. მაგალითად, გერმანულ ქალაქ ლიუბეკში, წყლის ორმოში აღმოჩნდა XV საუკუნის ფირფიტები, სტილები, კალმის სათლელი დანები და პატარა ჯოხები, რომლებსაც მასწავლებელი თითებზე ურტყამდა მოწაფე-

ცას. ნოვგოროდშიც იპოვეს სანთლის ფირფიტები, სხვადასხვა-გვარი სტილები (რუსეთში მათ „პისალა“-ს უწოდებდნენ) და ამ სტილების ბუდეები. ძველად სანთლის ფირფიტებს ზოგ-ჯერ საიდუმლო ცნობების გადასაცემად იყენებდნენ. ასეთ შემთხვევაში ტექსტს ხის ჩარჩოს ფსკერზე წერდნენ, შემდეგ ჩარჩოს სანთლით ამოავსებდნენ და ზედ უბრალო შინაარსის წერილს დაფხაჭნიდნენ. ასე ღებულობდნენ ორმაგფსკერიან ფირფიტას.

როგორ ამოვიკითხოთ ძველი ხელნაწერი

ჩვენ უკვე ვიცით, როგორ წერდნენ ანტიკური და შუა საუ-კუნეების გადამწერები. მოდით, ახლა წავიკითხოთ, რა დაწე-რეს მათ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ძველი ხელნაწერების წაკითხვა არც ისე იოლია. უპირველეს ყოვლისა, სარგად უნდა იცოდე ის ხელნაწერების ენა, რომლებსაც კითხულობ. ძველი ხელნაწე-რები კი დაწერილია ძველეგვიპტურ, ძველებრაულ, ძველბერ-ძნულ, ლათინურ, ძველსლავურ, ძველფრანგულ და ბევრ სხვა ენებზე. ძველი ენები, როგორც წესი, დღეს მკვდარ ენებად ითვლება. ახლა ამ ენებზე აღარავინ ლაპარაკობს. მკვდარი ენებიდან ზოგიერთი დიდი ხანია დაივიწყეს, რის გამოც მეც-ნიერებს გაუგებარი დაწერილობის წაკითხვის წესის შესწავლა ღასჭირდათ. ეგვიპტური პაპირუსები, ბაბილონური და ხეთუ-რი ფირფიტები, ურარტული და ძველი სპარსული წარწერები დიდხანს ნახატებისა და სოლისებური (ლურსმული) ნიშნების უაზრო თავმოყრას წარმოადგენდა. მეცნიერებმა სულ ახლა-ხან ამოიცნეს კრეტისა და პელოპონესის ფირფიტების წარწე-რათა საიდუმლოება. მაგრამ არის ჯერ კიდევ ამოუცნობი ტექს-ტები, მაგალითად, ძველინდური დამწერლობის ძეგლები. ისი-ნი მდინარე ინდზე გაშენებულ მკვდარ ქალაქებში ნაპოვნ ძვ. წ. III ათასწლეულის ფიქრფიტებზეა შემორჩენილი. არის მხოლოდ ნახატებისაგან შემდგარი ტექსტებიც. და მათი წაკი-თხვა იგივეა, რაც რებუსის ამოხსნა.

მაგრამ ენაც რომ ვიცოდეთ, საჭიროა ძველი ტექსტების

წაკითხვის საგანგებო შესწავლა. უნდა შევისწავლოთ ძველი ხელწერები, ვისწავლოთ იმ შემოკლებათა და პირობითი ნიშნების გაგება, რომლებსაც მაშინდელი გადამწერები იყენებდნენ. შემორჩენილია სტენოგრაფიული ნიშნებით დაწერილი ხელნაწერი, მაშასადამე, აუცილებელია გავეცნოთ ძველი სტენოგრაფიის სისტემას, ანდა, როგორც მას უწოდებენ, ტაქიგრაფიას. არსებობს საიდუმლო დამწერლობის ნიშნებით დაწერილი ხელნაწერები, — მაშასადამე, უნდა დავეუფლოთ ძველ საიდუმლო დამწერლობათა სისტემებს, უნდა ვიცოდეთ, როდის ხმარობდნენ ერთი ასოს მაგივრად მეორეს, ან როდის გამოტოვებდნენ ამა თუ იმ ასოს, ანდა ასოების ნაცვლად რა პირობით ნიშნებს ხმარობდნენ.

აი, რატომ არსებობს საგანგებო მეცნიერებანი, რომლებიც გვასწავლიან, როგორ წავიკითხოთ ძველი ტექსტები. ასეთი მეცნიერება სამია: პირველს ეწოდება ეპიგრაფიკა (ბერძნული „ეპიგრაფოდან“ — ზედ ვაწერ) — იგი წარწერის წაკითხვას გვასწავლის. მეორეს პალეოგრაფია ჰქვია (ბერძნული სიტყვიდან „პალაიოს“ — ძველი და „გრაფო“ — ვწერ) და უმთავრესად ძველ წიგნებს შეისწავლის; მესამეს დიპლომატიკა ეწოდება (შუა საუკუნეებში დიპლომებად მეფის სიგელები იწოდებოდა) — ეს დოკუმენტების შემსწავლელი მეცნიერებაა.

ზღვარის დადება ამ სამ მეცნიერებას შორის ძალიან ძნელია. მართლაც, ძნელია თქმა, სად თავდება ხელნაწერი და სად იწყება წარწერა. ზოგჯერ ამბობენ: „წარწერა ისაა, რაც საწერ მასალაშია ამოჭრილი; ხოლო ხელნაწერი ის არის, რაც საწერ მასალაზეა აღნიშნული“. კეთილი, ასეთი განმარტება, რასაკვირველია, გამოგვადგება ქვაზე ამოკვეთილი წარწერისა და პაპირუსის ხელნაწერებისათვის. მაგრამ მაშინ სანთლის ფირფიტები, ცერები, წარწერებად უნდა ჩავთვალოთ, ხოლო საღებავებით შესრულებული პომპეის აფიშები — ხელნაწერებად. ზოგჯერ ამბობენ, ეპიგრაფიკა „ნივთობრივი პალეოგრაფია“, ესე იგი ნივთებზე დაწერილი ტექსტების პალეოგრაფია არისო. მაგრამ განა ქვის სტელა, რომელიც იმისათვის იყო განკუთვნილი, რომ მასზე ქალაქ ათენის საბჭოს დადგენილება ან ბაბილონეთის მეფე ხამურაბის კანონები ამოეჭ-

რათ, — „ნივთია“? არა, ეს საგანგებო საწერი მასალაა, მხოლოდ განსაკუთრებული მასალა, ბევრად უფრო მაგარი და გამძლე.

არც შინაარსის მიხედვით შეიძლება წარწერასა და ხელნაწერს შორის ყოველთვის ზღვარის გავლება. რა თქმა უნდა, უდიდესი სხვაობაა საფლავის წარწერას — „მშვიდობით, გეგესო“-ს და „იგორის ლაშქრობის ამბავს“ შორის, მაგრამ „საქმენი ღვთაებრივი ავგუსტუსისა“ ნამდვილი დიდი ლიტერატურული ძეგლია და ამ ძეგლისა და კორიკელი ხელოსნების წარწერების შესასწავლად სულ სხვადასხვა მეთოდია საჭირო.

იგივე შეიძლება ითქვას დიპლომატიკაზე. რასაკვირველია, ცდვილია, შეამჩნიო განსხვავება ჰომეროსის „ილიადასა“ და ბიზანტიის იმპერატორის ალექსი I კომნენის სიგელს შორის, რომლითაც იგი ფეოდალ ლეონ კეფალეს ომში თავის გამოჩენისათვის მიწის ნაკვეთებს უბოძებს. მაგრამ თუ იმპერატორის ზოგიერთი სიგელი დიპლომატიკის შესწავლის საგანია, მაშინ რომელმა მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს იმპერატორების კანონთა კრებული. მთელ წიგნებს რომ მოიცავს? რომელმა მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს ეკლესიის კედლებზე ამოკვეთილი მეფის დადგენილებები — დიპლომატიკამ თუ ეპიგრაფიკამ? რასაკვირველია, ერთმაც და მეორემაც.

მაშასადამე, ეპიგრაფიკა სწავლობს წარწერებს, პალეოგრაფია წიგნებს, დიპლომატიკა კი — დოკუმენტებს, მაგრამ სამივე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და სამივე მეცნიერება გვასწავლის, თუ როგორ წავიკითხოთ ძველი ტექსტები. მაგრამ განა მარტო ამას გვასწავლის ეს მეცნიერებანი?

გამოიცანი ნაწერის მიხედვით

არ ვიცი, შეიძლება თუ არა ნაწერის მიხედვით ადამიანის ხასიათის გამოცნობა, მაგრამ დროის განსაზღვრა კი უდაოდ შეიძლება. ამის დადგენა, როგორც ვნახავთ, მეტად მნიშვნელოვანია.

აიღეთ რომელიმე თანამედროვე წიგნი და გადაშალეთ. წიგნის პირველ გვერდს თავფურცელი ეწოდება. თავფურ-

ცელზე მოცემულია ავტორის გვარი, ნაწარმოების სრული სახელწოდება. ქვემოთ კი აღნიშნულია სად, როდის და რომელმა გამომცემლობამ გამოსცა ეს წიგნი. მაგრამ ძველ ხელნაწერს თუ გადავშლით, ყოველთვის ვერ დავადგენთ, როდის, სად და ვის მიერაა იგი გადაწერილი.

შუა საკუნეების ზოგიერთი გადამწერი წიგნებში საკუთარ შენიშვნებსაც ჩაურთავდა ხოლმე და მინდორზე ან რომელიმე ნაწილის ბოლოში განმარტავდა გადაწერილ ტექსტს, ადარებდა აღწერილს თანამედროვე მოვლენებს, უჩიოდა გაჭირვებას ან ქვეყნის მძიმე მდგომარეობას. სომეხი გადამწერი თუმა 1391 წელს გადაწერილ ხელნაწერში ამბობს: „რომელ მიწიერ არსებას ძალუძს აღწეროს თემურის მიერ ჩადენილი ბოროტებანი?“ მეორე სომეხი გადამწერი პავხოსი (პავლე) გვატყობინებს, რომ მან გადაწერა წიგნი „ქალაქ ხალატანში, კონსტანტინოპოლის პირდაპირ რომ მდებარეობს, უბედურსა და მძიმე დროს, მაშინ, როდესაც თურქების ალყაში ვიმყოფებოდით ჩვენცა და სტამბოლიც“.

ასეთი შენიშვნებიდან (განსაკუთრებით ხელნაწერის ბოლოში მინაწერებიდან) შეგვიძლია გავიგოთ გადამწერის სახელი და გადაწერის დამთავრების დრო. მოსკოვში დაცულ ერთ ბერძნულ ხელნაწერს ასეთი მინაწერი აქვს: „დიაკვანი სტილიანე წერდა არეფისათვის, კაპადოკიის კესარიელი არქიეპისკოპოსისათვის“, და შემდეგ მუშაობის დამთავრების თარიღია აღნიშნული: 932 წლის აპრილი.

მაგრამ ასეთი მინაწერები ყოველთვის არა აქვს ხელნაწერებს. არის შემთხვევა, როდესაც აღნიშნულია მხოლოდ გადამწერის სახელი, თარიღი კი არა: „გადაწერა ესე ბიზანტიელმა მიხეილ ჯპოსტოლმა არა სიღარიბის გამო, არამედ სიყვარულისათვის“ (ე. ი. ფულის გულისათვის არ გადაუწერია). ხანდახან გადამწერი მალავს თავის სახელს და ასეთ შენიშვნას ჯერდება: „ვინ გადაწერა? ეს ღმერთმა იცის. რისთვის? ესეც მან იცის“; ხოლო ბევრ ხელნაწერს, საერთოდ, არავითარი შენიშვნა და მინაწერი არა აქვს.

ასეთ შემთხვევებში, რაკი სხვა გზა არ არის, ნაწერის მიხედვით უნდა დადგინდეს, თუ რომელ საუკუნეს ეკუთვნის ხელნაწერი. ამისათვის პალეოგრაფები შემდეგნაირად მოიქცნენ. უპირველეს ყოვლისა, შეადგინეს დათარიღებული ხელ-

ნაწერების სიები, ე. ი. იმ ხელნაწერების სიები, რომელთაც ზუსტი თარიღი აქვთ. ამ დათარიღებული ხელნაწერების საფუძველზე დადგინდა, როგორ იცვლებოდა საუკუნიდან საუკუნემდე ცალკეული ასოების დაწერილობა, როგორი შემოკლებები იხმარებოდა ამა თუ იმ საუკუნეში, რომელ საუკუნეში წერდნენ გადამწერები სიტყვებს ეტრატზე გავლებულ ხაზზე და რომელ საუკუნეებში — ამ ხაზის ქვემოთ. გარდა ამისა, მხედველობაში იღებდნენ საწერ მასალასაც. ჩვენ ხომ ვიცით, რომ XIV საუკუნიდან ეტრატი ქაღალდმა შეცვალა და, მაშასადამე, საეჭვოა, ეტრატი XIV საუკუნეზე გვიანდელი იყოს. შესაძლებელი გახდა აგრეთვე დაგვედგინა, რომელ საუკუნეს ეკუთვნოდა ესა თუ ის ჭვირნიშანი, ამან კი საშუალება მოგვცა ბაგვეგო ქაღალდის დამზადების საკარაუდო დრო დაუთარიღებელ ხელნაწერებში. ყველა ამ დაკვირვების საფუძველზე დღეს პალეოგრაფს შეუძლია საკმაოდ ზუსტად (საუკუნის ანდა ნახევარი საუკუნის ფარგლებში) დაადგინოს ხელნაწერის დაწერის დრო.

წარწერათა შრიფტების ურთიერთშედარების საფუძველზე ეპიგრაფიკის სპეციალისტს შეუძლია დაადგინოს ამ შრიფტის შექმნის დრო. მაგრამ, თავისთავად ცხადია, ქვაზე ამოჭრილ შრიფტსა და რბილ მასალაზე ნაწერს შორის დიდი განსხვავება იქნება, თუნდაც ორივე ერთსა და იმავე ხანას ეკუთვნოდეს.

„პორუჩიკ კიჟეს“ ღვიძლი ძმები

როგორ იბეჭდება ჩვენს დროში წიგნი? ავტორი წარადგენს საბეჭდ მანქანაზე გარკვევით გადაბეჭდილ ტექსტს. რედაქტორი ყურადღებით კითხულობს ამ ტექსტს, ამოწმებს სათლად არის თუ არა გამოთქმული ავტორის ყოველი აზრი, ხომ არ არის წიგნში წინააღმდეგობანი, შემთხვევით შეცდომა ხომ არ გაიპარა. შემდეგ ხელნაწერი ამომკითხველთან მოხვდება. ამომკითხველი თვალყურს ადევნებს, ხომ არ დარჩა ნაბეჭდ ტექსტში ისეთი კორექტურული შეცდომა, ავტორმა და რედაქტორმა რომ ვერ შეამჩნიეს. გასწორებული ხელნაწერი ისევ გადაიბეჭდება საბეჭდ მანქანაზე, ხოლო შემდარებლები შეამოწმებენ, სწორად გადაბეჭდა თუ არა მემანქანემ,

და მხოლოდ ამის შემდეგ მოხვდება ტექსტი ასოთამწყობთან.

მაგრამ ხომ შეიძლება ასოთამწყობმაც დაუშვას შეცდომა! ამიტომ მას შემდეგ, რაც სტრიქონები ჩამოისხმება და გვერდებად შეიკვრება, მთელ ტექსტს ფურცლებზე ამობეჭდავენ და ანაბეჭდს (კორექტურას) უგზავნიან ავტორს, რედაქტორს და კორექტორს. კორექტორი თვალყურს ადევნებს, რომ არ გაიპაროს კორექტორული შეცდომები და აწყობილი ტექსტი ზუსტად შეესაბამებოდეს ავტორისეულ ორიგინალს. რედაქტორი და ავტორი კიდევ და კიდევ ამოწმებენ, რომ წიგნში გამოთქმული აზრი სწორი და გასაგები იყოს. კორექტორის, აკტორისა და რედაქტორის მიერ შესწორებული კორექტურა კვლავ სტამბაში მიდის. ჩამსწორებელი ასწორებს მითითებულ შეცდომებს, სტრიქონებს ისევ ამობეჭდავენ, კორექტორი კვლავ ამოწმებს, არის თუ არა ყველა შეცდომა გასწორებული, და მხოლოდ ამის შემდეგ ბეჭდავენ წიგნს.

ამრიგად, წიგნის ბეჭდვა ავტორისეული ტექსტის ზუსტად გადმოცემის საშუალებას იძლევა. ტყუილად კი არ გამოაკრავდნენ ხოლმე აღორძინების ეპოქის საუკეთესო მესტამბეები თავიანთი სახელოსნოების წინ საბეჭდი წიგნის ფურცლებს და უხვად აჯილდოებდნენ მას, ვინც თუნდაც ერთ შეცდომას იპოვიდა ნაბეჭდში. ამავე დროს, წიგნის ბეჭდვის პროცესში, კორექტურის ერთი ეგზემპლარის გულდასმით შემოწმების შემდეგ ჩვენ შეგვაქვს შესწორება მთელ ტირაჟში, ე. ი. წიგნის ყველა ეგზემპლარში.

სრულიად სხვაგვარად იყო საქმე, როდესაც ხელით უხდებოდათ წიგნების გადაწერა. მაშინაც კი, როდესაც ასლს ავტორის სიცოცხლეშივე იღებდნენ, თვითონ ავტორს, რასაკვირველია, არ შეეძლო ყველა ეგზემპლარის წაკითხვა, ყოველ ეგზემპლარს კი სხვადასხვა გადამწერი წერდა და თითოეულში შეიძლებოდა სხვადასხვა ხასიათის შეცდომა გაპარულიყო. ამავე დროს, პაპირუსის გრაგნილების გადაწერა კარნახით ხდებოდა, გადამწერი ტექსტს ვერ ხედავდა და ესეც ზრდიდა შეცდომების დაშვების შესაძლებლობას.

მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების დიდი ნაწილი ხომ ავტორის სიკვდილიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგაა გადაწერილი. ანტიკური ხანის მწერლების თითქმის ყველა

თხზულება შუა საუკუნეების ხელნაწერების სახით შემოგვრჩა, ხოლო თვით შუა საუკუნეების თხზულებათა ტექსტების შედარებით გვიანდელი პირები აღწევენ ჩვენამდე. წარმოიდგინეთ, ბერძენი დრამატურგის სოფოკლეს მიერ ძვ. წ. V საუკუნეში დაწერილი ტრაგედიის ტექსტი და ამ ტექსტის ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი, რომელიც ძვ. წ. X საუკუნეს ეკუთვნის. რასაკვირველია, X საუკუნის პირი ავტორისეული ორიგინალიდან კი არაა გადმოწერილი, არამედ რომელიღაც სხვა პირიდან, თავის მხრივ ეს პირი სხვა პირიდანაა გადმოწერილი და ა. შ. სოფოკლესა და გადამწერს, რომელმაც ხელნაწერი შემოგვინახა, ერთმანეთისაგან 15 საუკუნე აშორებს. როგორც „გატეხილი ტელეფონის“ თამაშის დროს, ბუნებრივია, სულ უფრო და უფრო მრავლდებოდა შეცდომები ერთი პირიდან მეორის გადაწერისას და ჩვენამდე მოღწეული ტექსტი აუცილებლად დამახინჯებული იქნება. ამასთან, ისიც ხდებოდა, რომ გადამწერი ნაკლებად განათლებული იყო, არ ესმოდა ტექსტი, ვერ არჩევდა შემოკლებებს და ასოებს ერთმანეთში ურევდა.

ასე წამოიჭრება მეცნიერის წინაშე შემდეგი ამოცანა: მან ტექსტი კი არ უნდა წაიკითხოს მარტო, შეძლებისდაგვარად უნდა შეასწოროს კიდეც, დაუახლოოს ავტორისეულ ორიგინალს.

ამოცანის გადაჭრა გაადვილდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ერთი და იმავე ტექსტის რამდენიმე პირი. ერთი ხელნაწერის მეორესთან შედარებით შეიძლება გასწორდეს შეცდომები. დიგენის აკრიტასზე არსებული ბიზანტიური პოემის ერთ ხელნაწერში მოულოდნელად ვაწყდებით პწკარს, რომელიც გვატყობინებს, რომ გმირის მამა დიდი სიხარულით დაკრძალესო. ადვილი მისახვედრია, რომ ამ ადგილას ტექსტი დამახინჯებულია: უთუოდ ავტორს რაღაც სხვა ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ სახელდობრ რა? ამ პოემის მეორე ხელნაწერში ვპოულობთ შესატყვის სტრიქონს და აი, რას ვიგებთ: თურმე გადამწერმა ერთმანეთში აურია სიტყვები: „დორიფორია“ — ამალა, ესკორტი და „პერიხარია“ — დიდი სიხარული. მაშასადამე, დიგენისის მამა სულაც არ დაუკრძალავთ დიდი სიხარულით, კუბოს მისი ამალა მიჰყვებოდა თურმე. პოემის პირველ ეგზემპლარს შეუძლია თა-

ვის მხრივ დახმარება გაგვიწიოს მეორე ეგზემპლარში დაშვებული შეცდომების გასწორებაში. მაგალითად, დიგენისის პარკის სილამაზის აღწერისას ნახსენებია „ფარშევანგისა და სხვა ყოველნაირ ფრინველთა კვერცხები“. რა მოსატანია აქ ფრინველთა კვერცხები? განა ბიზანტიელი ფეოდალები თავიანთ პარკებს ფრინველების კვერცხებით ამკობდნენ? ვუდარებთ პირველ ხელნაწერს და ვიგებთ, რომ ორიგინალში ლაპარაკი ყოფილა არა კვერცხებზე, არამედ ბრწყინვალებაზე (ბერძნულად „ავგი“ — ბრწყინვალებას, განთიადს ნიშნავს, „ავგა“ კი — ფარშევანგის კვერცხს). მაშასადამე, დიგენისის შესანიშნავ ბაღებს ამკობდა ფარშევანგის ბრწყინვალება და არა ფარშევანგის კვერცხები.

მაგრამ ხელნაწერის შეცდომები ყოველთვის ასე ადვილად ვერ სწორდება. ხშირად ძნელდება იმის დადგენა, თუ ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ხელნაწერიდან რომელია სწორი და რომელი დამახინჯებული. კიევის სახელმწიფოს საშინაო ცხოვრების შესასწავლად უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს „რუსკაია პრავდა“ (რუსული სამართალი). ორიგინალმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენს ხელთაა „რუსკაია პრავდას“ ასზე მეტი ხელნაწერი პირი. და აი, ზოგიერთ მათგანში ნათქვამია, რომ გლეხი-სმერდისა და ხოლოპის (შინაყმის) მოკვლისათვის 5 უზალთუნს ახდევინებდნენო. თუ ასეთ ტექსტს მივიჩნევთ ორიგინალად, მაშინ აღმოჩნდება, რომ კიევის რუსეთში სმერდები ძალზე დამცირებულნი ყოფილან, რადგან ხოლოპებს უტოლებდნენ და მათი მოკვლისათვის მცირე ჯარიმას ახდევინებდნენ. მაგრამ „რუსკაია პრავდას“ ეს მუხლი სხვა ხელნაწერებში სხვაგვარად იკითხება: „ხოლო სმერდის ხოლოპის მოკვლისათვის 5 უზალთუნია“, ესე იგი 5 უზალთუნ ჯარიმას სმერდის მოკვლისათვის კი არა, სმერდის ხოლოპის, ე. ი. იმ ხოლოპის მოკვლისათვის ახდევინებდნენ, რომელიც სმერდს ეკუთვნოდა. გამოდის, რომ სმერდებს შედარებით პრივილეგიური მდგომარეობა ჰქონიათ, რადგან მათ საკუთარი ხოლოპებიც კი ჰყოლიათ.

მხოლოდ „რუსკაია პრავდას“ ყველა პირის გულმოდგინე ანალიზის შედეგად შევძელით შეგვენიშნა, რომ უფრო ადრინდელ ასლებში საუბარია სმერდსა და ხოლოპზე, ხოლო „სმერ-

ლის ხოლოპი“ ჩნდება უფრო მოგვიანებით. გადამწერის შეცდომის წყალობით.

მაშასადამე, მეცნიერი არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მის ხელთ არსებული ხელნაწერის მხოლოდ სწორად წაკითხვით. მან უნდა შეკრიბოს ცნობები ტექსტის ყველა ხელნაწერზე, გაარკვიოს, რომელია მათ შორის უკეთესი და წაიკითხოს ტექსტი ამ ხელნაწერის საფუძველზე. ამავე დროს, მან უნდა გაითვალისწინოს სხვა ხელნაწერების მიხედვით მოსალოდნელი შესწორებანი. აი, სწორედ ახლაა საჭირო გავარკვიოთ, რომელი ხელნაწერია უფრო ადრე გადაწერილი და რომელი გვიან, რადგან ადრინდელი ხელნაწერები, ჩვეულებრივ, უფრო უახლოვდება ორიგინალს და, მაშასადამე, უკეთესიცაა გვიანდელ პირებთან შედარებით. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში გვიანდელი ხელნაწერი შეიძლება ადრინდელზე უკეთესი აღმოჩნდეს. თუ ის, მაგალითად, უშუალოდ ორიგინალიდანაა გადაწერილი.

მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ჩვენამდე ერთადერთი ხელნაწერი აღწევს, ანდა რამდენიმე პირი, რომლებიც ძალიან ახლოა ერთიმეორესთან და მათი წაკითხვისას დიდი სხვაობა არ ჩანს. მაგრამ ამგვარ ტექსტებშიაც აღმოჩნდება გაუგებარი ადგილები და ისინიც აუცილებლად საჭიროებენ შესწორებას. ასეთ შემთხვევაში მეცნიერის ამოცანა მეტად რთულდება: მან უნდა გაარკვიოს, რამ გამოიწვია შეცდომა. შეიძლება გადამწერმა სწორად ვერ გაშიფრა შემოკლება, ან ერთმანეთში აურია მსგავსი ასოები, ან იქნებ გააცალკევა სიტყვები (თუ ძველ ხელნაწერში სიტყვები ერთმანეთზე იყო გადაბმული)? თუ სწორად მივაგენით შეცდომის მიზეზს, შეიძლება ვცადოთ თავდაპირველი ტექსტის აღდგენაც.

გამოჩენილი საბჭოთა მწერალი ტინიანოვი თავის ერთ-ერთ წაწარმოებში მოგვითხრობს, უყურადღებო გადამწერმა სიტყვების „პორუჩიკი ეე“-ს ნაცვლად როგორ დაწერა „პორუჩიკ კიეე“.[1] ამ შეცდომამ უფროსების წარმოდგენაში შექმნა სინამდვილეში არარსებული პორუჩიკი კიეე. მას მისცეს ჩი-

---

[1] პორუჩიკი ეე — პორუჩიკები კი.
პორუჩიკ კიეე — პორუჩიკი კიეე.

ნები, ორდენები და ბოლოს დააჭორწინეს კიდეც. ვინ იცის, რამდენი არარსებული ხალხი, ქალაქი და ტერმინია შექმნილი „პორუჩიკ კიჟეს“ მსგავსად ძველ ხელნაწერებში.

აი, რას მოგვითხრობს ერთი ბიზანტიური ქრონიკა იმპერატორ ვასილი I-ზე, რომელიც IX საუკუნის ბოლოს ცხოვრობდა. ვასილი გლეხის ოჯახში დაიბადა, მაგრამ არაჩვეულებრივმა ფიზიკურმა ძალამ სახელი გაუთქვა მთელ კონსტანტინოპოლში. იგი გამოცდილი მოკრივე და გარეული ცხენების სახელგანთქმული მომთვინიერებელი იყო. ვასილი აბრეშუმით შემოსეს, ფულებითა და ჩინებით აავსეს და ბოლოს იმპერატორმა მიხეილმა თავის თანამმართველად გამოაცხადა. ახლა კი ვასილმა ტახტის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა: მან დაათრო მიხეილი და ღამით ერთგულ მსახურებს უბრძანა, ყელი გამოეჭრათ თავისი კეთილისმყოფელისათვის. ასე გახდა ვასილი ბიზანტიის ერთმმართველი.

რით დაიწყო თავისი მმართველობა გლეხის ოჯახიდან გამოსულმა მოკრივე იმპერატორმა? უპირველეს ყოვლისა, გაუსწორდა აჯანყებულ გლეხებს, რომელთაც იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნეს და მოუწოდებდნენ ყველას, მოესპოთ დედამიწაზე უსამართლობა და ბოროტება. იმპერატორმა შეკრიბა ჯარი და აჯანყებულთა წინააღმდეგ დაიძრა. იგი, — აღნიშნავს მემატიანე, — აფრიკისაკენ გაემართაო. კი მაგრამ, რა უნდოდა აფრიკაში? აჯანყების ცენტრი ხომ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებთან, სომხებით დასახლებულ პროვინციებში მდებარეობდა? გამოირკვა, რომ „აფრიკა“ გადამწერის შეცდომამ წარმოშვა, სინამდვილეში უნდა იყოს „თეფრიკა“. ქალაქი თეფრიკა აჯანყებულთა ცენტრი იყო.

ხშირად ასეთი შეცდომის მიზეზი გამომცემლის უყურადღებობაა. XV საუკუნის რუსმა მოგზაურმა ათანასე ნიკიტინმა დაწერა მოთხრობა „მოგზაურობა სამი ზღვის იქით“, სადაც მისი ინდოეთში ყოფნის ამბავია მოთხრობილი. „მოგზაურობის“ უკანასკნელი ფრაზა ასე წაიკითხეს: „გირ, მოუმართე ხელი შენს მონას“. თავიდანვე გაუგებარი იყო, ვინ იყო გირი, ვისაც შველას სთხოვდა ათანასე ნიკიტინი.

ისევე, როგორც პორუჩიკი კიჟე, არც გირი არსებობდა არასოდეს. ხელნაწერში ამ ადგილას ორი რუსული ასო «ГИ» ეწერა, ხოლო მათ ზემოთ პატარა ხაზი იყო გასმული. ეს ხაზი გამომცემელმა წაიკითხა, როგორც «Р». სინამდვილეში კი ქარაგმა, შემოკლების ნიშანი იყო. რას ნიშნავს შემოკლება «ГИ»? ასეთი შემოკლება ხშირად გვხვდება რუსულ ხელნაწერებში და ნიშნავს «господи».[1] მაშასადამე, ნიკიტინი არარსებულ გირს კი არ სთხოვდა დახმარებას, არამედ წერდა: „ღმერთო, მოუმართე ხელი შენს მონას".

მკვლევართა შეუპოვარი შრომის შედეგად თანდათანობით მცირდება ასეთი ხასიათის შეცდომები ხელნაწერებშიც და ხელნაწერების საფუძველზე გამოცემულ ტექსტებშიც.

მეტისმეტად გულმოდგინე გადამწერები

ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა პირების შედარება საშუალებას გვაძლევს მარტო გადამწერის მიერ დაშვებული უმნიშვნელო შეცდომები კი არ გავასწოროთ, გამოტოვებული და ჩამატებული ადგილებიც შევნიშნოთ. ავტორის შემდეგ წიგნს თავისი გზა უნდა გაევლო. შუა საუკუნეების დროს გადამწერები ტექსტის პირს ზუსტად როდი იღებდნენ, ხან ამოკლებდნენ მას, ხან კი ავსებდნენ. ასეთი დამატებები შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კიდეც ძირითად ტექსტს, შეიძლება მეტად საგულისხმო და ახალ ცნობებსაც შეიცავდეს.

ბიზანტიაში X საუკუნის შუა წლებში გაჩნდა სიმეონ ლოგოთეტის ქრონიკა. მასში ძალიან მოკლედ, მაგრამ მაინც არის აღწერილი ბიზანტიის ისტორიული ამბები. ეს ქრონიკა ძალიან პოპულარული იყო — მას იწერდნენ კიდეც და ჩანართებითაც ავსებდნენ. გვხვდება, მაგალითად, ამ ქრონიკის პირები, ისინი იმპერატორ ნიკიფორე ფოკასა და მისი ნათესავებისადმი მიძღვნილ მრავალ ჩანართს შეიცავენ. ჩანართების ავტორი მათ გულად ადამიანებად და გამოცდილ მხედართმთავრებად

---

[1] Господи — ღმერთო.

თვლის. უნდა ვიფიქროთ, რომ გადამწერი ნიკიფორე ფოკას დაახლოებულ პირთა წრეს ეკუთვნოდა და ტექსტის გადამუშავებას აწარმოებდა ან უშუალოდ იმპერატორის შეკვეთით. ანდა იმ იმედით, რომ იმპერატორის, ან რომელიმე მისი ახლობლის წყალობას დაიმსახურებდა. არსებობს აგრეთვე სიმეონ ლოგოთეტის ქრონიკის სხვა პირი. მის ჩანართებში ყოველნაირადაა გაკიცხული კონსტანტინოპოლის პატრიარქი ფოტიუსი. ცხადია, ამ ჩანართების ავტორი პატრიარქის მტერი იყო. მაგრამ როგორ გამოვყოთ ტექსტიდან ასეთი ჩანართები, თუკი ჩვენ ერთადერთი ხელნაწერი გვაქვს ხელთ, ანდა თუ ასეთ ჩანართებს ჩვენამდე შემონახული ყველა ხელნაწერი შეიცავს?

ახ. წ. I საუკუნის ებრაელი მწერალი იოსებ ფლავიუსი, რომელიც ბერძნულ ენაზე წერდა, დაწვრილებით მოგვითხრობს თავისი დროის იუდეველთა სახელმწიფოს პოლიტიკურ ისტორიას. ის კარგად იცნობდა მშობლიურ ქვეყანას, სადაც გაიზარდა და რომლის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა, სანამ ტყვედ არ ჩაუვარდა რომაელებს. იოსებ ფლავიუსის თხზულებაში „იუდეველთა სიძველენი“ რამდენიმე სიტყვაა თქმული იესოს შესახებ. იესოს იოსებ ფლავიუსი ყოველნაირად განადიდებს. სხვათა შორის. იგი ამბობს, რომ იესო ქრისტე იყოო (ბერძნულად „ქრისტოსი“ „მირონცხებულს“, მეფის უფლებებმინიჭებულ ადამიანს ნიშნავს).

იოსების ეს მონათხრობი ეჭვს იწვევს, მისი სტილი განირჩევა იოსებ ფლავიუსის საერთო თხრობის სტილისაგან, სრულიად არ უკავშირდება არც წინა და არც მომდევნო ამბებს. და ბოლოს, წარმოუდგენელია ქრისტიანობისათვის სრულიად უცხო მწერლისაგან, რომელიც I საუკუნეში ცხოვრობდა, ახალი რელიგიის დამაარსებლის ქება-დიდებით მოხსენიება.

მაგრამ როგორ უნდა დაგვემტკიცებინა, რომ ეს ადგილი ნამდვილად ჩანართი იყო? მკვლევარები ამ გაჭირვებისგან იხსნა ახ. წ. III საუკუნის ქრისტიანმა ღვთისმეტყველმა ორიგენემ. იგი იმ დროისათვის მეტად განათლებული და ნაკითხი პიროვნება იყო. სხვა წიგნების გარდა, მას წაუკითხავს იოსებ ფლავიუსის თხზულებაც „იუდეველთა სიძველენი“. ამ წიგ-

ნის წაკითხვის შემდეგ ორიგენემ აღნიშნა, რომ იოსებ ფლავიუსი არასოდეს უწოდებს იესოს ქრისტესო. მაშასადამე. იმ დროს, როდესაც ორიგენემ წაიკითხა „იუდეველთა სიძველენი", ესე იგი III საუკუნეში, იესო ქრისტეზე ნათქვამი ჯერ კიდევ არ იყო მიწერილი იოსებ ფლავიუსისადმი. მოგვიანებით, როდესაც ქრისტიანობამ გაიმარჯვა და გაბატონებულ რელიგიად იქცა, იოსებ ფლავიუსის წიგნის გადამწერებს გაუკვირდათ, რომ ებრაელი მწერალი ახ. წ. I საუკუნის იუდეაზე მოგვითხრობდა და არაფერს ამბობდა იესო ქრისტეზე. იესო ქრისტე ხომ სწორედ იმ დროს ცხოვრობდა იუდეაში და იქ აცვეს ჯვარს. ამიტომ მათ რელიგიური მოსაზრებით გადაწყვიტეს, შეეტანოთ იოსებ ფლავიუსის წიგნი მიწაზე გამოცხადებული ღმერთის ქებათაქებით.

დაკარგული თხა და ახალი ხელნაწერები

ყოველი ქალაქის ნანგრევებისა და უძველესი ნეკროპოლეზის გათხრის შემდეგ არქეოლოგები სულ ახალ მასალებს იძენენ. ყოველ წელიწადს მათ განკარგულებაში გადადის ახალი სივთები, მონეტები, წარწერები. მაგრამ ძველი ხელნაწერები? იქნებ ყველა მათგანი შესწავლილია და გამოკვლეული?

რა თქმა უნდა, არა. შუა საუკუნეების ტექსტების უდიდესი ნაწილი დღემდე არ არის გამოქვეყნებული. არქივებში უამრავი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გამოუცემელი წიგნი და დოკუმენტი ინახება. ყოველ წელს გამოდის სულ ახალი და ახალი ტექსტები, ისინი აშუქებენ ისტორიის დღემდე ბნელით მოცულ სხვადასხვა საკითხს.

სრული სახით ანტიკური ხანის ავტორებიც კი არ არის გამოცემული, თუმცა ისინი შუა საუკუნეების ავტორებზე გაცილებით უკეთ არიან ცნობილნი. ახლად აღმოჩენილი პაპირუსებიდან ზოგი აქამდე უცნობ პიესას გვაცნობს, ზოგი ლექსებს და ზოგიც საქმიან დოკუმენტებს.

ახალმონაპოვართა რიცხვს ეკუთვნის ჩრდილოეთ აფრიკის ხის ფირფიტები, ნოვგოროდის არყის ხის ქერქის სიგელები

და ზემო ეგვიპტეში, ხენობოსქეიონში, ნაპოვნი ახ. წ. II—IV საუკუნეების სექტანტთა ხელნაწერებიანი თიხის დოქი. უკვე აღარაფერს ვამბობთ წერილობითი საბუთების იმ განუწყვეტელ ნაკადზე, ძველი აღმოსავლეთის ოლქებიდან რომ ვღებულობთ, არაფერს ვამბობთ კრეტის ფირფიტებზე, რომლებიც მხოლოდ ათიოდე წლის წინ ამოიცნეს. არა, წერილობითი ძეგლები ჯერ კიდევ არ არის მთლიანად შესწავლილი!

სულ ახლახან არაბი მწყემსი მკვდარი ზღვის დასავლეთ ნაპირზე შემთხვევით წააწყდა გადანახულ ხელნაწერებს. მწყემსს თხა დაეკარგა. თხის ძებნაში მან მთელი გამოქვაბულები მოიარა (ასეთი გამოქვაბულები ბევრია იორდანიის ამ უდაბურ ნაწილში) და ერთ-ერთ გამოქვაბულში ტყავის გრაგნილებით სავსე თიხის დოქი იპოვა. გაუგებარი ნაწერით დაფარული ტყავი მწყემსმა შინ წამოიღო, რათა სანდლების თასმებად დაეჭრა. მაგრამ, ბედად, გრაგნილები უფრო მცოდნე ადამიანებს ჩაუვარდათ ხელში. მოგვიანებით იმავე რაიონის რამდენიმე გამოქვაბულში კიდევ აღმოაჩინეს ხელნაწერები.

მკვდარი ზღვის ხელნაწერებმა გვიამბეს ებრაელ სექტანტებზე, რომლებიც ძვ. წ. II და ახ. წ. I საუკუნეში ბინადრობდნენ ამ უდაბურ მხარეში. ისინი ცხოვრობდნენ ცალკეულ თემებად. სექტანტებმა დატოვეს „ბოროტების სამყარო“ და ქადაგებდნენ, საცაა დაეცემა ეს სამყარო, მას „სინათლის შვილები“ დაამხობენო. ისინი ამრავლებდნენ საქონელს, მოყავდათ პური, ყურძენი და თავისუფალ დროს ანდომებდნენ ლოცვებს, ხელნაწერების გადაწერასა და განბანვას, რადგან წყალი, მათი აზრით, ჭუჭყს მარტო სხეულიდან კი არა, სულიდანაც ჩამორეცხდა. ქონება მთელი თემის საკუთრებას წარმოადგენდა. სექტანტებს მკაცრი დისციპლინა ჰქონდათ. სასტიკად ისჯებოდა ქურუმის შეურაცხმყოფელი, ისიც, ვისაც თემის კრებაზე დაეძინებოდა, და ისიც, ვინც იატაკზე დააფურთხებდა.

რატომ გამოიწვია მთელ მსოფლიოში ასეთი დიდი ინტერესი მკვდარი ზღვის ხელნაწერებმა? რატომ მიეძღვნა მათ აღმოჩენიდან რამდენიმე წლის შემდეგ ათასამდე წიგნი და სტატია? საქმე ისაა, რომ მკვდარი ზღვის ნაპირას შექმნილმა სექტანტების თემმა ნიადაგი მოუმზადა ქრისტიანობის წარმო-

მობას, ის იყო ქრისტიანული თემის ერთ-ერთი უშუალო წინამორბედთაგანი. ძალიან ბევრი რამაა საერთო ადრეული ხანის ქრისტიანებისა და ამ სექტანტების ზნე-ჩვეულებებში, რწმენასა და ტერმინოლოგიაში. მკვდარი ზღვის სანაპიროს ხელნაწერების გაცნობის შემდეგ მეცნიერებს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნათ ქრისტიანობის ჩასახვაზე.

დამწერლობა, დაახლოებით, ხუთი ათასი წლის წინ გაჩნდა, ამიტომ უფრო ადრეული ათასწლეულების ისტორია მხოლოდ და მხოლოდ არქეოლოგიური ძეგლების საფუძველზე შეიძლება შევისწავლოთ. მაგრამ იმ დროიდან მოყოლებული, როცა ადამიანმა პირველი წარწერა გააკეთა ქვაზე, მას შემდეგ, რაც გაჩნდა ტექსტები თიხასა და პაპირუსზე, წერილობითი წყაროები სწრაფად იქცნენ ისტორიის შესწავლის მთავარ წყაროდ. საქმიანი დოკუმენტებიდან და კანონებიდან ჩვენ ვეცნობულობთ ძველი სახელმწიფოების საზოგადოებრივ ურთიერთობას, მატიანეებიდან — პოლიტიკურ ისტორიას, პამფლეტებიდან, ლექსებიდან და პიესებიდან — იმ დროის ადამიანთა გუნებაგანწყობილებას, წერილებიდან — მათ პირად ცხოვრებას.

რასაკვირველია, წერილობითი წყაროების დიდი ნაწილი არქეოლოგებმა აღმოაჩინეს. პირველ რიგში ეს ეხება წარწერებს, თიხის ფირფიტებს, არყის ქერქის სიგელებს. მაგრამ აღმოჩენილი ტექსტები წაიკითხეს პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის სპეციალისტებმა.



თავი V

ძველისძველი გეჰდიანი სიგელი

გლეხები წვავენ დოკუმენტებს

1381 წლის ივნისში ინგლისი გლეხთა ამბოხებამ მოიცვა. გლეხები მოითხოვდნენ ბატონყმობის გაუქმებას, თავისუფლებასა და თანასწორობას. გლეხთა ერთ-ერთი ბელადი ჯონ ბოლი თავის ქადაგებაში ამბობდა: „რა უფლებით ბატონობენ ლორდები ჩვენზე? განა ყველა ერთი მამისა და დედისაგან — ადამისა და ევასაგან — არა ვართ შობილნი? ისინი ყარყუმითა და სხვა ბეწვეულით გაწყობილ ხავერდითა და ძვირფასი ქსოვილებით იმოსებიან, ჩვენ კი იძულებული ვართ ძონძები ვატაროთ. მათ აქვთ ღვინო, სანელებლები და წმინდა ფქვილის ფუნთუშები, ჩვენ კი მხოლოდ ბზე, ჩალა, ჭვავის პური გვაქვს და ცარიელ წყალს ვსვამთ“.

გლეხები მინდვრის სამუშაოებს ტოვებდნენ და აჯანყებულებს უერთდებოდნენ. ისინი ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი: ცულები და ორთითები უწევდათ მახვილისა და დაშნის მაგივრობას. მხოლოდ რამდენიმეს ჰქონდა თან კედელზე უქმად კიდებისა და კვამლისგან სპილოს ძვალზე უფრო გაყვითლებული მშვილდი. გლეხები გადადიოდნენ ქალაქიდან ქალაქში,

თავს ესხმოდნენ ფეოდალთა კარმიდამოებს, სჯიდნენ საძულველ მოსამართლეებსა და გადასახადების ამკრეფთ.

თანდათანობით იზრდებოდა გლეხთა მოძრაობა. 9 ივნისს აჯანყებულები თავს დაესხნენ ვინმე თომას ბედმენტონის მამულს და ხელთ იგდეს ყველა დოკუმენტი. 10 ივნისს შეიჭრნენ ტენგემეს საბატონოში, რაც კი სასამართლოს ოქმები და გადასახადთა სიები იპოვეს, დაწვეს. 11 ივნისს გლეხებმა აიწიოკეს ჯონ ბროდის კარმიდამო და გაანადგურეს იქ ნაპოვნი საგადასახადო სიები. უოტ ტაილერის მეთაურობით გლეხები სამხრეთ ინგლისში მდებარე ქალაქ კენტერბერიიში შეიჭრნენ და, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვეს, რომ შერიფს მათთვის ერთგულების ფიცი მიეცა და ჩაებარებინა ყველა დოკუმენტი, რაც კი მასთან ინახებოდა. აჯანყებულნი კენტერბერიის რაინდების სახლებს მოედვნენ, დაამტვრიეს ყუთები, სადაც დოკუმენტები ინახებოდა, და გაიტაცეს ისინი.

კენტერბერიიდან აჯანყებულები ლონდონისაკენ დაიძრნენ და 12 ივნისს უკვე დედაქალაქს მიადგნენ. მათ ლამბეტში გაანადგურეს კენტერბერიის არქიეპისკოპოსის ქალაქგარე სასახლე. დაცალეს არქიეპისკოპოსის ღვინის კასრები, დაამსხვრიეს ჭურჭელი და დაწვეს სასახლეში ნაპოვნი ყველა დოკუმენტი.

13 ივნისს, დილით, ბრბო გაშლილი დროშებით ლონდონის ხიდს მიადგა. მოქალაქეებმა მცველებს ხიდის აწევის საშუალება არ მისცეს და აჯანყებულები უბრძოლველად შევიდნენ ქალაქში. მათ ციხეები გააღეს და გაათავისუფლეს პატიმრები, დაანგრიეს ლანკასტერის ჰერცოგის სასახლე და მთელი ავეჯეულობა ტემზაში გადაყარეს, მაგრამ სიკვდილით დაემუქრნენ ყველას, ვინც კი ჰერცოგის გაძარცვასა და მისი ქონების დატაცებას მოინდომებდა. „ჩვენ სიმართლისა და სამართლიანობის დამცველები ვართ და არა ქურდები და ყაჩაღები“, — ასე ამბობდნენ აჯანყებულები.

ამის შემდეგ აჯანყებულები თავს დაესხნენ ტემპლს, სადაც იურისტები თათბირობდნენ — ის იურისტები, მიწის გაყიდვის სიგელებსა და სესხის ბარათებს რომ ადგენდნენ. გლეხებმა შენობას კრამიტი მოხადეს, დაამტვრიეს ყუთები, სადაც დოკუმენტები ინახებოდა, ქუჩებში კოცონები გააღაჩეს და ცეცხლს მისცეს ეტრატის ნაფლეთები.

ჯერჯერობით აქ შევჩერდეთ. რატომ იწვევდა ყოველთვის სიძულვილსა და გულისწყრომას თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლ აჯანყებულ გლეხებში დოკუმენტების ყუთები, რატომ ამსხვრევდნენ ისინი ამ ყუთებს, ხევდნენ და წვავდნენ დოკუმენტებს? მივმართოთ აჯანყებულთა თანამედროვეების ცნობებს: „აჯანყებულმა გლეხებმა, — მოგვითხრობს შუა საუკუნეების ქრონიკის ავტორი, რომელიც XIV საუკუნის ბოლოს ცხოვრობდა, — დაადგინეს ცეცხლისათვის მიეცათ სასამართლოს ყველა ოქმი და ძველი დოკუმენტი, იმ იმედით, რომ მათ ბატონებს წარსული დაავიწყდებოდათ და ვეღარ შეძლებდნენ თავიანთ ყოფილ გლეხებზე თავისი უფლებების გახსენებას“.

მაშასადამე, ლონდონსა და ინგლისის ფეოდალების მამულებში დოკუმენტებს იმიტომ წვავდნენ, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გლეხებს ყმებად აქცევდა, ფეოდალებს კი უფლებას აძლევდა გლეხების ნადელებზე. მიწასა და გლეხებზე ფეოდალების უფლებების დამცველი ასეთი დოკუმენტები მარტო ინგლისის მონასტრებსა და ინგლისელ რაინდთა მამულებში როდი ინახებოდა, ისინი ინახებოდა გერმანიაშიც, საფრანგეთშიც, იტალიასა და რუსეთშიც.

რა დოკუმენტებია ესენი?

კეთილისმყოფელი აბატი

ჩვენ წინ წერილი დევს. სიმართლე რომ ითქვას, ის წერილი კი არა, ფრანკთა ქვეყანაში შედგენილი წერილის ნიმუშია. ეტყობა, იმ დროს ხშირად იწერებოდა ასეთი და მისი მსგავსი ბარათები, თუკი შექმნილი იყო ნიმუში, რომლის მიხედვითაც უნდა შეედგინათ წერილი.

წერილის დასაწყისში ღვთის სახელია ნახსენები, ასე ასწავლიდა ეკლესია ხალხს: უპირველეს ყოვლისა, ღვთის სახელი უნდა ვახსენოთ და, მაშასადამე, ყოველი დოკუმენტიც ღვთის სახელით უნდა იწყებოდესო. ამრიგად, „სახელითა ღვთისითა“ აბატი ესა და ეს (სახელი არ წერია, გამოტოვებულია ადგილი) სალამს უძღვნის მავანს, „ქრისტეს მიერ შეყვარებ-

ულს". აბატი კეთილია. იგი საჩუქარს სთავაზობს ადამიანს, რომელსაც წერილს უგზავნის: „შენი თხოვნით სარგებლობაში გაძლევთ ჩვენს მიწებს". აქ ისევ დატოვებულია ადგილი. შეიძლება ჩაიწეროს, რომელ მიწებს უძღვნის.

მაგრამ ბარათი აქ არ წყდება. შემდეგ ჩვენ ვიგებთ, რომ აბატი არც ისეთი კეთილი ყოფილა, როგორადაც სურს თავი მოგვაჩვენოს. თურმე იმ ადამიანს, ვისაც საჩუქრად უძღვნეს მიწის ნაკვეთი, უფლება არა აქვს არც გაყიდვის, არც გაჩუქების არა მარტო სარგებლობაში მიდებული მიწისა, არამედ იმ ნადელისაც, რომელიც მას ეკუთვნოდა მანამდე. გარდა ამისა, „არ შეუძლია რაიმე ზიანი მიაყენოს" დასამუშავებლად გადაცემულ მიწას. „ხოლო შენი სიკვდილის შემდეგ, — აგრძელებს აბატი წერილის დასასრულს, — ჩვენს მფლობელობაში გადმოვა ყველაფერი უცვლელად: მთელი მიწა, ნაგებობანი და მონები. ჩვენ არ დაველოდებით არც სასამართლოს დადგენილებას და არც გადაცემის აქტის შედგენას".

მაგრამ კეთილი აბატი არც ამას სჯერდება. მას არ შეუძლია, მიწის პატრონის სიკვდილს ელოდოს. იგი წერს: „და შენ ყოველწლიურად გადაგვიხდი ფულს, ამდენს და ამდენს აღნიშნული წმინდანის დღესასწაულზე, ამ წმინდანის კანდელისათვის, სამაგიეროდ, საიქიოში ჯილდოს მიიღებ".

ამგვარად, საიქიოში ჯილდოს მიღების იმედით და იმისათვის, რომ სიცოცხლეში ერთი მტკაველი მიწა შემოიპატოს, გლეხი მონასტერს აძლევს მთელ თავის ნადელს. მაგრამ რა ბედი ეწვევა გლეხის ოჯახს მისი სიკვდილის შემდეგ? ვის მიადგება კარზე მისი ქვრივი? ისიც ისევ იმ კეთილ აბატთან წავა და სთხოვს მიწას, აბატიც კვლავ „სახელითა ღვთისითა" მისცემს მიწას, შეიძლება იგივე ნაკვეთიც მისცეს. მაგრამ, სამაგიეროდ, თავისუფლებას წაართმევს. დიახ, იმქვეყნიურ გაცხრომაზე გულუხვი დაპირება გლეხის ოჯახს თავისუფლების ფასად უჯდებოდა!

გადავავლოთ გონების თვალი შუა საუკუნეების პერგამენტის სიგელების გამომშრალ ფურცლებს: აგერ, ქვრივი იძულებულია თავისი მიწის ნაჭერი ფეოდალს მიჰყიდოს იმიტომ, რომ ხარი დაუვარდა და ნაკვეთის დამუშავება აღარ შეუძლია, არც ორი პატარა ვაჟიშვილის გამოკვების საშუა-

ლება აქვს. აი, მოხუცი გლეხი ფეოდალს აძლევს თავის ნადელს, რათა თბილი კუთხე, ტანსაცმელი და სარჩო სიკვდილამდე ფეოდალმა გაუჩინოს. აგერ, გლეხის ოჯახი მევახშისაგან ვალად იღებს ფულს და ფიცსა დებს, წმინდა მიხეილის დღეს (29 სექტემბერს) დაუბრუნოს. თუ ვერ დაუბრუნა, მაშინ მთელ ნადელს მევახშე დაეპატრონება. აგერ. ძმების ამბავი: ისინი გაუყოფლად ფლობდნენ მამისაგან მემკვიდრეობით მიღებულ ბაღს, მაგრამ ერთ-ერთი ძმა ბერად აღიკვეცა და წილი უნდა შეიტანოს მონასტერში. ძმები მოსამართლესთან მიდიან საქმის მოსაგვარებლად, მოსამართლეს გამოაქვს გადაწყვეტილება: ძმები გაიყარონ, უმცროსმა ძმამ ისე გაყოს ნაკვეთი, როგორც მას სურს, ხოლო უფროსმა ძმამ ის ნაწილი ირჩიოს, რომელიც მას უნდა.

ასეთი სიგელები, სადაც ლაპარაკია მიწის ჩუქებასა და გაყიდვაზე, სესხის გაცემასა თუ ადამიანების დამონებაზე, უამრავია. ზოგი მათგანი ეტრატის ნაგლეჯზეა დაწერილი და მოწმეების ჩვენებითაა დადასტურებული; ზოგი კი ლამაზი ხელით გადაუწერიათ კარტულარიებში — სპეციალურ წიგნებში. ამ წიგნებში მონასტრის მიერ ახლად შეძენილი მიწებისა და დამოკიდებული ადამიანების აღრიცხვას აწარმოებდნენ. VIII საუკუნის შუა წლებისათვის მარტო ფრეიზინგენის მონასტერში უკვე დაგროვილი იყო დაახლოებით შვიდასამდე ასეთი სიგელი. ყველა ისინი ერთფეროვანი, მოსაწყენი და მშრალია, დაწერილია დამახინჯებული ლათინური ენით, სავსეა გრამატიკული და არითმეტიკული შეცდომებით და მოგვითხრობს, თუ როგორ გაძარცვეს, ან მონებად აქციეს გლეხობა.

თუ ამ სიგელებს შევისწავლით, შეიძლება გავიგოთ, რომელ ოლქში რა დროს აქციეს ყმებად გლეხები; როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი და რა ხრიკებს მიმართავდნენ ფეოდალები; შეიძლება შევიტყოთ, თუ რა უფლებები შეინარჩუნეს გლეხებმა; შეიძლება დავადგინოთ, რომელ ოლქებს შემორჩა თავისუფალი და ნახევრად თავისუფალი გლეხობა.

ფეოდალებს ეს სიგელები უფლებას აძლევდა ეპატონათ ყმებზე და დაესაკუთრებინათ მიწები. ამიტომაც წვავდნენ 1381 წელს აჯანყებული გლეხები სიგელებს, იმედოვნებდნენ,

რომ ცეცხლი დოკუმენტებთან ერთად საძულველ წარსულს — ბატონყმობას მოსპობდა. ისტორიკოსები კი ამ დოკუმენტების მიხედვით შეისწავლიან, თუ როგორ იქმნებოდა ეს „წარსული“, როგორ ყალიბდებოდა ბატონყმური წყობილება. როგორ იქცეოდნენ ყმებად ოდესღაც თავისუფალი მიწათმოქმედნი და მეომრები.

თომას ბონვალეტმა მონასტრის მიწა უნდა ხნას

მაგრამ, როდესაც აჯანყებული გლეხები უოტ ტაილერთან ერთად კენტერბერიისა და ლონდონისაკენ მიემართებოდნენ და უმოწყალოდ წვავდნენ დოკუმენტებს, საეჭვოა ამ დოკუმენტებში ბევრი საბუთი ყოფილიყო მიწის ჩუქებასა და გაყიდვაზე. ინგლისში გლეხთა მიწები XIV საუკუნეზე ბევრად უფრო ადრე მიითვისეს ლორდებმა და ბატონყმობაც აქ დიდი ხნით ადრე დამკვიდრდა. ახლა ფეოდალთა ყუთებში გაჩნდა გლეხობის გადასახადთა განმსაზღვრელი სულ სხვა დოკუმენტები.

ინგლისში, გლოსტერის საგრაფოში, არსებობდა წმინდა პეტრეს მონასტერი, რომელიც მრავალრიცხოვან ადგილ-მამულებს ფლობდა თვით გლოსტერისა და ინგლისის სხვა საგრაფოებში. წმინდა პეტრეს მონასტრის ბერებს ფხიზლად ეპირათ თვალი თავიანთ ქონებაზე: კარტულარიებში მათ აღრიცხული ჰქონდათ კერძო პირებისაგან შეძენილი მიწებიცა და მეფის სხვადასხვა წყალობათა ასლებიც. კარტულარიებში აღრიცხული იყო აგრეთვე მონასტრის მამულებიდან აღებული მოსავალი. უფრო მეტიც, წმინდა პეტრეს კარტულარიები შეიცავდა მონასტრის სამფლობელოების მნიშვნელოვანი ნაწილის დაწერილებით აღწერას.

იგი იწყებოდა მონასტრის მიწების აღწერილობით: ამდენი და ამდენი აკრი სახნავი მიწა. ამდენი აკრი მდელო, საძოვარი და სამტრედე. იქვე მოყვანილი იყო ჯამი: მონასტრის მიწის შემოსავალი — 4 ფუტი, 14 შილინგი და 3 პენსი. ამას მოსდევდა გლეხთა ნადელები და თითოეული გლეხის მეურნეობის ცალკე აღწერილობა. აი, თომას

ბონვალეტი. 1265 წელს, როდესაც ეს სიები შეადგინეს, იგი ალბათ ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მარჯვედ დგამდა თივის ზვინებს, კალოზე ყოჩაღად ხმარობდა ხელკეტს. მას შემდეგ შვიდასი წელი გავიდა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თომას ბონვალეტს, რომელიც წმინდა პეტრეს მონასტრის ყმა იყო და მისგან სანახევროდ ჰქონდა აღებული სანადელო მიწა, კიდეც უნდა მოეხნა ეს მიწა. კიდეც დაეფარცხა, გაემარგლა, თივაც უნდა გაეთიბა და ზვინებად დაედგა, ცერცვიც უნდა დაეთესა, ბატონის ცხვარიც დაებანა, კალოც გაელეწა და კაკალიც დაებერტყა; ხოლო თუ მოურავს მოესურვებოდა, შეეძლო ამ სამუშაოს სანაცვლოდ თომას ბონვალეტისათვის 10 შილინგი და 3 პენსი გადაეხდევინებინა.

მაგრამ, დავუშვათ, თომას ბონვალეტს ან სხვა რომელიმე გლეხს პირი შეეშალა, გამტყუნებულიყო, მაშინ რა მოუვიდოდა მას? ამაზეც მოგვითხრობენ იმავე შუა საუკუნეების, თუმცა სულ სხვა დოკუმენტები.

ცენტრალურ ინგლისში იმ დროს რამზეის მონასტერი ჰყვაოდა. იგი ფლობდა უამრავ მამულს. მათ შორის ელტონის მამულსაც. 1278 წლის 23 ნოემბერს ელტონში შედგა სასამართლო, რომელიც გლეხთა საქმეებს იხილავდა: ვინ ჩხუბის ატეხისათვის დააჯარიმეს, ვინ იმისათვის, რომ მონასტრის საძოვრებზე თავისი საქონელი გარეკა. ხოლო გლეხს, ჰენრიხ გოდსვეინს 6 პენსი ჯარიმის გადახდა მიუსაჯეს, რადგან მან შემოდგომაზე არ ისურვა საბატონო ბეგარა მოეხადა და სხვებიც დაიყოლია დროზე ადრე დაეტოვებინათ სამუშაო. სოფლის სასამართლოს ასეთმა დადგენილებებმაც მოაღწიეს ჩვენამდე.

აღწერილი მამულების სია და სასამართლოს გადაწყვეტილებათა ჩანაწერები საშუალებას გვაძლევენ ნათლად წარმოვიდგინოთ შუა საუკუნეების ინგლისის სოფელი: აგერ გლეხი. ლორდისაგან მალულად ლუდს რომ ხარშავს; ზოგს თავისი სანადელო ნაკვეთის გაფართოების მიზნით ბატონის მიწის ნაწილიც გადაუხნავს, ზოგს — სოფლის გზაც დაუმუშავებია. ჩვენ ვხედავთ ყმას, რომელიც ამტკიცებს, რომ ის თავისუფალი გლეხია. ჩვენ შეგვიძლია ზუსტად გავიგოთ, როგორი ბეგარის გადახდა ეკისრებოდა მთლიანი ნადელის

მფლობელ გლეხს, ნახევარი ნადელის მფლობელსა და იმას, ვისაც ქოხისა და ბოსტნის გარდა არაფერი გააჩნდა.

წმინდა პეტრეს მონასტრის მიერ ჩატარებული აღწერის საფუძველზე შეიძლება გამოვიანგარიშოთ მონასტრის შემოსავალი და გავიგოთ, როგორ იქმნებოდა იგი; შეგვიძლია აგრეთვე წმინდა პეტრეს მამულებში მცხოვრები ყმებისა და თავისუფალი გლეხების რაოდენობის დადგენაც, ერთი სიტყვით, ჩვენ შეგვექმნება კონკრეტული და ზედმიწევნით სრული წარმოდგენა ერთ-ერთ ფეოდალურ მამულზე.

მაგრამ წმინდა პეტრეს მონასტერი — ეს ერთი ფეოდალია. ხომ არ მოგვეპოვება ისეთი დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენას შეგვიქმნიდა მთელი ქვეყნის მდგომარეობაზე?

საშინელი სამსჯავროს წიგნი

საყოველთაო აღწერა ჩვენ დროშიც კი რთული და შრომატევადი სამუშაოა, მაგრამ წარმოიდგინეთ. რა ძნელი იქნებოდა აღწერის ჩატარება შუა საუკუნეების ინგლისში: ძნელად სავალ გზაზე ადამიანები ცხენებით დადიოდნენ; წერა-კითხვის მცოდნეც ცოტა იყო. კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა ყველას არ შეეძლო, ანდა არ სურდა, და მაინც, ხანგამოშვებით ხდებოდა ასეთი აღწერები.

1066 წელს ინგლისს ნორმანდიელები დაესხნენ თავს: ჰასტინგსთან ბრძოლაში შალის ხიფთანებით შემოსილი და ცულებით შეიარაღებული ინგლისის ქვეითი ჯარი წალეკა გრძელშუბიანი ნორმანდიელი რაინდების ცხენოსანმა ლაშქარმა. ინგლისის მეფე ბრძოლაში მოკლეს, მისი ტახტი დაიკავა ნორმანდიის ჰერცოგმა ვილჰელმმა, რომელმაც დამპყრობლის სახელწოდება მიიღო. გავიდა წლები და ვილჰელმის ბრძანებით მთელ ქვეყანაში დაიგზავნა მეფის კომისრები. ისინი აღწერდნენ ინგლისის საგრაფოების მიწებს. აღწერა ჰასტინგსის ბრძოლიდან 20 წლის გასვლის შემდეგ დასრულდა და მას ხალხმა „საშინელი სამსჯავროს წიგნი“ უწოდა. ეტყობა, ინგლისელ ხალხს მხედველობაში ჰქონდა საეკლესიო

ლეგენდა საშინელ სამსჯავროზე, როცა ქრისტე გამოცხადდება და მთელ კაცობრიობას გაასამართლებს. მათი აზრით, მხოლოდ საშინელ სამსჯავროზე შეიძლებოდა მოეწყოთ ასეთი დაკითხვა, როგორსაც მეფის კომისრები აწარმოებდნენ აღწერის დროს.

„საშინელი სამსჯავროს წიგნმა“ ჩვენამდეც მოაღწია. ეს შუა საუკუნეებისდროიდან შემორჩენილი ერთადერთი აღწერაა, რომელიც ქვეყნის ყველა მხარეს ეხება: მასში აღრიცხულია ქალაქებიც, ფეოდალების მამულებიცა და სამეფო მიწებიც. „საშინელი სამსჯავროს წიგნიდან“ ვგებულობთ, რომ XI საუკუნის ბოლოსათვის ინგლისის მოსახლეობა ერთნახევარ მილიონს შეადგენდა. ვერც ერთი ქრონიკა, ვერც ერთი არქეოლოგიური მასალა ვერ მოგვცემდა ამ ცნობებს! ამის შემდეგ ვგებულობთ, რომ იმდროინდელი მოსახლეობის მხოლოდ 5 % ცხოვრობდა ქალაქად. ისიც შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ რამდენი მონა, თავისუფალი გლეხი და ყმა ცხოვრობდა იმ დროს, ხოლო მათ შორის რამდენი იყო სრულნადელიანი და რამდენი — მცირემიწიანი. უფრო მეტიც, ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ ეს ციფრობრივი მონაცემი ცალკეული საგრაფოსათვის და ამის მიხედვით დავასკვნათ, რომ მონათა რიცხვი განსაკუთრებით დიდი იყო ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და უელსის საზღვრებთან, იმ დროს როდესაც თავისუფალ გლეხებს განსაკუთრებით ხშირად შეხვდებოდით აღმოსავლეთ საგრაფოებში.

მაგრამ თუ გვინდა გავიგოთ, როგორ ცხოვრობს და ვითარდება საზოგადოება, ამისათვის საკმარისი არ არის გვქონდეს ციფრობრივი მონაცემები ერთი განსაზღვრული მომენტისათვის — დავუშვათ, 1086 წლისათვის. რა მოხდა ინგლისში მომდევნო საუკუნეებში, ვთქვათ, შემდგომი 200 წლის განმავლობაში? აი, ბუნებრივი კითხვა, რომელიც ისტორიკოსს დაებადება. როგორ შეიცვალა გლეხობის მდგომარეობა, როგორ შეიცვალა ფეოდალური მამულები?

თურმე ინგლისში 1279 — 1280 წლებში კვლავ ჩაუტარებიათ აღწერა იმაზე უფრო სრული სახით, ვიდრე 1086 წელს. მაგალითად, ამ აღწერაში გულმოდგინედაა აღრიცხული გლეხობის გადასახადები, რაც „საშინელი სამსჯავროს წიგნში

თითქმის არ არის. მაგრამ, სამწუხაროდ, მთელმა აღწერამ ჩვენამდე ვერ მოაღწია, შემოგვრჩა მხოლოდ ინგლისის რამდენიმე ცენტრალური საგრაფოს აღწერილობა. მიუხედავად ამისა, „საშინელი სამსჯავროს წიგნისა“ და 1279 — 1280 წლების აღწერის შედარება მაინც გვაძლევს საშუალებას შევნიშნოთ, რომ განვლილი 200 წლის განმავლობაში ინგლისში მომხდარა ზოგიერთი ცვლილება. შეიძლება, მაგალითად, თვალი გავადევნოთ, თუ როგორ ქუცმაცდებოდა ფეოდალური სამფლობელოები და ინგლისელი ბარონების ვრცელი მამულები.

თუ ინგლისის ადრინდელ სამონასტრო მამულებისა და სახელმწიფო აღწერებს უფრო გვიანდელს შევადარებთ და დავუპირისპირებთ სასამართლოს ოქმებს, მოურავების მიერ წარდგენილ ანგარიშებსა და სხვა შემონახულ დოკუმენტებს, შევამჩნევთ, რომ XIII საუკუნეში იზრდება გლეხთა გადასახადები, სულ უფრო და უფრო უარესდება გლეხთა მდგომარეობა. ხოლო XIV საუკუნეში შავი ჭირის ეპიდემიამ, სამხედრო წარუმატებლობებმა და გადასახადების კატასტროფულმა ზრდამ კიდევ უფრო გააუარესა ქვეყნის მდგომარეობა. რას ნიშნავს ეს? გამოდის, რომ აღწერებისა და სხვა შემონახული საბუთის წყალობით ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ რატომ მოხდა ინგლისში 1381 წელს გლეხთა აჯანყება. ეს არ არის იმ მოცლილი მოგზაურის შემთხვევითი დაკვირვებანი, რომელიც ორიოდე გლეხს გაესაუბრა, სანამ ეტლში ჩაჯდებოდა და ლონდონს გაემგზავრებოდა. აღწერები ზუსტ ციფრებს გვაწვდიან და გვეუბნებიან: დიახ, XIII—XIV საუკუნეში გლეხთა მდგომარეობა მართლაც გაუარესდა; დიახ, აჯანყება უოტ ტაილერის ხელმძღვანელობით კანონზომიერი პასუხი იყო ფეოდალიზმისაგან სასტიკად შევიწროებული გლეხებისა.

მაგრამ დავუბრუნდეთ აჯანყებულებს.

მეფე ხელს აწერს დიპლომს

იმ დროს, როდესაც აჯანყებული გლეხები ლონდონში შევიდნენ, ინგლისში მეფობდა 15 წლის რიჩარდ II. ეს ფიცხი და მერყეევი ხასიათის ახალგაზრდა, რომელიც თაყვანს სცე-

ზდა ძვირფას მორთულობას, რასაკვირველია, არ განაგებდა ქვეყანას. იგი მხოლოდ სათამაშო თოჯინა იყო თავისი დედის — ინგლისის დედოფლისა — და სამეფო საბჭოს ხელში, საბჭოს კი თვითნებურად მართავდა კენტერბერიის არქიეპისკოპოსი.

იწვოდა ლონდონის სასახლეები, ბევრ დიდებულსა და საწართლისმცოდნეს აჯანყებულებმა თავები მოჰკვეთეს, ქალაქში ხალხი მბრძანებლობდა. ძალზე შეშინებული სამეფო საბჭო ერთი მიზნისკენღა ისწრაფოდა: დრო მოეგო და გლეხები აეძულებინა, რომ დაშლილიყვნენ.

აი, რატომ შეადგინეს აჯანყებულებისადმი მიმართვა რიჩარდ II-ის სახელით. მეფე რიჩარდი, უპირველეს ყოვლისა, მადლობას უძღვნიდა „თავის კეთილ თემებს", რადგან მათ შეისრულეს მეფის ნახვის ძლიერი სურვილი და მასთან მივიდნენ ლონდონში. მეფე აცხადებდა, რომ მათ აპატიებს ყოველგვარ შეცდომას, დანაშაულსა და შეურაცხყოფას; აჯანყებულებს მოუწოდებდა, დაბრუნებოდნენ თავიანთ სახლებს და საჩივრები წერილობით წარმოედგინათ, რათა მეფესა და სამეფო საბჭოს ერთად გამოენახა სწორი გზა მთელი სამეფოს საკეთილდღეოდ. თავის სიგელს რიჩარდმა ბეჭედი დაუსვა და აჯანყებულებთან ორი რაინდი გაგზავნა მეფის უსტარის წასაკითხად.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: მეფემ უბრძანა ოცდაათ მწერალს, აჯანყებულთა სახელზე სიგელები შეედგინათ. ეს სიგელები ათავისუფლებდა სხვადასხვა საგრაფოთა გლეხებს ბატონყმური დამოკიდებულებებისაგან, პატიებას ჰპირდებოდა ყოველგვარი დანაშაულის გამო და ქვეყანაში მშვიდობის დამყარებას აუწყებდა. ასეთი იყო საქმის ვითარება 14 ივნისს. მაგრამ 15 ივნისს უკვე გამოირკვა, რომ მეფემ მოატყუა ხალხი.

15 ივნისს მეფემ მიიღო უოტ ტაილერი. იგი აჯანყებულთა ბელადს სმითფილდის ველზე შეხვდა, ქალაქის ჩრდილოეთ კედლის მიღმა. უოტ ტაილერმა საჯაროდ წაიკითხა აჯანყებულთა მოთხოვნები. მეფემ ყველა მოთხოვნა მიიღო, ტაილერი თავის მრჩევლად დანიშნა და მხოლოდ ერთი რამ სთხოვა, „ერთგული თემები" თავიანთ სახლებს დაუბრუნ-

დნენო. საუბარი დამთავრდა. უოტ ტაილერმა აიღო ელით სავსე ტოლჩა და „ახალი წესრიგის სადღეგრძელო“ შესვა. იგი ტანმორჩილ ცხენზე შეჯდა და ის იყო შორიახლო მდგომ თავისი ჯარისაკენ უნდა გაეჭენებინა, რომ შეიარაღებულმა კარისკაცებმა ალყა შემოარტყეს მას. რომელიღაც პაჟმა იყვირა, ტაილერი მთელ კენტის საგრაფოში ყველაზე საშინელი ყაჩაღი და ქურდიაო. განრისხებულმა აჯანყებულთა ბელადმა, — ის ხომ მეფის მრჩეველი იყო! — ხმალი იშიშვლა, მაგრამ ლონდონის მერმა დაასწრო და მძიმედ დაჭრა. შემდეგ ტაილერს ლონდონის საავადმყოფოში მოუღეს ბოლო.

უოტ ტაილერის სიკვდილის ცნობამ გლეხები დააბნია. ამავე დროს, მათ უკვე ხელთ ჰქონდათ მეფის დიპლომები, რითაც აღუთქვამდნენ დავაკმაყოფილებთ თქვენს მოთხოვნებსო.

გარდა ამისა, როდესაც ლონდონის მერმა აჯანყებულებს სარზე ჩამოცმული ტაილერის თავი უჩვენა, განა ახალგაზრდა მეფე თვითონ არ გამოვიდა მათთან და არ შეჰპირდა თავის წინაშე დამხობილ გლეხებს პატიებას?

მაგრამ მეფის ბეჭედდასმულმა დიპლომებმა ვერ უშველეს გლეხებს. როდესაც მათ მეფეს დაუჯერეს და სახლებში დაბრუნდნენ, მოულოდნელად გამოირკვა, რომ თურმე ისინი ბოროტგანმზრახველები ყოფილან. დაიწყეს მათი დაპატიმრება და ჩამოხრჩობა ლონდონში, ინგლისის სამხრეთ ქალაქებსა თუ დაბებში. სხვებთან ერთად ჯონ ბოლიც დაიჭირეს და მეფის ბრძანებით შაყა ჰკრეს.

ოქრობეჭდული სიტყვა

შუა საუკუნეების სიგელებს შორის თავისი საზეიმო ხასიათით გამოირჩევა მეფეთა დიპლომები, ხოლო სამეფო დიპლომებს შორის აღსანიშნავია ბიზანტიის იმპერატორების სიგელები. ეს სიგელები ატარებდნენ მაღალფარდოვან სახელწოდებას: „ოქრობეჭდული სიტყვა“.

ბიზანტიის იმპერატორების სიგელებს პირველად პაპირუსებზე, შემდეგ კი არაბულ ქაღალდსა და ეტრატზე წერდნენ.

ეტრატს ზოგჯერ განსაკუთრებული წესით ამზადებდნენ. მას მეწამული ან იისფერი საღებავით ფარავდნენ და ზედ ჩვეულებრივი მელნით კი არა ოქროს მელნით წერდნენ. ზოგიერთ სიტყვას სიგელში აუცილებლად წითელი მელნით ჩაწერდნენ ხოლმე — წითელი ფერი ხომ ბიზანტიის იმპერატორისათვის პრივილეგიური ფერი იყო: მხოლოდ მას შეეძლო წითელი წაღების ტარება.

სავალდებულო არ იყო დიპლომზე თვითონ მეფეს მოეწერა ხელი: არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შუა საუკუნეების ყველა მეფე არ იყო წერა-კითხვის მცოდნე. წერა-კითხვა არ იცოდა ჩვენთვის უკვე ცნობილმა ოსტგუთების მეფე თეოდორიხმა, წერა-კითხვის უცოდინარი იყო ბიზანტიელი ჯარისკაცი, იუსტინე, რომელიც იმპერატორის ტახტზე აიყვანეს. ერთიც და მეორეც სარგებლობდა საბუთზე დართული სპეციალური შაბლონით. მათ მხოლოდ კალამი უნდა გაეტარებინათ შაბლონზე ამოჭრილ თავისებურ ხაზებზე. მრავალი მეფის დიპლომზე დასმულია მონოგრამა — ერთმანეთში გადახლართული ასოები, რომლებისგანაც მეფის სახელი შედგებოდა. მონოგრამას ხატავდა მწერალი, მეფეს კი ნახატის დასასრულებლად მხოლოდ რამდენიმე ხაზი უნდა გაევლო.

დასავლეთ ევროპის ხელისუფალთა დიპლომებზეც და ბიზანტიის იმპერატორის სიგელებზეც ბეჭედი იყო დასმული. დასავლეთში ფართოდ იყენებდნენ სანთლის ბეჭდებს: სანთელს მოასხამდნენ პირდაპირ საბუთზე; ჯვრის ან ვარსკვლავის ფორმის საგანგებოდ გაკეთებული ჭრილიდან სანთელი დიპლომის მეორე მხარეს გადიოდა, შემდეგ მეფე ბეჭედს სანთელს წაღმა მხარიდან დაადებდა და ზედ გამოსახულებას აღბეჭდავდა. ბეჭედზე კი ყველაზე ხშირად გერბს გამოსახავდნენ.

ბიზანტიის იმპერატორების სიგელებზე ოქროს ბეჭედი იყო დასმული, ამიტომაც უწოდეს მათ „ოქრობეჭდული სიტყვა". ოქროს ბეჭედს საბუთზე წითელი ან იისფერი ზონრით ჰკიდებდნენ. ზონარი ოქროს ფირფიტაში გაკეთებულ ვიწრო ხვრელში გადიოდა. სპეციალური ხელსაწყოთი ოქროს ფირფიტის ერთ მხარეს ქრისტეს, მეორეზე კი იმპერატორის გამოსახულებას ამოტვიფრავდნენ; ამასთან ერთად, ეს ხელსა-

წყო მაგრად კრავდა ზონარს ოქროს ბეჭდის შიგნით. ბიზანტიის იმპერატორები ზოგჯერ სიგელს ტყვიის ბეჭედს უსვამდნენ.

მეფის სიგელები სულ სხვადასხვაგვარ საკითხებზე შეიძლებოდა დაწერილიყო: მათ შორის — ყმებით დასახლებული მიწის წყალობაზე, ფეოდალისადმი მოსამართლის უფლებების მინიჭებაზე მისი სამფლობელოს ფარგლებში, მოქალაქეთა მძიმე გადასახადებისაგან განთავისუფლებაზე. ზოგი მათგანი კი მეზობელი ქვეყნის ხელისუფლებისადმი მიწერილ ბარათებს წარმოადგენდა. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, როგორი სიფრთხილეა საჭირო მეფეთა სიგელების კითხვისას. მეფის ყოველი დაპირება არ სრულდებოდა, თუნდაც მასზე მონოგრამა ყოფილიყო დასმული და სანთლის, ტყვიის ან ოქროს ბეჭდით დამოწმებული.

რამდენიმე სიტყვა ტყვიის ბეჭდებზე

მინდა ცოტა უკან დავიხიო და გესაუბროთ ტყვიის ბეჭდებზე.

ბიზანტიაში ბეჭედს მარტო იმპერატორები არ სვამდნენ საბუთზე, სხვადასხვა მოხელეებიც ჰკიდებდნენ თავიანთ უსტარს ტყვიის პატარა მრგვალ ფირფიტებს, რომელზეც ღვთისმშობელი, ან ჯვარი, ანდა რომელიმე წმიდანი იყო გამოსახული და რაიმე ლეგენდა ეწერა (გახსოვთ ეს სიტყვა?), ზოგჯერ ლექსადაც. ამ ბეჭდებიდან მხოლოდ ცოტაოდენი შემორჩა თავის ადგილას — საბუთზე დაკიდებული. საბუთების უმეტესი ნაწილი დალპა და გადარჩა მხოლოდ ტყვიის ბეჭდები. მაგრამ, თურმე, უტექსტო ტყვიის ბეჭედსაც შეუძლია მოგვითხროს რაღაც. ტყუილად კი არ არსებობს განსაკუთრებულად ბეჭდების შემსწავლელი მეცნიერება — სფრაგისტიკა (ბერძნული სიტყვიდან „სფრაგის“ — ბეჭედი).

ბეჭდის ლეგენდა, ჩვეულებრივ, მარტივია: „ღვთისმშობელო, ხელი მოუმართე შენს მონას ნიკიფორე ვესტიტორს“, ან „ღმერთო, იხსენ შენი მონა მაგისტრი კატაკალონი“. ხშირად ლეგენდაში ნახსენებია ბეჭდის მფლობელის თანამდე-

ფსკოვის მოურავების ტყვიის ბეჭდები

ბობა: „საიმპერატორო მამულების ეპისკეპტიტი პეტრიონში“, ან „თრაკისიის თემების სტრატეგოსი“. თავს თუ მოვუყრით ბიზანტიის ბეჭდების ყველა ლეგენდას, შეიძლება დავაზუსტოთ იმ დროს არსებულ ადმინისტრაციულ თანამდებობათა და იმ პირთა სია, რომლებსაც ეს თანამდებობები ეკავათ: შეიძლება დავადგინოთ, რა და რა ოლქად (ბერძნულად — თემებად) დაიშალა ბიზანტიის იმპერია და ვინ როდის იყო ამ თემების სტრატეგოსი (ნაცვალი). ზოგჯერ შეიძლება იმასაც ვადევნოთ თვალი, თუ როგორ ხდებოდა რომელიმე მოხელის დაწინაურება სამსახურში.

ტყვიის ბეჭდები კიდევ უფრო სერიოზული კითხვების დასმის საშუალებას იძლევა. მეცნიერების განკარგულებაშია საიმპერატორო მამულების მოურავთა — ეპისკეპტიტთა ბეჭდების საკმაოდ დიდი რიცხვი. და რადგან ლეგენდაში, ჩვეულებრივ, აღნიშნულია იმ მამულების ადგილ-მდებარეობა, რომლებსაც განაგებენ ეპისკეპტიტები, ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, ბიზანტიის რომელ ნაწილში მდებარეობდა საიმპერატორო მამულები. უფრო მეტიც, შეიძლება შევნიშნოთ, რომ საიმპერატორო მამულების მოურავთა ბეჭდების უდიდესი ნაწილი XI და XII საუკუნეებს ეკუთვნის. განა ეს უფლებას არ გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ საუკუნეებში ყველაზე მრავლად ყოფილა საიმპერატორო მამულები, რომ ძალზე ბევრი მიწა ეკუთვნოდათ იმპერატორებს?

გავერკვეთ, რას ნიშნავს ჩვენი ვარაუდი და შევადაროთ მი-

ღებული დასკვნა იმას, რაც ბიზანტიის ისტორიაზე ვიცით სხვა წასალებიდან.

ჯერ კიდევ X საუკუნეში ბიზანტიაში საკმაოდ ბევრი თავისუფალი გლეხი იყო, რომლებიც ჯარში მსახურობდნენ. იხდიდნენ სახელმწიფო გადასახადებს და საკუთარ მიწას რიგორც უნდოდათ, ისე განაგებდნენ: შეეძლოთ გაეყიდათ, გაეჩუქებინათ, ვაჟიშვილებისათვის მიეცათ და აი, ისინიც ყიდდნენ, აჩუქებდნენ და აძლევდნენ მიწას უმეტეს შემთხვევაში არა ვაჟიშვილებს, არამედ მონასტრებსა და დიდებულებს. ესენი დასავლეთელი გლეხების მსგავსად იქცეოდნენ: სიღარიბე, მცირე შემოსავალი, ძლიერი მეზობლის მუქარა, იმედი, რომ დაიმკვიდრებდა სასუფეველს ცათა შინა — ყოველივე აიძულებდა ბიზანტიის გლეხობას, გამოთხოვებოდა თავის ვენახსა და ბაღს. შემორჩენილია XI საუკუნეში შედგენილი ბიზანტიური აღწერის პატარა ნაგლეჯი, სადაც აღწერილია შუასაბერძნეთში, ქალაქ თებეს მახლობლად მდებარე რამდენიმე ათეული მიწის სამფლობელო. რასაკვირველია, ეს აღწერა ვერ შეედრება „საშინელი სამსჯავროს წიგნს", თუმცა მაინც მრავლისმეტყველია. ათეულ სამფლობელოს შორის, რომლებიც ეპისკოპოსებსა და მოხელეებს ეკუთვნის, მხოლოდ ერთი ნაკელია გლეხისა.

რა იქნა გლეხების მიწები? ვინ გამდიდრდა გლეხთა ხარჯზე? — რასაკვირველია, მონასტრები და დიდებულები, ეპისკოპოსები და მოხელეები. თურმე — ესეც უბრალო ტყვიის ბეჭდებმა გვიამბეს — გლეხთა მიწების ხარჯზე იმპერატორებიც მდიდრდებოდნენ. გლეხების მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი XI საუკუნისათვის საიმპერატორო მამულებად გადაიქცა.

რა თქმა უნდა, ტყვიის ბეჭდები ცნობების სიუხვით ვერ შეედრება ინგლისის აღწერებს. და მაინც, მიუხედავად ამისა, მათგან შეიძლება საკმაო მასალა შეგროვდეს გარდასულ საუკუნეთა ცხოვრების ისეთ მხარეებზე, რომლებიც არ არის გაშუქებული სხვა სახის წყაროებში.

შემონახულია თავადებისა და მიტროპოლიტების ტყვიის რუსული ბეჭდები, აგრეთვე თავისუფალი რუსული ქალაქების — ნოვგოროდისა და ფსკოვის — მოურავების ბეჭდები. ფსკოვის მოურავების ზოგ ბეჭედს აწერია: „სამების ბეჭედი" ან „წმინდა სამების ბეჭედი". რას ნიშნავს ეს?

ქალაქის მთავარ ეკლესიად ფსკოვში წმინდა სამების ტაძარი ითვლებოდა. ალბათ მოურავი წმინდა სამების ტაძარში ასამართლებდა ხალხს და იქვე უსვამდა ბეჭედს დოკუმენტებზე. ამიტომაც მიიღო მისმა ბეჭედმა ასეთი სახელწოდება: „სამების ბეჭედი“.

თავხელი მიტროპოლიტი

ათენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში და ათენის ერთ-ერთ მუზეუმში ინახება ერთი და იმავე ოქრობეჭდული სიტყვის ორი ეგზემპლარი. ესენია იმპერატორ ანდრონიკე II-ის 1301 წლის ივნისში გაცემული სიგელები. ორივე სიგელი წარმოადგენს იმ პრივილეგიების სიას, რაც პელოპონესის ქალაქ მონემვასიის მიტროპოლიტისათვის უბოძებიათ. აი, რა არის აქ საინტერესო: ათენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ოქრობეჭდული სიტყვა მიტროპოლიტს უფრო მაღალ ტიტულებს უწყალობებს, უფრო ძვირფასი სამოსელის ტარებისა და მრავალ ეპისკოპოსზე მბრძანებლობის უფლებას აძლევს, ვიდრე მუზეუმში შემონახული მეორე ოქრობეჭდული სიტყვა. როგორ მოხდა, რომ იმპერატორის ორი სიგელი, ერთსა და იმავე თვეში გაცემული, სხვადასხვა უფლებასა და პრივილეგიებს ანიჭებს მიტროპოლიტს?

როდესაც მეცნიერებმა გადახედეს ათენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ოქრობეჭდულ სიტყვას, შეამჩნიეს, რომ მისი ხელმოწერა განსხვავდებოდა ანდრონიკე II-ის ხელმოწერისაგან. მელანი არ ჰგავდა XIV საუკუნის მელანს, ხოლო მოგრძო და ძალზე თავისებური ასოები მოგვაგონებს XVI საუკუნის მეორე ნახევრის ნაწერს. გამოირკვა, რომ სიგელი ყალბი იყო. იგი გაუყალბებიათ XVI საუკუნეში.

დაახლოებით 1570 წელს მონემვასიის მიტროპოლიტსა და რომელიღაც სხვა ქალაქის მიტროპოლიტს შორის დიდი დაკა ამტყდარა. 1570 წელს ეს დავა კონსტანტინოპოლის პატრიარქს მონემვასიის მიტროპოლიტის სასარგებლოდ გადაუწყვეტია, მისთვის სწორედ ის უფლებები და პრივილეგიები უბოძებია, რაც ჩამოთვლილია ათენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში შემონახულ ანდრონიკე II-ის სიგელში.

მაშასადამე, ყალბი სიგელი ამ დავის საფუძველზე შექმნილა. იგი კონსტანტინოპოლის პატრიარქისათვის შეუპარებიათ და ამ ოქრობეჭდულ სიტყვაზე დაყრდნობით პატრიარქს გამოუტანია თავისი გადაწყვეტილება.

მონემვასიის მიტროპოლიტად იმ დროს იყო მაკარიოს მელისინი, პელოპონესის ერთ-ერთი უმდიდრესი და გავლენიანი მაგნატი. 1571 წელს თავის ძმა თეოდორთან ერთად მან შეკრიბა ხუთი ათასი ქვეითი ჯარი და სამი ათასი ცხენოსანი თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად, ვისი ძალაუფლების ქვეშაც XV საუკუნის შუა წლებიდან მთელი საბერძნეთი იმყოფებოდა. დანჯღრეული გემით ის გაბედულად გაემგზავრა ესპანეთის მეფის ფილიპე II-ის ძმასთან, ადმირალ ხუან ავსტრიელთან, რომელმაც ლეპანტოსთან ბრძოლაში გრანდიოზული გამარჯვება მოიპოვა თურქებზე. მაკარიოს მელისინმა სთხოვა ხუან ავსტრიელს, პელოპონესში შეჭრილიყო და თურქებისაგან გაეთავისუფლებინა. მაგრამ ეს ლაშქრობა არ მოვიდა და იმის შიშით, რომ თურქებს შური არ ეძიათ ძმებზე, მელისინებს ხსნა იტალიაში უნდა ეძებნათ; 1585 წელს მაკარიოს მელისინი ნეაპოლში გარდაიცვალა. მის საფლავის ფილაზე ამოკვეთილ წარწერაში ჩამოთვლილი იყო მიცვალებული მიტროპოლიტის სამფლობელოები და მისი საგმირო საქმეები.

ენერგიული და გაბედული პოლიტიკოსი მაკარიოს მელისინი გაბედული და მოურიდებელი იყო ძველი წიგნების მიმართაც. სწორედ მან შეავსო XV საუკუნის ბიზანტიის ისტორიკოსის გიორგი სფრანძესის ქრონიკა ჩანართებით, რითაც საზელს უხვევდა მელისინების გვარს — მაკარიოსის წინაპრებს. მიტროპოლიტის კალამი მათ იმპერატორების შთამომავლებად აქცევდა. სწორედ მან შეადგინა მონემვასიის მიტროპოლიტების ფანტასტიკური სია და ამ სიაში ის პირები შეიყვანა, ვინც არასოდეს არ ყოფილან მონემვასიის მიტროპოლიტებად; სწორედ მან მოამზადა ანდრონიკე II-ის ყალბი სიგელი და 1570 წელს ამ სიგელის საშუალებით მოიგო დავა.

შუა საუკუნეების სიგელების შესწავლისას მეცნიერი არც თუ ისე იშვიათად აწყდება ასეთ სიყალბეს: იმდროინდელი მწერლები თავიანთი პატრონების დაკვეთით ხშირად ამზადებდნენ ყალბ სიგელებს, რითაც საბუთდებოდა რომელიმე მო-

ნასტრის ან ბარონის უფლება ამა თუ იმ სოფელზე. თავიდან რომ აეცილებინათ ასეთი სიყალბე, შუა საუკუნეების ზოგიერთ ქვეყნებში მიწის გადაცემის საბუთს ეტრატის ერთსა და იმავე ფურცელზე ორჯერ გადაწერდნენ ხოლმე ორ სვეტად. ამის შემდეგ ფურცელს ზიგზაგურად გაჭრიდნენ შუაზე და სიგელის ერთ-ნახევარს მყიდველს გადასცემდნენ, მეორე ნახევარს — გამყიდველს. დავის ატეხვის შემთხვევაში საჭირო ხდებოდა სიგელის ორივე ნახევრის ერთმანეთთან მიყენება, თუ ისინი ზუსტად დაემთხვეოდნენ, საბუთს მაშინ ცნობდნენ ნამდვილად. მაგრამ არც ეს, არც ეშმაკურად დახლართული მონოგრამები და არც ბეჭდები არ შველოდა საქმეს: მეფის ყალბი სიგელები, კერძო პირთა და მოხელეთა ყალბი დოკუმენტები მრავლად ჩნდებოდა შუა საუკუნეების არქივებში.

თუ ამ ყალბ დოკუმენტებს შეცდომაში შეჰყავდათ შუა საუკუნეების მოსამართლეები (თუმცა, შეიძლება მოსამართლეებს თვითონაც უნდოდათ, რომ მოტყუებულიყვნენ, სოლიდური საჩუქარი კი არწმუნებდა მათ ამის აუცილებლობაში), თანამედროვე მკვლევარებმა ისწავლეს ყალბი საბუთების გამოცნობა. თუ მაკარიოს მელისინმა მოახერხა გაებრიყვებინა კონსტანტინოპოლის პატრიარქის კანცელარია, ჩვენი დროის ბიზანტიოლოგებმა დიპლომატიკის მიერ დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეძლეს თავხედი მონემვასიის მიტროპოლიტის სააშკაროზე გამოყვანა.

შუა საუკუნეების სიყალბეთა შორის განსაკუთრებით ცნობილია იმპერატორ კონსტანტინე I-ის სახელით შედგენილი სიგელი. საშინელი სენისაგან განკურნებული კონსტანტინე რომის პაპს ჯილდოდ იტალიასა და ზოგიერთ სხვა ოლქებზე მბრძანებლობის უფლებას აძლევს. აქ უკვე ლაპარაკია არა თურქების მიერ დაპყრობილი პელოპონესის რომელიღაც საცოდავ სამფლობელოზე, არამედ მთელ სახელმწიფოზე! და რომის პაპები საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ უმაღლესი ხელისუფალის უფლებას იტალიაზე კონსტანტინეს მიერ ნაბოძებ სიგელზე დაყრდნობით. კონსტანტინემ, როგორც ისინი ამტკიცებდნენ, რომის იმპერატორთაგან პირველმა მიიღო ქრისტიანობა.

მაგრამ, XV საუკუნეში ჰუმანისტმა ლორენცო ვალამ, ლა-

თინური ენისა და რომის ისტორიის ბრწყინვალედ მცოდნემ, დაამტკიცა, რომ კონსტანტინეს მიერ ნაბოძები სიგელი ისეთი დამახინჯებული ენითაა დაწერილი, როგორითაც არ შეიძლება ეწერათ IV საუკუნეში, კონსტანტინე I-ის დროს: რომ კონსტანტინეს სიგელი ისეთ ფაქტობრივ შეცდომებს შეიცავს, რასაც არ დაუშვებდნენ რომის იმპერატორის კანცელარიაშიო. მართლაც, გამოირკვა ამ სიგელის სიყალბე. იგი VIII საუკუნეშია წარმოშობილი და შექმნილია პაპების მიერ იმისათვის, რომ მთელ იტალიაზე ძველი ავტორიტეტით განემტკიცებინათ პოლიტიკური ძალაუფლების თავიანთი პრეტენზიები.

ქრონიკა და დოკუმენტი

შუა საუკუნეების ყველა სახის დოკუმენტის ჩამოთვლა რომ მომენდომებინა, რამდენიმე ფურცელი დამჭირდებოდა: ხომ უნდა შემეტანა ქალაქის საბჭოს სხდომათა ოქმებიც, ხელოსანთა საამქროების წესდებებიც, ვაჭართა კომპანიების საანგარიშო წიგნებიცა და ყოველგვარი საქმიანი მიმოწერა. ქრონიკა, სიტყვები, პამფლეტი იმისთვის იწერებოდა, რომ მომხდარი ამბავი თანამედროვეთა თუ შთამომავალთა მეხსიერებაში აღებეჭდათ; დოკუმენტს ბევრად უფრო პროზაული, საყოველდღეო ამოცანა ჰქონდა — ის უშუალოდ აფორმებდა ამბებს, მიწის გადაცემის სიგელი იქნებოდა თუ გლეხთა გადასახადების აღწერა, მეფის წყალობა თუ სასამართლოს ოქმი, — დოკუმენტს ყოველთვის პრაქტიკული დანიშნულება აქვს. დოკუმენტი სინამდვილის აღწერა კი არა, თვით სინამდვილის ნაწილია და არა ნაკლები ღირებულების მქონეა, ვიდრე ხმლის ნატეხი, ანდა თიხის დოქი, სწორედ ამიტომაცაა დიდმნიშვნელოვანი ისტორიკოსისათვის.

XV საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთის მეფე იყო ლუდოვიკო XI. სადად ჩაცმული მეფე მოქალაქეს ჰგავდა, მაგრამ ამით ამოიწურებოდა მისი სისადავე და თავმდაბლობა. იგი ყოველთვის თავისი სამფლობელოების გაფართოებაზე ფიქრობდა, მუდამ ახალ გეგმებს ადგენდა, ომში მშვიდობაზე ოცნებობდა, მშვიდობიან დროს კი ახალი ომისათვის ემზა-

ფილიპ დე კომინი

დებოდა. იგი ძუნწი იყო, უგულო და ძალაუფლების მოყვარული. ბუნებით ძუნწს, თუ დასჭირდებოდა, გულუხვობის გამოჩენაც შეეძლო; მას არაფრად მიაჩნდა პირადი დამცირება, როდესაც რაიმე მიზანს დაისახავდა, და ისეთ ხელშეკრულებებსაც უყოყმანოდ აწერდა ხელს, რომელთა შესრულებას არც აპირებდა. ლუდოვიკო არ იშურებდა არც შრომასა და არც ფულს, რათა მისთვის საჭირო ადამიანი მოესყიდა, მაგრამ მტრების მიმართ დაუნდობელი იყო. თავისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები მან განმარტოებულ ციხე-სიმაგრე პლესილეტურში გაატარა. შიშით ელოდა სიკვდილს და ეკლესიებს ძვირ-

ფას ძღვენს უგზავნიდა იმის იმედით, რომ იმქვეყნიურ სასუფეველს დაიმკვიდრებდა. მერე კი მიწისქვეშეთში გამომწყვდეულ იმ პატიმრებთან ჩადიოდა, რომელნიც ოდესღაც ხელს უწყობდნენ მისი პოლიტიკური გეგმების განხორციელებას, მაგრამ შემდეგ, მათდა საუბედუროდ, სახელმწიფო ღალატი დასწამეს.

მეფის მრჩეველი, ფრანგი მემატიანე ფილიპე დე კომინი თავის „მემუარებში" დაწვრილებით გვიამბობს ლუდოვიკო XI-ის ამბავს. ჭკვიანმა და შორსმჭვრეტელმა დიპლომატმა ბევრი რამ იცოდა და ბევრს ხედავდა. ცდილობდა სამართლიანი ყოფილიყო იმ ადამიანების მიმართ, ვისზეც წერდა. იგი არც იმ სასჯელებს ივიწყებდა, რითაც თავს იქცევდა ლუდოვიკო XI, მისი მფარველი და გმირი, და არც საკუთარი მტრების კეთილშობილებას. კომინი ცდილობდა გარკვეულიყო თავისი თვალით ნახულში და რაღაც სისტემისათვის მიეგნო მოვლენათა ზღვაში. „ღმერთმა ყველას გაუჩინა მოწინააღმდეგე, რათა მსოფლიოს წონასწორობა დაცული იყოსო", — ამბობდა ის და ცდილობდა მიეკვლია სახელმწიფოსა და ადამიანთა შორის არსებული წინააღმდეგობებისათვის.

მიუხედავად ამისა, ფრანგი დიპლომატის ბრწყინვალე „მემუარები" ვერ შეედრება საფრანგეთის არქივებში შემონახულ მდიდარ დოკუმენტურ მასალებს. რაც არ უნდა ბევრს მნახველი და მომსწრე ყოფილიყო კომინი, მას არ შეეძლო ყველაფერი შეემჩნია, ყველაფერი სცოდნოდა და ყველაფერს ჩასწვდომოდა. მან ვერ გაიგო ის, რაც ყველაზე მთავარი იყო ლუდოვიკო XI-ის პოლიტიკაში: ლუდოვიკო ისწრაფოდა, აელაგმა ფეოდალთა თვითნებობა, ბოლო მოეღო ქვეყნის დამოუკიდებელ სენიორიებად დანაწილებისათვის და დასაყრდენი მდიდარ ქალაქებში ეპოვა. ლუდოვიკო XI-ის ვრცელი მიმოწერა საშუალებას გვაძლევს, თვალი ვადევნოთ საფრანგეთის მეფის პოლიტიკური გეგმების განხორციელებას.

კომინმა როგორღაც თქვა, რომ ლუდოვიკოს საზღვაო საქმეებზე ლაპარაკის მოსმენაც კი არ სურდაო. მაგრამ მეფის მიერ იმ წლებში გაცემული ბრძანებები, წერილები და ვაჭართა ანგარიშები გვაფიქრებინებს, რომ კომინი ვერ იყო ამ საქმეში კარგად ჩახედული კაცი: აი, სამხრეთ საფრანგეთის ნავსადგურებში ფაჭრობის პირობების გაუმჯობესების მოთხოვ-

ნაზე მეფის 1463 წლის ბრძანება. აი, კიდევ 1476 წლის ბრძანება ინგლის-საფრანგეთის საზღვაო ვაჭრობის მოწესრიგებაზე. ახლა რამდენი წერილია შემორჩენილი აღმოსავლეთის ქვეყნებთან სანელებლებით ვაჭრობის ორგანიზებაზე. ამ წერილებიდან ვგებულობთ აღმოსავლეთისაკენ მიმავალი მეფის გემების სახელწოდებებს, იმ ვაჭართა სახელებს, ვინც ამ საქმეში დააბანდეს თავიანთი ფული, და მოგებული თანხის რაოდენობას. არა, კომინს, თვითონ ფეოდალ-სენიორს, დიპლომატის ქედმაღლობა ნებას არ აძლევდა, შეენიშნა სამეფო ხელისუფლების ის ყოველდღიური წვრილმანი. მაგრამ აუცილებელი საქმიანობა, რომელმაც საბოლოო ჯამში უზრუნველყო ლუდოვიკო XI-ის საგარეო პოლიტიკის წარმატებები. მხოლოდ საქმიანი დოკუმენტები, რომელთათვის უცხოა ფილიპე კომინის ენისათვის დამახასიათებელი საზეიმო ბრწყინვალება, გვიამბობენ ყველაზე მთავარზე — ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ყველა ქვეყანამ და ყველა ეპოქამ ვერ დაგვიტოვა დოკუმენტების ერთნაირი რაოდენობა. შუა საუკუნეების ინგლისის სოფლის, ანდა შუა საუკუნეების გერმანული ქალაქების ისტორიის გასაშუქებლად უამრავი მასალა მოგვეპოვება, იმავე პერიოდის ბულგარეთისა და სერბიის ისტორიულ დოკუმენტებს მხოლოდ ათეულობით ვითვლით.

რაც უფრო ეუახლოვდებით ახალ დროს, მით უფრო იზრდება ისტორიკოსების განკარგულებაში არსებული დოკუმენტების რიცხვი. თუკი ევროპის შუა საუკუნეების პირველი ათასწლეულისათვის საქმიანი დოკუმენტები უპირატესად მეურნეობის ისტორიისა და საზოგადოებრივი წყობის შესწავლის წყაროს წარმოადგენდა, XV საუკუნეში მათი რიცხვი იმდენად მრავლდება, რომ მათი საშუალებით პოლიტიკური ისტორიის შესწავლაც კი შეგვიძლია. ამ დროიდან ოფიციალური მიმოწერა, ელჩებისა და ჯაშუშთა მიერ მოწოდებული ცნობები ძალზე ამცირებენ მატიანეებისა და თანამედროვეთა მოგონებების მნიშვნელობას ომების ისტორიის, დიპლომატიური მოლაპარაკებებისა და პოლიტიკური გადატრიალებების შესწავლის საქმეში.

ყოველი დიდი ეპოქა თავისთვის დამახასიათებელ ძეგლს ტოვებს. ძველბერძნული წარწერები უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ძველი ბერძნული სახელმწიფოების ისტორიის შესასწავლად. შუა საუკუნეებში, პირიქით, წარწერები შედარებით იშვიათად გვხვდება და ისტორიკოსისათვის მათი მნიშვნელობა არცთუ ისე დიდია. საქმიანი დოკუმენტები უპირატესად შუა საუკუნეებისა და ახალი დროის შემსწავლელი ისტორიკოსებისათვის განკუთვნილი მასალაა. ბერძნული და რომაული დოკუმენტები მცირე რაოდენობით მოგვეპოვება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დოკუმენტების იმ პირებს, რომლებიც თავის დროზე ქვაზე გადაუტანიათ. დრომ მოსპო არამყარ მასალაზე დაწერილი დოკუმენტები: მხოლოდ შემთხვევითი მონაპოვრების წყალობით გავეცანით პომპეის ცერებსა და ჩრდილო აფრიკის ხის ფირფიტებს.

მარტო ეგვიპტის მშრალ ქვიშას შემორჩა როგორც ეგვიპტურ, ისე ბერძნულ ენაზე დაწერილი ათასობით პაპირუსი. მათ შორის ბევრია საქმიანი დოკუმენტი: მორიგებები მიწის იჯარით გაცემასა და ყიდვა-გაყიდვაზე, ქვითრები. მაგრამ ეგვიპტური პაპირუსები ძალზე დაქსაქსულია, მათ არქივებში კი არ პოულობენ, არამედ ყველაზე მოულოდნელ და შემთხვევით ადგილებში, მაგალითად, წმინდა ცხოველთა სასაფლაოზე, რადგანაც პაპირუსებით აწებებდნენ ნიანგის მუმიების დასამარხ ყუთებს. ამიტომაც უჭირთ მეცნიერებს, ძველი ეგვიპტის შინაგანი განვითარების სურათი ისე დეტალურად და თანმიმდევრულად დახატონ, როგორც, ვთქვათ, შუა საუკუნეების ინგლისისა.

ძველი აღმოსავლეთი იცნობდა სხვა, პაპირუსზე, ეტრატზე და ქაღალდზე ბევრად უფრო მტკიცე, საწერ მასალას, ისეთ მასალას, რომელსაც შეუძლია ათასწლეულებს გაუძლოს. ეს არის თიხა. მეცნიერების განკარგულებაშია შუმერულ, ბაბილონურ თუ სპარსულ ენებზე დაწერილი თიხის დოკუმენტების მდიდარი არქივები. განსაკუთრებით მდიდარია შუმერთა ტაძრების არქივები. ისინი ასეულ ათასობით თიხის ფირფიტებს ითვლიან. ეს ფირფიტები შეიცავენ ტაძრის თანამდებო-

ბის პირთა ანგარიშგებებს და საშუალებას გვაძლევენ წარმოვიდგინოთ ოთხი ათასი წლის წინანდელი ტაძრის მეურნეობის წარმოების ყოველგვარი წვრილმანი. შემორჩენილია საქმიანი ბიმოწერა ბაბილონეთის მეფის ხამურაბისა, ვისი სახელითაც შედგენილია ბაბილონური კანონების სახელგანთქმული, კრებული, და სხვა მეფეთა მიმოწერა. შემონახულია ზოგიერთ მევახშეთა არქივები, რომლებიც გვიამბობენ, თუ როგორ გადადიოდა მათ საკუთრებაში საყანე მინდვრები თუ ფინიკის პალმის ბაღები. მაგრამ თიხის ფირფიტების ყველა არქივს შორის ერთი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. შეიძლება ერთის შეხედვით მეტად მოულოდნელადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს არქივი იპოვეს არა შუამდინარეთში, თიხის წიგნების კლასიკურ ქვეყანაში, არამედ ეგვიპტეში — თელ-ამარნას მიდამოების გათხრებისას. ბორცვქვეშ დამარხული იყო ქალაქი ახეტატონი, რომელიც ცოტა ხანს ეგვიპტის დედაქალაქად ითვლებოდა.

ეს მოხდა დაახლოებით ძვ. წ. 1400 წელს. ეგვიპტის ფარაონმა ამენჰოტეფ IV-მ რეფორმა გაატარა. მან უარყო ძველი ეგვიპტური ღმერთის ამონის კულტი, რომელსაც ეგვიპტელები ხან ცხვრის სახით, ხან კი ცხვრისთავიან ადამიანად წარმოიდგენდნენ და თაყვანს სცემდნენ, როგორც გამარჯვების მომნიჭებელ ღმერთსა და სამართლიან მსაჯულს. ამონის მაგივრად ეგვიპტის უზენაეს ღმერთად მან გამოაცხადა მზის უბრალო დისკრ (ეგვიპტურად „ატონი"); ატონს ქება-დიდებას ასხამდნენ რელიგიურ ჰიმნებში იმისათვის, რომ ის ანიჭებს სიცოცხლეს მთელ სამყაროს. ფარაონმა უარყო თავისი ძველი სახელი და ეხნატონი („ატონისათვის კეთილისმსურველი") დაირქვა; მიატოვა თებე, ძველი დედაქალაქი, სადაც აღმართული იყო ამონის ტაძრები, და თავისთვის და თავისი დიდებულებისათვის ააშენა ახალი ქალაქი — „ატონის ჰორიზონტი" — ახეტატონი; მან მთელს ქვეყანაში დაგზავნა დახელოვნებული ქვაზე ამომჭრელები, რათა ყველა წარწერაზე მოესპოთ ამონის სახელი და მზის დისკოს გამოსახულებით შეეცვალათ. ეხნატონმა მიწები და მონები ჩამოართვა შერისხული ღმერთის ძლიერ ტაძრებს. სწორედ ამ ღონისძიებაში უნდა ვეძიოთ ფარაონის რელიგიური რეფორმების ერთ-ერთი მიზეზი.

ხანმოკლე აღმოჩნდა ეხნატონის რეფორმა. ძველმა ღიდებულებმა და ამონის ქურუმებმა სძლიეს მის უახლოეს მემკვიდრეებს. მთელს ეგვიპტეში კვლავ დაიწყეს დახელოვნებულმა ამომჭრელებმა წარწერების გადაკეთება, მხოლოდ ახლა ატონის სახელს შლიდნენ და მის ადგილზე ისევ ძველი ღმერთის სახელს წერდნენ, ეხნატონი კი ამიერიდან ახეტატონელ ერეტიკოსად იწოდებოდა.

ახეტატონი დაცარიელდა. დედაქალაქი დაუბრუნდა ძველ ადგილს — ამონის ქალაქ თებეს. მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ახეტატონში დარჩა ეგვიპტის ფარაონების დიპლომატური არქივი: უცხო მეფეებისა და სირიის ქალაქთა დამოკიდებული წვრილი თავადების მიერ ეხნატონისა და მამამისისადმი გაგზავნილი წერილები.

იმ შორეულ დროში დიპლომატების ენად ბაბილონური ითვლებოდა. ბაბილონურ ენაზეა დაწერილი შორეული კვიპროსიდან ეგვიპტის ფარაონის სახელზე გამოგზავნილი წერილები. ფარაონის ქვეშევრდომი სირიის მმართველებიც კი თიხის ფირფიტებზე ბაბილონურ ენაზე წერდნენ ლურსმულად.

თელ-ამარნას არქივის აღმოჩენამდე ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკაზე მხოლოდ ის ვიცოდით, რასაც გვამცნობდნენ მეფეები ქვაზე ამოკვეთილ და ხეში ამოჭრილ გამარჯვებათა რელაციებში. თქვენ კი გასსოვთ, რომ ამგვარ წარწერებში დამარცხება შეიძლებოდა გამარჯვებად გადაქცეულიყო. მაგრამ ახეტატონელი ერეტიკოსისდროინდელი არქივის წყალობით ჩვენ გავეცანით დიპლომატიურ მოლაპარაკებას, გარდა ამისა, საშუალება მოგვეცა, თვალყური გვედევნებინა ძალთა დაჯგუფებისა და საგარეო პოლიტიკური ბრძოლის პერიპეტიებისათვის. თუმცა, თავისთავად ცხადია, ეს არქივი მხოლოდ დროის პატარა მონაკვეთს აშუქებს. აი, ბაბილონეთის მეფის წერილი ეგვიპტის ფარაონისადმი: ბაბილონეთის მეფე სთხოვს ფარაონს, საცოლედ გაუგზავნოს ეგვიპტის მეფის ასული; თუ არ შეიძლება ეგვიპტის მეფის ასულის გამოგზავნა, იქნებ ფარაონმა რომელიმე უბრალო ეგვიპტელი ქალი გამოგზავნოს, ხოლო მე მას სამეფო გვარის ქალად გამოვაცხადებო. ამ წერილიდან მაშინვე გაიგებ, რომ ბაბილონეთს იმ ხანად სუსტი მეფეები ჰყოლია, რომ ისინი თავისი ძა-

ლაუფლებით ვერ გაუტოლდებოდნენ ეგვიპტის მმართველებს. აღმოსავლეთის სხვა მეფეებიც ფარაონს როგორც „უფროს ძმას“ ისე მიმართავენ, უგზავნიან საჩუქრებს და სთხოვენ ოქროს, „რომელიც შენს ქვეყანაში ხვინჭასავით ბევრიაო“. რაღა უნდა ვთქვათ სირიის წვრილ თავადებზე, თავიანთ თავს „მისი უდიდებულესობის ძაღლებს“ რომ უწოდებენ და წერილებში შვიდჯერ და კიდევ შვიდჯერ ეცემიან მის ფერხთით, ხან მუცელზე და ხან ზურგზე! თელ-ამარნას მიმოწერა ეგვიპტის სახელმწიფოს ძლიერებაზე მეტყველებს.

მაგრამ ეს ძლიერება ვერ არის მყარი. სირიის თავადთა წერილებში ყოველთვის გამოსჭვივის ნაღველი: ურჩი ადამიანები აჯანყებებს აწყობენ ეგვიპტის ფარაონისა და მისი ერთგული სირიის წვრილი თავადების წინააღმდეგ; ჩრდილოეთიდან ნელა მოიწევენ ხეთების ჯარები და სირიის ქალაქები ხეთების მხარეზე გადადის; სირიის სამხრეთ ოლქებში შეიჭრა ხაფირუს მომთაბარე ხალხები. „გამომიგზავნე ეტლი და რამდენიმე მეომარი, თუ არა და ვერ შევინარჩუნებ ჩემს ქალაქს“, — სთხოვს ფარაონს ერთ-ერთი თავადთაგანი. თვითონ სირიის თავადები კი ერთიმეორის წინააღმდეგ ინტრიგებს აწყობენ, ერთმანეთს ბრალს სდებენ ღალატში. „მეფემ უნდა გამოგვიგზავნოს მსროლელები, — წერს ბიბლოსის თავადი რიბ-ადი, — რათა მათ ქალაქი სუმური დაიკავონ. ვინ არის აბდი-აშირთა, ეს მონა და ძაღლი, მეფის მიწა რომ მიისაკუთროს?“ აბდი-აშირთა კი, პირიქით, ირწმუნება, რომ მან სუმური გაათავისუფლა ფარაონის მტრებისაგან და რომ იგი ფარაონის ერთგული მსახურია.

თუ სირიის თავადთა წერილებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვალაგებთ, შეგვიძლია თვალი ვადევნოთ, ეგვიპტის სამფლობელოების საზღვრები სირიაში თანდათანობით როგორ ინაცვლებდა სამხრეთისაკენ. ამ დროს კი ახეტატონელი ერეტიკოსი შინაგანი გარდაქმნებით იყო გართული და ჰიმნებს უძღვნიდა მზის დისკოს: მას არ ჰყავდა ჯარი, რომ ზურგი გაემაგრებინა მოკავშირე თავადებისათვის.

ასე ცოცხლდება ჩვენ წინაშე მრავალი ათასი წლის წინ მომხდარი ამბები. აი, ხელში ვიღებთ ასე სამნახევარი ათასი წლის წინ დაწერილ წერილს და თითქმის თვალნათლივ ვხე-

დავთ მას, ვინც ეს წერილი დაწერა. აგერ ის, ბიბლოსის თავადი რიბ-ადი, მოხუცი და უკვე დაავადმყოფებული კაცი, ჭკვიანი პოლიტიკოსი, რომელიც მტკიცედ იცავს თავის ძალაუფლებას როგორც გარეშე მტრების, ისე მისი მოძულე ხალხისაგან; იგი ფარაონს სთხოვს მშვილდოსნებსა და ეტლებს, სანამ ბოლოს და ბოლოს გარემოება არ აიძულებს, ბიბლოსიდან გაიქცეს და ხსნა ბეირუთში ეძიოს.



როდის მოხდა ეს?

საიდან იწყება ახალი ფელთაღრიცხვა?

ძველ გერმანულ ქალაქ ლიუბეკში თათბირობდნენ შეთქმულნი. საამქროთა უხუცესმა წევრებმა გადაწყვიტეს, აჯანყებულიყვნენ ვაჭრების წინააღმდეგ, რომელთაც მორჩილებაში ჰყავდათ ქალაქის საბჭო. მათ მოილაპარაკეს მახვილით შეიარაღებული ორმოცი კაცი შეეგროვებინათ ერთ-ერთ ძველ სამიკიტნოსთან, იქიდან რატუშასაკენ დაძრულიყვნენ და ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ლიუბეკის მიდამოებში მცხოვრები რაინდებიც: მათ საამქროს უხუცეს წევრებს ერთგულების ფიცი მისცეს.

მაგრამ აჯანყების წინა დღით შეთქმულება გასცეს: ერთმა რაინდთაგანმა ლიუბეკში შეაჭენა ცხენი, ბურგომისტრის სახლში შევიდა, ლუდი მოითხოვა და ჭიქას გაუზიარა ყველაფერი, რაც საიდუმლო მოლაპარაკებაზე იცოდა. არა, რაინდს არც ფიცი დაურღვევია და არც შეთქმულნი გაუცია, მან საიდუმლოება ჭიქას გაანდო და არა ცოცხალ ადა-

ბიანს! თუ ამ საუბარს ბურგომისტრის შვილიც ისმენდა, ვისი რა ბრალი იყო?

აფორიაქდნენ ქალაქის საბჭოს წევრები, შეიარაღდნენ, ჯავშანი ჩაიცვეს, შეიპყრეს აჯანყებულთა ბელადი გინრიკ პატერნოსტერმასერი და ციხეში ჩააგდეს. გინრიკმა კარგად იცოდა, თუ რა ელოდა მას გამძვინვარებული ვაჭრების ხელში და ციხეშივე მოიკლა თავი. მტრებმა მისი ცხედარი სასამართლოზე მაინც მოათრიეს და შაყას კვრა მიუსაჯეს. გინრიკის მომხრეებს კი, ვინც გაქცევა ვერ მოასწრეს, თავებს კვეთდნენ.

როდის მოხდა ეს შეთქმულება? როდის სცადეს ლიუბეკის საამქროებმა ვაჭართა ძალაუფლების დამხობა? მატიანეში ამ ამბების თარიღი ზუსტად არის მოყვანილი: „1384 წელს ქალაქი ლიუბეკი შიგნიდან გასცეს". — ასე იწყება თხრობა. „1384 წელს გასცესო" ვკითხულობთ, მაგრამ რა დროიდან გავიდა ეს 1384 წელი?

როდესაც ვამბობთ: „23° სითბო ცელსიუსით", ჩვენ ვიცით, საიდან უნდა დავიწყოთ გრადუსების ათვლა: ნული გრადუსი ის ტემპერატურაა, რომელზეც წყალი იყინება. ეს პირობით ამორჩეული წერტილია, შეიძლებოდა, სურვილისამებრ, სხვა წერტილიც აგვერჩია. ამერიკაში, სხვათა შორის, ასეც მოიქცნენ. მაგრამ რა ჰქონდა მხედველობაში შუა საუკუნეების ლიუბეკის ქრონიკის ავტორს, როდესაც წერდა, რომ ლიუბეკი 1384 წელს გასცესო. რომელი მოვლენიდან ითვლიდა ის წლებს?

ისევე, როგორც წყლის გაყინვის ტემპერატურა აირჩიეს გრადუსების გამოსათვლელად, წლების გამოსაანგარიშებლადაც განსაზღვრულ მომენტს — წელთაღრიცხვის დასაწყისს ირჩევენ. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში წელთაღრიცხვის საწყისად სხვადასხვა წელს იყენებდნენ: საფრანგეთში XVIII საუკუნის რევოლუციის ხანაში ახალი ერა 1792 წლიდან დაიწყეს, იმ წლიდან, როდესაც რესპუბლიკა გამოცხადდა; არაბებმა თავიანთი წელთაღრიცხვის საწყისად აირჩიეს წელიწადი, როდესაც მუსლიმანური რელიგიის ფუძემდებელი, მტრებისაგან დევნილი მუჰამედი, ფარულად გაიქცა

ჩექადან მედინაში, სადაც ზეიმით შეხვდნენ მისი მიმდევრები.

მაგრამ რომელი მოვლენა ჰქონდა მხედველობაში ლიუბეკის მემატიანეს, საიდან გადათვალა 1384 წელი?

დაახლოებით თხუთმეტი საუკუნის წინ რომში ცხოვრობდა დიონისე მცირედ წოდებული ერთი სწავლული ბერი. მის დროს რომში წლებს ითვლიდნენ „ქალაქის დაარსებიდან", იმ წლიდან, როდესაც ლეგენდის თანახმად, დაარსდა რომი. დიონისე მცირემ გადაწყვიტა, რომ ქრისტიანები არ უნდა საზღვრავდნენ დროს რომაული წელთაღრიცხვის მიხედვით: რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს წარმართული ქალაქის დაარსებას იმ დიდ მოვლენასთან შედარებით, როგორიცაა იესო ქრისტეს დაბადება, რომელიც, როგორც ასწავლიდა ეკლესია, ღმერთის ძე იყო. ამიტომ დიონისემ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისად ქრისტეს დაბადების წელი შესთავაზა ხალხს. ქრისტე კი მისი გამოთვლით რომის დაარსებიდან 754 წელს დაიბადა.

დიონისე მცირეს მიერ შემოთავაზებული წელთაღრიცხვა დამკვიდრდა დასავლეთ ევროპის ქრონიკებში. დასავლეთ ევროპის საქმიან საბუთებში ყველა მოვლენას ათარიღებდნენ „ქრისტეს დაბადებიდან". თუმცა საფრანგეთში რესპუბლიკის გამოცხადება, ანდა მუჰამედის მექადან მედინაში გაქცევა ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენა იყო, „ქრისტეს დაბადება" კი — ლეგენდარული ამბავი. ჩავუფიქრდეთ თუნდაც იმ გარემოებას, რომ საეკლესიო წიგნების მიხედვით ქრისტე დაიბადა იუდეაში ირიოდის მეფობის დროს; ამის შემდეგ ქრისტეს დედა ვაჟიშვილთან ერთად ეგვიპტეში გაიქცა. იქიდან ისინი მხოლოდ ირიოდის სიკვდილის შემდეგ დაბრუნდნენ. იუდეის მეფე ირიოდი ცნობილი პიროვნებაა და მეცნიერებმა კარგად იციან, როდის ცხოვრობდა იგი: დიონისეს მიხედვით კი თურმე ირიოდი ქრისტეს დაბადებამდე ოთხი წლით ადრე გარდაცვლილა. მაშასადამე, გამოდის, რომ ქრისტე ეგვიპტეში ან დაბადებამდე გაქცეულა, ანდა, საერთოდ, ქვეყნიერება დაბადებამდე ხუთი წლით ადრე უხილავს.

„ქრისტეს დაბადების" ლეგენდარული თარიღი ჩვენთვისაც წელთაღრიცხვის საწყისად ითვლება, რადგან ძალიან რთული იქნებოდა მისი შეცვლა.

დასავლეთ ევროპის ქრონიკებიდან გადავიდეთ რუსულ მატიანეებზე: „6485 წელს გაილაშქრა იაროპოლკმა თავისი ძმის ოლეგის წინააღმდეგ... და შეებრძოლა მას ოლეგი". ან კიდევ „6657 წელს მოვიდა იზიასლავი ნოვგოროდიდან კიევში". ეს რა უცნაური თარიღებია?

რუსი მემატიანეები ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ ისინი არ სცნობდნენ დიონისე მცირეს მიერ შემოთავაზებულ წელთაღრიცხვას. რუსეთში, ისევე როგორც ბიზანტიაში, სხვა წელთაღრიცხვა ჰქონდათ: აქ წლებს სამყაროს შექმნიდან ითვლიდნენ.

ეკლესია ასწავლიდა ხალხს, რომ სამყარო ღმერთმა ექვს დღეში შექმნა: ღვთის ნებამ წარმოშვა სინათლე, მზე, მიწა, ბალახი, ცხოველები და ადამიანები. ეს კი, როგორც ქადაგებდა ეკლესია, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ — სულ რამდენიმე ათასი წლის წინათ — მოხდა. არაფერს ვიტყვი, თუ რამდენად გულუბრყვილოა ეს მტკიცება. ჩვენ ახლა ვიცით, რომ ადამიანთა მოდგმა არა ნაკლებ ნახევარი მილიონი წელია, რაც არსებობს დედამიწაზე, ხოლო დედამიწა ერავალი მილიონი წელი ბრუნავდა მზის ირგვლივ ადამიანის გაჩენამდე. მაგრამ აი, რა არის საინტერესო: სხვადასხვა ღვთისმეტყველნი სხვადასხვანაირად გამოითვლიდნენ სამყაროს შექმნის დროს. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ სამყარო ქრისტეს დაბადებამდე 6984 წლით ადრე შეიქმნაო, სხვები ამ სასწაულს ქრისტეს დაბადებამდე 3483 წელს მიაწერდნენ. ყველაზე უფრო გავრცელებული ეგრეთ წოდებული ბიზანტიური წელთაღრიცხვა იყო: ბიზანტიის წელთაღრიცხვის თანახმად, სამყარო ქრისტეს დაბადებამდე 5508 წელს შეიქმნა.

მაშასადამე, რუსული ან ბიზანტიური მატიანის თარიღის თანამედროვე წელთაღრიცხვაზე გადაყვანა არცთუ ისე ძნელია, საჭიროა მხოლოდ მატიანეში აღნიშნულ რიცხვს გამოვაკლოთ 5508. თუმცა გამოთვლის დროს გარკვეულ სიძნელეს ქმნის ის გარემოება, რომ ბიზანტიაში წელი 1 იანვრიდან კი არა, 1 სექტემბრიდან იწყებოდა, ხოლო რუსეთში ან 1 სექტემბრიდან, ანდა 1 მარტიდან. მაშასადამე, შუა საუკუნეების რუ-

ბიზანტიური წელთაღრიცხვის თანახმად, ქვეყანა შეიქმნა 5508 წელს ქრისტეს დაბადებამდე.

სული და ბიზანტიური წელი არ ემთხვეოდა ახლანდელს: 6657 წელი ბიზანტიური წელთაღრიცხვით 1149 წელს კი არ შეესაბამება (6657 — 5508 = 1149), არამედ დროის გარკვეულ მონაკვეთს 1148 წლის სექტემბრიდან 1149 წლის აგვისტომდე.

თუ დოკუმენტი არაა დათარიღებული...

მაგრამ შუა საუკუნეების ყველა ქრონიკა და დოკუმენტი ზუსტად როდია დათარიღებული თუნდაც ქრისტეს დაბადებიდან და თუნდაც სამყაროს შექმნიდან. როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?

შუა საუკუნეებში ზოგჯერ დროის აღრიცხვას ამა თუ იქ მეფის მმართველობის წლების მიხედვით აწარმოებდნენ. მაგრამ რადგანაც მეფის მმართველობის დასაწყისი, როგორც წესი, ქრონიკებში აღნიშნულია, ძნელი არ არის, გამოვითვალოთ ახალი წელთაღრიცხვის რომელ წელს ემთხვევა, დავუშვათ, ამ მეფის მმართველობის მეხუთე თუ მერვე წელი. წელის დაღგენა გაცილებით უფრო რთულია და ხანდახან შეუძლებელიც, როდესაც ესა თუ ის ისტორიული მოვლენა ქრონიკასა თუ სიგელში დათარიღებულია ინდიქტიონით.

დროის ინდიქტიონით აღნიშვნა პირველად რომის იმპერიაში შემოიღეს. აქ ყოველ თხუთმეტ წელიწადში ერთხელ ატარებდნენ აღწერას და თხუთმეტ წლიან პერიოდს (ერთი აღწერიდან მეორემდე) ინდიქტიონს უწოდებდნენ. მაგრამ სიტყვა „ინდიქტიონმა" სხვა მნიშვნელობაც მიიღო: თხუთმეტწლიანი ინდიქტიონის ყოველ წელსაც ინდიქტიონს უძახდნენ. ამ პერიოდის პირველი წელი პირველ ინდიქტიონად ითვლებოდა, მეორე წელი — მეორე ინდიქტიონად და ა. შ. მაგრამ, რადგან ინდიქტიონი სულ თხუთმეტი იყო, მეთხუთმეტე ინდიქტიონის შემდეგ ისევ პირველი მოდიოდა და ახალი თხუთმეტწლიანი ციკლი იწყებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ოთხმოცდაათი წლის განმავლობაში ყოველი ინდიქტიონი ექვსჯერ გამეორდებოდა, ცხრაასი წლის განმავლობაში კი — სამოცჯერ. როცა მწერალი სიგელს ადგენდა, მან კარგად იცოდა, რომელი ინდიქტიონი იდგა, მაგრამ როდესაც ჩვენ ხელში ვიღებთ ამ სიგელს და ვკითხულობთ: „მეექვსე ინდიქტიონის ივლისი", ყოველთვის ვერ განვსაზღვრავთ, რომელ წელს შეადგინეს ეს სიგელი. მართალია, თუ ინდიქტიონის გარდა აღნიშნული იქნება, იმ დროის რომელი მეფე მართავდა სახელმწიფოს, გამოანგარიშება რამდენადმე ადვილდება: ამ შემთხვევაში საკმარისია გამოვიანგარიშოთ ამ მეფის მმართველობის რომელ წელს ემთხვევა ჩვენი ინდიქტიონი. მაგრამ სიხარული ჯერ კიდევ ნაადრევია: კარგია, თუ მეფე სახელმწიფოს მართავდა არა უმეტეს 15 წლის განმავლობაში, მაშინ მისი მმართველობის წლებში არც ერთი ინდიქტიონი არ გამეორდება, მაგრამ რა უნდა ვქნათ, თუ მისი მეფობა ხანგრძლივი იყო? მაგალითად, დიდი მთავარი ივანე III მეფობდა 1462 — 1505 წლებ-

ში; ამ ხნის განმავლობაში მეექვსე ინდიქტიონი 3-ჯერ განმეორდა: 1473, 1488 და 1503 წლებში.

ამოცანა კიდევ უფრო რთულდება, როდესაც დოკუმენტში საერთოდ არ არის ნახსენები თარიღი, XIV — XV საუკუნეების რუსულ სიგელებში კი ეს საკმაოდ ხშირად ხდება. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ერთი გზა გვრჩება: ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ ვინ არის მოხსენიებული და რა მოვლენებია აღწერილი სიგელში. დავუშვათ, დიდი მთავარი ვასილი ვასილის ძე სიგელს უბოძებს სერგის სამების იღუმენს ნიკონს; რადგანაც ვიცით, რომ ვასილი ვასილის ძე 1425 წლის 27 თებერვალს გახდა მთავარი, ხოლო 1427 წლის 17 ნოემბერს ნიკონი უკვე მკვდარი იყო, ნათელია, რომ ეს სიგელი უნდა მივაკუთვნოთ შედარებით მოკლე პერიოდს, — 1425 წლის 27 თებერვლიდან 1427 წლის 17 ნოემბრამდე.

შუა საუკუნეების მემატიანეები ცრუმორწმუნენი იყვნენ, ისინი ყველაფერს ღვთის რისხვას მიაწერდნენ. ქალაქს თუ მტერი დაესხმებოდა, გაძარცვავდა და ტყვედ წაიყვანდა ბავშვებსა და ქალებს — ეს იმას ნიშნავდა, რომ ღმერთი რისხავდა ცოდვილებს და სჯიდა მათ ურწმუნოებისათვის. თუ სადმე მიწის ძვრა მოხდებოდა, ცაზე კუდიანი ვარსკვლავი ან კომეტა გამოჩნდებოდა, უცებ მზე დაბნელდებოდა, ყველაფერ ამასაც ღვთის წყრომად მიიჩნევდნენ. და აი, მემატიანეები წერდნენ თავიანთ ქრონიკებში: „გამოჩნდა კომეტა", „დაბნელდა მზე".

ახლა ასტრონომებმა იციან, თუ რატომ ხდება მზის დაბნელება და როგორ ჩნდება კომეტა. მათ შეუძლიათ ზუსტად გამოითვალონ მზის დაბნელებისა და კომეტის გამოჩენის დროც. რასაკვირველია, მათ იმის გამოთვლაც შეუძლიათ, წარსულში როდის ხდებოდა მზის დაბნელება, ან როდის ჩნდებოდა კომეტები.

რუსეთის მთავარ იგორ სვიატოსლავის ძის ყივჩაღებზე ლაშქრობის დროს მზე დაბნელდა.

პოემაში „ამბავი იგორის ლაშქრობისა" ვკითხულობთ:

> მაშინ იგორმა თვალი მიაპყრა
> მზეს ბრწყინვალესა და დაინახა:
> დაბნელდა იგი, გადაეფარა
> ბინდი ლაშქარსა თავით ბოლომდე.

და ეუბნება იგი მეომრებს:
„ჩემნო ძმანო და თანამებრძოლნო!
უმჯობესია მტერმა აგვჩეხოს,
ვიდრე წაგვასხას წარტყვევნილები.
მაშ, ძმანო, შევსხდეთ ფეხმალ ცხენებზე
და მყის ცისფერი დონი ვიხილოთ!"[1]

მატიანეებიდან ვიცით, რომ დაბნელება. რომელიც ნახა იგორ სვიატოსლავის ძემ, 1 მაისს მოხდა. ლაშქრობის დროდ კი ზოგი მემატიანე 6693 წელს ასახელებს, ზოგი — 6694-ს.

თუ დახმარებისათვის ასტრონომებს მივმართავთ, მაშინვე გაირკვევა, რომ მზე 1185 წლის 1 მაისს დაბნელებულა. მაშასადამე, ლაშქრობაც ამ წელს მომხდარა.

თარიღის განსაზღვრაში დიდი დახმარება შეუძლია გაგვიწიოს საეკლესიო დღესასწაულთა მოხსენიებამ. ერთი შეხედვით გაუგებარია, როგორ უნდა დაგვეხმაროს თარიღის დადგენაში შუა საუკუნეების მემატიანის პატარა შენიშვნა იმაზე, რომ წმინდა გიორგის დღე აღდგომის კვირას დაემთხვა? უკეთ გასარკვევად საჭიროა ჯერ საეკლესიო დღესასწაულებზე ვისაუბროთ.

შუა საუკუნეებში ყველა დღესასწაული საეკლესიო იყო. ეს დღესასწაულები ეძღვნებოდა ქრისტეს, მისი დედის (ღვთისმშობლის) ან წმინდანების „ბიოგრაფიებიდან" ამოღებულ ლეგენდარულ ამბებს. იყო, მაგალითად, ქრისტესშობის დღესასწაული, აღდგომის დღესასწაული — ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღე, ღვთისმშობლის დაბადების დღესასწაული, წმინდა გიორგის დღესასწაული (იურის დღე ძველ რუსეთში) და ბევრი სხვა. შუა საუკუნეების მემატიანეები „23 აპრილის" ნაცვლად უმეტეს შემთხვევაში „წმინდა გიორგის დღეს" წერდნენ.

საეკლესიო დღესასწაულებიდან ზოგიერთს ყოველწლიურად ერთსა და იმავე დღეს ზეიმობდნენ: ქრისტეს დაბადებას, მაგალითად, ყოველთვის 25 დეკემბერს აღნიშნავდნენ, ხოლო გაზაფხულის იურის დღეს — 23 აპრილს. რუსეთში იყო კიდევ ერთი იურის დღე, საშემოდგომო, რომელიც 26 ნოემბერს ემ-

---

[1] თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა.

თხვეოდა. ამ დღიდან მოყოლებული გარკვეული დროის განმავლობაში ყმებს უფლება ჰქონდათ ერთი ბატონისგან მეორესთან გადასულიყვნენ.

სამაგიეროდ, მეორე საეკლესიო დღესასწაული — აღდგომა ყოველ წელიწადს 22 მარტიდან 25 აპრილამდე სხვადასხვა დღეზე მოდიოდა. კალენდარშიც ამის მიხედვით გადაინაცვლებდა ხოლმე ბევრი რელიგიური დღესასწაული — დიდმარხვა, სამებობა და სხვა.

რატომ არის აღდგომა მოძრავი დღესასწაული? საქმე ისაა, რომ აღდგომას, საეკლესიო წესებით, აღნიშნავდნენ მთვარის კალენდრის მიხედვით — გაზაფხულზე, მთვარის ავსების პირველ კვირას. მთვარის წელიწადი კი არ ემთხვევა მზის (ასტრონომიულ) წელიწადს. გაზაფხულის მთვარის ავსების დღე მზის წელიწადის სხვადასხვა დღეზე მოდის. სწორედ ამის მიხედვით გადაიწევდა ხოლმე აღდგომის დღესასწაულიც.

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში შეადგინეს ცხრილები, სადაც აღნიშნული იყო, თუ რომელ წელიწადს როდის უნდა ყოფილიყო აღდგომა. ეს ცხრილები აუცილებლად სჭირდებოდათ მღვდლებს, რადგან მათ გარეშე ვერ წირავდნენ. თავდაპირველად საადგომო ცხრილები მხოლოდ 1492 წლამდე მოდიოდა. შემდგენელნი საჭიროდ აღარ თვლიდნენ გამოთვლის გაგრძელებას, რადგან 1492 წ. შესრულდება სამყაროს შექმნიდან შვიდი ათასი წელი (1492+5508) და დადგება საშინელი სამსჯავროს დღე, ხოლო საშინელი სამსჯავროს შემდეგ აღარ მოგვიხდება აღდგომის აღნიშვნაო.

ამრიგად, არსებობს საგანგებო ცხრილები, რომელთა დახმარებითაც ადვილად შეგვიძლია გავიგოთ, რომელ წელს იყო ან როდის იქნება აღდგომა; ამ ცხრილების დახმარებით შებრუნებული ამოცანის ამოხსნაც შეგვიძლია. მაგალითად, თუ ვიცით, რომ რომელიღაც წელს გაზაფხულის იურის დღე (23 აპრილი) აღდგომის კვირას აღნიშნეს, მაშინ შეიძლება გავიგოთ რომელ წელს მოხდა ეს. რასაკვირველია, ასეთი დამთხვევა არა ერთხელ მოხდებოდა შუა საუკუნეების ისტორიაში.

ახლა მოდით, ვნახოთ, როგორ მსჯელობს ისტორიკოსი, რათა განსაზღვროს მოვლენის ზუსტი თარიღი, თუკი ის მატიანეში არაა აღნიშნული.

1036 წელს კიევის მთავარმა იაროსლავმა სასტიკად დაამარცხა პაჭანიგები. მაშინ ისინი დასავლეთისაკენ დაიძრნენ და უნგრეთისა და ბიზანტიის მიწებს შეესივნენ. ერთხელ, ზამთარში, როდესაც, ბიზანტიელი მემატიანეს სიტყვით, დუნაი გაიყინა 15 წყრთის სიღრმეზე, პაჭანიგებმა თავიანთი ბელადის — ტირახის მეთაურობით დუნაი გადალახეს. მაგრამ ბიზანტიის ტერიტორიაზე შეჭრით ტირახმა ვერც ნადავლი იგდო ხელთ და ვერც სახელი მოიხვეჭა: პაჭანიგების ბანაკში ჭირი გაჩნდა და როდესაც ბიზანტიელთა რაზმები მოულოდნელად თავს დაესხნენ მათ, პაჭანიგებმა იარაღი დაყარეს და ტყვედ დანებდნენ.

როდის მოხდა ყოველივე ეს? იმდროინდელი ქრონიკიდან ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია გავიგოთ, რომ ტირახმა თავისი ურდოები გაყინულ დუნაიზე ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახის მმართველობის დროს გადაიყვანა. კონსტანტინე IX მეფობდა 1042 — 1055 წლებში. მაგრამ, თუმცა, არსებობს პაჭანიგების დუნაიზე გადასვლის დროის უფრო ზუსტად განსაზღვრის საშუალებაც.

ბიზანტიელმა მწერალმა იოანე მავროპოდუსმა (ქართულად ეს „შავფეხა“ ნიშნავს), რომელიც სწორედ კონსტანტინე IX-ის მეფობის დროს ცხოვრობდა, წარმოთქვა ორი სიტყვა, ამ სიტყვებში ის ადიდებდა იმპერატორს გაყინულ დუნაიზე გადმოსულ ბარბაროსებზე გამარჯვებისათვის. ცხადია, ორატორი იმავე ამბებს ეხება, რაც ქრონიკაშია მოთხრობილი, ე. ი. ტირახის შემოსევას. მავროპოდუსის სიტყვები შეიცავს ზოგიერთ საინტერესო დეტალს, რომლებიც ავსებს მემატიანის ნაამბობს. მაგრამ ამჟამად ჩვენთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა. ერთ-ერთ თავის სიტყვაში მავროპოდუსი ამბობს, რომ ის გამოდის სიტყვით აღდგომის კვირას და, ამავე დროს, წმინდა გიორგის დღეს.

როდის წარმოუთქვამს თავისი სიტყვა მავროპოდუსს? აღდგომის ცხრილში თუ ჩავიხედავთ, აღმოჩნდება, რომ მან სიტყვა წარმოთქვა ან 1044 წლის 22 აპრილს, ანდა 1047 წლის

19 აპრილს, რადგან დასახელებული თარიღები აღდგომის კვირის პირველი დღეებია.

იმისათვის, რომ საბოლოოდ დავადგინოთ ბიზანტიის საშეფოში პაჭანიგების შეჭრის თარიღი, საჭიროა კიდევ ერთ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება: ის წელიწადი მეტისმეტად ყინვიანი ყოფილა. ტყუილად კი არ ლაპარაკობენ გაკვირვებით იმდროინდელი მემატიანე და ორატორი იოანე მავროპოდუსი სქელი ყინულით შეკრულ დუნაიზე. მაგრამ შეგვიძლია კი გავიგოთ XI საუკუნის 40-იანი წლებიდან ევროპაში რომელი წელი იყო განსაკუთრებით ცივი? და აი, ჩვენ ვფურცლავთ შუა საუკუნეების გერმანულ ქრონიკას, ეგრეთ წოდებულ „კორბეულ ანალებს“ და ვიგებთ, რომ 1046 წლის დასაწყისში დიდი თოვლი, ქარიშხალი და უჩვეულო ყინვები დაიჭირა.

ახლა კი ყველაფერი რიგზეა. 1046 წლის დასაწყისში პაჭანიგებმა ტირახის მეთაურობით გადალახეს დუნაი. ცხადია, განვლო გარკვეულმა დრომ, სანამ ისინი დამარცხდებოდნენ. 1047 წლის აპრილში კი კონსტანტინოპოლში უზეიმიათ პაჭანიგებზე გამარჯვება, რის პატივსაცემადაც წარმოუთქვამს თავისი სიტყვა იოანე მავროპოდუსს.

როგორ აღრიცხავდნენ დროს ახალ წელთაღრიცხვამდე

რაც უფრო შორეულ წარსულში მივდივართ, რასაკვირველია, მით უფრო რთულდება ამა თუ იმ მოვლენის თარიღის დადგენა.

ძველ საბერძნეთში წლების აღრიცხვას ოლიმპიადების მიხედვით აწარმოებდნენ. ჩვენ ახლა ოლიმპიადებს ფიზკულტურულ შეჯიბრებებს ვუწოდებთ; ბერძნები კი ამ სახელს ოლიმპიურ თამაშობათა შორის არსებულ დროის მონაკვეთებს ეძახდნენ.

ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ოლიმპიის წმინდა მიწაზე, პელოპონესის ჩრდილო-დასავლეთით, ხალხი იყრიდა თავს. ისინი იქ მიდიოდნენ ღვთაება ზევსის სადიდებელ დღესასწა-

ულზე, რომლის ოქროთი დაფარული უზარმაზარი ქანდაკება აღმართული იყო ოლიმპიის ტაძარში.

ზევსისადმი მიმართული ლოცვის შემდეგ იწყებოდა შეჯიბრი სირბილში, ჭიდაობასა და მუშტი-კრივში, იმართებოდა ეტლების მარცლა. ოლიმპიურ თამაშობებზე მხოლოდ მამაკაცები დადიოდნენ საყურებლად, ქალებს კი სტადიონზე სიარულის უფლება არ ჰქონდათ. წესის დამრღვევი სიკვდილით ისჯებოდა. თუმცა მოგვითხრობენ, რომ ერთ ქალს დაურღვევია ეს წესი: მას ტანვარჯიშის მასწავლებლის ტანსაცმელი გადაუცვამს და თავისი შვილი მიუყვანია შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად. ქალს მიუხვდნენ თურმე, შეიპყრეს და უფსკრულში გადაგდება დაუპირეს, მაგრამ მოსამართლეებს ბოლოს მაინც უპატიებიათ, რადგან მამამისს, ძმებსა და ვაჟიშვილს გამარჯვება მოუპოვებიათ ოლიმპიურ თამაშობებში.

ოლიმპიურ შეჯიბრში გამარჯვებული ჯილდოდ ოქროს დანით მოჭრილი გარეული ზეთისხილის ტოტებისგან გაკეთებულ გვირგვინს ღებულობდა. ეს დიდი ღირსება იყო! მეწამული სამოსით შემოსილი გამარჯვებული ოთხცხენშებმულ ეტლზე მდგარი შედიოდა მშობლიურ ქალაქში. ზოგჯერ, ამ შემთხვევის გამო, მისი თანამოქალაქეები ქალაქის კედლის ნაწილს არღვევდნენ. ამით ხაზს უსვამდნენ იმას, რომ რადგან ქალაქს ასეთი დამცველები ჰყავს, სიმაგრეები აღარ სჭირდებაო.

იმ შორეულ დროს მეცნიერებს შურდათ ტანმოვარჯიშეთა ბედი. ბერძენი ფილოსოფოსი ქსენოფანე აღშფოთებით წერდა, რომ ოლიმპიურ თამაშობებში გამარჯვებულებს ხალხი დიდებით მოსავს მხოლოდ იმისათვის, რომ მათ მუშტის ქნევა და სირბილი შეუძლიათ, ჭეშმარიტ ბრძენთ კი არავინ იცნობსო.

ბერძნები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ოლიმპიურ თამაშობებს, რომ ოლიმპიადების მიხედვით ანგარიშობდნენ კიდეც დროს: „ეს მოხდა 95-ე ოლიმპიადის დროს“ — წერდნენ ბერძენი ისტორიკოსები.

ოლიმპიური თამაშობანი პირველად ძვ. წ. 776 წელს ჩატარდა, მეორედ — ძვ. წ. 772 წელს და ასე შემდეგ. უკანასკნელად ის აღინიშნა ახ. წ. 394 წელს. ამ დრომდე ქრისტიანი მწერლებიც კი მოვლენებს ოლიმპიადებით ათარიღებდნენ. თუ ვიცით, რომელი ოლიმპიადის დროს მოხდა ესა თუ ის ამბავი,

გადმოცემის მიხედვით, რომს მეექვსე ოლიმპიადის მესამე წელს ,ჩაეყარა საფუძველი, ე. ი. 753 წელს ქრისტეს დაბადებამდე.

ჩვენ შეგვიძლია გამოვითვალოთ, რომელ წელს მიეკუთვნება იგი.

ძველ რომში წლებს რომის დაარსებიდან ითვლიდნენ. რომაელებმა გამოთვალეს, რომ მეექვსე ოლიმპიადის მესამე წელს რომულმა მოკლა თავისი ძმა რემი და ახალ ადგილზე აშენა ქალაქი. ასე წარმოიშვა რომი. მეექვსე ოლიმპიადის მესამე წელი — ძვ. წ. 753 წელია[1]. ნამდვილად კი როგორც

[1] როდესაც დიონისე მცირემ ქრისტეს დაბადება რომის დაარსებიდან 754 წელს მიაკუთვნა, გამოვიდა, რომ ქრისტე დაბადებულა ქრისტეს დაბადების შემდეგ პირველ წელს (753+1)!

ქრისტეს დაბადება, ასევე რომულის მიერ რომის დაარსების ამბავიც ლეგენდარულია. სინამდვილეში როდის დაარსდა რომი, არ არის ცნობილი. ყოველ შემთხვევაში, არქეოლოგები ფიქრობენ, რომ ამ ადგილზე დასახლება ძვ. წ. X საუკუნიდან არსებობდა.

საბერძნეთსა და რომში წლების გამოთვლის კიდევ ერთი სისტემა არსებობდა — წლებს ითვლიდნენ იმ თანამდებობის პირთა მიხედვით, რომლებიც ყოველ წელიწადს იცვლებოდნენ.

ძვ. წ. V საუკუნეში საბერძნეთი წლების განმავლობაში იყო ჩაბმული პელოპონესის ომში. ასე ეწოდებოდა ათენელებსა და სპარტელებს შორის მომხდარ ომს. ამ ორ ქვეყანას სხვადასხვა მოკავშირეები ეხმარებოდნენ. V საუკუნის ბოლოსათვის ათენელთა მდგომარეობა გაუარესდა (გახსოვთ, მაშინ ათენელებს ოქროს ქანდაკებების მონეტებად გადადნობა რომ მოუხდათ?). ათენის ფლოტი მაშინ ჰელესპონტის მახლობლად თხების მდინარესთან იდგა. ათენელებმა თავიანთი გემები ნაპირზე გამოათრიეს, საფრთხეს არსაიდან ელოდნენ და ისვენებდნენ. უეცრად მათ სპარტელების ესკადრა მიადგა. ათენელებმა წინააღმდეგობის გაწევაც კი ვერ მოასწრეს, მტერმა მათი გემების ნაწილი დაწვა, ნაწილი ხელთ იგდო. ამის შემდეგ ათენი მალე დანებდა მტერს.

ბერძენი მეცნიერი არისტოტელე იხსენებს ამ ამბავს და აღნიშნავს, რომ ათენელებმა თხების მდინარეებთან ბრძოლა წააგეს „არქონტ ალექსის დროს". მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ალექსი მეთაურობდა ათენელებს ამ ბრძოლაში. არა, ის იყო თანამდებობის პირი, ვისი სახელითაც დაათარიღეს ათენის ამბები.

ათენის არქონტების სიიდან ჩვენ გავიგეთ, რომ ეს პოსტი ალექსის 405—404 წლებში ეკავა (ბერძნული წლის დასაწყისი არ ემთხვევა ჩვენი წლის დასაწყისს: ათენში წელს ივლისიდან იწყებდნენ), მაშასადამე, ზემოაღნიშნული ბრძოლაც სწორედ ამ წლებში მომხდარა.

გაცილებით უფრო რთულია ძველი აღმოსავლეთის ისტორიულ მოვლენათა წლების დადგენა.

მოდით გავარკვიოთ, რატომ არის ძნელი ძველი აღმოსავლეთის ისტორიულ მოვლენათა წლების დადგენა.

ბერძნები წლებს პირველი ოლიმპიადიდან ითვლიდნენ, რომაელები — რომის დაარსებიდან, შუა საუკუნეების მემატიანეები — ქრისტეს დაბადებიდან, ან სამყაროს დაარსებიდან. ყველას ჰქონდა გამოთვლის საწყისი წერტილი, საწყისი ერა. და თუ ძველი ან შუა საუკუნეების ავტორი ასახელებს თარიღს, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დასახელებული თარიღი გადავიყვანოთ დღეისათვის მიღებულ წელთაღრიცხვაზე. სირთულე წარმოიქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არის მითითებული მოვლენის თარიღი.

ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებში ერთიანი წელთაღრიცხვა არ ჰქონიათ. მეფის სიკვდილის შემდეგ წელს ყოველთვის თავიდან ითვლიდნენ. ეგვიპტის წარწერებსა და პაპირუსებზე ჩვენ შეგვიძლია წავიკითხოთ: „რამზეს II მმართველობის მეხუთე წელს", „ფარაონ სენუსერტ III მეფობის მეშვიდე წელს". მაგრამ იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, რომელი წელი იგულისხმება, უნდა ვიცოდეთ, როდის გამეფდა რამზეს II, სენუსერტ III, ან რომელიმე სხვა მეფე. როგორ გავიგოთ ეს?

ჩვენ, ჩვეულებრივ, ვიცით რომელი მეფე მეფობდა ადრე და რომელი გვიან. სენუსერტ III, მაგალითად, რამზეს II-ზე ადრე მეფობდა. მაგრამ როგორ გავიგოთ ზუსტად, სახელდობრ, როდის მართავდნენ ისინი სახელმწიფოს, მეორე თუ, იქნებ, მესამე ათასწლეულში?

მართალია, მეცნიერთა განკარგულებაშია მეფეთა სიები, მაგალითად, ასურეთის მეფეთა სიები. ამ უკანასკნელთა საშუალებით შეიძლება მეტ-ნაკლები სიზუსტით დავადგინოთ, როდის მოხდა ასურეთის ისტორიის ესა თუ ის მოვლენა. მაგრამ რა ვუყოთ სხვა ქვეყნებს, ვთქვათ, ეგვიპტეს?

და აი, აქ ისტორიკოსებს სირიუსი დაეხმარა.

სირიუსი ცის თაღის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია და, რასაკვირველია, ადამიანები ძველ დროშივე მიაქცევდნენ ყურადღებას. რომაელები სირიუსს გოშიას, ცუგას, ფინიას („კანიკულას") უწოდებდნენ, ხოლო ზაფხულის ყველაზე ცხელ



სირიუსი დაგვეხმარა ძველეგვიპტური ქრონოლოგიის დადგენაში.

დღეებს, როდესაც სირიუსი პირველად გამოჩნდებოდა ცაზე, — კანიკულარულ დღეებს. სწორედ აქედან წარმოდგება ჩვენთვის საკმაოდ ცნობილი სიტყვა — „კანიკულები“.

ეგვიპტელებიც აღნიშნავდნენ სირიუსის პირველ გამოჩენას ცაზე (სირიუსის ამოსვლას): საქმე ისაა, რომ ეგვიპტეში სირიუსის ამოსვლას ემთხვეოდა ნილოსის ადიდების დასაწყისი.

მაგრამ აი, რა არის გასაკვირი. ეგვიპტელებმა შეამჩნიეს, რომ სირიუსი წლის სხვადასხვა დღეს ამოდიოდა. მაგალითად, ერთი მწერალი წერს, რომ ფარაონ ამენჰოტეფ I-ის დროს სირიუსი ცაზე მეთერთმეტე თვის 9 რიცხვში გამოჩნდა, მეორე მწერალი კი აღნიშნავს, რომ ფარაონ ტუთმოს III-ის დროს

(იგი ამენჰოტეფ I-ზე ცოტა გვიან მეფობდა) სირიუსი იმავე თვის 28 რიცხვში ამოვიდაო. ეს იგივეა, გაზაფხულის ბუნიაობის დღე ერთხელ 21 მარტს რომ დაემთხვეს, ხოლო მეორედ, ვთქვათ, 8 მარტს. როგორ იცვლებოდა სირიუსის ამოსვლის დრო?

რასაკვირველია, სირიუსი ყოველ ზაფხულს ერთსა და იმავე დღეს ამოდიოდა. მისი ამოსვლის დრო კი არ იცვლებოდა, არამედ ეგვიპტის წელიწადი იწყებოდა სხვადასხვა დღეს და შესაბამისად ინაცვლებდა ეგვიპტის კალენდრის დღეებიცა და თვეებიც.

წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე დიდ სადგურში გაჩერებულ მატარებელში ვსხედვართ და ფანჯრიდან ვუყურებთ უცებ დაძრულ მეორე შემადგენლობას. პირველად მოგვეჩვენება, რომ წავიდა ჩვენი მატარებელი, მაგრამ თუ ყურადღებით დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ჩვენ ისევ ძველ ადგილზე ვდგავართ.

აი, ასეთნაირად მოძრაობდა სირიუსის ამოსვლის დღის ზიმართ მთელი ეგვიპტური წელი.

საქმე ისაა, რომ ეგვიპტური წელიწადი განსხვავდებოდა მზის წელიწადისაგან. ეგვიპტური წელიწადი 365 დღისაგან შედგებოდა, მაშინ როდესაც მზის წელიწადი მეოთხედი დღე-ღამით მეტია. იმისათვის, რომ სამოქალაქო წელიწადი არ დაშორდეს მზისას, ახლა ჩვენ ყოველ მეოთხე წელს ერთ დღეს— 29 თებერვალს — ვუმატებთ და ასეთ წელს ნაკიან წელიწადს ვუწოდებთ.

ეგვიპტელებს კი არ ჰქონდათ ნაკიანი წელიწადი, რის გამოც სხვაობა სამოქალაქო და ჰეშმარიტ (მზის) წელიწადს შორის ყოველ ოთხ წელიწადში ერთი დღე-ღამით იზრდებოდა.

დავუშვათ, რომ ნაკიანი წელი მოხსნეს. მაშინ მისი მომავალი წლის 1 მარტი ახლანდელ 28 თებერვალს დაემთხვეოდა, 2 მარტი — 1 მარტს, ხოლო მომავალი წლის 1 იანვარი — ზიმდინარე წლის 31 დეკემბერს. ცხადია, ამასთან ერთად გაზაფხულის ბუნიაობის დღე ერთი დღე-ღამით „უფრო გვიან“ დადგებოდა (სინამდვილეში ეს, რასაკვირველია, მზის წელიწადის იმავე დღეს მოხდებოდა, ოღონდ კალენდარი გვიჩვენებდა არა 21 მარტს, არამედ 22-ს, ერთი დღე დაიკარგებოდა).

თუ ჩვენ მეორე ნაკიან წელიწადსაც გამოვტოვებდით, გაზაფხულის ბუნიაობის დღე უკვე ორი დღე-ღამით „უფრო გვიან“ დადგებოდა, ხოლო 120 წლის შემდეგ სხვაობა ერთ თვეს მიაღწევდა. სხვათა შორის, გარკვეული დროის შემდეგ გაზაფხულის ბუნიაობის დღე კვლავ თავის კანონიერ დროს დაუბრუნდებოდა, მაგრამ ამას დასჭირდებოდა 365×4, ე. ი. 1460 წელი.

აი, რატომაა, რომ ეგვიპტელებთან სირიუსის ამოსვლა კალენდრის სხვადასხვა დღეს ემთხვეოდა. მათ არასწორი კალენდარი ჰქონდათ. სირიუსი კი ამოდიოდა „სწორი“ — მზის კალენდრის მიხედვით. ამგვარად, ყოველ მეოთხე წელიწადს სირიუსი ერთი დღით „გვიან“ გამოჩნდებოდა ცაზე. მაშასადამე, თუ ამენჰოტეფ I მეფობის დროს სირიუსი 9 რიცხვში ამოვიდა, ხოლო ტუთმოს III მეფობის წელს — 28 რიცხვში, მაშინ ამ ორ თარიღს შორის გასულა (28—9)×4=76 წელი.

ახლა ამოვხსნათ ასეთი ამოცანა: ერთ-ერთ ეგვიპტურ პაპირუსში ნათქვამია, რომ ფარაონ სენუსერტ III-ის მეფობის მეშვიდე წელს სირიუსი მე-8 თვის მე-15 დღეს გამოჩნდა. ეცადოთ სენუსერტ III-ის გამეფების დროის გამოთვლა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიგოთ, როდის ემთხვეოდა სირიუსის ამოსვლა ეგვიპტური წლის დასაწყისს. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი დამთხვევა ერთხელ ახ. წ. 139 წელს მოხდა, მეორედ კი ამ თარიღამდე 1460 წლით ადრე, ე. ი. ძვ. წ. 1322 წელს უნდა მომხდარიყო (იმისათვის, რომ გავიგოთ, საიდან მივიღეთ ეს რიცხვი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძვ. წ. პირველი წლიდან ახ. წ. პირველ წლამდე გავიდა არა ორი, არამედ მხოლოდ ერთი წელიწადი, ამიტომ 1460-ს უბრალოდ კი არ უნდა გამოვაკლოთ 139, არამედ მათი სხვაობა ერთით უნდა გავზარდოთ). სირიუსის ამოსვლა ეგვიპტური წლის დასაწყისს კიდევ ძვ. წ. 2782 და 4242 წლებში დაემთხვეოდა.

შემდეგ: მე-8 თვის მე-15 დღე ეგვიპტური წელიწადის 225-ე დღეა (ეგვიპტურ თვეებში 30 დღე იყო, ხოლო წლის ბოლოს უმატებდნენ მოკლე დამატებით თვეს). მაშასადამე, იმ მომენტიდან, როდესაც სირიუსის ამოსვლა წლის დასაწყისს დაემთხვა, სენუსერტ III მეფობის მეშვიდე წლამდე უნდა გაევლო 225×4, ე. ი. 900 წელს. ამრიგად, სენუსერტ III-ის მე-

ფობის მეშვიდე წელი ემთხვევა ძვ. წ. 422, 1882, ანდა 3342 წელს.

ამ თარიღებიდან პირველი ცხადია, არ გამოგვადგება: ძვ. წ. 422 წელს ეგვიპტე უკვე აღარ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, მას ფარაონები კი არ მართავდნენ, არამედ სპარსეთის მეფის ნაცვლები. დარჩა 1882 და 3342 წლები, ხოლო სენუსერტის გამეფების დასაწყისისათვის — 1888 და 3348 წლები. ხანგრძლივი კამათის შემდეგ მეცნიერები ამ თარიღებიდან პირველზე შეჩერდნენ.

ისტორიკოსებმა სირიუსის დახმარებით ასე მიაგნეს რამდენიმე საყრდენ წერტილს ძველი ეგვიპტის ისტორიის შესასწავლად, ასე შეძლეს დაედგინათ რამდენიმე თარიღი. მაგრამ საჭირო იყო მათი შემოწმება.

მაშინ მეცნიერებმა გადაწყვიტეს, შეედარებინათ ეგვიპტის ისტორიული ამბები ასურეთის ისტორიულ მოვლენებთან: ჩვენ ხომ ვიცით, რომ ასურეთის მეფეთა სიების წყალობით საკმაოდ ზუსტად შეიძლება განვსაზღვროთ მათი მმართველობის პერიოდი. ეგვიპტის რომელ ფარაონებს ჰქონდათ ასურეთის მეფეებთან მიმოწერა?

თქვენთვის ცნობილ ახეტატონის არქივში შემონახულია ასურეთის მეფე აშურუბალიტ I-ის წერილი, აშურუბალიტ I კი, დაახლოებით, ძვ. წ. 1400 წელს მეფობდა. მაშასადამე, ეხნატონის მმართველობაც, დაახლოებით, ამ დროს მიეკუთვნება.

ასეთი შედარებებითა და მზის დაბნელებებზე არსებული ყველა ცნობის გათვალისწინებით ისტორიკოსები თანდათანობით აზუსტებენ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიულ მოვლენათა თარიღებს. მიუხედავად ამისა, მათ შორის ბევრი დღემდე მხოლოდ მიახლოებითია, ხოლო ზოგიერთი მოვლენის თარიღზე მეცნიერები დღესაც კამათობენ.

რამდენი წლისა ხარ, ქოთანო?

თუკი ძველი ისტორიის იმ მოვლენათა თარიღის დასადგენად, რომელთა შესახებ წერილობითი ძეგლები მოგვითხრობენ, ამდენი შრომაა საჭირო, მაშინ რამდენად უფრო ძნელი იქნებოდა არქეოლოგების მიერ ნაპოვნი საფლავებისა და ქა-

ლაქების ხნოვანების განსაზღვრა. საერთოდ, როგორ უნდა ათქმევინო ნივთს თავისი წლოვანება?

რა თქმა უნდა, ნაპოვნ საგნებზე ხანდახან აღნიშნულია მათი დამზადების თარიღი. ზოგიერთ ნივთზე ამოკაწრულია ხელოსნის სახელი, წერილობითი ძეგლებიდან კი ჩვენ შემთხვევით ვგებულობთ, როდის ცხოვრობდა ეს ხელოსანი. არქეოლოგები ზოგჯერ მიაგნებენ ხოლმე იმ ადამიანის საფლავს, რომლის ცხოვრების წლები დადგენილია, მაგალითად, ასეთია ტუტანხამონის აკლდამა; ასეთ შემთხვევაში ამ საფლავში ნაპოვნი ნივთები შეიძლება მივაკუთვნოთ დაახლოებით ამავე ადამიანის სიცოცხლის ხანას. მაგრამ მსგავსი შემთხვევები იშვიათია. შედარებით უფრო ხშირად გათხრების დროს მონეტებს პოულობენ.

კიევის ოლქში, სოფელ ჩერნიახოვთან გათხარეს დიდი სამარხი. სამარხში არ უპოვიათ არც ოქრო და არც ძვირფასი ქვები — მასში ელაგა საკმაოდ ერთფეროვანი საგნები: თიხის დოქები და ქოთნები, ძვლის სავარცხლები, სარტყლის ბრინჯაოს აბზინდები, მოსასხამების შესაკრავები. საინტერესოა, როდის ცხოვრობდნენ ამ დოქებისა და სავარცხლების გამკეთებელი ადამიანები?

რამდენიმე საფლავში აღმოჩნდა ახ. წ. II—III საუკუნეების რომაული მონეტები.

და აი, როგორ იმსჯელეს მეცნიერებმა: შუა დნეპრისპირეთამდე რომაული მონეტების მოღწევას გარკვეული დრო დასჭირდებოდა. მონეტები თავისთავად დიდი ღირებულების მქონე იყო და ვიდრე მათ საფლავში ჩაატანდნენ, ალბათ, კიდეკ რაღაც დროს უნდა გაევლო. მაშასადამე, ჩერნიახოვის სამარხი ახ. წ. III საუკუნეს, ან შეიძლება უფრო გვიანდელ ხანასაც კი ეკუთვნოდეს.

მაგრამ აქ არ წყდება მსჯელობა. აღმოჩენილი მონეტების საშუალებით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჩერნიახოვის სამარხში ნაპოვნი ძვლის სავარცხლები, ბრინჯაოს აბზინდები და სხვა ნივთები დამზადებულია III ან მომდევნო საუკუნეებში., მაშასადამე, თუ დნეპრისპირეთში გათხრების დროს სხვა სამარხებსაც იპოვიდნენ, თუნდაც ამ სამარხებში არ ყოფილიყო რომაული მონეტები და მხოლოდ ისეთივე აბზინდები და



შავფიგურიანი და წითელ-ფიგურიანი ბერძნული ჭურჭელი

სავარცხლები, დოქები და ქოთნები აღმოეჩინათ, როგორიც ჩერნიახოვის სამარხში იყო, შეიძლებოდა თამამად ევარაუდათ, რომ ეს სამარხებიც, დაახლოებით, ახ. წ. III—V საუკუნეებს ეკუთვნისო.

ასე თანდათანობით აგროვებდნენ არქეოლოგები ცნობებს ნივთებზე. ადგენდნენ მათ ხნოვანებას და შემდეგ ეს ნივთები, მონეტების მსგავსად, საშუალებას აძლევდა განესაზღვრათ სხვა, ჯერ კიდევ უცნობი ნივთების ასაკი.

გათხრების დროს მონეტები შედარებით იშვიათად გვხვდება, ვიდრე თიხის ჭურჭლის ნატეხები. და აი, მეცნიერებმა შეძლეს თიხის ქოთნებისა და ვაზების ნატეხების დახმარებით, ნაპოვნი ნივთების დათარიღება.

ძველი ბერძნები საუკეთესო ხარისხის ჭურჭელს ამზადებდნენ, ისინი ჭურჭელს შავი ლაქით ფარავდნენ. თიხის ვაზებზე გამოსახულია ნადიმები, ხელოსნების მუშაობა, აბანოში ბანაობა, სცენები მითებიდან. ამასთან ერთად, თურმე ძვ. წ. VI საუკუნეში მხატვარი მოწითალო თიხის ბუნებრივ ფონზე შავი ლაქით ხატავდა ფიგურებს, ხოლო V და IV საუკუნეებში, პირიქით, ფონი შავი იყო, ნახატი კი ბუნებრივი მოწითალო ფერისა. ამგვარად, ნაპოვნი თიხის ნამტვრევებით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ დრო: თუ საფლავში შავფიგურებიანი

ვაზების ნატეხები იპოვეს, მაშასადამე, საფლავი ძვ. წ. VI საუკუნეს ეკუთვნის.

ხანმოკლეა ადამიანის სიცოცხლე. მის მიერ გაკეთებული ან შეძენილი ის ნივთები, ბოლოს საფლავში რომ ჩააყოლეს, თითქმის ყოველთვის ტოლები არიან. იშვიათია, რომ რომელიმე მათგანი სხვა ნივთებზე ათეული წლებით ადრე იყოს დამზადებული. სულ სხვაა ქალაქი. ქალაქები საუკუნეების განმავლობაში ცოცხლობენ და მათი გათხრის დროს აღმოჩენილი ნივთები შეიძლება სხვადასხვა ეპოქას ეკუთვნოდეს. მოსკოვის ტერიტორიაზე ნაპოვნია ძვ. წ. პირველი ათასწლეულისდროინდელი დასახლების ნაშთები, IX საუკუნის არაბული დირჰემების განძი, XII საუკუნისდროინდელი ვიატიჩების ტომის სლავი ქალების სასაფეთქლე რგოლები. მსგავს სურათს წავაწყდებით ყველა დიდი ხნის ისტორიის მქონე ქალაქის გათხრების დროს.

მაშასადამე, ქალაქის გათხრებისას ჩვენ სრულიად სხვადასხვა ასაკის ნივთებს ვპოულობთ. შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევაში ძველ დასახლებათა დათარიღება? დიახ, შეიძლება!

იცით, როგორ აცხობენ ფენოვან ღვეზელს? ცომის ფენას ვაშლის მურაბას წაუსვამენ, შემდეგ კვლავ ცომის ფენას დააფენენ, მერე ისევ მურაბას გადაუსვამენ, კიდევ ცომს დააფენენ და ზევიდან შაქრის ფხვნილს მოაყრიან. ასევე, ძველი ქალაქიდან გადარჩენილ კულტურულ ფენებს თუ გავკვეთავთ, ვნახავთ, რომ ის ამ ღვეზელის მსგავსად მრავალი სხვადასხვაგვარი, წაბლისფერი, შავი, თუ ღია ფერის ფენებისაგან შედგება, ზოგი მათგანი უფრო სქელია, ზოგიც — ძალზე თხელი.

მშფოთვარე იყო ძველი ქალაქების ცხოვრება; ხან ხანძარი სპობდა მთელ კვარტალს და მიწას ნახანძრალის შავი ფენა დაფარავდა; ხან სულ შეწყვეტდა არსებობას რომელიღაც კვარტალი და დანგრეული სახლების ნარჩენებს ქვიშა და თიხა წაეყრებოდა; ხან კვლავ აღორძინდებოდა სიცოცხლე და ნახშირისა და თიხის ფენაზე კვლავ ჩნდებოდა აგურის კვალი, შერეული დამტვრეულ ჭოთნებთან, ძროხის ძვლებთან და სხვა ნაგავთან ერთად. იქ ხანდახან დაკარგულ მონეტასაც იპოვი. ქალაქს შეეძლო ათასი წელი ეარსება, მაგრამ ყოველი ფენა შედარებით ხანმოკლე ცხოვრების ნაშთია. ეს კი იმას ნიშნავს,

რომ ერთ ფენაში ნაპოვნი ნივთები დაახლოებით ერთსა და იმავე დროს ეკუთვნიან.

ასეთი, განსაკუთრებით მკაფიო ფენები ნოვგოროდის გათხრების დროს იქნა აღმოჩენილი.

არქეოლოგი ითვლის ხის ფრიულ რგოლებს

ნოვგოროდის ნესტიან ნიადაგში ხის ნივთები თითქმის არ ლპება. აქ მორებიც კი შემორჩა, რომლებითაც მოგებული იყო ნოვგოროდის ქუჩები. დროდადრო ძველი ფენილი ფუჭდებოდა და ზემოდან ახალი მორების დაწყობა უხდებოდათ. ნოვგოროდის ზოგიერთ უბანში აღმოჩენილ იქნა ხეფენილების ერთიმეორეზე დაწყობილი ოცდარვა ფენა.

ყოველი ახალი ფენილის დაგების შემდეგ ნოვგოროდის ქუჩები მაღლდებოდა. საბოლოო ანგარიშში მათ $7^1/_2$ მეტრამდე აიწიეს. ფენილებთან ერთად, რასაკვირველია, მაღლა იწევდა სახლების საძირკველიც. მაშინ ყოველ ახალ ძელურს უფრო მაღლა დგამდნენ, ვიდრე ორმოცდაათი წლის წინ. ამრიგად, ძელური ნაფენების მიხედვით მთელი ნოვგოროდის კულტურული ფენა შეიძლება 28 იარუსად დაიყოს.

იარუსებს ზემოდან ითვლიან: პირველი იარუსი ყველაზე ახალგაზრდაა, ოცდამერვე კი — ყველაზე ძველი. მაგრამ როგორ განვსაზღვროთ ზუსტად, როდის დააგეს თითოეული მათგანი?

მეცნიერებმა შეძლეს ზოგიერთი იარუსის ასაკის დიდი სიზუსტით დადგენა. მაგალითად, 27-ე იარუსში იპოვეს არაბული მონეტების განძი, მათ შორის ყველაზე გვიანდელი 975 წელს იყო მოჭრილი, ამიტომ 27-ე იარუსი დაახლოებით X საუკუნის ბოლოთი დაათარიღეს. 24-ე იარუსზე ლითონის სამკაული იპოვეს მთავარ იაროსლავ ბრძენის ნიშნით, იაროსლავ ბრძენი კი 1054 წელს გარდაიცვალა. 24-ე იარუსის დაგების დროც დაახლოებით XI საუკუნის მეორე მეოთხედით ან შუა წლებით განსაზღვრეს. მე-8 იარუსზე იპოვეს ნოვგოროდის მოურავ ონციფორე ლუკას ძის არყის ხის ქერქის სიგელი. ამ

პიროვნებას კი მატიანედან ვიცნობთ, იგი XIV საუკუნის 50-იან წლებში მოღვაწეობდა. ამის საფუძველზე მე-8 იარუსი XIV საუკუნის შუა წლებს განაკუთვნეს.

ამ ცნობებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა დანარჩენი, 27-ესა და 24-ს შორის, 24-ესა და მე-8 ფენებს შორის მდებარე იარუსების დაგების დროის მიახლოებითი განსაზღვრა. ამ გზით დადგენილი თარიღების სისწორე შემოწმდა ნაპოვნი ტყვიის ბეჭდების, არყის ხის ქერქის სიგელებისა და აგრეთვე ხანძრის ნაკვალევის დახმარებით — ჩვენ ხომ ნოვგოროდის მატიანეების წყალობით ვიცით, როდის დაიწვა ქალაქი. საბოლოოდ ნოვგოროდის იარუსები დაათარიღეს რამდენიმე ათეული წლის მიახლოებით, რაც არქეოლოგისათვის მეტად დიდი სიზუსტეა.

შაგრამ შესაძლებელი გახდა თარიღების კიდევ უფრო ზუსტი დადგენა. არქეოლოგს აქ ხის წლიური რგოლები დაეხმარა.

ყოველი ხის ტანზე, თუ მას სწორად გადაეხერხავთ, გარკვეულად ჩანს წლიური რგოლები, ხის ზრდის მუნჯი მოწმე. ზოგჯერ ხის წლიური რგოლები შედარებით უფრო მსხვილია, ეს იმას ნიშნავს, რომ ხე იმ წელიწადს უფრო სწრაფად იზრდებოდა; ზოგჯერ პირიქით, უფრო წვრილია რგოლები, — ალბათ რაღაც მიზეზი აბრკოლებდა ხის ზრდას.

ცხადია, ხეების ზრდა და წლიური რგოლების სიმსხო დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე. თუ, მაგალითად, ნაყოფიერი წელი დადგა და ხე უხვად ისხამს ნაყოფს, მაშინ იგი ნელა იზრდება. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ხე დაიჩაგრაო.

ავიღოთ რამდენიმე სხვადასხვა ხის გადანაჭერი, მიკროსკოპის დახმარებით გავზომოთ რგოლების სიმსხო და შევადგინოთ ზრდის გრაფიკი. აღმოჩნდება, რომ ერთი რაიონის სხვადასხვა ხეების ზრდის გრაფიკი თითქმის ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო „დაჩაგვრის“ წლებს შორის დროის ერთი და იგივე შუალედია. მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ ერთი ხე უფროსია, მეორე კი შედარებით ახალგაზრდა, ერთი უფრო ადრე მოუჭრიათ, ხოლო მეორე გვიან? ასეთ შემთხვევაში გრაფიკები მხოლოდ ნაწილობრივ დაემთხვევა ერთმანეთს.

დავუშვათ, რომ ერთი გრაფიკის პირველი რგოლი დაემთხ-

ვა მეორე გრაფიკის 35-ე რგოლს, ხოლო შემდეგ ორივე ხის ზრდა დაახლოებით ერთნაირი ტემპით მიმდინარეობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე ხე პირველზე 34 წლით დიდი ყოფილა (ერთი ხის სიცოცხლის პირველი წელი დაემთხვა მეორის სიცოცხლის 35-ე წელს).

მეცნიერებმა ნოვგოროდის ფენილების ყველა იარუსის მორების გადანაჭრები აიღეს და განსაზღვრეს რამდენი წლით უფრო ახალგაზრდა იყო ყოველი ფენილი თავის წინამორბედზე. ამის შემდეგ მათ შეადგინეს ნოვგოროდის რაიონის ხეების ზრდის სანიმუშო გრაფიკი X—XV საუკუნეებისათვის. გრაფიკში აღნიშნული იყო, თუ როგორ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს „დაჩაგვრის", სწრაფი ზრდისა და საშუალო ზრდის წლები.

მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაგვეგო, რამდენი წელი აშორებდა ერთ ფენილს მეორისაგან. მაგრამ უფრო შორს წასვლაც შეიძლებოდა.

წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ ნოვგოროდის მიქელ მთავარანგელოზის ეკლესია 1300 წელს ააშენეს. მკვლევარებმა აიღეს ეკლესიის ერთი კოჭის გადანაჭერი, შეადგინეს მისი ზრდის გრაფიკი და ნოვგოროდის გრაფიკზე მოძებნეს მისი შესატყვისი მონაკვეთი. მიქელ მთავარანგელოზის ეკლესიის კოჭის გრაფიკის უკანასკნელი წელი სწორედ ტაძრის აშენების წელს დაემთხვა. ასე წარმოიშვა ნოვგოროდის გრაფიკზე პირველი საყრდენი წერტილი — 1300 წელი. ზუსტად ასევე მოიქცნენ კიდევ ოთხი ეკლესიის მიმართ და გრაფიკზე კიდევ ოთხი საყრდენი წერტილი გაჩნდა.

ახლა გრაფიკი ალაპარაკდა ნათლად და გარკვევით. ის საშუალებას იძლეოდა გამოგვეთვალა, თუ რომელ წელს მოჭრეს ხეები თითოეული ფენილისათვის. შესაძლებელი გახდა აგრეთვე თითოეული ხეფენილის დაგების ზუსტი წლის განსაზღვრა. რა მივიღეთ?

27-ე იარუსი 972 წელს დაუგიათ, 26-ე იარუსი—989 წელს. რასაკვირველია, ჩვენთვის უკვე ცნობილი არაბული მონეტის განძი, რომელთაგან ყველაზე უგვიანესი 975 წლით თარიღდება, 27-ე იარუსის ფენილის დონეზე აღმოჩნდა. 24-ე იარუსის ფენილი 1025 წელს აუშენებიათ. შემდეგი კი — 1055 წელს. ბუ-

ნებრივია, რომ 24-ე იარუ-
სის ფენილის დონეზე იდო
იაროსლავ ბრძენის სიგელი.

წლიური რგოლების სა-
შუალებით გასული დროის
განსაზღვრის მეთოდს დენ-
დროქრონოლოგიური მეთო-
დი ეწოდება (ბერძნული
სიტყვიდან „დენდრონ"—ხე).
ნოვგოროდში დენდროქრო-
ნოლოგიურმა მეთოდმა სა-
შუალება მოგვცა შეგვექმნა
დროის მყარი სკალა. ახლა
შეიძლებოდა ზუსტად და-
გვედგინა ნოვგოროდის ნეს-
ტიან ნიადაგში ნაპოვნი მრა-
ვალი ხის ნივთის დამზადე-
ბის თარიღი.

მაგრამ გადავიდეთ სხვა-
გან, სხვა, ბევრად უფრო
ძველ ქალაქში.

მცირე აზიის ჩრდილო-
დასავლეთ კუთხეში ოდეს-
ღაც იდგა დიდებული, ჰო-
მეროსისაგან ქებაშესხმული
ქალაქი ტროა. ათი წელი
იმყოფებოდა ტროა, გვიამ-
ბობს ჰომეროსი, ბერძენ
გმირთა გარემოცვაში. ბერძ-
ნებს მიკენის მეფე აგამე-
მნონი უძღოდა წინ. ბევრმა
მათგანმა აქ, ქალაქის კედ-
ლებთან, ჰპოვა სამარე: აქ
დაიღუპა თვით აპოლონის
ისრით განგმირული აქილევ-
სი; აქ (გახსოვთ?) წამოეგო



ტროაში ნაპოვნი ძვირფასი
ნაკეთობანი და ჯურჭელი

თავისსავე მახვილს შერცხვენილი აიაქსიც. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ტროა დაეცა. ქალაქი დაწვეს და გაძარცვეს.

როდესაც არქეოლოგებმა ძველი ტროას ადგილზე წარმოქმნილი ბორცვი გათხარეს და სულ ცოტა ცხრა ფენა — საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის მონაცვლე ცხრა დასახლების ნაშთები აღმოაჩინეს, მათ შეძლეს ამ დასახლებების წარმოდგენით აღდგენა. მათგან ყველაზე უძველესი გამოუმწყარი აკურით ნაგები, ერთმანეთზე მიკრული ოთხოთახიანი მომცრო სახლებისაგან შემდგარი ერთი პატარა დასახლება იყო. მას სქელი ქვის კედლით გარშემორტყმული ქალაქი ცვლიდა. ამ ქალაქის მმართველს თავისთვის სასახლე აუგია; მეორე ფენისდროინდელი ტროას მცხოვრებნი დახელოვნებული მეთუნეები და ოქრომჭედლები ყოფილან. მათ დაგვიტოვეს ძვირფასი იარაღებისა და ოქროს სამკაულების დიდი განძი. როდესაც მეორე ტროა დაიწვა, მის ადგილას ცოტა ხანს იარსება პატარა დასახლებამ. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ შემდეგ ერთმანეთს ცვლიდნენ პატარ-პატარა დასახლებები. მეექვსე ფენისდროინდელი ტროა კი კვლავ დიდი ქვის კედლით გარშემორტყმული ქალაქია. იგი მიწისძვრამ დაანგრია. მიწისძვრის შემდეგ მოსახლეობამ კვლავ აღადგინა ტროა, თუმცა ახლა ის წინანდელთან შედარებით უფრო პატარა იყო. მეშვიდე ტროას ახალი უბედურება ელოდა: მან ევროპიდან შემოსული მტრების ორი შემოტევა გადაიტანა, რაც მისი განადგურებით და ხანძრით დასრულდა. ამის შემდეგ ტროას ადგილას მხოლოდ პატარა დასახლებები არსებობდა, მანამდე, სანამ საბოლოოდ არ შეწყდა სიცოცხლე ბორცვზე.

ასე აისახა მიწის წიაღში ტროას წარსული. მაგრამ როგორ დავუკავშიროთ იგი სხვა ქალაქებისა და ძველი ხალხების ისტორიას? როგორ დავადგინოთ, მაგალითად, ტროას ქალაქებიდან რომელს შემოარტყეს ალყა ბერძნებმა მიკენის მეფის მეთაურობით? იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ ეს ამოცანა, ჯერ უნდა დავადგინოთ ტროას თითოეული ფენის არსებობის დრო.

მაგრამ ტროაში არ უპოვიათ მონეტა. მონეტა ხომ, როგორც გახსოვთ, მხოლოდ ძვ. წ. VII საუკუნეში გაჩნდა, ამ დროისათვის კი დიდებული ქალაქის ადგილას მხოლოდ რამ-

დენიმე საცოდავი ქოხიღა იდგა. ტროაში ვერც წერილობითი ძეგლები იპოვეს: ტროას მეომრებმა და ხელოსნებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ წერა, არც ხეფენილები შემორჩენოდა ძველ ქალაქს.

როდესაც არქეოლოგები ტროაში აღმოჩენილ ნივთებს გაეცვნენ, მათ შორის შეამჩნიეს ნაკეთობანი, რომლებიც ცნობილი იყო კრეტას, საბერძნეთისა და ხეთების ქალაქების გათხრებით მოპოვებული მასალიდან. მაგალითად, მეშვიდე ფენისდროინდელ ტროას ძეგლებს შორის მათ იპოვეს მიკენში დამზადებული თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, მაშინ როდესაც პირველ ფენებში გვხვდებოდა ისეთი თიხის ჭურჭელი, რომელიც საბერძნეთში ხმარებიდან გასული იყო მიკენის აღორძინებამდე დიდი ხნით ადრე. მაშასადამე, ბერძნებმა მიკენის მეფის წინამძღოლობით დაანგრიეს მეშვიდე ტროა და არა მეორე, მეორე ტროა მიკენზე ხნიერია. მცირე აზიაში ბერძნების შემოსევას წერილობითი ძეგლები ძვ. წ. XII საუკუნით ათარიღებდნენ, მაშასადამე, მეშვიდე ტროაც, დაახლოებით, ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებში არსებობდა.

შემდეგ არქეოლოგებმა შენიშნეს, რომ მესამე ტროასათვის ტიპიური ჭურჭელი გვხვდება ძვ. წ. XIX საუკუნის ხეთების ქალაქებში, ხოლო მეორე ფენისდროინდელი ტროასათვის დამახასიათებელი თასი — ძვ. წ. 2200 წელზე განკუთვნილ ხეთების ძეგლებს შორის.

ასე მივაგენით ტროას ისტორიის შესწავლისათვის საჭირო რამდენიმე საყრდენ წერტილს, რამაც შემდგომში საშუალება მოგვცა დაგვედგინა დანარჩენ დასახლებათა არსებობის დროც, თავიანთი კვალი რომ დატოვეს ტროას ბორცვზე.

რასაკვირველია, ამ გზით მიღებული თარიღები ნაკლებად ზუსტი და საიმედოა, ვიდრე ნოვგოროდის იარუსების დენდროქრონოლოგიის დახმარებით დადგენილი თარიღები, ტროას ისტორიკოსს საუკუნეებით უხდება ლაპარაკი, დიდ სიზუსტეზე მას ოცნებაც კი არ შეუძლია. ისტორიკოსი ვერასოდეს ვერ გაიგებს, რამდენი დრო დასჭირდებოდა მეორე ფენისდროინდელ ტროაში დამზადებულ თასს იმისათვის, რომ ხეთების ქვეყანაში მოხვედრილიყო; ამასთანავე, თვით ხეთების სიძველეზეც ხომ მიახლოებით, ძირითადად, იქ ნაპოვნი ეგვიპტური და ბაბილონური ნივთების საფუძველზე თარიღდება.

მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია II და III ათასწლეულების ძეგლების მიახლოებით დათარიღება. ასეთი დათარიღების საფუძველს გვაძლევს ეგვიპტურ, ბაბილონურ, ასურულ ნივთებთან შედარება. ამ ნივთების ასაკს კი განსაზღვრავენ საფლავის ქვაზე ამოკვეთილი წარწერები ან გათხრების დროს სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩენილი თიხის ფირფიტები.

მაგრამ აი, ჩვენ გავცდით III ათასწლეულს და მივიწევთ საუკუნეთა სიღრმეში. დასრულდა წარწერების ხანა. აღარ გვაქვს წერილობითი ძეგლები. ახლა როგორღა გამოვძებნოთ თარიღის დასადგენი საშუალება?

ატომი ისტორიკოსის სამსახურში

თითქოს ამოიწურა ყოველგვარი შესაძლებლობა, ისტორიკოსის წინაშე თითქოს დაუძლეველი კედელი აღიმართა. ამ ეპოქაში, რომელსაც დამწერლობა არ გააჩნდა, საუკუნეების გამოთვლის საშუალებაც არ არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, ეს არც ქვაზეა აღბეჭდილი, არც სხვა რომელიმე საწერ მასალაზე.

ერთი შეხედვით გვგონია, რომ ამ ათასწლეულების შესწავლელ ისტორიკოსს მხოლოდ იმის განსაზღვრა შეუძლია, თუ რომელი არქეოლოგიური ძეგლია უფრო ძველი და რომელი შედარებით ახალგაზრდა; მას შეუძლია თქვას, რომ ქვის ხანა უსწრებდა ბრინჯაოს ხანას, რომ ადამიანებმა შუბის გაკეთება უფრო ადრე ისწავლეს, ვიდრე თიხის ჭურჭლის დამზადება. მაგრამ, სახელდობრ, როდის მოხდა ეს — როგორ გვითხრას ისტორიკოსმა?

თურმე მარტო ადამიანი როდი ზომავს დროს, მას თვით ნივთებიც აღრიცხავენ: ზოგი შედარებით კარგად, ზოგი — უფრო ცუდად. საჭიროა მხოლოდ ვისწავლოთ ნივთებში მოთავსებული უხილავი საათის მიგნება, საუკუნეების გამომთვლელ უხილავ აღმრიცხველებში ჩახედვა.

ამ თავში ჩვენ უკვე ვესტუმრეთ ასტრონომებს. ასტრონომის გარეშე ვერ განვსაზღვრავთ ძალიან დიდი ხნის წინათ მომხდარ მზის დაბნელების დროს და, მაშასადამე, ვერც იმ ისტორიული ამბების თარიღს დავადგენთ, მზის დაბნელების მო-

ძენტს რომ დაემთხვა. ასტრონომის გარეშე ვერ გავერკვეოდით სირიუსის ამოსვლის ცთომილებაში ეგვიპტის კალენდარზე, ვერ გამოვითვლიდით ფარაონ სენუსერტ III-ის მეფობის ხანას.

ახლა სხვა დარგის სპეციალისტებს მივმართოთ.

ოდესღაც აღმოსავლეთ ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი ყინულის სქელი ფენით იყო დაფარული. ყინულის ფენები დნეპრსა და დონს გასდევდა. შავი ზღვის სანაპიროზე ტუნდრა იყო გადაშლილი. იქ ჩრდილოეთის ირმები დახეტიალობდნენ და ხავსს დაეძებდნენ.

შემდეგ ყინულმა უკან დაიხია და თავის გზაზე უზარმაზარი რიყის ქვები დატოვა, ამოთხარა ქვაბურები მომავალი ტბებისათვის. ყინულოვანი ფარის ადგილზე გაუვალი ტყეები აღიმართა.

ჩრდილოეთისაკენ უკან დახეულ ყინულს ადამიანები კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ, ისინი მიდიოდნენ ფრთხილად, მდინარეების გასწვრივ, შეიარაღებული იყვნენ მშვილდებითა და ისრებით, მაგრამ არ ჰქონდათ ცულები, რომ გაეკაფათ გაუვალი ტყე. ამიტომ ტბებისა და მდინარეების ნაპირებზე საცხლდებოდნენ. ნადირობდნენ პატარა ცხოველებზე, იჭერდნენ თევზს. მაგრამ დიდხანს არ ცხოვრობდნენ ერთ ადგილზე და მათი დასახლების ადგილზეც არ რჩებოდა სქელი კულტურული ფენა.

გათხრების დროს რამდენიმე ასეთი დასახლება აღმოაჩინეს ოკასა და ზემო ვოლგაზე. მარტივი კაჟის იარაღებთან, ძველი ტბების ადგილზე წარმოშობილ ტორფნარებში შემორჩენილ ცხოველებისა და თევზების ძვლებთან ერთად შემოინახა ოდესღაც კედლად აღმართული ხეების მტვერი. ეს კედლები მაშინ თითქმის მდინარის ნაპირებამდე აღწევდა. რაკი გადარჩა ხის მტვერი, — მაშასადამე, შეიძლება დავადგინოთ, რა ჯიშის ხეები იზრდებოდა აქ; შეიძლება გავარკვიოთ, როგორი იყო იმდროინდელი ჰავა. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას დროის განსაზღვრისათვის?

არსებობს ძველი ჰავის შემსწავლელი მეცნიერება — პალეოკლიმატოლოგია. პალეოკლიმატოლოგებმა დაადგინეს, ევროპის ჩრდილოეთ ოლქებში ყინულის უკან დახევის შემდეგ

თანდათანობით როგორ იცვლებოდა ჰავა. პირველად ჰავა ძალიან ცივი ყოფილა; ეს გასაგებიცაა: ყინულმა ხომ სულ ცოტა ხნის წინ დაიხია უკან. შემდეგ მშრალი ჰავის ხანა დადგა. მერე კი ჰავა თბილი და ტენიანი გახდა, უფრო თბილი და ტენიანი, ვიდრე ახლაა. ამავე დროს, პალეოკლიმატოლოგებმა გამონახეს საშუალება, რომ განესაზღვრათ, სახელდობრ, როდის მოხდა ერთი კლიმატური პერიოდის მეორით შეცვლა. აღმოჩნდა, რომ მშრალმა ჰავამ ცივი ჰავა დაახლოებით ძვ. წ. 7000 წელს შეცვალა, ხოლო დაახლოებით ძვ. წ. 5000 წელს მშრალმა ჰავამ ადგილი დაუთმო თბილსა და ტენიან ჰავას.

ახლა დავუბრუნდეთ ოკისა და ზემო ვოლგის დასახლებებს. ხის მტვრის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს დასახლებანი არსებობდა ცივი და მშრალი ჰავის პერიოდში, მაშასადამე, დაახლოებით ძვ. წ. 7000 წელს.

ზოგიერთი ძეგლის დასათარიღებლად შეიძლება ვისარგებლოთ მიწის მაგნიტური ველის ცვალებადობაზე დაკვირვებით. საქმე ისაა, რომ დედამიწის მაგნიტური პოლუსი განუწყვეტლივ იცვლის ადგილს და მასთან ერთად იცვლება მაგნიტური მერიდიანების მიმართულებაც. ათასი წლის წინათ მაგნიტური ისარი არ გვიჩვენებდა ახლანდელ მიმართულებას. თუ რაიმე ძველ ნივთს ვიპოვით და გავიგებთ, როგორი იყო მაგნიტური მერიდიანების მიმართულება ამ ნივთის შექმნის დროს, ფიზიკოსები შეძლებენ დიდი სიზუსტით განსაზღვრონ ამ ნივთის ასაკი. მაგრამ განა ეს შესაძლებელია? განა შეიძლება მაგნიტური მერიდიანების მიმართულება აღიბეჭდოს ნივთებზე?

თურმე, შეიძლება.

დაუმუშავებელ თიხაში მაგნიტური ხაზები ინარჩუნებენ მიმართულების შეცვლის უნარს. საკმარისია გადავაბრუნოთ თიხის ნაჭერი, რომ მაგნიტური ხაზები შეიცვლიან მიმართულებას და ხელახლა, მაგნიტური მერიდიანების პარალელურად დალაგდებიან.

თუ თიხის ნაჭერს ხელს არ ვახლებთ, საუკუნეების განმავლობაში მაგნიტური ხაზები მასში თანდათანობით, დედამიწის მაგნიტური მერიდიანების ცვალებადობის შესაბამისად გადაინაცვლებენ.

მაგრამ აი, მოდის მეთუნე, იღებს დაუმუშავებელი თიხის

ჯუნდას და მისგან ქოთანს ძერწავს. მეთუნე ქოთანს ცეცხლზე გამოწვავს. სწორედ აქ წყდება მაგნიტური ხაზების სიცოცხლეც, ისინი ველარ გადაინაცვლებენ, მათ მაგნიტური მერიდიანების პარალელურად განლაგების უნარი დაკარგეს, გაიყინენ და ერთხელ და სამუდამოდ აღბეჭდეს ქოთნის გამოწვის დროს არსებული მაგნიტური მერიდიანების მიმართულება.

მაგრამ მკვლევრის წინაშე წარმოიშვება სიძნელეები: დამზადების შემდეგ ქოთანმა ხომ უთვალავჯერ გამოიცვალა ადგილი. იგი გამოიღეს გამოსაწვავი ღუმელიდან, წაიღეს დუქანში, მიყიდეს რომელიღაც მიწის მუშას. ამის შემდეგ კი ვინ იცის, რამდენჯერ გარეცხეს, ადგილიდან ადგილზე, ხელიდან ხელში გადიტანეს. სადღა ვეძიოთ ახლა მაგნიტური ხაზების ძველი მიმართულება?

იმედის დაკარგვა ნაადრევია. ისეთი გამომწვარი თიხის ნივთებიც მოგვეპოვება, თავიანთ ძველ ადგილზე რომ დარჩენენ უძრავად და შეინარჩუნეს გამოწვის მომენტში არსებული მაგნიტური მერიდიანების მიმართულება. ესენია ჭურჭლის გამოსაწვავი და ლითონის გამოსადნობი თიხის ქურები. ძველი ქურა თიხით ამოგლესილ, მიწაში ამოთხრილ ორმოს წარმოადგენს და, მაშასადამე, უძრავი ნაგებობა იყო. ასეთი ქურების ასაკი შეიძლება დიდი სიზუსტით დავადგინოთ.

ვთქვათ, ასეთ ქურაში იპოვეს თიხის ჭურჭელი, ეს იმას ნიშნავს, რომ ვიცით ამ ჭურჭლის ასაკი. მაგრამ მსგავსი ჭურჭელი შეიძლება სხვა ადგილებშიც შეგვხვდეს, ოღონდ ქურაში კი არა, უკვე სახლის ნანგრევებში, საფლავებში. ჩვენი ჭურჭლის დახმარებით შეგვიძლია საკმაოდ ზუსტად დავადგინოთ ამ სახლის აგებისა და ამ საფლავის თარიღიც. ასე შეიქმნება ზუსტად დათარიღებული ნივთების ახალი ჯაჭვები.

ფიზიკოსებმა გამოიმუშავეს ძველ ნაკეთობათა დათარიღების კიდევ ერთი ხერხი.

თქვენ იცით, რომ ნახშირბადი დედამიწაზე თავისუფალი სახით გვხვდება. თავისუფალი ნახშირბადია ალმასი, გრაფიტი და ზოგიერთი სახის ნახშირი. ამასთან ერთად, ნახშირბადი შედის ხორცის, ტყავის, მცენარის, ქსოვილების, ქაღალდის შემადგენლობაში. ჩვეულებრივ, ნახშირბადთან ერთად ყველა ამ საგანში გვხვდება მისი ღვიძლი ძმა — ნახშირბადის იზოტოპი,

რომელიც ელექტრონების რამდენადმე მეტ რიცხვს შეიცავს. ჩვეულებრივი ნახშირბადისაგან განსასხვავებლად მას „ნახშირბად-14“-ს უწოდებენ.

სანამ ცხოველი ან მცენარე ცოცხლობს, მისი ქსოვილები შეიცავს ნახშირბად-14-ის მკაცრად განსაზღვრულ პროცენტს. მაგრამ ცოცხალი ორგანიზმი მოკვდება თუ არა, ნახშირბად-14-ის რაოდენობა მაშინვე იწყებს კლებას. მისი ატომები იშლებიან და ქმნიან ჩვეულებრივ ნახშირბადს. მეცნიერებმა გამოითვალეს, რომ ქსოვილებში არსებული ნახშირბად-14-ის ნახევარი ქრება, დაახლოებით, ხუთ-ნახევარი ათასი წლის შემდეგ.

ძველმა მონადირემ კოცონის დასანთებად ხე მოჭრა. ჩამქრალი კოცონიდან გადარჩენილ ნახშირში დაიწყო ნახშირბად-14-ის დაშლა. ძველმა მონადირემ მოკლა კურდღელი, შეწვა და შეჭამა, ხოლო ძვლები თავის მიწურთან გადაყარა. ამ ძვლებშიც დაიწყო ნახშირბად-14-ის ატომებად დაშლა. გავიდა საუკუნეები, არქეოლოგებმა იპოვეს ის ნახშირი და დახრული ძვლები; სპეციალური ხელსაწყოების დახმარებით ფიზიკოსებს შეუძლიათ გამოიანგარიშონ, რა ზომამდეა მისული ეს დაშლა. შემდეგ კი უკვე აღარ არის ძნელი იმის გამოთვლა, თუ როდის მოჭრეს ხე, ან როდის მოკლეს კურდღელი.

სხვადასხვა მეთოდების კომბინირებით მეცნიერები სულ უკეთ და უკეთ განსაზღვრავენ კაცობრიობის ისტორიის ყველაზე შორეული მოვლენებიდან გასულ დროს. თუმცა, რასაკვირველია, ისინი ყოველთვის ვერ აღწევენ აბსოლუტურად სწორ შედეგს. ბევრი მოვლენის თარიღის ზუსტი განსაზღვრა ჯერ კიდევ ვერ ხერხდება. ბუნებრივია, რომ შორეული წარსულის ამბების თარიღის დადგენა უფრო ძნელია, ვიდრე შედარებით გვიან მომხდარი მოვლენებისა.



ᲛᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ

ᲠᲘᲡᲮᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲙᲔᲠᲫᲝᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲠᲔᲨᲘ

ღამეა. ჩუდოვოს მონასტრის სენაკში მკრთალი ლამპარი ᲑᲔᲣᲢᲐᲕᲡ. მოხუცი ბერი ხელნაწერზე დახრილა. ცოტაც და იგი დაასრულებს თავის ნაშრომს — მოთხრობას რუსეთის მეფეთა დიდებასა და მათ ძნელ საქმეებზე. იგი წერს იმას, რაც თავისი თვალით იხილა:

> არა ამაოდ მრავალ წელთა განმაელობაში
> მე ვიქმენ მოწმედ მიჩენილი ღვთის განგებისგან...[1]

ბერს იმედი აქვს, რომ მისი „მართალი ნათქვამიდან“ შთაშომავლობა შეიტყობს მშობლიური მიწის ბედ-იღბალს, არ დაიმალება წინაპართა არც სიკეთე და არც ცოდვები. იმავე სენაკში გაღვიძებული ახალგაზრდა ბერი აღტაცებით შეჰყურებს შორჩილ და დიდებულ ქამთააღმწერელს და მას წარსულ საქმეთა მსაჯულად მიიჩნევს, რომელიც

> ...მართალს, მტყუანს გულცივად უმზერს,
> ბოროტს და კეთილს თანაბარი სიმშვიდით უსმენს,
> არ უწყის რაა შებრალება, არც მრისხანება[2].

ასეთად წარმოგვიდგინა პუშკინმა მემატიანე პიმენი. პა-

---

[1] 1, 2 — თარგმანი ს. შანშიაშვილისა.

ტიოსნად და მიუკერძოებლად აღწერს იგი იმ მოვლენებს, რომლის მოწამეც თვითონ იყო. იგი წერს პირუთვნელად, თავისი თანამედროვეებისათვის კი არა, არამედ მათთვის, ვინც ჯერ არ დაბადებულა, მომავალი თაობებისათვის.

თუ თავს დავანებებთ პუშკინის პიმენს და მივმართავთ ნამდვილ მემატიანეებს, ძველი და შუა საუკუნეების მოთხრობების ავტორებს, ჩვენ კვლავ მოვხვდებით იმ სამყაროში, სადაც ყველაზე მეტად სცემენ თაყვანს სიმართლესა და ობიექტურობას. რომელი მემატიანე არ ჰპირდება თავის მკითხველს, ჭეშმარიტ სიმართლეს გაუწყებო!

რომის ისტორიკოსი ტაციტუსი ფიცსა დებს, რომ წარსულს ყოველგვარი რისხვისა და მიკერძოების გარეშე აღწერს. ისტორიის მთავარ მიზანს, — აცხადებს ბიზანტიის ყამთააღმწერელი ნიკიტა ხონიატი, — ჭეშმარიტება წარმოადგენს. მისთვის უცხოა ორატორული მჭევრმეტყველება და პოეტური მონაგონი. ელზასის ერთ-ერთი მონასტრის ბერი გუნტერ პერისელი გვპირდება, რომ მის მონათხრობში ვერსად შევხვდებით ვერც ყალბსა და ვერც საეჭვო ცნობებს, რომ იგი წარსულის ამბებს მართლად და თანმიმდევრულად მოგვიყვება.

თითქოსდა ყველაფერი რიგზეა. თუ წარსული საუკუნეების მნიშვნელოვანი ამბების თანმიმდევრული, მართალი და მიუკერძოებელი აღწერა მოგვეპოვება, ამას რა სჯობია. მკვლევარს ისღა დარჩენია, გაიმეოროს, რაც ამ მოთხრობებში წერია: რომის ისტორია გადმოგვცეს ტაციტუსის მიხედვით, XII საუკუნის ბიზანტიის ისტორია — ნიკიტა ხონიატის, ხოლო მეოთხეჯვაროსნული ომების ამბები — გუნტერ პერისელის მიხედვით.

სხვადასხვაგვარად დანახული სამყარო

მოულოდნელად აღმოჩნდება, რომ მემატიანეები, მხოლოდ და მხოლოდ სიმართლის თქმას რომ გვეფიცებიან და გვპირდებიან, პირუთვნელად, მიუდგომლად აღვწერთ მოვლენებსო, ხშირად ერთსა და იმავე ამბავს სხვადასხვაგვარად გადმოგვცემენ.

1203 წლის ზაფხულში ვენეციელთა ფლოტი და ჯვაროსან-

თა რაზმები მიადგნენ ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქის — კონსტანტინოპოლის კედლებს. ჯვაროსნებთან ერთად აქ მოვიდა ბიზანტიის უფლისწული ალექსი, რომლის მამა ისააკ ანგელოსი საკუთარმა ძმამ, ალექსი III ანგელოსმა ჩამოაგდო ტახტიდან, თვალები დათხარა და ციხეში ჩააგდო. ჯვაროსნებმა დიდძალი ფული მოსთხოვეს უფლისწულ ალექსის და შეჰპირდნენ, რომ მამას გაგინთავისუფლებთ და კონსტანტინოპოლის ტახტზე დავაბრუნებთო.

ხანმოკლე წინააღმდეგობის შემდეგ ალექსი III კონსტანტინოპოლიდან გაიქცა და თან გაიტაცა სახელმწიფო ხაზინა. ისააკი ტახტზე აიყვანეს, ხოლო უფლისწული ალექსი მისი თანამმართველი გახდა.

თითქოსდა ჯვაროსნული ომის მონაწილეთა მიზანი შესრულებული იყო. მათ მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, ბიზანტიის იმპერატორისაგან ფული მიეღოთ და შინ დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ ჯვაროსნებმა შინ წასვლის ნაცვლად კონსტანტინოპოლი დაიპყრეს.

ქალაქის დაპყრობის ამბავს არა ერთი მემატიანე აღწერს: ბიზანტიელი ისტორიკოსი ნიკიტა ხონიატი (კონსტანტინოპოლის ალყის დროს ის ქალაქში იმყოფებოდა); ჯვაროსნული ომის ზოგიერთი მონაწილე და თანამედროვე, მათ რიცხვში ჩვენთვის უკვე ცნობილი გუნტერ პერისელი; უცნობი რუსი მწერალი (მან დაგვიტოვა მოთხრობა „იტალიელების მიერ ცარგრადის აღების შესახებ"). მე არ შევუდგები ყველა მონაყოლის ერთმანეთთან შეპირისპირებას, რადგან ისინი ძალზე ბევრია და შეუძლებელია ამ პატარა წიგნში მათი მიმოხილვა. მოდით, მხოლოდ ორი ისტორიკოსის, ნიკიტა ხონიატისა და გუნტერ პერისელის ნაამბობი შევადაროთ, ისინი ხომ, როგორც გახსოვთ, დაგვპირდნენ, სიმართლეს მოგითხრობთო.

როდესაც ალექსი III-მ, — გადმოგვცემს გუნტერ პერისელი, — ნახა ჯვაროსანი მეომრების ვაჟკაცობა და შეიგნო თავისი ცოდვები, გაიქცა. მაშინ კონსტანტინოპოლის მცხოვრებლებმა ჭიშკარი გააღეს და მიიღეს უფლისწული ალექსი როგორც ტახტის კანონიერი მემკვიდრე. უფლისწულ ალექსისთან ერთად ქალაქში „ჩვენები" (ე. ი. ჯვაროსნები) შევიდნენ, მაგრამ როგორც კი დანაპირები თანხის გადახდა აღუთქვეს, მათ

დატოვეს კონსტანტინოპოლი და მის კედლებთან დაბანაკდნენ.

ამის შემდეგ კონსტანტინოპოლის მოქალაქეთა შორის ჩამოვარდა ფარული უკმაყოფილება. ხმები გავრცელდა, თითქოს ახალმა იმპერატორმა ჯვაროსნებს თითქმის მთელი საბერძნეთის სიმდიდრე მისცა და მთელ სახელმწიფოს გაძარცვას უპირებს, რათა თავისი დასავლეთელი მეგობრები დაასაჩუქროსო. უფლისწული ალექსი, განაგრძობს გუნტერი, დააღონა თავისი ქვეშევრდომების უღირსმა საქციელმა და ორგულობამ. იგი არც ჯვაროსნებისადმი მიცემულ პირობას ივიწყებდა ფულის გადახდის თაობაზე.

შეთქმულებას სათავეში ჩაუდგა ვინმე მურციფლო. ძან თავისი ხელით მოკლა ალექსი: უმჯობესია, — ამბობდა იგი,— თვითონ ალექსი დაიღუპოს, ვიდრე საბერძნეთის განძს სხვა დაეპატრონოსო. ამის შემდეგ მურციფლომ იმპერატორის გვირგვინი დაიდგა. გუნტერის სიტყვით რომ ვთქვათ, ასეთი უტიფარი, უგუნური გზით ტახტის ხელში ჩაგდების შემდეგ მან ყველა „ჩვენიანის" განადგურებაზე დაიწყო ოცნება. იგი იზაკვრულად ცდილობდა შეეტყუებინა ჯვაროსანთა ბელადები კონსტანტინოპოლში და იქ გასწორებოდა მათ.

ჯვაროსნები შიშმა შეიპყრო, რადგან უცხო ქვეყანაში, თანაც ასეთ უხეირო ხალხში იმყოფებოდნენ. ამასთან, მათ სურდათ, შური ეძიათ და დაესაჯათ კანონიერი იმპერატორის თავხედი მკვლელი. ხანმოკლე ბრძოლების შემდეგ „ჩვენები" ქალაქში შეიჭრნენ. აქ მათ იშიშვლეს ხმლები, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინოპოლის მცხოვრებთა შესაშინებლად, რადგან აღარავითარი სურვილი აღარ ჰქონდათ გაანეგრძოთ სისხლის ღვრა. მაგრამ ბიზანტიელებმა ვერ გაუგეს და გაქცევით უშველეს თავს. ყველა ერთად გარბოდა, ქუჩები ვეღარ იტევდა გაქცეულებს. ამ ჰეჰყვაში თუმცა დაიღუპა ხალხი, მაგრამ ძალიან ცოტაო, წერს გუნტერი.

საკმარისია. ახლა სიტყვა ბიზანტიელ მწერალს, ნიკიტა ხონიატს მივცეთ.

მისი ნაამბობით, როდესაც ალექსი III კონსტანტინოპოლიდან გაიქცა, იმპერატორად ისააკი გამოაცხადეს, გუნტერი კი სრულიად არ ახსენებს ისააკს. უფლისწულმა ალექსიმ (გაიხსენეთ, გუნტერი მისადმი დიდ სიმპათიებს ავლენდა) გარს შე-

მოიკრიბა ისინი, ნიკიტა ხონიატის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეინც მამამისს თვალები დათხარა, და ბრმა ისააკი თანდათანობით ჩამოაცილა სამეფო ტახტს. ისააკს მხოლოდ ისღა დარჩენოდა, თავისთვის ებუზღუნა და ეოცნება იმაზე, როდის მოხდებოდა სასწაული და თვალები აეხილებოდა.

უფლისწული ალექსი, განაგრძობს ხონიატი, თავისი ამალით „ბარბაროსთა" კარვებში დადიოდა, მთელ დღეებს იქ ატარებდა სმასა და კამათლის თამაშში. ამაოდ დაეუწყებთ ძებნას ასეთ წვრილმანებს გუნტერის ნაწარმოებში.

ჯვაროსნებისათვის გადასახდელი ფული არ ჰქონდათ: ალექსი ცდილობდა შემოეღო ახალი გადასახადები. ეკლესიებს განძი წაართვა, მაგრამ ვერც ამან უშველა.

1204 წლის 25 იანვარს წმინდა სოფიოს ეკლესიაში შეკრებილი ხალხი აღშფოთებით გაუვიროდა, რომ აღარ უნდოდათ იმპერატორად ანგელოსთა შთამომავალი და ასახელებდნენ უფრო ღირსეულ კანდიდატებს. ამასთან ერთად, აღშფოთებით აღნიშნავს ნიკიტა ხონიატი, ზოგიერთი ცდილობდა, იმპერატორის ტახტზე ბნელი წარმოშობის ადამიანები აერჩიათ. მხოლოდ მესამე დღეს გამოაცხადეს იმპერატორად ნიკოლოზ კანავი.

ალექსიმ ეს რომ გაიგო, ჯვაროსნებს მიმართა დახმარებისთვის. მაშინ მურჩუფლი (ეს, რასაკვირველია, სხვა არავინაა, თუ არა გუნტერის მურციფლო) ღამით მოვიდა ალექსისთან და უთხრა, რომ შეიარაღებული ბრბო ლამობს სასახლის ჭიშკრის შემტვრევას, რათა საძულველ ხელმწიფეს გაუსწორდესო. ალექსი მიენდო მურჩუფლს, მან კი იგი სასახლის საიდუმლო პალატაში წაიყვანა; იქ ალექსის ბორკილები დაადეს და დილეგში ჩააგდეს. უფლისწულის დაპატიმრების შემდეგ მურჩუფლი თვით შეიმოსა იმპერატორის სამოსით.

არ გაუვლია დიდხანს, რომ კანავი შეიპყრეს, ხოლო ალექსი დილეგში დაახრჩეს.

მაგრამ კონსტანტინოპოლში არც მურჩუფლს უმეფია დიდხანს. რომ დარწმუნდა თავისი მდგომარეობის უიმედობაში, ქალაქიდან გაიქცა. კიდევ რამდენიმე დღე და ბიზანტიის დედაქალაქში მტერი შეიჭრა. „ბედს დამორჩილებული ქალაქის მცხოვრებნი ლათინების შესაგებებლად ჯვრებითა და ქრისტეს

წმინდა გამოსახულებებით გამოვიდნენ, როგორც ზეიმის დროს იქცეოდნენ ხოლმე, მაგრამ ლათინებს ვერც ამ სანახაობამ მოულბო გული, ვერ დააოკა მათი ბნელი და მძვინვარე სული... ვინც რაიმე წინააღმდეგობის გაწევას შეეცდებოდა, ან უარს იტყოდა მათ მოთხოვნაზე, დანის წვერზე წამოაგებდნენ.. აღარსად იყო ხელშეუვალი, წამებული ხალხისათვის თავშესაფარი ადგილი". ასე აგვიწერს ნიკიტა ხონიატი კონსტანტინოპოლის დაცემას 1204 წლის 13 აპრილს.

როგორც ვხედავთ, ორი სხვადასხვა ავტორი სხვადასხვაგვარად აგვიწერს ერთსა და იმავე ამბავს. საქმე მარტო ცალკეული შეუთანხმებლობა არ არის (სხვადასხვაგვარადაა გადმოცემული უფლისწულ ალექსის მკვლელის სახელი, სხვადასხვაგვარია მოვლენების თანმიმდევრობაც: გუნტერთან მურციფლო ჯერ კლავს უფლისწულ ალექსის და შემდეგ აცხადებს თავს იმპერატორად. ხონიატთან კი პირიქით, მურჩუფლი ჯერ იმპერატორის ტანისამოსს იცვამს; ხოლო ალექსის დახრჩობას შემდეგ ბრძანებს). საქმე არც ისაა, რომ ნიკიტა ხონიატი მოიხსენიებს ბევრ მნიშვნელოვან ამბავს, რომელთა შესახებ გუნტერი დუმს: მაგალითად, ასეთი მნიშვნელოვანი ამბებია კრება წმინდა სოფიის ტაძარში და კანავის იმპერატორად გამოცხადება. მთავარი ისაა, რომ მოვლენების მთელი მსვლელობა აღწერილია სხვადასხვა თვალსაზრისით: გუნტერში ეჭვს არ იწვევს ჯვაროსანთა მოქმედების სამართლიანობა, იგი უფლისწულ ალექსის მიიჩნევს სანდო და კეთილშობილ ადამიანად, რომელიც უხეირო და უპატიოსნო ხალხს მართავს. ხონიატისათვის კი ჯვაროსნები მძარცველები არიან, ხოლო ალექსი ლოთი, მოთამაშე და თავისი სამშობლოს ინტერესების მოღალატე. გუნტერი ცდილობს ხაზი გაუსვას იმას, რომ კონსტანტინოპოლის აღებისას მცხოვრებთა უმნიშვნელო ნაწილი დაიღუპა, ხონიატი კი გვიხატავს ბიზანტიის დედაქალაქის ძარცვა-გლეჯისა და მის დამპყრობთა თარეშის საშინელ სურათს.

ამრიგად, ერთი და იგივე ამბავი თურმე სხვადასხვაგვარად შეიძლება დავინახოთ. ორივე მემატიანე კი გვეფიცებოდა, რომ მხოლოდ სიმართლეს მოგვიყვებოდნენ — მაგრამ სადაა აქ სიმართლე?

ის ამბავი, რომ გუნტერ პერისელი და ნიკიტა ხონიატი სხვადასხვაგვარად აგვიწერენ კონსტანტინოპოლის დაცემის სურათს, ვერავის გააკვირვებს. მართლაც, ნიკიტა ხონიატი ამ ამბებს უყურებდა ბიზანტიელის თვალით, გუნტერი კი ელზასელი მღვდელი იყო, ხოლო მისი უახლოესი მეგობარი, აბატი მარტინი ჯვაროსნების ბანაკში იმყოფებოდა. აბატი ჯვაროსნებთან ერთად შეიჭრა კონსტანტინოპოლში, კალთააკეცილი ანაფორით დარბოდა და ქალაქის ეკლესიებში ძვირფასი ქვებით შემკულ ხატებს, ოქროთი და ძვირფასი ქვებით მოქედილ სანაწილეებში შენახულ წმინდანების ძვლებსა და თვით ქრისტეს ნეშტსაც კი დაეძებდა. ნიკიტა ხონიატისათვის 1204 წლის 13 აპრილი დამარცხების დღე იყო, თვითონ კი გადაცმულს მოუხდა კონსტანტინოპოლიდან გაქცევა. გუნტერისათვის, პირიქით, კონსტანტინოპოლის დაპყრობა დიდ გამარჯვებად ითვლებოდა. ეს გამარჯვება, მისი აზრით, იმას მოწმობდა, რომ ღმერთი წყალობის თვალით უყურებს „ჩვენების“ საგმირო საქმეებსო. ორივე ისტორიკოსი სხვადასხვა ბანაკს ეკუთვნოდა და მათ სხვადასხვაგვარად აღიქვეს ის, რაც მოხდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ისედაც ხდება, რომ ერთი და იგივე ავტორი სხვადასხვაგვარად აგვიწერს ერთსა და იმავე ამბავს.

ახ. წ. VI საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს კარზე ცხოვრობდა ნიჭიერი მწერალი პროკოფი კესარიელი. მან თავისი დროის ამბებზე რამდენიმე თხზულება დაწერა. ერთ-ერთ მის წიგნთაგანს ეწოდება „შენობათა შესახებ“. წიგნში პროკოფი აღწერს იმპერატორ იუსტინიანეს დროს აშენებულ ეკლესიებსა და ციხეებს და აღწერას თან ურთავს იმპერატორის გადაჭარბებულ ქება-დიდებას. იგი ხოტბას ასხამს იუსტინიანეს გულკეთილობას, პოლიტიკურ გამჭრიახობასა და კანონმდებლობას. მაგრამ ავიღოთ პროკოფის სხვა წიგნი, რომელმაც მიიღო პირობითი სახელწოდება: „საიდუმლო ისტორია“. წიგნი XVII საუკუნეში აღმოაჩინეს. მეცნიერებს დიდხანს არ სჯეროდათ, რომ იგი იმ პროკოფის ეკუ-

შუასაუკუნეებისდროინდელ მწერალს ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები აწუხებს.

თვნოდა, ვინც თხზულებაში „შენობათა შესახებ“ ისე პირმოთნედ აქებდა იუსტინიანეს.

„საიდუმლო ისტორია“ პამფლეტი, იუსტინიანესადმი მიმართული მწვავე სატირაა. იმპერიის ყველა უბედურების, ხანძრისა და ქარიშხლის მიზეზადაც კი პროკოფი იუსტინიანეს თვლის. მსუქანი, პირმრგვალი, ღაღლაჟა იმპერატორი დღე და ღამე საწერ მაგიდას უჯდა, ქვეყნის ყოველ კუთხეში გზავნიდა კანონებსა და დადგენილებებს და მათი დახმარებით ფიქრობდა ვრცელი იმპერიის ყველა გასაჭირისაგან ხსნას. სწრაფად იცოდა გადაწყვეტილების მიღება, როგორც კი შოუსმენდა ბრალმდებელს, მაშინვე კარნახობდა სასამართლო

განაჩენს. იუსტინიანე არასოდეს არ ამჟღავნებდა თავის გულისწყრომას, არც ხმას აუმაღლებდა არასოდეს, არც აღელდებოდა, მაშინაც კი, როდესაც დასაღუპავად წირავდა ათეულ ათასობით უდანაშაულო ადამიანს, როდესაც ბრძანებდა, დაეწვათ ვრცელი ქალაქები და მონებად ექციათ მთელი ტომები. მას სიცრუის თქმაც ეხერხებოდა და პირფერობაც, ხოლო თუ დასჭირდებოდა, თვალთაგან ცრემლსაც აფრქვევდა.

მას, ვის სიკეთესა და ლმობიერებას პროკოფი ხოტბას ასხამს თხზულებაში „შენობათა შესახებ", ახლა ქვეყნის გაძარცვასა და ძველი კანონების დარღვევაში სდებს ბრალს.

მაშ, როდის ამბობს სიმართლეს პროკოფი? მაშინ, როდესაც მლიქვნელურად აქებს და ადიდებს იუსტინიანეს სიბრძნეს და მის მიერ აგებულ ეკლესიებსა და ციხე-სიმაგრეებს, თუ მაშინ, როდესაც აშკარად გაღიზიანებული ტონით ულმობელ კარიკატურას გვიხატავს?

საჭიროა ხანგრძლივი და გულმოდგინე ძიება, ორივე თხზულების ერთმანეთთან, შემდეგ კი დოკუმენტებთან და იმავე წლებში დაწერილ სხვა წიგნებთან შედარება — მხოლოდ ამ გზით შეიძლება აღვადგინოთ იუსტინიანეს ნამდვილი სახე და სამართლიანად შევაფასოთ მისი მოღვაწეობა.

რა უშლის ხელს ჰეშმარიტებას?

ამრიგად, მიუხედავად თავიანთი დაპირებებისა, მემატიანეები ყოველთვის არ გვიყვებიან სიმართლეს. რა აიძულებს მათ გადაუხვიონ ჭეშმარიტების გზას, დაამახინჯონ სინამდვილე, მიჩქმალონ, ან პირიქით, დაუმატონ რაიმე დეტალი?

ძვ. წ. IV საუკუნეში ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ დაწერა ტრაქტატი ათენის სახელმწიფო წყობილებაზე. ამ თხზულების პირველ ნაწილში მან დაგვიწერა ნარკვევი ათენის ისტორიისა უძველესი დროიდან V საუკუნის ჩათვლით. წიგნი დაკარგული იყო და მეცნიერები დიდხანს მხოლოდ მისი რამდენიმე ნაწყვეტით სარგებლობდნენ. ეს ნაწყვეტები კი იმიტომ შემორჩა, რომ ძველი დროის სხვა მწერლები კითხულობდნენ და ახდენდნენ არისტოტელეს ციტირებას. მხო-

ლოდ გასული საუკუნის ბოლოს აღმოაჩინეს პაპირუსზე დაწერილი დაკარგული ტრაქტატის ტექსტი. როგორც გამოირკვა, იგი ბევრ ახალ ცნობას შეიცავდა ათენის სახელმწიფოს უძველეს ისტორიაზე.

არისტოტელე სხვა ამბებთან ერთად ლაპარაკობს დრაკონის კანონმდებლობაზე. დრაკონის კანონმდებლობას ადრეც იცნობდნენ. ძვ. წ. VII საუკუნეში დრაკონის მიერ გამოცემული კანონებით მკაცრად ისჯებოდნენ სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, უპირველეს ყოვლისა კი მკვლელობისათვის. დრაკონის კანონების თანახმად ასამართლებდნენ და სჯიდნენ უსულო საგნებსაც, თუ ისინი ჩამოვარდნისას მოკლავდნენ ადამიანს. სწორედ ამიტომ გამოთქმამ „დრაკონის კანონები" შემდეგომში „მკაცრი კანონების" მნიშვნელობა მიიღო.

არისტოტელე ამ თხზულებაში მარტო დრაკონის სისხლის სამართლის კანონებზე არ ლაპარაკობს, იგი მის პოლიტიკურ რეფორმებსა და დრაკონის მიერ ათენის სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობაში გატარებულ გარდაქმნებსაც ეხება. ამასთან ერთად, თვალში გეცემათ ის გარემოება, რომ არისტოტელეს მიერ აღწერილი ზოგიერთი ღონისძიება ვერ ეთანხმება ჩვენს წარმოდგენებს ათენის ისტორიაზე.

დრაკონის კანონების მიხედვით, მაგალითად, უმაღლესი თანამდებობის პირებად მიჩნეულია სტრატეგოსები და ჰიპარქოსები. მაგრამ ცნობილია, რომ ეს თანამდებობები მხოლოდ VI საუკუნის ბოლოს შემოიღეს და, ამასთანავე, პირველ ხანებში ათენის სტრატეგოსები უფრო ნაკლები უფლებით სარგებლობდნენ, ვიდრე არქონტები. არისტოტელეს მიხედვით დრაკონის დროს ჩამოყალიბდა ოთხასთა საბჭო, მაშინ როდესაც სხვა წყაროები ოთხასთა საბჭოს აღმოცენებას VII საუკუნეზე უფრო გვიანდელ ხანას მიაკუთვნებენ. დრაკონის კანონების თანახმად (როგორც არისტოტელე გადმოგვცემს), სახალხო კრებაზე დაუსწრებლობისათვის დადგენილი იყო ჯარიმა ერთიდან სამ დრაქმამდე იმისდა მიხედვით, თუ ათენის მოსახლეობის რომელ კლასს ეკუთვნოდა წესის დამრღვევი. მაგრამ დრაქმა VII საუკუნეში საკმაოდ მსხვილი ფულის ერთეული იყო და საეჭვოა ასეთი ჯარიმა დაედგინათ სახალხო კრებაზე დაუსწრებლობისათვის. ამასთანავე, სახალხო კრებაცა და

ქრისტინე დე პიზანი იყო XIV—XV საუკუნეების საფრანგეთის სამეფო კარის ქამთა ამწერელი.

მოქალაქეთა კლასებად დაყოფაც მხოლოდ დრაკონის მეფობიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ შემოუღია სხვა ათენელ რეფორმატორს, სოლონს.

აქ შევჩერდეთ. როგორ მოხდა, რომ არისტოტელემ აგვიწერა დრაკონის რეფორმები, რომლებიც სინამდვილეში სულაც

არ გაუტარებიათ? უნდა გავიხსენოთ, რომ არისტოტელე ძვ. წ. IV საუკუნეში წერდა, ხოლო დრაკონი VII საუკუნეში მოღვაწეობდა. ე. ი. დაახლოებით, 300 წელი აშორებდა არისტოტელეს დრაკონისაგან. არისტოტელე ათენის ადრეული პერიოდის ვერც ერთ ისტორიკოსთან ვერავითარ ცნობას ვერ ნახავდა დრაკონზე: დრაკონის კანონებზე ხომ ბერძნული ისტორიული მეცნიერების მამამთავარმა ჰეროდოტემაც კი არაფერი ცოდა.

ამავე დროს V საუკუნეში უკვე ხმები დადიოდა ათენში, რომ თითქოს დრაკონს რაღაც სამართლიანი რეფორმები გაეტარებინოს, რაღაც სამართლიანი წესები დაემყარებინოს, რომ ცუდი არ იქნებოდა, თუ თვითონაც დრაკონის დროს არსებულ წესრიგს დაუბრუნდებოდნენ. ამის შესახებ თხზულებებიც კი გაჩნდა; მათი ავტორები დრაკონის კანონების სახით გადმოგვცემდნენ გაჯდაქმნის საკუთარ პროგრამას, და აი, V საუკუნეში წარმოქმნილი სწორედ ეს პროგრამა მიიჩნია არისტოტელემ დრაკონის ნამდვილ კანონებად.

მაშასადამე, ზოგჯერ ისტორიკოსი მხოლოდ იმიტომ სცილდება სინამდვილეს, რომ წერს მისთვის უცნობ საგანზე. იგი ხშირად ეყრდნობა ყურმოკრულსა და არასარწმუნო ცნობებს. ხან კი იმით შეწუხებული, რომ ბევრი არაფერი იცის, თვითონვე იგონებს არარსებულ ამბებს. ასე ჩნდება ისტორიულ თხზულებაში სიტყვა, რომელიც სინამდვილეში არავის წარმოუთქვამს; რეფორმები, ცხოვრებაში არავის რომ არ გაუტარებია, და ბრძოლებიც კი, რომლებიც არასოდეს არ მომხდარა.

მაგრამ რას ნიშნავს: ისტორიკოსი იგონებს ამბავს?

ძვ. წ. I საუკუნის რომის ისტორიკოსებმა დაწვრილებით აღწერეს რომის რესპუბლიკის უძველესი ისტორია: ისინი მოგვიყვნენ პატრიციებთან პლებეების ბრძოლის ამბებს და მათი ბელადების მხურვალე სიტყვებიც კი მოიყვანეს, თავიანთი უფლებების დასაცავად რომ წარმოთქვამდნენ. მაგრამ ისმება კითხვა: როგორ გაიგეს ძვ. წ. I საუკუნის რომის ისტორიკოსებმა მათ გაჩენამდე ოთხი საუკუნით ადრე რომში მომხდარი ამბები? ამბობენ, რომ რომში არსებობდა მატიანე, სადაც ყოველ წელწადს შეჰქონდათ მნიშვნელოვანი მოვლენები. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს მატიანე გაჩნდა არა უადრეს ძვ. წ. 464 წლი-

სა, მეორე, ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისში იგი დაიწვა, და მესამეც, მატიანე ძალიან მოკლე იყო, ყოველ შემთხვევაში, არ შეიცავდა რომის სახალხო კრებებზე წარმოთქმულ სიტყვებს.

მაგრამ რომის ისტორიკოსები თავისებურად კეთილსინდისიერი პატრიოტები იყვნენ: მათ ვერ დაეშვათ, რომ ბერძნებს, რომლებიც არა ერთხელ დაამარცხეს რომის ლეგიონებმა და რომის ნაცვლის ძალაუფლებას აღიარებდნენ, დიდებული წარსული ჰქონდათ, რომაელებს კი მხოლოდ ბუნდოვანი გადმოცემები. მაშინ ისტორიკოსებმა დაწერეს წიგნი და ძვ. წ. V საუკუნის პლებეებს წარმოათქმევინეს ისეთი სიტყვები, წყლის ორი წვეთივით რომ ჰგავდა ძვ. წ. II და I საუკუნეებში რომის მოედნებზე არაერთხელ წარმოთქმულ სიტყვებს; მათ თავიანთ შორეულ წინაპრებს მიაკუთვნეს ზუსტად ძვ. წ. II და I საუკუნეების შესაბამისი პოლიტიკური პროგრამები; აგვიწერეს რომაელების ადრე მოგებული ბრძოლები. მაგრამ ამ ბრძოლების აღწერა, რატომღაც, საოცრად წააგავდა ბევრად უფრო გვიანდელი ბრძოლების აღწერას. ამას მარტო რომის ისტორიკოსები კი არა, შუა საუკუნეების მემატიანეებიც სჩადიოდნენ. თუმცა ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ ისინი მარტო მაშინ კი არ იქცეოდნენ ასე, როდესაც წარსულზე არაფერი იცოდნენ, მაშინაც, როდესაც კარგად იცნობდნენ მას. კარლოს დიდის თანამედროვემ ეინჰარდმა მრავალი წელი გაატარა კარლოსის კარზე. მისთვის ხელმისაწვდომი იყო სასახლის არქივის მასალები. მაგრამ როცა ეინჰარდი კარლოს დიდის ისტორიის წერას შეუდგა, ნიმუშად რომის ისტორიკოს სვეტონიუსის „თორმეტი ცეზარის ცხოვრების აღწერა“ გამოიყენა და კარლოსის დასახასიათებლად სვეტონიუსის მიერ ავგუსტუსზე თუ სხვა რომელიმე რომის იმპერატორზე ნათქვამი მზა ფრაზები გაიმეორა. შუა საუკუნეების მემატიანეებს თავიანთი თანამედროვე ბრძოლების აღწერისას მრავალჯერ უსარგებლიათ ძველ აღწერათა ნიმუშებით და მეომართა რაოდენობის აღმნიშვნელი ციფრებიც კი ძველი წიგნებიდან გადაუღიათ!

მაგრამ მარტო საქმეში ჩაუხედაობა, ან ძველი ნიმუშებისადმი თაყვანისცემა როდი ააცდენდა ხოლმე ისტორიკოსს გადაეხვია ჭეშმარიტებისაგან.

ძველად, ისევე როგორც ახლა, მწერლები არ ცხოვრობდნენ სპილოს ძვლის კოშკებში, სადაც ვერ აღწევს ცხოვრების ხმაური, საზოგადოებათა მისწრაფებები. მწერალი ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავის დროსთან, თავის კლასთან და იცავდა — ხშირად შეუცნობლადაც — მის იდეებსა თუ ცრუ შეხედულებებს.

ძველი ეგვიპტელი მწერალი ასე ქადაგებს: „როდესაც შენ დიდებულთან ერთად მაგიდას უზიხარ და სადილობ, ნუ შეაცქერდები პირში. ჭამე ის, რასაც შემოგთავაზებენ. ილაპარაკე იმაზე, რისი მოსმენაც დიდებულს სიამოვნებს — მაშინ ის შენ ჯეროვნად დაგაფასებს". ცხადია, ეს მწერალი იმის ინტერესებს იცავდა, ვის ხელშიც იყო ძალაუფლება. მას არ აწუხებდა ეგვიპტის უბრალო ხალხის ბედი, არ ფიქრობდა იმ ხელოსნებზე, ცხრადმოკაკული რომ ისხდნენ თავიანთ სახელოსნოებში, არც იმ მიწის მუშაზე, გავლენიანი მეზობელი რომ ართმევდა მიწას, და არც უუფლებო მონაზე.

რომის ისტორიკოსები სპარტაკის ხელმძღვანელობით მონების აჯანყებას მხოლოდ უაზრო ამბოხებად თვლიან. ეს გასაგებიცაა, რადგანაც თვითონ ის ისტორიკოსები მონათმფლობელები იყვნენ. მათ ეშინოდათ სპარტაკის აჯანყებისა და სძულდათ მონები.

შუა საუკუნეების მემატიანე აღშფოთებული მოგვითხრობს, თუ როგორ აწყობდნენ ნორმანდიის საჰერცოგოს გლეხები თავყრილობებს და გამოჰქონდათ დადგენილებები, რომ ძველი წესისამებრ ესარგებლათ ტყიანი ადგილებით. შემდეგ კი, პირიქით, იგი გახარებული ლაპარაკობს იმაზე, თუ რაინდები გლეხებს როგორ დაესხნენ თავს და მათ ბელადებს როგორ დააჭრეს ხელ-ფეხი. მას უხარია, რომ ამ გზით გონსმოსული გლეხები ისევ თავიანთ გუთნებს დაუბრუნდნენ. შუა საუკუნეების ეს მემატიანე უეჭველად ფეოდალთა კლასს ეკუთვნოდა და სწორედ ამიტომ მისი სიმპათიებიც ფეოდალთა მხარეზე იყო გადახრილი.

„როდესაც შენ დიდებულთან ერთად მაგიდას უზიხარ და სადილს მიირთმევ, — შეგვეძლო გვეთქვა ამ მწერლებისათვისაც, — ისევე უნდა იფიქრო, როგორც დიდებული ფიქრობს, თორემ იგი პურს არ გაუმეორებს“.

მაშასადამე, ძველი და შუა საუკუნეების ისტორიკოსების მიერ სინამდვილის დამახინჯება იმით აიხსნება, რომ ისინი გაბატონებულ კლასს ეკუთვნოდნენ, ადიდებდნენ ამ კლასს და სრულიად არ სცნობდნენ უბრალო მშრომელებს.

მაგრამ ამას გარდა, მათ სხვა არასწორი შეხედულებებიც ჰქონდათ: ბევრი მათგანი ფიქრობდა, რომ მხოლოდ მათი ქვეყანა და მათი ქალაქია ნამდვილი ქვეყანა და ნამდვილი ქალაქი, რომ სხვა ქვეყნებსა და ქალაქებში ცხოვრობენ არასრულფასოვანი ადამიანები, ბარბაროსები, რომ ისინი მონებად არიან დაბადებულნი. ასეთი ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ მხოლოდ მათ ხალხს და მათ სამშობლოს შეუძლია გამარჯვების მოპოვება. მათ პატრიოტობადაც კი მიაჩნდათ, თავიანთი თანამემამულეების დამარცხება გამარჯვებად დაეხატათ ან, უკიდურეს შემთხვევაში, უშედეგოდ დამთავრებულ შეტაკებად წარმოედგინათ. ისინი თავიანთი სამშობლოსათვის სინამდვილეში არარსებულ, დიად წარსულს იგონებდნენ.

ზოგიერთ ისტორიკოსს რელიგიური ცრურწმენა უბორკავდა ხელ-ფეხს. ისინი ფიქრობდნენ, რომ ადამიანები, რომელთაც სხვა ღმერთები სწამთ, სხვა წესით ასრულებენ ღვთისმსახურებას და, საერთოდ, სხვაგვარად აზროვნებენ. ერეტიკოსები, ღვთისაგან განდგომილნი, წარმართნი არიან და მათი ყველაზე უკეთესი ხვედრი კოცონზე დაწვაა.

ბიზანტიის იმპერატორის ალექსი I კომნენის ქალიშვილმა ანამ XII საუკუნეში დაწერა წიგნი თავის მამაზე, მან მამის ჭკუასა და მხედართმთავრულ ნიჭს მიაწერა იმპერიის წარმატებები. ამ წიგნის ბოლოს ანა მოგვითხრობს ერეტიკოსების დასჯის ამბავს, რომელთა ბელადი იყო ბერი ვასილი. ალექსიმ, ასე გვიყვება მისი ქალიშვილი, ვასილს თავი ერეტიკული მოძღვრების მიმდევრად მოაჩვენა და სასახლეში მიიწვია, ვითომცდა ახალი რწმენის უკეთ გასაცნობად. ვასილმა იმპერატორთან საუბარში განავითარა თავისი იდეები, ხოლო სქელი ფარ-

დის უკან დამალული მწერალი გასანთლულ ფირფიტაზე იწერდა „ღვთის მაგინებელ“ სიტყვებს. ამ ჩანაწერთა საფუძველზე მოტყუებულ ვასილს კოცონზე დაწვა მიუსაჯეს.

დადგა დასჯის დღე. გააჩაღეს დიდი კოცონი, ერეტიკოსის დაწვის საყურებლად უამრავი ხალხი შეგროვდა. ვასილს კი, გვიყვება ანა, ოდნავ შიშიც არ ეტყობოდა. იგი ღიმილით შეჰყურებდა კოცონს და ხალხს უმტკიცებდა, ანგელოზები ცოცხლად გამომიყვანენ ცეცხლიდანო. „ვერც ცეცხლმა და ვერც იმპერატორის დაპირებებმა ვერ შეარყია მისი რკინისებური ნებისყოფა“, — უკმაყოფილოდ შენიშნავს ანა. მისმა შეუპოვრობამ ჯალათები შეაშფოთა: ვასილის მფარველ დემონებს ღვთის ნების გარეშე მართლა არ მოეხდინათ სასწაული და არ გამოეყვანათ ცეცხლიდან, რაც, რასაკვირველია, ახალი, წინანდელზე უფრო მკაცრი ერესის წყაროდ იქცეოდა. ამიტომ ჯალათებმა ვერ გაბედეს ერეტიკოსის უცბად ჩაგდება ცეცხლში, ჯერ მისი მოსასხამი გადააგდეს, ვნახოთ, თუ მოეკიდებაო. მათ სიტყვებზე ბერმა სიცილით უპასუხა: „ნახავთ, როგორ აფრინდება მოსასხამი ჰაერში“. მხოლოდ მას შემდეგ გაბედეს ჯალათებმა ერეტიკოსის ცეცხლში ჩაგდება, როდესაც დარწმუნდნენ, მისი ტანსაცმელიც ჩვეულებრივად იწვისო.

ანა თავისი მოთხრობის დასასრულს შვებით ამბობს, რომ ერეტიკოსი სულ მთლად დაიწვა, მხოლოდ კვამლის წვრილი სვეტიღა მიიკლაკნებოდა ჰაერშიო.

ეს ჭკვიანი და განათლებული ქალი იმდენად არის შებოჭილი ცრურწმენით, რომ ქება-დიდებას ასხამს სიცრუესა და კოცონს, როგორც ხალხის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას. ხალხის მთელი დანაშაული კი ის იყო, რომ ისინი ისე არ ფიქრობდნენ და ლოცულობდნენ, როგორც თვითონ ანა.

მემატიანე და მოწმე

ამრიგად, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ძველ მემატიანეთა ცნობები ყოველთვის არ არის სანდო. ძველი და შუა საუკუნეების მწერლები ხშირად ცუდად იცნობდნენ საქმის ვითარებას. მათგან მოწოდებული ცნობები ან არასრულია, ანდა თა-

ვიანთი გამონაგონითაა შეფერადებული. ძველი და შუა საუკუნეების მწერლები, რომელთა უმრავლესობა საზოგადოების გაბატონებულ კლასს ეკუთვნოდა, იზიარებდნენ ამ კლასის ცრურწმენებს: უგულებელყოფდნენ ხალხის ინტერესებს და შეუწყნარებლობას იჩენდნენ ყველასადმი, ვინც მათსავით არ აზროვნებდა. ამიტომაც ისინი თვითნებურად შეარჩევდნენ ხოლმე ფაქტებს და არასწორად აშუქებდნენ მათ.

როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში მკვლევარი? იქნებ სულ ჩაიქნიოს ხელი მემატიანის ნაამბობზე და საქმიანი დოკუმენტების, არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური ძეგლების საშუალებით მოწოდებული ცნობებით შემოიფარგლოს? სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია: ჩვენ ხომ სწორედ ძველი მატიანეებიდან ვგებულობთ მრავალი საუკუნის განმავლობაში წარმოებული პოლიტიკური ბრძოლის, სახალხო მოძრაობებისა და ომების ისტორიას. თუ უგულებელვყავით ყოველივე ეს, რაღა დაგვრჩება ძველი და შუა საუკუნეების ისტორიიდან?

არსებობს სხვა გზა: მკვლევარმა გულდასმით უნდა შეამოწმოს და შეარჩიოს მემატიანის მიერ აღწერილი ფაქტები.

ახ. წ. 66 წელს რომის პროვინცია — იუდეა სახალხო აჯანყებამ მოიცვა. რომის ჯარებმა დიდი გაჭირვებით შეძლეს ამ აჯანყების ჩახშობა; დიდი ხნის ალყის შემდეგ იერიშით აიღეს იუდეის მთავარი ქალაქი იერუსალიმი. ამ აჯანყებას დაწვრილებით აგვიწერს მისი ერთ-ერთი ბელადი, ჩვენთვის უკვე ცნობილი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი, ფლავიუსი შემდეგ ტყვედ ჩავარდა და რომაელთა მხარეზე გადავიდა. მაშასადამე, იოსებ ფლავიუსი კარგად იცნობდა იუდეის ამბებს და უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი ცნობები უტყუარია.

მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. ხომ არ შეიძლება ამ ცნობების შემოწმება?

არც ისე დიდი ხნის წინათ არქეოლოგებმა მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე გათხარეს ხირბეთ-ყუმრანის დასახლება. ეს იმ იუდეველი სექტანტების ცენტრი იყო, ტყავის ხელნაწერები რომ დაგვიტოვეს. ამაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ხირბეთ-ყუმრანის გათხრებისას გამოქვაბულებში აღმოაჩინეს მრავალრიცხოვანი მონეტა, რომელთა შორის ყვე-

ლაზე გვიანდელი ეკუთვნის ახ. წ. 68 წელს. ნაპოვნია 67-68 წლების რამდენიმე ათეული მონეტა.

იოსებ ფლავიუსი კი გვატყობინებს, რომ 68 წლის ზაფხულში რომაელებმა დაიკავეს მკვდარი ზღვის ნაპირებიო. მაშასადამე, მონაპოვარი მონეტები ძალიან ზუსტად ემთხვევა იოსებ ფლავიუსის ცნობას და ამტკიცებს მის სისწორეს.

მემატიანეთა შემოწმება სხვა გზითაც — უტყუარ დოკუმენტებთან მათი ცნობების შედარებითაც — ხდება.

ბერძენმა ისტორიკოსმა თუკიდიდემ დაწვრილებით აგვიწერა პელოპონესის ომი, რომლის აქტიური მონაწილე თვითონვე იყო. მაშასადამე, მან საკუთარი თვალით იხილა მომხდარი ამბები და საშუალება ჰქონდა უტყუარი ცნობები მოეწოდებინა. თხრობის მშრალი და საქმიანი სტილი კარგად განაწყობს მკვლევარს ამ ისტორიკოსისადმი. მაგრამ მას უფლება არა აქვს დაეყრდნოს თავის შთაბეჭდილებებს, იგი ვალდებულია შეამოწმოს თუკიდიდეს ცნობათა სისწორე.

ამის საშუალებას გვაძლევენ წარწერები. თუკიდიდე რამდენიმეჯერ აღნიშნავს, რომ ის დოკუმენტებით სარგებლობდა. და აი, მის მიერ მოხსენიებული დოკუმენტებიდან ორი ქვაზე ამოკვრილი წარწერა შემოგვრჩა. ერთი მათგანი ათენელების მიერ პელოპონესის ზოგიერთ ქალაქთან დადებული ხელშეკრულებაა, მეორე იმ ათენელ მეომართა სიაა, კვიპროსზე, ეგვიპტეში, ფინიკიასა თუ სხვა ადგილებში ერთი წლის განმავლობაში ბრძოლის ველზე რომ დაეცნენ. თუკიდიდეს ნაამბობის შედარებამ წარწერების ტექსტთან თვალნათლივ დაამტკიცა ბერძენი ისტორიკოსის ცნობების სისწორე. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ აქა-იქ არის გამოტოვებული არაარსებითი მნიშვნელობის სიტყვები, ან ერთი გამოთქმა შეცვლილია მეორე, შინაარსით ძალიან ახლოს მდგომი, გამოთქმით.

ამრიგად, მონეტებისა და წარწერების დამოწმებით შეიძლება მემატიანეთა ცნობების სისწორის დამტკიცება. მონეტა და წარწერა — შესანიშნავი და კეთილსინდისიერი მოწმეებია, მაგრამ ისინი მხოლოდ მემატიანეთა მიერ მოყვანილი ცალკეული ფაქტების სისწორეს ამტკიცებენ. მემატიანის მიერ ცალკეული ფაქტის სწორად გადმოცემა კი იმას ნიშნავს, რომ მის ყოველ სიტყვას ვენდოთ.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ თუკიდიდეს. დიახ, მან ზუსტად გადმოგვცა ათენელების მიერ პელოპონესის ქალაქებთან დადებული ხელშეკრულების შინაარსი. ალბათ ზუსტად მოგვითხრო პელოპონესის ომის ბევრი სხვა ამბავიც. ასევე კეთილსინდისიერად და მშვიდად აღწერა ამფიპოლისთან ბრძოლა, რომელსაც თვითონ მეთაურობდა და სადაც მისმა ჯარმა დამარცხება განიცადა. ამ მარცხის გამო თუკიდიდე ათენიდან განდევნეს. მაგრამ აი, თუკიდიდე ხატავს თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის, ათენის ღარიბთა ბელადის კლეონის სახეს და უცებ ქრება მისი სიმშვიდეცა და კეთილსინდისიერებაც. თუკიდიდეს აღწერით კლეონი არის ყველაზე კადნიერი მოქალაქე, უხეში და ვერაგი პოლიტიკოსი, უნიჭო მხედართმთავარი. თუ კლეონი იმარჯვებდა, თუკიდიდეს აზრით, ეს მხოლოდ შემთხვევითი წარმატება იყო.

ორი არ უდრის ორს, ანუ დატოტვილი ხე

ხშირად ორი ან რამდენიმე მემატიანე ერთსა და იმავე ამბავს გვიამბობს. 1204 წლის 13 აპრილს ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღების ამბავზე ამ თავის დასაწყისში მე მოვიყვანე ნიკიტა ხონიატისა და გუნტერ პერისელის მოთხრობები. ნიკიტა ხონიატისა და გუნტერ პერისელის გარდა ამ დიდ მოვლენაზე სხვა ავტორებიც წერდნენ. რასაკვირველია, თუ შევაგროვებთ ყველა ამ ცნობას და ერთმანეთს შევადარებთ, შეიძლება ბიზანტიის დედაქალაქის დაპყრობის ბევრად უფრო სრული და სწორი სურათი მივიღოთ, ვიდრე მაშინ, როცა მხოლოდ ნიკიტა ხონიატის ანდა მხოლოდ გუნტერ პერისელის მონაყოლით ვისარგებლებთ. ერთმა მწერალმა ხომ ამ მოვლენის ერთი მხარე შენიშნა, მეორემ კი — მეორე, რადგანაც ერთი გარემოცულ ქალაქში იმყოფებოდა, მეორე კი — გარემომცველთა ბანაკში.

ამასთან ერთად, რასაკვირველია, თუ ორი მწერალი ერთსა და იმავე ამბავს ერთნაირად გადმოგვცემს, ჩვენ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვენდოთ მათ მონაყოლს, განსაკუთრებით



რაძივილისეული ხელნაწერის მინიატურები: დაკრძალვა. ბრძოლა. ელჩები.

მაშინ, თუ ეს მწერლები სხვადასხვა ბანაკს, სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებას ეკუთვნიან.

და აი. სწორედ აქაა საჭირო დიდი სიფრთხილე. ძველი და შუა საუკუნეების მემატიანეთა ცნობების ძალიან დიდმა მსგავსებამ შეიძლება სერიოზული შეცდომა დაგვაშვებინოს.

გასულ საუკუნეში გამოიცა რამდენიმე ბიზანტიური ქრონიკა, იქ მოთხრობილია IX და X საუკუნის დასაწყისის ისტორია. ერთი ქრონიკის ავტორი იყო სიმეონ ლოგოთეტი, მეორის — გიორგი ბერის გამგრძელებელი, მესამის — ლეონ გრამატიკოსი, მეოთხისა — თეოდოსიოს მელიტენელი. ეს ავტორები ერთსა და იმავე ამბავს ერთნაირი თანმიმდევრობით და ხშირად ერთი და იმავე სიტყვებითაც გადმოსცემდნენ. მკვლევარებს უხაროდათ — შეხედეთ, როგორ უდგება ბიზანტიელი მემატიანეების ცნობები ერთმანეთს! მათი ნაამბობი ნამდვილად სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთო.

მაგრამ როგორ მოხდა, რომ რამდენიმე ბიზანტიელმა მემატიანემ ერთი და იგივე ამბავი ერთნაირად აღწერა? როგორ შეძლეს მათ საკუთარი შთაბეჭდილებების ერთი და იმავე ფრაზებით გამოხატვა?

შუა საუკუნეებში არ არსებობდა საავტორო უფლებები დღევანდელი გაგებით. შუა საუკუნეების მწერალი ხშირად იღებდა სხვა ავტორის მატიანეს, გადაწერდა, ზოგ ადგილს შეამოკლებდა, ზოგს შეავსებდა, სხვის მატიანეს მიუმატებდა, ბოლოს, რამდენიმე ათეულ ფურცელს საკუთარ ნაწერს დაურთავდა და ღებულობდა ახალ ნაწარმოებს. ზოგჯერ იგი ახალ ქრონიკას თავის სახელს დააწერდა, ხოლო ზოგჯერ უსახელოდ უშვებდა. ასე გაჩნდა ერთმანეთის მსგავსი მრავალი მატიანე. მაგრამ ეს მსგავსება იმიტომ კი არ წარმოიშვა, რომ რამდენიმე ყურადღებიანმა და ზუსტმა დამკვირვებელმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღწერა ერთი და იგივე მოვლენა, არამედ იმიტომ, რომ ნაკლები ცოდნისა და ფანტაზიის მქონე მწერლებმა კეთილსინდისიერად გადაწერეს რომელიღაც ძველი მატიანე.

მაშასადამე, ხშირად ორი მატიანე ორი სხვადასხვა მოთხრობა კი არა, ორჯერ გადაწერილი ერთი და იგივე მოთხრობაა.

ეს გასაგებია, მაგრამ რა შუაშია აქ დატოტვილი ხე. ცოტა მოითმინეთ და ესეც ნათელი გახდება.

ისტორიკოსმა, რომელსაც ხელთა აქვს ორი სხვადასხვა მემატიანის მიერ მონათხრობი ერთი და იგივე ამბავი, რასაკვირველია, უნდა გამოირკვიოს, სინამდვილეში ეს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ამბავია, თუ ერთი და იგივე მოთხრობის ორი სხვადასხვა ვარიანტი. ასეთი მოთხრობა თუ ორია, მათი ურთიერთობის გარკვევა შედარებით ადვილია, მაგრამ თუ ჩვენამდე მოაღწია რამდენიმე მატიანემ, ამოცანა შედარებით უფრო რთულდება.

შემონახულია XIV — XVIII საუკუნეების ორასზე მეტი რუსული მატიანე. ამასთან ერთად, შეიმჩნევა, რომ მატიანეთა ერთი ნაწილი კიევის სახელმწიფოს ადრინდელი ისტორიის გადმოცემისას სილვესტრის დაკარგულ მატიანეს ეყრდნობა. უფრო გვიანდელმა მემატიანეებმა სილვესტრის ჩანანიშნიც კი შემოგვინახეს, სადაც იგი გვატყობინებს, რომ თავისი წიგნი მან 1116 წელს დაწერა. ასეთ ტექსტს შეიცავს, კერძოდ, XIV საუკუნეში დაწერილი ეგრეთ წოდებული ლავრენტისეული და XV საუკუნის რაძივილისეული მატიანე, რომელიც შესანიშნავია თავისი ილუსტრაციებით.

შემონახული მატიანეების მეორე ჯგუფი წარმოსდგება დაკარგული თხზულებიდან, იგი, როგორც ავტორის ჩანანიშნებიდან ჩანს, დაწერილია 1118 წელს. ამ ჯგუფს მიეკუთვნება XV საუკუნის დასაწყისის იპათისა და ხლებნიკოვისეული მატიანე, იგი XVI საუკუნით თარიღდება.

მატიანეთა ორივე ჯგუფის (ან როგორც ამბობენ, რედაქციის) შედარებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სილვესტრი და 1118 წლის მატიანის ავტორი სარგებლობდნენ ამჟამად დაკარგული მატიანეთი, იგი 1113 წლამდე მოდიოდა. ეს მატიანე დაწერილი იყო ნესტორის მიერ და ეწოდებოდა „მოთხრობა გარდასულ წელთა შესახებ“.

თუ ნესტორის ამ ნაწარმოების ტექსტს შევისწავლით (მისი აღდგენა ხერხდება შემონახულ მატიანეთა ორივე რედაქციის შედარების საფუძველზე), აღმოჩნდება, რომ თურმე იგი გარკვეულ წინააღმდეგობებს შეიცავს. მაგალითად, ნესტორის „მოთხრობის“ ყველა რედაქციაში აღნიშნულია, რომ

მთავარ ოლეგ სვიატოსლავის ძის „ძვლები“ მისი საფლავიდან კიევში გადაიტანეს და დაკრძალეს ერთ-ერთ ეკლესიაში. ხოლო ამავე „მოთხრობაში“ სხვა ადგილას ეკითხულობთ, ოლეგ სვიატოსლავის ძე ქალაქ ვრუჩისთან დაკრძალეს და მისი საფლავი „დღესაც“ იქ არისო. როგორ გაჩნდა „მოთხრობაში“ ორი ასეთი ერთმანეთის საწინააღმდეგო მტკიცება?

ცნობა ოლეგ სვიატოსლავის ძის ქალაქ ვრუჩისთან დაკრძალვაზე, რასაკვირველია, შეიძლებოდა დაწერილიყო მხოლოდ 1044 წლამდე, მთაკრის ნეშტის კიევში გადატანამდე. მაშასადამე, კიევში 1044 წლამდე დამთავრებულა მატიანეთა კრებულის შედგენა. როდესაც გვიანდელმა გადამწერმა შეიტანა მასში ოლეგ სვიატოსლავის ძის „ძვლების“ კიევში გადატანის ამბავი, მან ვერ შეამჩნია (რაც ხშირად ემართებოდათ შუა საუკუნეების მემატიანეებს), რომ ეს ცნობა ეწინააღმდეგებოდა ძველ ცნობას, სადაც აღნიშნული იყო, რომ ოლეგ სვიატოსლავის ძის საფლავი „დღესაც“ ვრუჩიშია შემონახულიო.

მაგრამ არსებობს მატიანე, რომელიც სხვაგვარად გადმოგვცემს კიევის სახელმწიფოს ძველ ისტორიას და განსხვავდება ნესტორის „მოთხრობის“ მონაყოლისაგან. ეს არის XV საუკუნის პირველი ნოვგოროდული მატიანე. თუმცა, მათ შორის განსხვავება ძირითადად ისაა, რომ ნოვგოროდის ამ მატიანეში არ არის ზოგიერთი თავი, მაგალითად, არც ვრცელი ამონაწერებია ბიზანტიური ქრონიკიდან და არც რუსების მიერ ბიზანტიელებთან დადებული ხელშეკრულებები.

მაშასადამე. ნოვგოროდული მატიანე, სილვესტრისა და 1118 წლის მატიანეებისაგან განსხვავებით, წარმოქმნილა არა ნესტორის „მოთხრობის“, არამედ სხვა „მოთხრობის“ საფუძველზე, რომელიც კიევის მატიანეთა კრებულის წინამორბედი და მასზე გაცილებით უფრო მოკლე ყოფილა.

ერთი სიტყვით, მართალია, ჩვენამდე მოაღწია არა ერთმა რუსულმა მატიანემ, მაგრამ ამ მატიანეებში მოცემული ცნობები კიევის რუსეთის ადრინდელ ისტორიაზე ძირითადად მომდინარეობს ერთი წყაროდან — XI საუკუნის პირველი ნახევრის კიევის მატიანეთა უძველესი კრებულიდან, რომლის საფუძველზე წარმოიშვა სამი ძირითადი რედაქცია.



რუსული მატიანეების წარმოშობა

თუ რა ურთიერთდამოკიდებულება არსებობს ამ უძველეს კრებულსა, სამ რედაქციასა და შემონახულ მატიანეთა შორის, შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ ნახატით.

ხეზე ოვალებში მოთავსებულია ჩვენამდე მოღწეული ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი რუსული მატიანეების სახელწოდებები. უფრო ხშირ ფოთლებში ჩამოთვლილია დაკარგული მატიანეები, რომელთა არსებობა მეცნიერებმა შეიტყვეს შემორჩენილ მატიანეებში გაკეთებული ზოგიერთი შენიშვნებიდან. ღეროები მიიმართება მეჩხერი ფოთლებისაკენ, სადაც აღნიშნულია ჩვენამდე შემონახული მატიანეების სახელწოდებები. რასაკვირველია, შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა და წარმოგვედგინა ათეულ რუსულ მატიანეებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება. აი, მაშინ კი ეს ნახატი ნამდვილად დატოტვილ ხეს მოგვაგონებდა.

ასეთი სქემა მატიანეთა სხვადასხვა სიების გულმოდგინე შედარების შედეგად იქმნება. ეს კი ხანგრძლივ და დაძაბულ მუშაობას მოითხოვს. თვითონ ხელნაწერში ხომ, როგორც წესი, არაა ნათქვამი, თუ საიდან იღებდა მასალას გადამწერი. როდესაც სქემა შედგენილია, მას დიდი სარგებლობა მოაქვს მკვლევარისათვის: ახლა მან იცის, რომელი ხელნაწერია უფრო ახლოს დაკარგულ ორიგინალთან, ხოლო რომელი, პირიქით, შორდება მას და წარსულის ისტორიის შესასწავლად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

ოთხი შეკითხვა ჰეროდოტეს

ხშირად ისეც ხდება, რომ წარსულის ესა თუ ის მოვლენა მხოლოდ ერთი ისტორიკოსის მიერაა აღწერილი. მაშასადამე, მკვლევარს არა აქვს საშუალება შეადაროს ამ ისტორიკოსის ნაამბობი სხვა რომელიმე ცნობას, არ შეუძლია შეამოწმოს მისი სისწორე, ესე იგი, მემატიანეს არა ჰყავს მოწმეები. როგორ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? რასაკვირველია, თუ ასეთი ცნობა გონივრული არაა, მისი უარყოფა ადვილია. მაგალითად, როცა ჰეროდოტე წერს, რომ სპარსეთის ჯარი, რომელიც ქ. დელფოს უტევდა, მეხის დაცემამ გაანადგურაო — შეიძლება კიდევ დავიჯეროთ. შეიძლება ისიც დავიჯეროთ, რომ სპარსელებს ორი კლდე ჩამოექცათ თავზე ხმაურით. მაგრამ როდესაც ჰეროდოტე გვიამბობს, რომ დელფოდან სპარსელებს განდევნა ორმა ზეადამიანური სიმაღლის

მეომარმა, ისინი უკან მისდევდნენ და ხოცავდნენ მათ. — ეს უკვე მისი ფანტაზიის ნაყოფია.

მაგრამ გაცილებით უფრო ძნელია გაგება, დამახინჯებულია თუ არა სინამდვილე იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ სრულიად დამაჯერებლად და ცოცხლად აგვიწერენ გარკვეულ ისტორიულ ამბავს, როდესაც დასახელებულია ადამიანები და მოქმედების ადგილი, აღნიშნულია ჯარების გადაადგილება და დაღუპულ მეომართა რიცხვი, და მიუხედავად ამისა, ისტორიკოსი მაინც შორსაა სინამდვილისაგან.

პატარა ბერძნულ ქალაქ მარათონთან, რომლის სახელი ასე მჭიდროდაა დაკავშირებული დღევანდელ სპორტულ ნეჯიბრებებთან, ძვ. წ. 490 წელს ერთმანეთს შეხვდნენ ათენელებისა და სპარსელების ჯარები. მარათონის ბრძოლა დაწვრილებით აგვიწერა გამოჩენილმა ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ. იგი ძვ. წ. V საუკუნეში ცხოვრობდა და ალბათ მარათონის ბრძოლაში მონაწილე მეომრებთან უსაუბრია კიდეც.

უპირველეს ყოვლისა, მოვუსმინოთ ჰეროდოტეს, რას გვიყვება ამ ბრძოლაზე.

სპარსელები, მცირე აზიიდან 600 გემით წამოვიდხენ, გზად რამდენიმე კუნძული დაიპყრეს და მარათონთან გადმოსხდნენ, მათ ეს ადგილი იმიტომ ამოირჩიეს, რომ მარათონის ველი მოხერხებული იყო ცხენოსანთა ჯარის სამოქმედოდ. როდესაც სპარსელების მარათონში გადმოსხდომის ამბავი გაიგეს, ათენელებმა მილტიადესა და ათენის სხვა ᲫᲚᲔᲓᲐᲠᲗᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ მეთაურობით გაგზავნეს ჯარი. დიდხანს იდგნენ ათენელები მარათონის ველზე სპარსელების პირდაპირ და ყოყმანობდნენ, ჩაბმულიყვნენ თუ არა ბრძოლაში. ბოლოს და ბოლოს მხარე დაუჭირეს მილტიადეს აზრს, რომელსაც სწამდა ბერძნების გამარჯვება. მაგრამ არც ამის შემდეგ დაწყებულა ბრძოლა მაშინვე. საქმე ისაა, რომ ათენის ჩვეულებების თანახმად მხედართმთავრები რიგრიგობით მეთაურობდნენ ჯარს, ყოველდღე ცვლიდნენ ერთმანეთს. ამიტომაც მხოლოდ მაშინ დაიწყეს ბრძოლა, როცა მილტიადეს ჯერი დადგა.

როდესაც ათენელები მარათონთან დაეწყვნენ, მათი საბრ-

ძოლო ხაზი მოწინააღმდეგის საბრძოლო ხაზს უსწორდებოდა, თუმცა რიცხობრივად იმდენად ნაკლებნი იყვნენ სპარსელებთან შედარებით, რომ სპარსელებმა, ჰეროდოტეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ბერძნების შეტევა უგნურებად ჩათვალეს. მიუხედავად ამისა, ათენელებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს: მოკლული იქნა 6400 სპარსელი და მხოლოდ 192 ბერძენი; სპარსელები გარბოდნენ თავიანთ გემებისაკენ და ზღვაში გასვლას ცდილობდნენ, მაგრამ ათენელებმა ხელთ იგდეს მტრის შვიდი გემი. სპარსელები დანარჩენ გემებში ჩასხდნენ და ათენისაკენ გაემართნენ იმ ვარაუდით, რომ ვიდრე მისი დამცველები მარათონთან იმყოფებოდნენ, თვითონ ქალაქს აიღებდნენ. აი, ახლა კი მოკურცხლეს ათენელებმა მთელი ძალ-ღონით მშობლიური ქალაქისაკენ, რათა სპარსელი გემებისათვის ჩაესწროთ.

სპარტელების მაშველმა ჯარმა დაიგვიანა, მიუხედავად იმისა, რომ სპარტელებმა მხოლოდ სამი დღე მოანდომეს სპარტადან მარათონში ჩასვლას.

ასეთია ჰეროდოტეს მონათხრობი. მისი ნაამბობის გაცნობისას გვებადება ოთხი კითხვა:

1. ათენელებმა, რომლებიც მარათონთან იმდენ ხანს იცდიდნენ, რატომ დაიწყეს ბრძოლა მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებთან და არ დაელოდნენ უკვე გზაში მყოფი სპარტელების მოსვლას?

2. განადგურებული სპარსელები რატომ არ გაიქცნენ სამშობლოში, რად გაემართნენ ათენისაკენ?

3. პანიკით მოცულმა სპარსელებმა უკან დახევის დროს ექვსასი გემიდან მხოლოდ შვიდი გემი რატომ დაკარგეს?

4. რას აკეთებდა ამ ბრძოლის დროს სპარსელების ცხენოსანი ჯარი — სპარსელების ძირითადი საომარი ძალა?

ამ კითხვებზე ჰეროდოტე პასუხს ვერ გვაძლევს.

დავუშვათ, რომ მარათონის ბრძოლა სულაც არ იყო ათენელების პატარა რაზმის მიერ სპარსელთა ურდოებზე მოპოვებული გრანდიოზული გამარჯვება. დაგვებადებოდა თუ არა მაშინ ზემოთ ჩამოთვლილი კითხვები?

წარმოვიდგინოთ, რომ სპარსელების ჯარი დასაზვერად გაგზავნილი შედარებით პატარა, მოწინავე რაზმი იყო. მა-

შინ ნათელი გახდება, თუ რატომ უტოლდებოდა ორივე ჯარის საბრძოლო ხაზები ერთმანეთს და რატომ დაიწყეს ათენელებმა ბრძოლა ისე, რომ არ დაელოდნენ სპარტელებს. მაშინ ისიც ნათელი გახდება, თუ რატომ იგდეს ხელთ ათენელებმა მხოლოდ შვიდი გემი. ეტყობა, საბერძნეთში სპარსელების 600 კი არა, გაცილებით უფრო ნაკლები გემი ჩავიდა. ახლა ისიც გასაგებია, რატომ არაფერს არ ამბობს ჰეროდოტე სპარსელების ცხენოსან ჯარზე: იგი ალბათ არც იღებდა მონაწილეობას მარათონთან ბრძოლაში, რადგან ცხენების გემებით გადაყვანა იმ დროს ძალიან რთული საქმე იყო.

მაგრამ, ეტყობა, არც იმ რაზმს განუცდია მარათონში სასტიკი დამარცხება; სხვაგვარად გაუგებარია, რატომ გაემართა მაშინვე, ბრძოლის დამთავრების შემდეგ, სპარსეთის ფლოტი ათენისაკენ. შეიძლება ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა, სპარსელები ჩასხდნენ გემებში და შეეცადნენ ათენის დაპყრობას.

მაგრამ, თქვენ იტყვით, ჰეროდოტეს ხომ დახოცილთა ზუსტი ციფრები მოყავს, საიდანაც ჩანს, რომ სპარსელები განადგურდნენ. მაგრამ სწორედ ჰეროდოტეს ამ ციფრებს არ შეიძლება ვენდოთ.

თავისი ისტორიის სხვა ადგილას ჰეროდოტე მოგვითხრობს სპარსეთის მეფის ქსერქსეს საბერძნეთზე ლაშქრობის ამბავს. იგი ამ შემთხვევაშიც ზუსტ ციფრებს გვაწვდის: ქსერქსეს მთელი სახმელეთო ჯარი 1: 700. 000 კაცისაგან შედგებოდა. ეს ჯარი ორი ხიდით გადავიდა ჰელესპონტის სრუტეზე, ამასთან, ერთ ხიდზე რომ ჯარი მიდიოდა, მეორეზე აღალი გადაჰქონდათ. ქსერქსეს ჯარი, ამბობს ჰეროდოტე, შვიდი დღე-ღამის განმავლობაში ხიდებზე განუწყვეტელ ნაკადად მიედინებოდაო.

დიდებული სურათია! ხიდზე შვიდი დღე-ღამის განმავლობაში გადადის ჯარი და მერე როგორი — დაახლოებით ორი მილიონი კაცი, მაშინ, როდესაც საბერძნეთის მთელი იმდროინდელი მოსახლეობა ალბათ სამ მილიონს არც შეადგენდა.

მაგრამ ჰეროდოტეს საზიანოდ, სამხედრო სპეციალისტებმა გამოითვალეს, რომ შვიდი დღე-ღამის განმავლობაში

ვერავითარ შემთხვევაში ხიდზე ვერ გადავიდოდა 1 700 000 ქვეითი და ცხენოსანი, შეიძლებოდა გადასულიყო, დაახლოებით ასი ათას კაცამდე, თუმცა ძვ. წ. V საუკუნისათვის ესეც დიდი ლაშქარია...

დავუბრუნდეთ მარათონის ბრძოლის აღწერას. ჰეროდოტე გვიყვება ერთ ამბავს (რომლის სამართლიანობას იგი თვითონ ხდის სადაოდ) წარჩინებულ ათენელებზე — ალკმეონიდებზე, მათ ბრძოლის დროს სპარსელებს მისცეს ნიშანი, რომ ათენს არავინ იცავსო. ჰეროდოტე ალკმეონიდების დიდი პატივისმცემელი იყო. ამიტომ ჩვენ ყოველგვარი საფუძველი გვაქვს, ეჭვი მივიტანოთ მის მისწრაფებაში, გაამართლოს ეს არისტოკრატიული გვარი. თუ ალკმეონიდებმა მართლაც მისცეს ნიშანი სპარსელებს, მაშინ გასაგებია, რატომ დატოვეს სპარსელებმა ასე ნაჩქარევად მარათონის ველი მანამ, სანამ მტერს დაამარცხებდნენ: რადგან ბრძოლაში ვერც ერთმა მხარემ ვერ გადასძლია, სპარსეთის მხედართმთავარმა გადაწყვიტა, დასცემოდა დაცვის გარეშე დატოვებულ ათენს.

ჰეროდოტეზე რამდენიმე საუკუნით გვიან საბერძნეთში ცხოვრობდა მეორე ისტორიკოსი პლუტარქე. ამ დროისათვის საბერძნეთს უკვე დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებლობა და რომის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. პლუტარქემ აუცილებლად ჩათვალა გაეცნო ბერძნებისათვის მათი შორეული წინაპრების დიდება, დამპყრობელთა წინააღმდეგ წარმოებული გმირული ბრძოლები და, რასაკვირველია, სპარსელებთან ომში ბერძნების მიერ გამოჩენილი ვაჟკაცობა ღირსეულად აღწერა. მარათონის ბრძოლის ჰეროდოტესეული აღწერა პლუტარქეს არ მოეწონა. „ჰეროდოტემ, — წერდა პლუტარქე სპეციალურ თხზულებაში „ჰეროდოტეს მუხანათობა“, — გააქარწყლა ამ სახელოვანი გამარჯვების უდიდესი მნიშვნელობა და სიდიადე“; ჰეროდოტე ამცირებს ბრძოლის ველზე დახოცილთა რიცხვს და, საერთოდ, მისი ნაამბობიდან არ ჩანს, რომ მარათონთან მოხდა გიგანტური შეტაკება და რომ ბერძნები გმირულად იბრძოდნენო.

პლუტარქეს შეიძლება გავუგოთ და ვაპატიოთ: იგი პატარა, ბედკრულ ქვეყანაში ცხოვრობდა და სურდა თავისი სამშობლოს დიდებული წარსული უფრო დიადად წარმოედ-

გინა, ვიდრე სინამდვილეში იყო. მის წარმოსახვაში მარათონის ბრძოლამ მიიღო უფრო გრანდიოზული სახე, ვიდრე ეს ჰეროდოტემ გადმოსცა.

მაგრამ ახლა ეს არ არის საინტერესო. ჰეროდოტესთან პაექრობის დროს პლუტარქე მოიხსენიებს ვიღაც „მკილავებსა და ავისმდომლებს", რომლებიც ჰეროდოტეზე უფრო შორს წავიდნენ და მარათონის ბრძოლა დახატეს როგორც პატარა შეტაკება ბარბაროსებთან. რასაკვირველია, მარათონის ბრძოლის ასე ასახვა პლუტარქეს სრულიად უაზროდ მიაჩნია. მაგრამ სინამდვილეში სწორედ ეს შეფასება შეეფარდება ჰეროდოტეს ნაამბობის ანალიზიდან გამოტანილ დასკვნებს.

ამრიგად, თუ დაკვირვებით წავიკითხავთ მემატიანეთა ნაამბობს, შეიძლება ნამდვილი, ჭეშმარიტი ფაქტები გავწმინდოთ მონაგონისაგან.

მაშასადამე, მკვლევარს არ შეუძლია შემოიფარგლოს ძველი ისტორიკოსებისგან მოწოდებული ცნობების შინაარსის უბრალო გადმოცემით. მან უნდა აწონ-დაწონოს მათი მონაყოლი, ჩამოაცალოს ყალბი ფაქტები და შეეცადოს გაიგოს, საიდან შეიძლებოდა წარმომდგარიყო არასწორი წარმოდგენა ამა თუ იმ მოვლენაზე. ხოლო იმისათვის, რომ მისი დასკვნები საკმაოდ დამაჯერებელი იყოს, მან უნდა გამოიყენოს სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში არსებული ყველა ცნობა მისთვის საინტერესო მოვლენაზე, წერილობითი ძეგლები იქნება ეს თუ არქეოლოგიური მასალა.



არის თუ არა ისტორია მეცნიერება?

თავისი განვითარების გზაზე კაცობრიობა არასოდეს არ ივიწყებდა წარსულს.

აღორძინების ეპოქის მხატვრები და ფილოსოფოსები თავიანთ იდეალებს ანტიკურ ხანაში ეძებდნენ: მათ უნდოდათ დამსგავსებოდნენ რომის სახალხო ტრიბუნებს, ათენის დიდ მოქანდაკეებს. მარმარილოსგან გამოქანდაკებულ ღმერთებს, რომელთაც დროდადრო პოულობდნენ იტალიის მიწაში, ჭეშმარიტ ღმერთებად თვლიდნენ, რადგან მათი სილამაზე ადამიანებს განუმეორებლად ეჩვენებოდათ. XVII და XVIII საუკუნეების ინგლისელი მეამბოხეები დიდ ინტერესს იჩენდნენ ლეგენდებისა და ძველი მსოფლიოს ისტორიისადმი.

ახლა კაცობრიობამ ბევრად გაუსწრო წინ აღორძინების ეპოქასაც და ინგლისის რევოლუციის ხანასაც. ატომგულის დაშლისა და კოსმოსისაკენ გზის გაკაფვის შემდეგ კაცობრიობამ ბუნებაზე ბატონობის ისეთ დონეს მიაღწია, როგორიც წარსულის ყველაზე გაბედულ ფანტაზიორებსაც კი არ დაესიზმრებოდათ. ამ წარმატებებით გაამაყებული ზოგიერთი პირს იბრუნებს წინაპრებისაგან: ვითომდა რითი უნდა დაგვაინტერესონ ისეთი ეპოქის ადამიანებმა, როდესაც არც ტელევიზორი იყო და არც ორთქლმავალიო. ახალგაზრდობა ყოველთვის წინ — მომავლისაკენ რომ მიისწრაფვის, ბუნებრივია, გატაცებულია ფიზიკით, ქიმიით და ისეთი მეცნიერებებით, რომელთანაც დაკავშირებულია მისი რომანტიკული ოცნებების განხორციელება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ წარსუ-

ლის ათვისების გარეშე შეუძლებელია აწმყოს აშენება, მომავალზე ოცნება.

სულ უფრო ხშირად გვესმის, რომ ფიზიკა და ქიმია ეს ნამდვილი მეცნიერებებია, ხოლო ისტორია არ არის მეცნიერება. განა სამართლიანია ასეთი შეხედულება?

ისტორია ისევე არ არის ფაქტების ჯამი („ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს 1204 წლის 13 აპრილს" და ა. შ.), როგორც პლასტმასის საფერფლე და ნეილონის პერანგი არ წარმოადგენს ქიმიას. ქიმია საჭირო იყო იმისათვის, რომ შ ე გ ვ ე ქ მ ნ ა პლასტმასა და ნეილონი, ისტორია კი (მე მხედველობაში მაქვს მეცნიერება ისტორიაზე) — იმისათვის, რომ დაგვედგინა ფაქტები. ამ პატარა წიგნში მე მინდოდა მეჩვენებინა, რომ ისტორიული ფაქტები (მსგავსად ყველა სხვა მეცნიერებისაგან გამოყენებული ფაქტებისა) ციდან როდი ცვივა, მზამზარეული სახით როდი მისდის მკვლევარს. საჭიროა მათი დ ა დ გ ე ნ ა. ეს კი ხანგრძლივსა და გულმოდგინე შრომას მოითხოვს.

რამდენი უნდა ვიცოდეთ და შეგვეძლოს, რომ ავალაპარაკოთ მიწა და მიწაში ჩამარხული ნივთები, ანდა წავიკითხოთ წარწერები და ეტრატზე დაწერილი სიგელები, რათა განვსაზღვროთ, თუ როდის მოჭრეს მონეტა! რამდენი უნდა ვიცოდეთ და შეგვეძლოს, რომ გამოვთვალოთ დიდი ხნის წინ მომხდარი მოვლენის დრო და განვასხვაოთ ძველი მემატიანის ჭეშმარიტი მონათხრობი მომხიბვლელი გამონაგონისაგან! ასეთი წინასწარი სამუშაოს ჩატარების გარეშე ხომ ვერასოდეს ვერ დავადგენთ წარსულის ისტორიას.

ეს კიდევ ცოტაა. ისევე როგორც ყველა სხვა მეცნიერება, ვერც ისტორია შემოიფარგლება მხოლოდ ფ ა ქ ტ ე ბ ი ს დადგენით. ცალკეული და ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფაქტების დახვავება კი არ წარმოადგენს ისტორიკოსის საბოლოო ამოცანას, არამედ კაცობრიობის განვითარების კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს შეცნობა. მაგრამ ეს კანონები გენიალური ადამიანების თავებში კი არ იბადება, ფაქტების ანალიზიდან გამომდინარეობს.

მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა კაცობრიობის განვითარების კანონები ჩამოაყალიბეს წარსულის ისტორიაზე იმ დრო-

ისათვის არსებული ყველა ხელმისაწვდომი ფაქტის შესწავლის საფუძველზე.

მაგრამ იქნებ დღევანდელ ადამიანს, რომელიც ატომგულის საიდუმლოებას ფლობს და ნეილონის პერანგის დამზადება შეუძლია, არ სჭირდება იმ წარსულის ისტორიის ცოდნა, როდესაც ადამიანები პირს ბრინჯაოს სამართებლით იპარსავდნენ და ძვლის სტილით წერდნენ სანთლის ფირფიტებზე?

დიახ, ახლა ადამიანებს შეუძლიათ უკეთ აშენონ სახლები, სწრაფად გადავიდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე. ჩვენი წარმოების იარაღები, სატრანსპორტო საშუალებები და საბრძოლო იარაღი სრულიად არ გვანან უძველესი დროისა და შუა საუკუნეების მარტივ ხელსაწყოებს.

მაგრამ, განა იმ დროის ადამიანებს არ აღელვებდათ ბევრი ისეთი საკითხი, უფრო მეტად რომ ჰგავს დღევანდელ დღეს წამოჭრილ საკითხებს, ვიდრე ძვლის თოხი ზოსიარულე ექსკავატორს? განა იმ შორეულ ხანაში საუკეთესო მოაზროვნეები თავს არ იმტვრევდნენ პრობლემებზე, თუ როგორ გაეხადათ ყველა ადამიანი ბედნიერი? განა იმ შორეულ ხანაში არ წუხდნენ ადამიანები იმაზე, რომ არ შეეძლოთ დროულად გაერჩიათ ვერაგი მტერი ჭეშმარიტი მეგობრისაგან? ვინ იცის, პოლიტიკური ბელადების ფუჭი პატივმოყვარეობის წყალობით რამდენჯერ მოქცეულან მთელი სახელმწიფოები და ხალხები ომის ქარცეცხლში, მოსახლეობას რომ ანადგურებდა და ბავშვებს უდედმამოდ ტოვებდა!

დაბოლოს, თაობათა შეცდომების გაგება განა დღევანდელი დღის გაგებასაც არ გაგვიადვილებს?

ის, ვინც ცხოვრებაში სიმართლეს ეძებს და ყველასათვის სიკეთე სურს, ვალდებულია, შეისწავლოს წარსულის მეცნიერება — ისტორია.



შინაარსი

დრო თავის კვალს ტოვებს 7
რა შეუძლია და რა არ შეუძლია არქეოლოგის ნიჩაბს . . 11
გაცვეთილი მონეტის ნაკვალევზე 40
ქვაზე ამოკვეთილი ასოები 63
კალმით ნაწერი 90
ძველისძველი ბეჭდიანი სიგელი 120
როდის მოხდა ეს? 148
ჭეშმარიტი ფაქტი 181
არის თუ არა ისტორია მეცნიერება? 211

რედაქტორი მ. გ ვ ა რ ა მ ი ა
გამომც. რედაქტორი მ. ზ უ ბ ა დ ა ლ ა შ ვ ი ლ ი
ყდა და ტიტული გ. ვ ა შ ა კ ი ძ ი ს
მხატვ. რედაქტორი ი. ქ ლ ი ბ ა ძ ე
ტექრედაქტორი ლ. ქ ვ ა რ ც ხ ა ვ ა
კორექტორი თ. შ ი ნ დ ა გ ო რ ი ძ ე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/X-67 წ.
ქაღალდის ზომა 84×108 1/32
ნაბეჭდი თაბახი 13,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,05
ტირაჟი. 10.000 შეკვ. № 1605
ფასი 88 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», ул. Марджанишвили № 5

სტამბა № 2, „ნაკადული", თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5
Типография № 2, «Накадули», Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5